საქართველოს

მოკლე ისტორია

შედგენილი

მოსე ჯანაშვილისაგან

გამოცემული

თამარ ქართველიშვილისა

თბილისი
არ. კალანდაძის და ამხ. სტამბა
1884

წინასიტყვაობის მაგიერი.

სიბნელე, წყუდიადი, მასალების უქონლობა: მატიანეთა, სიგელთა, გუჯართა, ზრაპართ-თქმულებათა გამოუკვლეველობა, კრიტიკულად განუხილველობა; უცხოელთა მწერალთა საქართველოზედ და, საზოგადოდ, ამიერ კავკასიაზედ მოთხრობების და ცნობების შეუკრებელობა და ქართულს ენაზე გადმოუღებლობა; გამოუკელეველობა გონებითი (ხელოვნება, მოგონება) და ზნეობითი ნამოქმედარისა და ნაღვაწისა; სიმცირე ანუ, უკეთ ვსთქვათ, უქონლობა ეთნოგრაფიულის ისტორიისა არა თუ ქართლოსიანთა მოდგმის უმცირეს წარმომადგენლებზე (მესხებ-ჭანებ-მეგრელ-მთიულებზე), არამედ უმთავრესებზედაც (ქართლელ-კახელ-იმერლებზე); ნაკლულევანება ჩვენი მატიანისა (ქართლის ცხოვრება), რომელიც არის მხოლოდ ისტორია საქართველოს პოლიტიკურის ცხოვრებისა და ისიც უსრული; მეცნიერულად გამოურკვეველობა ქართლოსიანთა დასაბამისა და ვინაობისა, აგრეთვე ენის განთჯთება – განსაკუთრებისა...

აი ის პირობანი, რომლებითაც გარემოცულნი არიან ჩვენნი ისტორიის დამწერნი...

ამის შემდეგ საქართველოს უნაკლო ისტორიის შედგენა, რასაკვირველია, მეტად საძნელოა და ჯერ-ჯერობით შეუძლებელიც…

მეცნიერების ყოველ-გვარ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ისტორიის შედგენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მასალები შესახებ საქართეელოს ისტორიისა ცნობაში მოყვანილნი, განხილულნი და შესწორებულნი იქმნებიან.

ჩვენ, როგორც შეგვეძლო, ვიშრომეთ და შევადგინეთ შემოკლებული ისტორია და დიდად პატიეცემულის თამარ ქართველიშვილის საფასით აღვბეჭდეთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი შრომა, ზემოხსენებულ მიზეზთაგამო, თუმცა ვერ აკმაყოფილებს ყოველ-გვარ მოთხოვნილებას ისტორიულის თხზულებისას, მაგრამ მაინც ისე სუსტი არ არის, რომ არ შეეძლოს სარგებლობის მოტანა.

მ. გ. ჯანაშვილი.

1 მაისს, 1884 წ.
ქ. თბილისი

საქართველოს მოკლე ისტორია.

I.

Შიფიური ნაწილი.

პირველი ცნობები ქართველებზედ და მათი დასახლება კავკასიაში.

ჩვენი მატიანეს გადმოცემით (ქართლის ცხოვრება) ქართველები და სომხები შთამომავლობენ იაფეტის შვილისშვილისაგან, რომელსაც ერქვა თარგამოსი. ხალხების ენების წარმოების და განბნევის შემდეგ, თარგამოსი მრავალის თავის ნათესაობით დაესახლა არარატის მთის არე-მარეზე. აქ გაშენდა დ გამრავლდა თარგამოსის შთამამავლობა, თარგამოსს ჰყვანდა რვა შვილი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკაზოსი და ეგროსი. ჰაოსი, წინაპარი სომხებისა, დაესახლა სომხეთში, – მდინარე არეზის გაყოლებით და არარატის მთის ძირებში. ქართლოსი თავის სხვა ძმებით დაესახლა არეზის მდინარის ჩრდილოეთის მხრით ვიდრე კავკასიის მთებამდე.

მთელი ეს ქგვეყანა კავკასიის მთებიდგან მოკიდებული არეზამდე, შავი ზღვიდგან – ალაზნის მტკვართან შესართავამდე, ქართლოსის სიკვდილის შემდეგ, მისმა შთამომავლებმა გაჰყვეს რამდენიმე ნაწილად. ყველანი ცალ-ცალკე ჰმართავდნენ

თავის ქვეყანას, მაგრამ ყველანი ემორჩილებოდნენ მცხეთის მმართველს, რომელსაც პირველ დროში ერქვა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი-ს ი. მცხეთის სამამასახლისოს დაერქვა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

შინაური ცხოვრება, – სჯული, – განათლება.

ქართველების ცხოვრებაზე დიდი გაგლენა ჰქონდა საქართველოს ბუნებას, დასერილს მთებით და დაყოფილს მრავალ ხეობებად, რის გამოც თვით ქართველი ხალხიც იყოფოდა მრავალ საზოგადოებად. ნოყიერმა და მძლავრმა ნიადაგმა ხალხს შეაყვარა ხვნა-თესვა; მაღალმა მთებმა დაჰბადეს მასში სიმამაცე; მტრების შიშმა ააშენებინა ქალაქები და ციხეები. პირველი ქალაქი საქართველოში ააშენა მცხეთოსმა, ქართლოსის შვილმა, მდინარე არაგვის მტკვართან შესართავთან, ბუნებისაგანვე გამაგრებულს ადგილს. 1565-1499 წლების წინ ქრისტეს დაბადებამდე მოხდა ეგვიპტელების შემოსევა საქართველოში. პირველად იმათ შემოიტანეს საქართველოში განათლება: ასწავლეს ქართველებს, სხვათა შორის, სელისაგან ქსოვილის და ფარჩეულის კეთება, თაყვანის-ცემა მზისა, მთვარისა და ხუთი უძრავი ვარსკვლავისა; აგრეთგე ააშენებინეს სალოცავები და დაადგმევინეს მზის კერპები.

მეთორმეტე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე ბერძნების გმირებმა – ფრიკსმა, ულისმა დ არგონავტებმა სამჯერ მოიარეს დასავლეთი საქართველო (კოლხიდა). ამ მგზავრებმა კოლხიდაში ნახეს მდიდარი დ შესანიშნავი ქალაქი, რომელსაც ჰქვიან ეხლა ნაქალაქევი. ამ დროს ქართველებმა იცოდნენ ოქროს დნობა, სელის ქსოვა, ღვინის დაყენება. ბერძნებს ძალიან მოეწონათ ჩვენი ქვეყანა დ ვაჭრობა გამართეს, რის-

გულისათვის ააშენეს შავი ზღვის ნაპირებზედ ბიჭვინტა (ფიწუნდა) დ დიოსკური (სოხუმი), ანუ დიდი სებასტოპოლი.

600 წელში ქრისტეს დაბადებამდე წინასწარმეტყველი იეზეკიელი იხსენიებს სხვათა შორის ქართველებსაც და ამბობს, რომ ქართველები ვაჭრობენ ფინიკიელებთანაო, რომლებზედაც ჰყიდიან მონებს დ სპილენძის ჭურჭელსაო.

———

შემოსევა სკითებისა. – ქართველების შეერთება. – ოსეთი. – დაღისტანი. – სკითების განდევნა. – დერბენდის აშენება. – მცხეთის გამაგრება. – განდევნა სპარსელებისა. – გადმოსახლება საქართველოში სხვა-და-სხვა ხალხებისა. – გადის ჩვეულებიდგან მკვდრების დამარხვა და შემოდის მათი ჭამა. – სპარსეთის მეფე ბაამანი იპყრობს საქართველოს.

სკითები ანუ საზარნი იყვნენ ველური ხალხი, სცხოვრობდნენ კავკასიის მთების ჩრდილოეთის მხრით, კას-

პიის ზღვის და მდ. ვოლგის ნაპირებზე. ესენი ხშირად შემოესეოდნენ ხოლმე საქართველოს და არბევდნენ. ქართველები მოთმინებიდგან გამოვიდნენ. მთელი ხალხი მოძრაობაში მოვიდა; შეერთდნენ ძმურად ყველანი და შეესივნენ სკითების ქვეყანასა (მეშვიდე საუკუნეში). მაგრამ სკითებმა დაიყენეს მეფე, დიდ-ძალი ხალხით წამოვიდნენ საქართველოში, დასწვეს და დაანგრიეს ყველაფერი, რაც დახვდათ, ვიდრე არარატამდე.

ამის შემდეგ სკითებმა მოუხშირეს საქართველოში შემოსევა. კავკასიის ჩრდილოეთის მხრით მათ დაარსეს ორი სამეფო: ერთი თერგიდგან მოკიდებული ვიდრე შავ ზღვამდე,

მეორე – თერგიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდე. პირველი სამეფოს ხალხიდგან წარმოსდგნენ ოსები, მეორედგან დაღისტნელები.

სპარსეთის მეფემ აფერიდუნმა გაგზავნა სკითებთან საბრძოლველად თავისი სპასალარი ადამი დიდ-ძალის ჯარით. ამასვე მიემხრნენ ქართველები და სომხები. სკითები სრულიად განდევნეს საქართველოდგან. ადამმმა ქართველების დახმარებით ააშენა დერბენდი და აქვე ვიწრო ყელში დასდვა რკინის კარები, სკითების შემოსევის მოსაგერებლად; მერე ქალაქს მცხეთას შემოავლო მაგარი ქვის გალავანი და ასწავლა ქართველებს ქვის და კირის ხმარება შენობისათვის. აფერიდუნის სიკვდილის შემდეგ ქართველებს დაადვეს სპარსელებმა ხარჯი, მაგრამ ხალხმა ვერ მოითმინა და მაშინვე განდევნა ყველა სპარსელები საქართველოდგან. სპარსელები კიდევ ბევრჯელ სცდილობდნენ დაემორჩილებინათ ქართველები, მაგრამ ყოველთვის მარცხდებოდნენ. სპარსეთის მეფემ ქაიხოსრომ დაამარცხა სომხეთი; საქართველოს შემოესია, მაგრამ განდევნილ იქმნა. მრავალი ხალხი მის შიშისაგან აიყარა სხვა-და-სხვა ადგილებიდგან და გადმოსახლდა საქართველოში. ყველა ეს ხალხები მიიღო მცხეთის მამასახლისმა და დაასახლა ქართველებ-შუა. ამ ნაირად უფრო გამრავლდა ქართველების რიცხვი. ამ დროსვე შეეცვალათ სარწმუნოების წესები და ჩვეულებანი. მკვდრის დამარხვის მაგიერ მას ჭამა დაუწყესო, გვარწმუნებენ ჩვენი მემატიანენი.

მაგრამ საქართველო დიდ-ხანს არ ყოფილა თავისუფალი. სპარსეთის მეფემ ბაამანმა (არდაშირ) დაიმორჩილა საქართველო და ხარჯი დაადო.

———

ალექსანდრე მაკედონელი. – იაზონი. – ფარნაოზის ყმაწვილობა. – იაზონის დამარცხება და მოკვლა. – ალექსანდრე მაკედონელის სურვილი.

საბერძნეთის ქვეყანაში, სახელდობრ მაკედონიაში, დაიბადა ალექსანდრე, შვილი ფილიპესი. ალექსანდრემ დაიმორჩილა ყველა ქვეყნები. ჩრდილოეთის მხრიდგან (მეოთხე საუკუნეში) შემოესია საქართველოსაც და ესეც დაიმორჩილა. აქ მაშინ სცხოვრობდა გ ა რ ყ ვ ნ ი ლ ი, უ ზ ნ ე ო ხალხი, მაგრამ მეომარი და მქონე მაგარის ციხეების და ქალაქებისა. ყველა ეს ქალაქები აიღო, დააყენა მათში თავის ჯარები; ჯარების უფროსად დასვა იაზონი პატრიკი და უბრძანა, რომ გაევრცელებინა ხალხში მზის, მთვარის და ხუთი უძრავი ვარსკვლავის თაყვანის-ცემა და თითონ წავიდა მაკედონიაში.

ალექსანდრეს სიკვდილის (332 წ.) შემდეგ იაზონმა დაანგრია მცხეთის და სხვა ქალაქების კედლები, დაიმორჩილა სამეგრელო, ოსეთი, დაღისტანი და სკითები. დაიწყო ხოცვა მოთავე ქართველებისა და ხალხიც ძალიან შეავიწროვა.

ამ დროს მცხეთაში სცხოვრებდა ერთი ახალ-გაზდა კაცი ფარნაოზი. ეს იყო ნათესავი უკანასკნელის მცხეთის მამასახლისისა – სამარისა, რომელიც მოჰკლა ა. მაკედონელმა, და შვილი ერთი სპარსელის ქალისა. მამა რომ მოუკლეს ფარნაოზს, მაშინ სამის წლისა იყო. დედამ შვილი წაიყვანა და კავკასიის მთებში დამალა. როდესაც გავაჟკაცდა ფარნაოზი, დაბრუნდა მცხეთაში. დედა ურჩევდა მას, რომ გაფრთხილებოდა იაზონს და გადასახლებულ-იყო სპარსეთში. მაგრამ ფარნაოზი არ დათანხმდა. იმას ძალიან უყვარდა საქართველო და განიზრახა საქართველოს განთავისუფლება მტრებისგან. სთხოვა შგელა სა-

მეგრელოს მმართველს ქუჯის, ოსებს, ლეკებს, ანტიოქიის მეფეს და სომხეთის მმართველს. ყველამ უშველეს. იაზონი გაიქცა კლარჯეთში (ბათუმის მაზრაში). მაგრამ ერთ შეტაკებაში (ქ. არდანუჯთან) მოჰკლეს იგი და მთელი საქართველო დაემორჩილა ფარნაოზს.

ა. მაკედონელმა გამართა ვაჭრობა საქართველოსთან და შორეულ ქვეყნებთან (ინდოსტანთან). სავაჭრო ნივთები მოჰქონდათ შავი ზღვით რიონამდის, მერე ამ წყლით შორაპნამდის, აქედგან ურმებით გადმოჰქონდათ სურამამდის და მერე კიდევ წყლით, ესე იგი მტკვრით, ჩაჰქონდათ კასპიის ზღვამდე და იქიდგან ზღვით დ დიდი მდინარეებით გადაჰონდათ ინდოსტანამდის. ამ ნაირადვე მოგზაურობდნენ ინდოსტანიდგან საბერძნეთამდე.

II.

ისტორიული ნაწილი.

სამეფოს დაარსება.

ერთი სამეფოს დაარსებისათვის ჩვენი ხალხი გამოზარ-

დეს იმ უბედურებებმა, რომელნიც მათ ხშირ ხვედრათა ჰქონ-
დათ რამდენიმე საუკუნის განმაგლობაში; აგრეთვე ერთათ
ბრძოლამ, ვაჭრობამ, მისვლა-მოსვლამ, ერთნაირმა სჯულმა,
და კიდევ ხალხის გამრავლებამ, რის გამო განცალკევებული
ხალხი ერთმანეთს დაუახლოვდა. აი რისთვის, იაზონის მო-
კვლის შემდეგ ა რ ტ ა ნ უ ჯ შ ი, ყველა ქართველებმა დასვეს
თავის მეფედ ფარნაოზი და დაემორჩილნენ მას მესამე საუკუ-
ნეში ქრისტეს მოსვლამდის. ფარნაოზის სამეფოს ჰსაზღვრი-

დნენ: ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთა, დასავლეთის მხრით
შავი ზღვა, ვიდრე ბათუმამდე დ აქედგან მდ. ჭოროხი, სამ-
ხრეთის მხრით მდინარე არეზის სათაურები და დებედა-ჩაი
მტკვრამდის, აქედგან ალაზნის შესართავამდე და ეგრი-ჩაის ს გა-
გაყოლება კავკასიის მთებამდე.

ფარნაოზმა მთელი სამეფო გაჰყო რვა ნაწილად ანუ
საერისთაოდ. ერისთავები ყველაფერში ჰშველოდნენ მეფეს,
მაგრამ თავის საერისთავოს მეფის დაუკითხავად განაგებდნენ.

ამ დროს გაჩნდა ოთხი წოდება: თავადთა, აზნაურთა,
მოქალაქეთა და გლეხთა. ამაგე მეფემ მოიწვია სპარსეთიდგან
მოგვები, რომელთაც უნდა განეწმინდათ ზოროასტრის სჯუ-
ლი. საზოგადოდ ეს სჯული ჰგმობდა ქურდობას, ჭუჭყიანო-
ბას, სხვა-და-სხვა ბოროტ მოქმედებას, ტყუვილს, ყველას
აძლევდა კუთვნილებას, აქეზებდა მიწის ხვნას, სიკეთეს, აგრე-
თვე თხოულობდა ყმაწვილების აღზრდას. მაგრამ ამავე
სჯულში იყო ბევრი ცუდი და მავნე მოთხოვნილებანიც: მისი
მიხედვით მკვდარი არ იმარხებოდა, ნათესავებს ნება ჰქონ-
დათ შეუღლებულიყვნენ ერთმანეთთან და სხვ.

ფარნაოზ მეფემ უფრო დიდი სიკეთე უყი ქართველებს
იმით, რომ შეადგინა ქართული მხედრული ანბანი (ალფავი-
ტი). ეს ანბანი ისეთი სრულია და გონიერად შედგენილი, რომ
თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს ამ გვარი თავის ენაზე.

ამავე ფარნაოზს აწერენ მეფობის წესის დადგენას,
ბევრი დანგრეული ქალაქების მოშენებას და გაახლებას და
აგრეთვე შორაპნის აშენებას.

გეოგრაფიული აღწერა პირველ-დროინდელი საქარ-თველოსი.

სამზღვრები. – შენობები. – ხეობანი. – მცენარენი, სიმდიდრე და ქალაქები.

მთელი მაშინდელი საქართველო ისამზღვრებოდა კავკა-
სიის ქედით, შავი ზღვით, ჭოროხის და არეზის სათაურე-
ბზე მდებარე მთებით, დებედა-ჩაით, აქედგან კიდევ აღმოსავლე-
თიდგან ჩამომავალი ალაზანის ტოტით ეგრიჩაით, ვიდრე კავკა-

სიის ქედამდე; ესე იგი მთელი საქართველო მომწყვდეული იყო 40^0 47’ და 43^0 15’ ჩრდილოეთის სიგანისა და 59^0 15’ და 64^0 58’ აღმოსავლეთის სიგრძისა.

მთელი ეს ქვეყანა ბუნებითვე იყოფებოდა ოთხ დიდ ხეობად: პირველი ყველაზედ უდიდესი არის მტკვრის ხეო.ბა, მეორე – რიონის, მესამე – ენგურისა, მეოთხე – ჭოროხისა. მაგრამ ყველა ეს ხეობები იყოფებიან მრავალ პატარ-პატარა ხეობებად; საზოგადოდ ამ ქვეყნის ზედა პირი არის აწეულ-დაწეული, მთებით დასერილი; აკვირვებენ კაცს საქართველოს მრავალ-ფეროვანი მცენარეულობა, მრავალ-გვარი ცხოველები, მიწის სიმდიდრე, წყლის სიუხვე.

მთელი კავკასიის მთა ძირიდგან მოკიდებეული $2^1/_2$ ვერსის სიმაღლემდე მოცულია დიდის ტყეებით; მის წვერებზე კი მუდმივი თოვლი სძევს. საქართველოს სამხრეთის მხრით, კავკასიის მიდევნებით, გაწოლილა სხვა მთა, რომელსაც მცირე კავკასიის მთა ჰქვიან. დიდი და მცირე კავკასიის მთები შეერთებულნი არიან ჩრდილოეთიდგან სამხრეთისკენ გაწოლილ ლიხის მთებით. გარდა ამისა, საქართველოში არიან კიდევ სხვა მთებიც, სხვათა შორის მთა ცივ-გომბორისა მდ. ალაზნის

და იორის შუ, ფასი-მთა ენგურის მარცხენა მხარეს, სამხრეთის სამზღვარი სვანეთისა. ყველა ამ მთებიდგან გამოდიან მრავალი რუვები, მდინარეები, რომელნიც უხვად რწყავენ მთელს საქართველოს.

შესანიშნავი მდინარეები:

მტკვარი (გურა, კიროს). – დასაწყისი აქვს სოღანლუღის მთებში, მოდის ჩრდილოეთისკენ მომწყვდეულ მთებს შუა, მერე წელს იხრის აღმოსავლეთისკენ და ასრე მოდის ვიდრე თფილისამდე, აქედგან ბრუნდება აღმოსავლეთ-სამხრეთისკეს და კასპიის ზღვას ერთვის. მტკვრის ტოტები: ფოცხოვი, ლიახვი, ქსანი, არაგვი, ალაზანი თავის ტოტი იორით. – ეს წყლები გამოდიან დიდი კავკასიიდგან; ალგეთი, ხრამი თავის ტოტით დებედათი გამოდიან მცირე კავკასიიდგან.

რიონი (ფაზისი), რომლის დასაწყისი არის კავკასიის მთაში, სონგუთა-ხოხის ძირში. აქედგან ჩარბის სამხრეთისკენ, შუა წელში ბრუნდბა დასავლეთისკენ და შავ ზღვას ერთვის. ამის ტოტები: ყვირილა, ცხენისწყალი (გიპპოს), ტეხური.

ენგური ანუ ინგური, რომელიც გამოდის იქიდგანვე, საიდგანაც რიონი და ცხენის-წყალი.

ჭოროხი, – გამოდის მცირე კავკასიიდგან, ჩრდილოეთისკენ მოდის და შავ ზღვას ერთვის.

ყველა ამ მდინარეების ნაპირებზე იყო დაშენებული ხალხი, რომელსაც მოეშენებინა მრავალი პირუტყვი, გაეკეთებინა ბაღები და ხვნა-თესვისთვის მოეკიდა ხელი. უწინდელ დრო-

იდგანვე ეს ქვეყანა ცნობილი იყო ბუნების სიმდიდრით. ღვინის კეთება ძველადგანვე იყო გავრცელებული რიონის ნა-

პირებზე. ლიმონის და ფორთოხალის ტყეები ამშვენებდნენ კოლხიდის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. მთელი საქერთლელო საზოგადოდ და კოლხიდა განსაკუთრებით დაფარულია ჩრდილოეთის სუსხისაგან კავკასიის ქედით. ამიტომ ამ ქვეყანაში დიდი სიცივეები არ არის ხოლმე, კოლხიდაში კი თითქმის ზამთარი არ იცის.

მიმოსვლა ამ ხალხებში ჰხდებოდა მცირე – გაუკეთებელი გზებით; მაგრამ შესანიშნავი გზაც იყო: მტკვრით ვიდრე სურამამდე, იქიდგან ლიხის ქედზედ გადამავალი ყვირილამდე, მერე ყვირილადგან რიონით ზღვამდე, ჩრდილოეთ კავკასიაშიც ჰქონდათ აგრეთვე ორი გადამავალი გზა: დარიელის ხეობიდგან და დერბენდის ყელიდგან. დერბენდიდგან მოკიდებული კავკასიის აქეთა მხრით მთის ძირში 360 ვერის სიგძეზე კედელი იყო აშენებული, სკითების და მრავალი მთიული ხალხების მოსაგერებლად. ამ კედლის ბოლო ეხლაც სჩანს დერბენდში და აგრეთვე გაღმა მხრის სოფლებში: მუხაში, კატეხში, მაწეხში და სხვ.

დარიელიდგან ჩამოდიოდნენ ოსები ინდოსტანიდგან მოტანილ და შინ გაკეთებული ნივთების საყიდლად, ჰყიდულობდენ და მიჰქონდათ თავის ქვეყანაში.

ვაჭრობამ და აღებ-მიცემამ დაჰბადა მოთხოვნილება ქალაქების აშენებისა. ქალქებში და ციხეებში ადვილად შეიძლებოდა გამაგრებულიყვნენ და დაეცვათ თავისი საქონელი.

მაშინდელი შესანიშნავი ქალაქები:

ქართლი, აშვნებული ქართლოსისაგან, მდებარებს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, არაგვის შესართავთან. ფარნაოზის დროს ამ

ქალაქს ერქვა არმაზის ციხე, რადგან ფარნაოზმა აქ ააშენა სალოცავი ღმერთის ორმუზდისათვის.

ორბისი (სამშვილდე), ესეც ააშენა ქართლოსმა ხრამის მარცხენა ნაპირზე.

მტკვარის-ციხე ანუ კუნანი, აშენებულია ქართლოსისაგან იქ, სადაც დებედა წყალი ერთვის მტკვარს.

დედა-ციხე და ბოსტან-ქალაქი (რუსთავი), – ესენი იყვნენ

აშენებულნი ქართლოსის ცოლისაგან. **დედა-ციხე** იყო მო-
შენებული თეძამზე (ქართლში).

გაჩიანი, აშენებულია ქართლოსის შვილისაგან ხრამის
ნაპირზე, მაშავერის შესართავთან. ამ ქალაქის ნანგრევები
ეხლაც მოჩანან.

ჩელთი ანუ ბერ ეხლა დიდი სოფელია კახეთში მდ.
ჩელთაზე და ჰქვიან შილდა.

მცხეთა, რომელიც ააშენა მცხეთოსმა მტკვრის მარც-
ხენა ნაპირზე არაგვის შსართავთან. მცხეთა თავის დაარსებიდ-
გან დაწყებული, ვიდრე მეხუთე საუკუნემდე ქრისტეს დაბა-
დების აქეთ, იყო საქართველოს დედა ქალაქად. ამ ქალაქში
იყვნენ დიდი შენობები და მრავალი ხალხი სცხოვრობდა.
მასში არის უწინდელი ძველი და დიდი ეკლესიები. ეხლა მცხეთა
სოფელია.

მცხეთოსის შემდეგ მისმა შვილებმა ააშენეს აგრეთვე შე-
მდეგი ქალაქები: ოძრხე, თუხარისი, წუნდა, არტანისი (ქაჯთ-
ქალაქი), უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი. ზოგი ამათგანი ეხლა
დანგრეულია და ნაშთების მეტი აღარა მოჩანს-რა, ზოგი – დიდი
სოფლებია; არტანისი ეხლაც ქალაქია, რომელსაც ჰქვიან
არდაგანი.

მტკვრის ხეობაში იყო კიდევ ქალაქი სურამი (სურიუმ),
აშენებული მამასახლისების დროს. აქ ეხლა დაბაა. ეს იყო
ინდოსტანიდგან მოტანილი საქონლის საწყობი და შესანა-
ხავი ადგილი.

ქალაქები **ეა** და **ქუთაისი**, პირველი ტეხურზე, მეორე რი-
ონზე. ეს ქალაქები იცოდნენ ბერძნებმა. ძველადგანვე ტროა-
ადის ომის შემდეგ მილეტელებმა (ბერძნებმა) რიონის ზღვა-
სთან შესართავთან ააშენეს ქალაქი ფაზისი (ფოთი). ქუთაის-
ში სცხოვრებდნენ ძველადგანვე კოლხიდის მმართველები.

III

საქართველო ფარნაოზის სიკვდილის შემდეგ რომა-
ელების შემოსევამდე.

მეფე საურმაგი. – ქართლის ერისთავის სურვილი. – სომხების
შემოსევა. – მირვან მეფე. – განცალკევება სამეგრელოსი. – ვე-
ლურების (ბალკარების) შემოსევა. – ფარნაჯომი. – არშაკი. – მი-
ტრიდატის შემოსევა.

ფარნაოზის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი შვილი
საურმაგი (237 წ.). ქართლის ერისთავს არ სურდა მისი მო-

რჩილება, ამიტომ ააღელვა ხალხი. საურმაგი გაიქცა მთიულ ხალხებში, მაგრამ ქართლის ერისთავს არ გაუვიდა ცბიერება: საურმაგს მოეშველნენ ნათესავები (სხვათა-შორის სამეგრელოს მმართველი ქუჯი), დაამარცხეს ქართლის ერისთავი და საურმაგი კიდეგ გაამეფეს.

ამ მეფის სიკვდილის შემდეგ გამეფდა (162 წ.) სიძე მისი მირვანი (შვილი ასირიელთა მეფისა). ეს ძალიან ეწყინა სამეგრელოს მმართველს, რომელიც იყო ნათესავი საურმაგისა. მოინდომა თვითონ გამეფება. ასტყდა ომი. მირვანმა მოიწვია სომხის მეფე ვაგარშაკი. შეესივნენ სამეგრელოს, დაამარცხეს აჯანყებული დ განდევნეს სამეგრელოდგან. ბევრის მომდომმა მცირეც დაჰკარგა. მაგრაძ ვაგარშაკმა არ დაუთმო მეფე მირიანს შავი ზღვის ნაპირები და აღმოსავლეთი საქართველოს გაღმა მხარი (საინგილო), რომელსაც მაშინ ალბანია ერქვა; აქ დასვა მმართველად თავისი მეგობარი არანი.

ის-ის იყო დააწყნარა საქართველო მირვანმა, რომ დარიელის ყელიდგან შემოესია საქართველოს ველური ხალხი – ბალკარები, რომელთაც განვლეს მთელი საქართველო და დაესახლნენ სომხეთში.

მირვანის სიძის – ფარნაჯომის მეფობაში (112 წლიდგან 93 წლამდე) ქართველები აჯანყდნენ. მიზეზი ის იყო, რომ ამ მეფემ მოინდომა შეცვლა მათი სჯულისა. ხალხი აღელდა დ მოიწვია მეფეთ არშაკი – მირვანის მეორე სიძე. ფარნაჯომი გაიქცა პონტში (შავი ზღვის პირას); ათი წლის განმავლობაში ის აჯანყებდა ხალხს, სცდილობდა მეფობა დაებრუნებინა, მაგრამ ვერას გახდა; ბოლოს ერთ შეტაკებაში მოჰკლეს. არშაკს დარჩა მეფობა (93 წ.)

ამავე დროს სამეგრელოს ხალხი აღუდგა თავის მმართველებს, რომელნიც დასვა იქ სომხის მეფემ ვაგარშაკმა. არშაკმა განდევნა ისინი და ხალხი დაამშვიდა.

98 წ. ქ. დაბადების წინ აჯანყდა კოლხიდა; პონტოს მმართველი მიტრიდატი შემოესია ამ ქგვყანას, დაიმორჩილა

და დასვა აქ თავის მმართველები; 84 წ. ქ. დ. ამავე ადგილებში მოხდა კიდევ ხალხის არეულობა. ხალხმა განდევნა მმართველები დ სთხოვა მიტრიდატს დავსვა მათ მეფედ შვილი თვისი მახარა. მაგრამ მიტრიდატმა მოაკვლევინა მახარა და დასავლეთ სქართველოში მმართველად დასვა ერთი გულითადი მონა თვისი და გაამაგრა დიდ-ძალი ჯარით.

საურმაგმა, მირვანმა, ფარნაჯომმა და არშაკმა მოახდინეს თავის მეფობის დროს სხვა-და-სხვა ცვლილება ხალხის ცხოვრებაში. საურმაგმა დასდგა გერბები: ანიანი და დანიანი ხალხის თაყვანის საცემლად. ფარნაჯომმა ააშენა კახეთში ჩელტის

ახლო ქალაქი ნეკრესი, რომლის ნანგრეგები ეხლაც მოჩანს. ამანვე მცხეთის პირ-და-პირ აღმოსავლეთის მხარეს, არაგვის შესართავს ზემოთ, ააშენა სალოცავები, სამსხვერპლო და კერპი „ზ ა დ ე ნ ი“. მირვან მეფემ დასდგა კარები დარიალის ყელში, – ეს კარები იცაგდა საქართველოს ჩრდილოეთის ველურ ხალხების შემოსევისაგან. თუმცა ეს მეფეები ამ ნაირად მოღვაწეობდნენ თავის ხალხისათვის, მაგრამ ხალხი მაინც ღარიბდებოდა. უმთავრესი მიზეზი ამისი იყო მიტოვება რიონ-მტკვრის ვაჭრობისა. ამ წყლის გზის გაუქმებაზე დიდი გავლენა ჰქონდა იმას, რომ ალ. მაკედონელმა ეგვიპტეში ააშენა ქალაქი ალექსანდრია და იპოვა ახლო და ადვილი გზა ინდოსტანში სავლელად, – ეს იყო გზა სუეცის სარტყელზე გადამალი წითელ ზღვაში და იქიდგან ინდოსტანის ოკეანეთი ინდოსტანში. მთელი ვაჭრობა ბერძნებისა საქართველოდგან გადავიდა ალექსანდრიაში. მაგრამ, უნდა ვსთქვათ რომ ალექსანდრიას აშენების შემდეგაც დიდ სარგებლობას აძლევდა საქართველოს რიონ-მტკვრის სავაჭრო არხი. რომის მეისტორიე პლინი ამბობს, რომ ყოველ წელიწადს რომიდგან შორაპანში ასი მილიონი სესტერცი იგზავნებოდა სავაჭრო ნივთების საყიდველათაო.

IV.

რომაელების ომიანობის დრო საქართველოში.

არტაგი, არშაკის შვილი. – მიტრიდატის გაძლიერება. – არტაგის მიტრიდატთან და ტიგრანთან (სომხის მეფე) შეერთება. – საქართველოს ჯარის რიცხვი, მათი მოწყობილობა. – სომხეთის და მიტრიდატის დამარცხება. – რომაელები საქართველოში. – ზავი ქართველთა და რომაელთა შორის. – ლუკულლის დაბრუნება. – მნიშვნელობა საქართველოს ხალხოსნობისა ისტორიაში.

არშაკი I გარდაიცვალა 81 წ. ქ. დაბადებამდე. ამავე წელს გამეფდა ამისი შვილი არტაგი. ამ დროებში დასუსტებული იყო სპარსეთის სამეფო. ამით სარგებლობდა სომხეთის მეფე არტაშესი, რომელიც სცდილობდა დაეპყრა აზია. ამან ზავი შეჰკრა მიტრიდატთან თავის წადილის აღსასრულებლად და მართლაც თითქმის მთელი აზია დაიპყრო. მაგრამ ერთმა მის ჯარის კაცმა მოჰკლა იგი. გამეფდა სომხეთში მისი შვილი ტიგრანი. რომიდგან გამოგზავნეს დიდ-ძალი ჯარი სილლას წინამძღოლობით; მაგრამ მიტრიდატმა, მინამ მოვიდოდა ეს ჯარი, დაიპყრო მცირე აზია, მერე ეგიოსის ზღვა, ათინა, თრაკია და დაჰხოცა 80,000 რომაელნი. სამი წლის განმავლობაში ბრძოლის შემდეგ სილლამ გაანთავისუფლა საბერძნეთი დ განდევნა მიტრიდატი, მაგრამ მიტრიდატი კიდევ იმედს არ ჰკარგავდა, მის დამარცხება უნდოდა დ ამისათვის ბეჯითად ემზადებოდა. რომაელებმა გამოგზავნეს ლუკულლი 73 წ. ქ. დ-დე დიდ-ძალი ჯარით. ლუკულლმა ჯერ სომხეთი გააოხრა,

მერე მოვიდა იქიდგან კოლხიდაში, სადაც იმალებოდა მიტრიდატი და რაც დახვდა დასავლეთს საქართველოში ყველა გააოხრა.

არტაგი ამ დრომდის არ იღებდა მონაწილეობას ამ ომში. ლუკულლის კოლხიდაში შემოსვლამ შეაშინა ესეც. არტაგი შეეზავა მიტრიდატს და ტიგრანს წინააღმდეგ საზოგადო მტრისა. მოიწვიეს აგრეთვე დასახმარებლად მეფე ალბანიისა ორეზი.

მეისტორიეს პლუტარხის სიტყვით ქართველებს ჰყვანდათ მაშინ 40,000 ჯარის კაცი; აპპიანის ჩვენებით კი 70,000 ლაცი. ქართველთა ჯარები ყოველთვის ცნობილნი იყვნენ სიმარდით, გულადობით და კარგი მოწყობილებით. ამ დროს ქართველთა ჯარს ეცვა წითელი ჯუბა და განყოფილი იყო ცხენოსან ჯარად და ქვეითად; გარდა ამისა ქართველებს შინაურობა გამაგრებული ჰქონდათ ციხეებით დ სხვაფრივ.

ლუკულლი კოლხიდიდგან რომში გაიწვიეს. მიტრიდატი კი დაიმედებული ახალ მოზავეებით კიდევ გახდა მოუსვენარი მტერი რომაელებისა. 67. წ. ქ. დ-მდე მიტრიდატმა ზელესთან დაამარცხა რომაელების ჯარი. – რომაელებმა გამოგზავნეს კიდევ სხვა ჯარები პომპეის წინამძღოლობით. 66 წ. ქ. დ-მდე პომპეიმ საშინლად დაამარცხა მიტრიდატი, რომელიც სამეგრელოდგან გაიქცა ჩრდილოეთ კავკასიაში. ლუკულლმა პონტის მეფედ დასვა შვილი მიტრიდატისა ფარნაკი, თვითონ კი გამოედევნა ტიგრანს და დაიპყრო სომსეთი. აქედგან წამოვიდა ჩრდილოეთისკენ, დაიპყრო ალბანია, შეურიგდა ორეზს და მძევლად გამოართვა მას შვილები. აქედგან გასწია საქართველოს შეა გულში. რამდენიმე ომის შემდეგ არტაგსაც შეურიგდა. აქედგან წავიდა სამხრეთ საქართველოში, დაიპყრო აქაურობაც. სამეგრელოს მმართველი ოლტაგი, მიტრიდატის და-

ყენებული, ტყვეთ წაიყვანა; მის ადგილას დასვა არისტარხი, თავის მეგობარი. სამეგრელოდგან გაილაშქრა აფხაზეთში. მაგრამ აქედგან დაბრუნდა აჯანყებულ ალბანიელთა დასამშვიდებლად. დაამშვიდა ესენი; მერე ლეკები დაიპყრო, დაბრუნდა სომხეთში, აქედგან სირიაში წავიდა.

საქართველოს ხალხისა ყოველთვის ეშინოდათ რომაელებს, ბერძნებს, სპარსელებს, ამიტომ რომ ამათზედ იყო დამოკიდებული მათი მიჯნების სიმშვიდე. თვით ჩვენი ხალხები იცავდნენ მათ მიწებს ჩრდილოეთის ველურების შემოსევისაგან. გარდა ამისა მაგარი ადგილ-მდებარეობა საქართველოსი, ქართველების სიმამაცე ომში, რომაელებს, ბერძნებს, სპარსელებს არწმუნებდნენ, რომ ან მეგობრული განწყობილება უნდა ჰქონოდათ ქართველებთან და ან დაეპყროთ საქართველო. ეს ორი რამ იყო ურიცხვთ მტერთათვის მიზეზად განუწყვეტელი ომებისა და ბრძოლისა ქართველებთან.

ბარტომი, – ომი მირვანთან. – მირვანი II. – არშაკი. – დასავლეთი საქართველოისა ამ დროს.

არტაგის სიკვდილის შემდეგ (65 წ. ქ. დ. წინ.) გამეფდა ბარტომი იმავე წელში. ამ მეფემ მთელი თვისი სიცოცხლე შესწირა საქართველოს კეთილ-დღეობას და განწყობილებას. განაახლა ქალაქები, ციხეები, გაამაგრა მცხეთა; მაგრამ ბოლოს მშვიდობიანობა დაარღვია მირვანმა (ფარნაჯომის შვილმა), რომელმაც 33 წ. დაამარცხა ბარტომი, მოჰკლა და თვითონ გამეფდა.

– 18 –

მირვან II-ის ათი წლის მეფობის განმავალობაშა არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა. ეს მოკვდა 23 წ. ქ. დ-მდე. ამ წელში გამეფდა მისი შვილი არბაკი. ამ მეფემაც ბარტომივით მთელი დრო გაატარა საქართველოს შენებაში და მისი ქალაქების გამშვენიერებაში. გაჩნდა საქართველოში მდიდარი ქალაქები, მშვენიერის შენობებით. სახლებს აშენებდნენ აგურით, თლილი ქვით, კირით და ჰხურამდნეს კრამიტით. *)

3 წ. წინ ქ. დ-მდე მოვიდა საქართველოში დიდ-ძალი ჟარით ბარტომის ნათესავი ფარსმანი, გამოითხოვა არშაკი საბრძოლველად, მოჰკლა და თვითონ გამეფდა.

ამ არეულობის დროს დასავლეთით საქართველო უფრო უარეს მდგომარეობაში იყო. 48 წ. მიტრდატის შგვილი ფარნაკი შემოვიდა კოლხიდაში, განაძევა არისტარხი და კოლხიდა შეუერთა თავის სამეფოს; ამის შემდეგ მიტრიდატი, შვილი მიტრიდატ დიდისა, გახდა მმართველად; მერე ასსანდრი; 14 წ. ქ. დ-მდე პონტის სამეფო და კოლხიდა დაიპყრო პოლემონმა, ზენონ ლაოდიკიელის შვილმა.

---

*) ზოგი ერთნი, რომელთაც მოუხდათ ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა, გვარწმუნებენ, რომ საქართველოში ამ დროს მოიპოვებოდა კარგი გზებიო, საცა მანძილიდამ მანძილამდე მგზავრთათვის გამართული იყო სასტუმროებიო და საზოგადოდ ხალხი კეთილ-განწყობილებაში იყოვო (უსლარი).

– 19 –

V.

ფარსმანის ანუ ადერკის მეფობა (3 წ. ქ. დ-მდე, ვიდრე 60 წ-მდე ქ. აქეთ.)

შემოერთება დასავლეთ საქართველოსი. – ფარსმანის ძმა მიტრიდატი. – რადამისტი. – მისი მოკვლა. – ანდრია პირველ-წოდე-

ბული და სიმონ კანანიტელი საქართველოში. – საქართველო ფარსმანის დროს. – 60 წ. საქართველო ორად იყოფება.

გამეფების შემდეგ ფარსმანმა დაიპერო სამეგრელო და კლარჯეთი. 3 წ. ქ. დ. წინ რომის იმპერატორმა ტიბერიმ პართიის მეფედ დასვა ტირიდატი და სთხოვა ფარსმანს, რომ შემწეობა მიეცა მისთვის; თავის მხრით დაჰპირდა, რომ მის ძმას მიტრიდატს მისცემს სომხეთის სამეფოს. ფარსმანმა შეასრულა ეს თხოვნა იმპერატორისა, მოჰკლა სომხების მეფე არშაკი და თავს ზარი დასცა სომხეთს. პართიის მეფე არტაშანი განრისხდა, შეაგროვა დიდ-ძალი ჯარი და თავის შვილის ოროდის წინამძღომლობით გამოგზავნა ფარსმანზე. მაგრამ ოროდი, მძიმედ დაჭრილი ფარსმანისგან, მოკვდა და მთელი მისი ჯარი დამარცხდა. თვით არტაშანიც იძლია რომაელებისაგან. ამ ნაირად პართიის სამეფო ერგო ტირიდატს და სომხეთი მიტრიდატს, რომლებიც იყვნენ ფარსმანის მფარველობის ქვეშ.

მაგრამ მალე ტიბერი მოკვდა და გამეფდა კაიკალიგულა. ამ დროს არტაშანმა კიდევ დაიბრუნა პართიის სამეფო და მიტრიდატი, არტაშანის თხოვნით, გალიაში ჩასმული რომში წაიყვანეს. მაგრამ ფარსმანის სიმძლავრემ იმდენად იმოქმედა

იმპერატორს კლავდიზე, რომ ფარსმანის თხოვნით აპატია მიტრიდატს და დაუბრუნა მას სომხეთის ტახტი.

საუბედურად მალე ამათ შორის ჩამოვარდა უკმაყოფილება და ფარსმანმა განიზრახა მის მოკვლა; ამ დროს ფარსმა–ნის შვილი რადამისტი სცდილობდა აეშალა ხალხი, რომ გამეფებულიყო მამის ადგილას. ფარსმანმა რომ შვილის გული მოეგო, მისცა ჯარი და გაგზავნა მიტრიდატზე იმ პირობით, რომ სომხეთის სამეფო დაუპყრო და გამეფებულიყო. რადამისტმა მოტყუვილებით და ცბიერებით მოკლა მიტრიდატი, დახოცა მისი ცოლ-შვილი და თვითონ გამეფდა სომხეთში. მაგრამ მალე პართიის მეფის ვალოგეზისაგან განდევნილ იქმნა და, რომის იპერატორის ნერონის თხოვნით, ფარსმანისაგან მოკლულ. 58 წ. ქ. დ. აქეთ სომხეთში გამეფდა ტირიდატი. ფარსმანს ნერონმა აჩუქა სომხეთის ერთი ნაწილი ერთგულებისათვის.

40 წ. ქ. დ-ბის შემდეგ ანდრია მოციქული და სიმონ კანანიტელი მარიამ დედისაგან გამოგზავნილ იქმნენ საქართველოში, რომელიც ღვთის-მშობელს წილად ხვდა გასაქრისტიანებლად და გასანათლებლად; ეს მოციქულები ტრაპიზონიდგან მოვიდნენ აჭარაში და ხალხი გააქრისტიანეს. აქედგან წავიდნენ მესხეთში, ტაოს-კარში, სამეგრელოში, აფხაზეთში და ყველგან შეასრულეს თავისი ვალი. ხალხი ინათლებოდა, ანგრევდა უწინდელ სალოცავებს, ამხობდა კერპებს. ეს არ მოეწონა ფარსმანს და დევნა დაუწყო მოციქულებს. ამიტომ ანდრია წავიდა ბოსფორში (ყირიმში), სიმონი კი მოჰკლეს ნიკოპსში.

ასეთ ნაირად დევნიდნენ ქრისტიანებს, რომ მალე კიდევ ყველამ დაივიწყა ეს სჯული.

ფარსმანი თავის დიდი ხნის მეფობის განმავლობაში

უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა შინაურს საქმეებს და ხალხის კეთილ-დღეობას. იმის დროს მცხეთა გაიზარდა, აშენდა. ფარსმანი მოკვდა 60 წ. ქ. დ. აქეთ. მისი სიკვდილის წინ მთელი საქართველო ორად გაიყო. მტკვრის მარჯვენა მხარე ფარსმანმა ერთს თავის შვილს მისცა, მარცხენა მეორეს.

VI.

ორ-გამგეობა საქართველოში.

(60 წლიდგან 129 წლამდე)

ბარტომი და კარტამი. – ფარსმან I შვილები. – ფარსმან II. – აზორკი და არმაზელი. – ფარსმან III. – ომები სომხეთთან. – უთანხმოება ფარსმან III და მირდატისა. – სიკვდილი ორივესი.

ორ-გამგეობა მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოს ჰმართაგდნენ ერთ-და-იგივე დროს ორი მეფე. ერთი ამათგანი სცხოვრებდა მცხეთაში დ ჰმართავდა ყველა ადგილებს მტკვრის მარცხენა მხრისას. მეორე იჯდა არმაზში და ჰმართავდა მტკვრის მარჯვენა მხარეს. რომელიმე ამათგან რომ მოკვდებოდა, მაშინ მის ადგილას შვილი გამეფდებოდა. საზოგადო საქმეების განსახილველად დ განკარგულების მოსახდენად ორივე ერთათ უნდა შეყრილიყვნენ; ომიანობის დროს ერთი სამხედრო საქმეს განაგებდა, მეორე შინაგანს. ვარტამი მოკვდა 60 წ., ესე იგი სამი წლის მეფობის შემდეგ. ამის მაგიერ ამავე წელს გამეფდა შვილი მისი, ფარსმანი II. ბარტომი მოკვდა 72 წ. და ამათ მოადგილე გახდა კაოსი, შვილი ბარტომისა. ესენი დაიხოცნენ 87 წ. და ამათ ადგილას გამეფდნენ აზორკი და არმაზელი; ამ ორის სიკვდილის დრო

ცნობილი არ არის. 103 – 113 წ. აზორკის და არმაზელის შემდეგ მეფობდნენ ადერკი და ამზასპი. 113 – 129 მეფობდნენ ფარსმან III დ მარდატი I.

ამ დროს მოხდა ომი სომხეთთან. განდევნილი სომხეზის მეფე არტაშენი დიდ-ძალი სპარსეთის ჯარით მოადგა სემბათის წინამძღოლობით სომხეთის მეფეს ერვანდს. ამას მიეშველა ფარსმან II. სემბათმა სძლია ერვანდი, მოჰკლა და გამეფდა არტაშენი. 87 წ. სემბათი გაემგზავრა ფარსმანის ჯავრის ამოსაყრელად. მოტყუებით აიღო ციხეები არტანისი და წუნდა. ამ დროს გარდაიცვალა კაოსი. ფარსმანმა მოი-

წვია არმაზელი და აზორკი, გადასცა მათ მეფობა და მოკვდა.

ახალ მეფეებმა მოიწვიეს ოსები და მთიული ხალხები და 88 წ. შეესივნენ სომხეთს და მთლად მოსწვეს და ააოხრეს. მდიდარის განძეულით დაბრუნდნენ და დადგნენ იორის პირზედ. დაეწია მათ სემბათი. ასტყდა ბრძოლა და ქართველები დამარცხდნენ. სემბათმა განვლო მთელი საქართველო ქიზიყი--დგან მოკიდებული, ვიდრე მესხეთამდე და გააოხრა ქვეყანა; მერე დაბრუნდა შინ. ქართველები კიდევ გამაგრდნენ, ააშენეს დანგრეული ქალაქები, ციხეები და ბოლოს შეესივნენ სომხეთსა. სომხეთის მეფემ არტაშანმა დაახვედრა ჯარი თავის შვილის ზარენის წინამძღოლობით, რომელიც დაამარცხეს ქართველებმა, ტყვეთ წამოიყვანეს და დაამწყვდიეს დარიელში. ბოლოს შერიგდნენ ქართველები სომხებთან იმ პირობით, რომ პირველებმა დაუბრუნეს სომხებს ზარენი და მეორეებმა მესხეთის ციხეები. ფარსმანი III. *) და მირდატი სხვა-და-სხვა

*) ფარსმანი იყო კარგი მეგობარი იმპერატორის ადრიანისა და ამიტომ მის სიცოცხლეშივე კალისგან ჩამოსხმული მისი სურათი დასდგეს ბელონის ტაძარში მდ. ტიბრის ნაპირზე მეგობრობის დასამტკიცებლად.

ხასიათისანი იყვნენ. რამდენადაც პირველი ჭკვიანი და კეთილი იყო, იმდენად მეორე უჭკუო. მირდატმა მოინდომა ფარსმანის მოკვლა, მაგრამ გაუგეს და განაძევეს საქართველოდგან.

მირდატმა ორჯელ სცადა სპარსელების ჯარით შემოსევა საქართველოში, მაგრამ ქართველებმა ორივეჯერ რომაელების დახმარებით დაამარცხეს და განდევნეს. პირ-იქით ფარსმანი დიდის ჯარით შეესია სპარსეთს, მაგრამ მირდატისაგან მოწამლულ იქმნა. ქართველები დაბრუნდნენ, ამათ გამოედევნენ სპარსეთის ჯარები, რომლებმაც დაიპრეს საქართველო და მეფედ დასვეს მირდატი, მაგრამ მალე ფარსმან მესამეს შვილმა ადამმა შეაგროვა ჯარები, ლიახვზე დაამარცხა მტრები და მირდატი მოჰკლა. ეს მოხდა 129 წ-ში. გამეფდა ადამი. ამით გათავდა ორ-გამგეობა საქართველოში.

VII.

(129 წლიდგან 265 წლამდე)

მეფენი ამ დროისა. – მთიულების შემოსევა და ამზასპის გაძლიერება. – ამზასპს აღუდგნენ. – რევი. – გოტფების შემოსევა სამეგრელოში. – სიკვდილი ასფაგურისა.

ადამმა იმეფა სამ წელიწადს (129 – 132). ამის სიკვდილის შემდეგ მისი შვილის ფარსმანის მცირე წლოვანობის გამო 14 წელიწადს ჰმართავდა ქვეყანას ადამის დედა გადდანი. 146 წ. გამეფდა ფარსმან. IV. ამის შემდეგ ამზასპი II 184 წლიდგან 188 წლამდე. მერე სომხეთის მეფის შვილი რევი. რევის

შემდეგ ვაჩე 213 – 231 წლამდე, ამის შემდგეგ ბაკური; მე-
რე 246 წლიდგან მირდატი II, მირდატის შემდეგ 262 წ.
აღვიდა ტახტზედ ასფაგური.

ადამის და ფარსმან IV მეფობა იყო მშვიდობიანი; ამ-
ზასპ II მეფობის დროს დვალეთიდგან ქართლს ოსები შე-
მოესივნენ, აქედგან გასწიეს მცხეთისკენ და შემოერტყნენ მას.
ამზასპმა მაშინვე შეატყობინა ერისთავებს და სთხოვა მოშვე-
ლება. თვითონ კი გაამაგრა ქალაქი მცხეთა ერთი წილი ჯა-
რით და მეორეთი წინ დაუხვდა ოსებს საფურცლეზე. მოხდა
შეტაკება. საღამომდის შეაჩერა მან ოსების ჯარი. საღამოზე
დაბრუნდა მცხეთაში დ გამაგრდა შიგ. ამზასპს მცირე ჯა-
რი ჰყვანდა და ყველა ელოდა მცხეთის აღებას. გათენდა. ის
იყო ბრძოლას იწყობდნენ, რომ მცხეთას მოვიდა ერისთავე-
ბის ჯარი. ყველამ ერთად დაუწყეს ბრძოლა. ორი დღის
ბრძოლის განმავლობაში იოსები სრულიად დაამარცხეს და გან-
დევნეს.

მტრების დამარცხებამ ისე გაამხნევა ამზასპი, რომ მა-
შინვე იგი დიდის ჯარით წავიდა ჩრდილოეთ - კავკაზეთში
მტრების დასასჯელად: დაიმორჩილა ოსეთი, განვლო აფხაზე-
თამდე და დაიმორჩილა ყველა მთიულები.

როცა დაბრუნდა საქართველოში, თავის ჯარის კაცებს
მისცა ნება, როგორც სურდათ ისრე მოქცეულიყვნენ. ამათ
თითქმის გაატყავეს ხალხი, რომელიც მოთმინებიდგან გამო-
ვიდა და სთხოვა ერისთავებს ამზასპის განდევნა. სამეგრე-
ლოს, ოძისის, კლარჯეთის, წუნდის ერისთავებმა პირობა
შეჰკრეს დ სთხოვეს სომხეთის მეფეს ვაგარშაკს, რომ მას
ქართველ მეფედ დაესვა თავისი შვილი. ამზასპი მოჰკლეს და
რევი გამეფდა.

რევი იყო კარგის ხასიათის კაცი, სულ-გრძელი და
გრძნობიერი. ამან აღკრძალა ადამიანის შესაწირავად მიტანა.
რევზე დიდი გავლენა ჰქონდა მის ცოლს სეფორას (ბერძნის

ქალს), რომლის სახსოვრადაც მეფემ ააშენა კერპი აფროდიტი.
აგრეთვე რევი ლმობიერად ეპყრობოდა თითო-ოროლა ქრისტი-
ანს, რომელნიც აქა-იქ მოიძებნებოდნენ. ამის მოადგილეებიც
ისე სასტიკად არ სდევნიდნენ ქრისტიანებს, როგორც აქა-
მდის.

233 წელში სომხეთის სამეფო, სადაც აქამდის მეფო-
ბდნენ მეფენი არშაკიდების გვარიდამ, დაემორჩილა არდაშირს,
სპარსეთის მეფეს.

258 წ. გოტფები წრდილოეთის მხრიდგან მოვიდნენ
შავი ზღვის ნაპირას, გააკეთეს გემები და 15,000 კაცით
გაემგზავრნენ აფხაზეთისკენ. გადმოასხეს ჯარი ბიჭვინტას.
ბიჭვინტა მაშინ იყო მაგარი ქალაქი ციხით, რომელიც აიღეს

დ გაანადგურეს. აქედგან შეესივნენ სამეგრელოს და ყველა მოსწვეს, დაანგრიეს. მერე წავიდნენ ტრაპეზონში. არდაშირის მოადგილემ საფორმა ძალიან შეავიწროვა საქართველო. მირდატის მოადგილე ასფაგური მოთმინებიდგან გამოვიდა და წავიდა მთიულეთში ჯარების მოსაგროვებლად, მაგრამ 265 წელში იქვე მოკვდა და მით არშაკიდების შთამომავლობის მეფობა საქართველოში დასრულდა.

———————

VIII

სასსანიდების *) შეფობა საქართველოში.

დესპანთა გაგზავნა საფორთან. – საქართველოს მეფედ ინიშნება მირიანი. – საფორის განკარგულებანი. – მირიანის საქმეები. – ოსების და ფრანკების მოძრაობა.

სპარსეთში სასსანიდების გაძლიერებას დიდი გავლენა ჰქრონდა ქართველობაზე. საფორის გულის მოსაგებლად ქართველების ერისთავებმა მაშინვე გაუგზავნეს მას სპარსეთში დესპანები და სთხოვეს შვილი მიეცა ქართველთა მეფედ; მით უმეტეს ეს უნდოდათ, რომ ასფაგურის სიკვდილის შემდეგ არავინ დარჩა არშაკიდების გვარიდგან.

———————

*) 226 წ. სპარსეთის მეფედ გახდა არდაშირი, შვილი სასსანისა. აქედგან იწყობა სასსანიდების გვარის მეფობა სპარსეთში. არდაშირმა დაიპყრო მთელი მცირე აზია; დაამარცხა სრულიად რომის ჯარი, სომხების ჯართან შეერთებული. მთელი სომხეთი დაემორჩილა სპარსეთს. სომხეთის მეფის შვილი მცირე წლოვანი ტირიდატი გააქციეს რომში და დამალეს.

260 წ. თვით რომის იმპერატორმა მოიყვანა ჯარი სპარსეთზე, სადაც მაშინ მეფობდა შვილი არდაშირისა, საფორი. მაგრამ საფორმა დაამარცხა, თვით ვალერიანი დაატყვევეს და შებორკილი გალიაში დაჰქონდათ ხალხის საჩვენებლად. ვალერიანის მაგიერ საფორმა დანიშნა უბრალო კაცი ანტიოქელი, ვიღაც კირიადა, რომელიც მაშინვე შეშინებულმა რომაელების ჯარებმა მეფედ იცნეს. რომს შიშის ზარი დაეცა. ვალერიანი შეწუხებული მოკვდა. მერე საფორმა მოსწვა ანტიოქია, ტარსი, კესარია. ამ ნაირად შეაძრწუნა და შეანძრია მთელი აზია და ევროპა.

დესპანებმა რომ მოახსენეს საფორს ქართველთა ხალხის სურვილი, მაშინ მან იკითხა: „სდ არის ქალაქი მცხეთა, რამ სიდიდოა? შორს არიან იქიდგან ქაზარეველნი და ოსები? რომელი გვარიდგანაა საქართველოს მეფის ასული?“ საფორმა მიიღო რა პასუხი კითხვებზე, მაშივვე გამოემგზავრა საქართველოში, სადაც დიდი პატივი ჰსცეს. საფორი ყველაფრით კმა-

ყოფილი დარჩა; დაუნიშნა ქართველებს მეფედ თავისი შვილი, შვიდი წლის მირიანი და დაუმორჩილა მას აგრეთვე სომხეთი და მთიული ხალხი; ამის შემდეგ საფორმა მოახდინა განკარგულება, რომ დაენიშნათ გამდელი მირიანისათვის და დროებით მმართველი საქართველოისა და წავიდა სპარსეთში.

მირიანმა დიდი სიყვარული გამოიჩინა ქართული ენის, სჯულის, წვეულებების შესწავლაში. ამიტომ ხალხმაც შეიყვარა. პირველი დრო მისი მეფობისა იყო ძალიან შფოთიანი. მთიულები ხან დერბენდიდგან შემოესეოდნენ ხოლმე საქართველოს, ხან დარიალის ყელიდგან. მაგრამ მირიანი ყველგან ესწრობოდა და იგერებდა მტრებს. ომიანობის დროსაც ის მოუსვენრად იღვწოდა საქართველოს ქალაქების, ციხეების, სალოცავების ასაშენებლად და გასაახლებლად; სხვათა შორის მან გაამშვენიერა ფარნაოზის საფლავი.

ამავე მეფის დროს მოჰხდა შემოსევა საქართველოში ოსებისა 276 წ. ესენი შეესივნენ აფხაზეთიდგან სამეგრელოს. აქედგან წავიდნენ კლარჯეთში, გააოხრეს აქაურობა და მერე წავიდნენ პონტში. რომის იმპერატორმა ტაციტმა გამოდევნა ესენი და თვით კავკასიონის მთების ძირში მოკდა.

ამავე წელიწადს შემოესივნენ ფრანკები ჯერ კლარჯეთს, მერე სამეგრელოს. გააოხრეს უკვე გაოხრებული ქგეყანა და მერე ეროპაში წავიდნენ ზღვით.

– 28 –

მაშინ როდესაც საქართველო იყო თავისუფალი ქვეყანა, იმ დროს სომხეთი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სპარსეთის სამფლობელოს შეადგენდა და დიდს ტანჯვაში იყო. 287 წ. რომის იმპერატორმა ტირიდატი (არშაკიდი) გამოაცხადა მეფედ სომხეთისა და გამოამგზავრა აზიაში. ტირიდატს მიეგება დიდის სიხარულით მთელი სომხეთის ხალხი. ამან განდევნა სპარსელები და გამეფდა. მაგრამ სპარსეთის მეფემ ბარამმა შეაგროვა ყველა თავისი ჯარები და დაამარცხეს ტირიდატი. ას კიდევ გაიქცა რომში. რომის იმპერატორმა დიოკლეტიანმა სრულიად დაამარცხა სპარსეთის ჯარი; ამას შედეგი ის იყო, რომ აღადგინა სომხეთის სამეფო, მეფედ გახდა ტირიდატი. უფლება საქართველოს მეფეების დანიშვნისა მიეცა რომის იმპერატორებს.

იმპერატორმა დიოკლეტიანემ მირიანის შვილი ბაქარი მძევლად წაიყვანა რომში, მირიანი კი დაუნათესავა ტირიდატს. რევს, მეორე შვილს მირიანისას, შერთო ტირიდატის ქალი.

მირიანმა კახეთში მმართველად დასვა რევი, და განჯის მაზრაში კი სპარსეთის მმართველის ნათესავი – ფეროზი. ამ გვარად ორივე მეფეებს არ აწყენინა: არც რომის იმპერა–ტორს, არც სპარსეთის ხელმწიფეს.

IX.

ქრისტიანობის შემოღება საქართველოში.

კერპთ თაყვანის-მცემლობა. – ცრუ-მორწმუნეობა. – ხმები ქრისტეზე. – ზოგიერთ წრეების სურვილი ქრისტიანობის მიღებისათვის. – გაქრისტიანებული წრეები. – ქრისტიანობა რომის იმპერიაში იცნეს უმთავრეს სახელმწიფო სჯულად.

საქართველოში მე-IV საუკუნის დასაწყისამდე იყო წარმართობა, ურწმუნოება. ქართველთა სჯული შესდგებოდა ეგვიპტელების, ბერძნების, სპარსელების სჯულებიდგან; ესენი ისე იყვნენ შერეულნი, რომ ერთი-ერთმანერთი დაემახინჯებინათ, და კაცმა არ იცოდა თუ ქართველები რომელი სარწმუნოებისა იყვნენ. ხალხში გავრცელდა ცრუ-მორწმუნეობა. ყოველი დიდი ხე, ქვა, კლდე დ ამ გვარები ქართველების ღმერთები იყვნენ. ეს ცრუ-მორწმუნეობა ისე ღრმად ჰქონდათ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ხალხში აქამდის არის დარჩომილი მისი კვალი.

ამ უსჯულოების დროს, ერთმა ურიამ, ელიოსმა მოიტანა წილად ხდომილი კვართი ქრისტესი მცხეთაში დ მოუთხრო ხალხს ამბავი დიდს მოციქულზე – მესსიაზე. ამ ხმებმა მეფე ფარსმანამდე მიაწიეს. ფარსმანს უნდოდა კვართი ხელში ჩაეგდო, მაგრამ ელიოსმა დამალა. ამის გარდა საქართველოს ურიებს მოსდიოდა ურიასტანიდგან წერილები, რომლებშიაც ატყობინებდნენ აქაურებს ამბებს ქრისტეზე. ელიოსმა მიიღო წერილი მღვდლის ანასაგან. ანა სწერდა, რომ

ღვთის მოვლენილი ყმაწვილი აღიზარდა, ჰასაკში მოვიდა, ეხლა ამბობს – ღვთის შვილი ვარო. ჩვენი ხალხი ემზადება მის მოკვლას, რომ აღასრულოს მცნება მოსესი. ელიოსი და ამხანაგი მისი ლონგინოზ კარსნელი წავიდნენ იერუსალიმში, სადღაც ნახეს ჯვარ-ცმული ქრისტე და წამოიღეს მცხეთას წილ ხდომილი კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

დიდი გავლენა ქართველებზე ჰქონდა აგრეთვე ანდრია და სიმონ მოციქულების მოსვლას. აგრეთვე ეპისკოპოსებს: კლიმენტის და პალმს (ეს იყო მეგრელი), რომელნიც რომიდგან განდევნილ იყვნენ მცირე აზიაში. ასე რომ რამდენათაც ქრისტიანობა ვრცელდებოდა და ედებოდა ხალხს, იმდენად ურწმუნოება გადიოდა და მცირდებოდა. მირიან მეფის მეფობის დროს კი თვით სასახლეშიაც მოიდგა ფეხი.

ქრისტეს ამაღლების შემდეგ მისი მოციქულები, ქრისტეს დარიგებისამებრ, მოედვნენ მთელ ქვეყანას, რომ გაევრცელებინათ სწავლა და სჯული თავის მასწავლებლისა. ყველაზე მეტი იღვაწა ქრისტიანობისათვის მოციქულმა პავლემ, რომელმაც

მოიარა მთელი მცირე აზია, მაკედონია, საბერძნეთი დ იტალია და, თუმცა სასტიკად სჯიდნენ ქრისტიანობის მოღვაწეთ, მაგრმ მან მაინც ყველგან დაარსა ქრისტიანობრივი საზოგადოებანი (წრენი). ეს წრეები ერთდებოდნენ და ერთმანეთს შველოდნენ ყოველს უბედურებაში და დევნაში. მოციქულების შემდეგ ქადაგება დაიწყეს მრავალმა სხვა განათლებულ პირებმა, რომელთაც აგრეთვე სასტიკად სდევნიდნენ. ამ გვარი დევნა იყო იმ დრომდის, მინამ არ გამეფდა კოსტანტინე დიდი, შვილი კოსტანცია ქლორისა. ამის გამეფებამდე თუმცა სასტიკად სჯიდნენ ქრისტიანებს, მაგრამ მაინც ქრისტიანობა ძალიან გავრცელებულიყო და ქრისტიანები გამრავლებულიყვნენ.

– 31 –

კონსტანტინე პირველი იყო მმართველი მხოლოდ გალლიისა. 312 წ. შეაგროვა ჟარები (გალლები) და გამოაცხადა, რომ ის მიდის რომის დასაპყრობლად და ქრისტიანობის დასაფარავად დევნისაგან. მის ბაირაღზე გამოჭრილი იყო ჯვარი. ეს ჯვარი წინ მიუძღოდა ჯარს. ამ დროს რომში იმპერატორად იყო მაქსენცი, რომელიც სდევნიდა ქრისტიანებს. ამის ჯარში ბევრი ქრისტიანი ერია. გაიგეს თუ არა კოსტანტინეს დაპირება, ქრისტიანი ჯარები დ ხალხები გადუდგნენ მაქსენცის და მიემხრნენ კოსტანტინეს. დამარცხდა მაქსენცი და გამეფდა კოსტანტინე, ამასთანავე დაემხო წარმართობა და გაიმარჯვა ქრისტიანობამ. ქრისტიანობა მიეცა დიდ სიხარულს. თვით კოსტანტინე დიდი, მისი ცოლი ფაუსტა, დედა ელენე, სიდედრი – ევთროპია, მთელი მისი სასახლე და ჯარი თანაგრძნობას უცხადებდნენ ქრისტიანებს დ მონაწილეობას იღებდნენ მათ სიხარულში. ამის შემდეგ აშენდნენ მშვენიერი ეკკლესიები, მღვდელ-მსახურნი გამრავლდნენ და ქრისტეს სჯული გახდა მთავარ-სჯულად მთელს რომის იმპერიაში. ამ მდგომარეობაში იყო ქრისტიანობის საქმე საქართველოს გაქრისტიანებამდე.

– 32 –

X.

ქრისტიანობის მიღება ქართველთაგან.

წმ. ნინო. – მისი დევნა. – მოსვლა ნინოსი საქართველოში. – ორმუზდის და ზადენის დღესასწაული. – ქადაგება ნინოსი. – მირიანის განათლვა. – მეფის განკარგულება. – განათლვა ქართველებისა. – ნინოს ქადაგება სხვა ადგილებში. – საქართველოს ეკკლესია ემორჩილება ანტიოქიის საპატრიარქოს. – გავლენა ქრისტიანობისა ქართველებზე. – გავლენა საერო საქმეებზე სამღვდელო პირებისა.

ნინო იყო კოლასტრიდგან, კაპპადოკიის ქალაქიდგან, შვილი ღვთის მოშიში და კეთილ-მორწმუნე მშობლებისა. პატარაობისასვე დაობლდა, ბიძა მისმა მიიყვანა იერუსალიმში და მიაბარა აღსაზრდელად სარრას, ბეთლემელ ქალს, რომელიც ეკკლესიაში მსახურებდა. ნინოს კარგად შესწავლილი ჰქონდა ქრისტეს სწავლა, როცა იერუსალიმში მოვიდა ერთი დედაკაცი და ხმა დააგდო, რომ იმპერატორის კოსტანცი ქლორის ცოლს ელენეს ჰსურს მიიღოს ქრისტიანობაო. ნინო, პატრიარქის ნება-დართვით, გაემგზავრა იმ დედა-კაცთან ერთად რომში, მოვიდა აქ და მონასტერში შევიდა. ამ მონასტერში სცხოვრობდნენ და სწავლობდნენ 50 ქალი, ამათ რიცხვში მშვენიერი რიფსიმეც ერია.

დიოკლეტიანმა რომ გაიგო მშვენიერება რიფსიმესი, მოინდომა მის ცოლად შერთვა. ქალებს თავს ზარი დაეცათ და ყველანი გაიქცნენ. ნინომ აიყვანა რიფსიმე და გაიანე და გამოიქცა სომხეთში. სომხეთის მეფემ ტირიდატმა იპოვა რიფ-

სიმე და გაიანე და დახოცა, რადგან მათ არ მოანდომეს დიოკლეტიანეს ცოლობა.

ნინო პირველად იმალებოდა ჩრდილოეთ სომხეთში: მერე მეორე წელიწადს, ივლისის თვეში, ის მოვიდა საქართველოში. ნინო ჯერ მივიდა ჯავახეთში. აქ გამოიკითხა მცხეთა. – მეთევზეებმა მას მისცეს საჭმელი – პური. ჯავახეთის ახალ-ქალაქიდგან მოვიდა ქალაქ ურბნისში. ურბნისიდგან, რამდენიმე დღის შემდეგ, დიდ-ძალ ხალხთან ერთად მოვიდა არმაზში, სადა მოაწყდებოდა ხალხი ყველა კუთხიდგან ორმუზდის და ზადენის დღეობაზე.

ხალხის ცრუ-მორწმუნეობამ ააღელგა ნინო. იგი დიდის სიმწუხარით უყურებდა იმას, რაც ხდებოდა მის თვალ-წინ. – სთხოვა ნინომ ღმერთს, რომ მისთვის მიეცა ძალა ამ წარმართ ხალხის ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად. შუა დღისას ასტყდა დიდი ქარიშხალი სეტყვით და მთელი მლოცავი ხალხის გუნდი განაბნია. ამის შემდეგ ნინო დასახლდა მცხეთაში. დაიწყო ქადაგება დ ხალხის სწავლა და ავად-მყოფების კურნება სხვა-დასხვა წამლებით და ჯვრით. პირველი მოწაფე მისი იყო აბიათარი დ მისი ცოლ-შვილი, აგრეთვე ზოგიერთი მეფის კარის კაცები და თვით მირიანის მეუღლე ნანა, რომელიც მოარჩინა ნინომ დიდი-ხნის სნეულებისაგან. მირიანი გაკვირვებული იყო, რომ ცოლი მოურჩა. მოიწვია ნინო და დიდ-ხანს ემუსაიფა ქრისტეს სჯულზე.

ბოლოს მირიანმა გამოიწერა საბერძნეთიდგან მღვდლები და მთელის თავის ხალხით მოინათლა. იქ, სადაც იყო ორმუზდის კერპი, დასდგეს ხის ჯვარი და ხალხი მას თაყვანსა სცემდა. იქ, სადაც იყო მეფის ბაღი (მცხეთაში), დაიწყეს შენება პირველის ეკკლესიისა. რომის იმპერატორმა კოსტან-

ტინე დიდმა დიდის სიხარულით მიიღო მირიანის და ქართველების განათვლის ამბავი დ მაშინვე მძევლად მყოფი ბაქარი, შვილი მირიანისა, გაანთავისუფლა.

ნინო გახარებული საქმის ამგვარად წარმატებისა-გამო, წავიდა სხვა საქართველოს ადგილებში და ყველგან ასწავლიდა და უქადაგებდა ხალხს. მალე მოაქცია ყველანი ქრისტიანობაზე. მის სწავლას გავლენა ჰქონდა მთიულ ხალხშიაც.

შვიდი წლის შემდეგ (325 წ.) საქართველოს ეკკლესია მიეწერა ანტიოქიის საპატრიარქოს.

ამ ნაირად მოხდა ქრისტიანობის მიღება ქართველებისა. ქრისტიანობამ მჭიდროდ შეაერთა ქართველები. ჩამოაგდო მათში სიყვარული.

XI

ქრისტიანობის მიღებიდგან ვიდრე ვახტანგ გორგასლანამდე.

გამგზავრება მირიანისა იერუსალიმში. – გამეფება ბაქარისა. – სკოლები. – ომი სპარსეთთან და სომხეთთან. – მეფობა მირდატ III. – მეფობა ვარზბაკურისა, ტირიდატისა, ფარსმან V და მირიდატ IV.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ მირიანი გაემგზავრა იერუსალიმში ღვთის საფლავის თაყვანის-საცემლად. მივიდა იერუსალიმში და იმპერატორის ნება დართვით ააშენა თავის სარჯზე ტაძარი პატიოსნისა ჯვარისა. იქიდგან რამწამ დაბრუნდა, კახეთი შემოუერთა თავის სამეფოს, რადგან მისი მმართველი რევი გარდაცვლილიყო. თვითონაც გარდასცა მეფობა ბაქარს და მოკვდა 342 წელში.

ბაქარმა მამაზე ნაკლები სიკეთე არ დათესა საქართველოში. მოიწვია საბერძნეთიდგან ნასწავლი კაცები; ეკკლესიებთან ერთად ააშენებინა სკოლები. ეს ნასწავლი კაცები სკოლებში ასწავლიდნენ ყველა საგნებს ქართულს ენაზე; აგრეთვე ვალდებული გახადა ესწავლებინათ ბერძნული და ასსირული ენებიც. ყველგან ბაქარის ბრძანებით ააშენეს მრავალი ტაძრები, რომლებშიაც დააყენა უკეთესნი მქადაგებელნი სარწმუნოებისა. მათ წყალობით მალე ქრისტეს სჯული მიიღეს აფხაზებმა, ხევსურებმა და კავკასიის სხვა ხალხებმაც.

ბაქარის სიკვდილის შემდეგ გამეფდა შვილი მისი მირდატ III 364 წ. ამის მეფობა იყო მშვიდი და მეგობრული კავშირით შეზავებული რომის იმპერიასთან, რომელიც ემზადებოდა სპარსეთთან საომრად. ამის შვილის ვარაზბაკურის მეფობის დროს სპარსებმა დაიმორჩილეს ბევრი ადგილები და სთხოვეს სომხებს და ქართველებს, რომ ყოველ წელიწადს მათთვის ხარკი ეძლიათ. ვარზბაკური შიშისაგან კახეთის ხევში დაიმა-

ლა, თუმცა მას სთხოვდნენ მისი ერისთავები და სომხები სპარსებთან შებმას. სპარსეთის ჯარი ამასობაში შემოვიდა საქართველოში; ამათ თბილისში სოლოლაკის გორაზე ააშენეს ციხე სახელად „შურის ციხე“, რომელშიაც დააყენეს თავისი ჯარები. ხალხი შეავიწროვეს და ხარკი დადვეს. სპარსელები იმ დრომდის იყვნენ საქართველოში, მინამ მეფე ქართველთა არ დაჰპირდა ხარკის მიცემას და არ დაუთმო მათ აღმოსავლეთი ნაწილი კახეთისა, აგრეთვე განჯის მაზრა (არანი) და მძევლად არ მისცა ფეროზის შვილები.

რომის იმპერატორს არ მოეწონა ყოფა-ქცევა ვარზბაკურისა. დაიპყრო კლარჯეთი არსიანამდის და მმართველად დასვა თავადი სავრომათი. სპარსეთის მეფეს ეწყინა ეს. დიდ-

ძალი ჯარით დაეცა რომაელების ჯარს, დახოცა ისინი და განდევნა სავრომათი. 393 წ. მოკვდა ვარაზბაკური, რომელსაც დარჩა სამი მცირე-წლოვანი შვილი. გამეფდა მისი სიძე რევის შვილი, ტრდატი. ამის მეფობაში არა მომხდარა-რა შესანიშნავი.

405 წ. ტრდატის სიკვდილის შემდეგ გამეფდა შვილი ვარზბაკურისა ფარსმან V. ამან საქართველო გაანთავისუფლა სპარსეთის გავლენისაგან და ხარკი აღარ აძლია. მაგრამ სამი წლის შემდეგ მოკვდა და 408 წ. გამეფდა ძმა მისი მირდატი მე-IV. ეს იყო ამაყი და თავ-მოყვარე კაცი. არა სცდილობდა, რომ საქართველო დაეცვა სპარსებისაგან, რომელთაც უარი უთხრა ხარკის მიცემაზე. სპარსეთის მეფე განრისხებული 410 წ. წამოვიდა და ერთ შეტაკებაში დაამარცხა მირდატი და ტყვე ჰყო, მოიარა მთელი საქართველო, დაანგრია ეკკლესიები და გააოხრა ყველაფერი. მეფის სახლობა და სამღვდელოება გაიქცნენ კაცხის ხევში. მირდატი გაგზავნეს ბაღდადში და იქ მოკვდა. საქართველო საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა.

უთაობა. – არჩილ. – მირდატ V. – უკანასკნელი დრო გორგასლანამდე.

სპარსების შემოსევის შემდეგ საქართველოს არა ჰყოლია მეფე და მმართველი სამი წლის განმავალობამდე. 413 წელს, როცა სპარსელებს სხვა ხალხებთან ომი აუტყდათ, ქართველებმა გაამეფეს არჩილი, შვილი მირდატ IV-სა. ამან მეგობრული გნწყობილება დასდო საბერძნეთის იმპერიასთან და ეკ-

კლესიების შენება და გასუფთავება დაიწყო. ეკკლესიები სამსე იყვნენ მოგვებით, რომელნიც სპარსელების შემოსევის დროს

დაემკვიდრნენ შიგ. მოგვთა უჩივლეს არჩილს. არანის და ადირ-ბეჟანის მმართველები დაეცნენ ქართველებს, მაგრამ არჩილმა დაამარცხა და წაართვა დიდ-ძალი ალაფი.

434. წ. არჩილი მოკვდა და გამეფდა მისი შვილი მირ-დატი V, რომელმაც შეირთო ქალი ბარზაბოდისა, სპარსეთის მეფისა და ამ ნაირად ჩამოაგო მეგობრობა ორ სახელმწიფოს შუა. მაგრამ მალე მოკვდა ბარზაბოდი და ავიდა სპარსეთის ტახტზედ იეზდიგერდ II, რომელიც დაეცა ბერძნების ჯარს ნიზიბისში და განდევნა იქიდგან; მერე ადირბეჟანის მმართველს უბრძანა დაეპყრო სომხეთი და საქართველო და დაეყენებინა იქ მრავალი მოგვები და ამასთანავე წერილით მაიწვევდა ქართველ-თა და სომეხთა ჯარებს ხორასანში, გუნნების წინააღმდეგ სა-ბრძოლველად. ამასობაში მოკვდა (446 წ.) მირდატი V, რო-მელსაც დარჩა 7 წლის ვაჟი ვახტანგი.

თუმცა სპარსელები დიდად აბრკოლებდნენ ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში, თუმცა ეკკლესიებს, სკოლებს ანგრევდნენ და მოგვებს უყენებდნენ ქართველებს, მაგრამ მაინც ქრისტიანობამ მოიდგა მკვიდრი ფესვები საქართველოში ამ ერთი საუკუნის განმავლობაში.

ამავე დროს შემოიღეს საქართველოში ახალი ასოები – ხ უ ც უ რ ი, რომელიც მოიგონა მესროპმა ჯაყელის შემწეობით. ამ ასოებზე სწერდნენ და სთარგმნიდნენ სამღვთო წიგნებსა.

XII.

მეფობა ვახტანგ გორგასლანისა, მირდატ მე-V შვილისა.

ყმაწვილობა ვახტანგისა და მისი აღზრდა. – მდგომარეობა სა-ქართველოსი ვახტანგის გავაჟკაცობამდე. – მტრების შემოსევა. – ბერძნები იპყრობენ აფხაზეთს. – ომი ვახტანგისა ოსებთან და ჩერქეზებთან. – ვახტანგი ცოლად ირთავს სპარსეთის მეფის ასულს.

დაბადების-თანავე ვახტანგი აღსაზრდელად მისცეს ქარ-თლის ერისთავს და საქართველოს ჯარის წინამძღოლს, საურ-მაგს. ამის სიკვდილის შემდეგ ზრდიდნენ ვახტანგს ჯარის ახალი წინამძღოლი ჯუანშერი და მთავარ-ეპისკოპოსი მიხეილი. ამათგან ვახტანგი, გარდა ფიზიკური განვითარებისა, სწავლო-ბდა ღვთის მეტყველებას და სხვა საგნებს; ამათვე ჩაუნერგეს გულში დაობლებულს მომავალს მეფეს ღრმა სიყვარული ქარ-თველთა ერისადმი.

ვახტანგ იზრდებოდა და სამეფოს ჰმართავდა მისი დედა – სუნდუხტა – ცხრა წელს (446 წლიდგან 454 წლამდე). ამ დროს განმავლობაში დიდი უბედურებანი ეწვია საქართლელოს: ჯერ ერთი რომ სპარსეთის მეფემ იეზდიგერდმა, რომელმაც

სრულიად დაამხო და დაასუსტა სომხეთის სამეფო, მოინდომა ამ გვარადვე საქართველოს გაუბედურება. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართველები ქრისტიანობას თავს არ ანებებდნენ. საქართველოს დარბევა მინდობილი ჰქონდა ადირბეჟანის მმართველს, ბარზაბოდეს. მაგრამ სუნდუხტამ – ბარზაბოდის ქალმა – შეაბრალა მამას თავი თვისი და საქართველო. და, თუმცა

მან არ აღასრულა თავის მეფის სურვილი, მაგრამ მაინც საქართველოში გამოგზავნა ზოროასტრის სჯულის მღვდლები – მოგვნი, რომელნიც მოწიწებით შეუდგნენ ამ სჯულის გავრცელებას ქართველებში. მეორეთ, 449 წელში შემოესივნენ ოსები საქართველოს, ააოხრეს ქართლი და დიდ-ძალი ხალხი ტყვე ჰყვეს, სხვათა შორის ვახტანგის დაც. მერე შეესივნენ ალბანიას (გაღმა მხარეს), გააოხრეს ქვეყანა და დაღისტანში გადავიდნენ, აქედგან დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. 452 წელს ბერძნებმა დაიპყრეს აფხაზეთი და ერთი ნაწილი სამეგრელოსი.

ამასობაში ვახტანგი შეიქმნა 15 წლისა და 454 წელში გამეფდა. ეს იყო ჯან-მრთელი, მაღალი და ლამაზი ყმაწვილი კაცი. ვახტანგმა პირველსავე დღეს თავის სატახტო სიტყვაში გამოაცხადა, რომ უეჭველად სამაგიეროს გადაუხდის ოსებს დ მეგობრული განწყობილობა ექნება საბერძნეთთან და სპარსეთთან. 455 წელში სრულიაღ დამზადებული იყო ვახტანგი საომრად. მის ჯარში იყვნენ მოწვეულნი ქართველების გარდა ყველა ის ხალხები, რომელნიც დაჩაგრულნი იყვნენ ოსების შემოსევისაგან; მდინარე არაგვის პირზედ, მუხრანის მინდორში, ახალ-გაზდა ვახტანგმა დახედა თავის ჯარებს და ძალიან გაუხარდა, რომ მეომარნი მიეგებნენ აღტაცებით და კარგის მოწყობილობით. შვიდ დღეს იმარხულეს ჯარებმა და ილოცეს, მერე ვახტანგმა სამეფოს მმართველად დასვა თავისი დედა, და თითონ გაემგზავრა დარიალის ყელიდგან ოსეთისკენ. ეს ყელი გაემაგრებინათ ოსებს. ომი დაიწყო ორთა შუა (поединокъ) ბრძოლით; თვით მეფე ვახტანგმა გამოიწვია გამოჩენილნი მებრძოლნი: თარხან ქაზარეველი და ოსი ბაყათარი და ესენი დასძლია. მერე ჯარს უბრძანა შეჰსეოდნენ მტრებს. შეშინებული ოსები გაიქცნენ, ქართველები გამოედევნენ და ააოხრეს მათი

ქვეყანა. ვახტანგმა დაამარცხა ქაზარეველნი, პეჩენეგები, გაიარა მიწა ოსებისა, ჩერქეზებისა, გაანთავისუფლა თავისი და და ყველანი ტყვეთ წაყვანილნი ქართლიდგან, წაართვა მრავალი ცხენი და სხვა საქონელი და აფხაზეთიდგან საქართველოში დაბრუნდა.

დაბრუნდა თუ არა, მაშინვე გაუგზავნა სპარსეთის მეფეს, ორმუზდს, იეზდიგერის შვილს, დიდ-ძალი საჩუქრები და სთხოვა ცოლად ქალი. ორმყზდს იამა გულკეთილობა და გმირული მოქმედება ვახტანგისა და შეუსრულა მას სურვილი.

მდგომარეობა საქართველოს დასავლეთის ნაწილებისა. – ვინმე გუბაძე. – ვახტანგის ომები ბერძნებთან. – ზავი ბერძნებთან. – სპარსეთის ჯარების დახოცვა. – სპარსეთის მეფე უწყრება ვახტანგს. – მოგვების განდევნა საქართველოდგან. – სპარსელების შემოსევა. – ბერძნების მოშველება. – ზავი ქართველთა სპარსეთთან და საბერძნეთთან.

მეოთხე საუკუნის დამლევს ჩვენ ვიცით, რომ კლარჯეთის, ოძრხის და წუნდის საერისთოები დაპყრობილნი იყვნენ ბერძნებისაგან. 452 წ. ვიღაც გუბაძემ მოინდომა გამეფება, რისგამო შეაერთა ეს ხალხები და ლაზიკის სამეფო დაამყარა. ბოლოს ისე გაძლიერდა, რომ მოინდომა სვანეთში შესევა. ამასობაში ბერძნებმაც მოინდომეს სპარსეთის დასავლეთი მიჯნების დაჭერა.

სპარსეთის მეფემ ორმუზდმა გამოუგზავნა ვახტანგს თავისი ჯარები და სთხოვა ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლა და-

ეწყო· ვახტანგსც ეს უნდოდა. მეფეს მოეშველნენ სომხებიც. ვახტანგი ჯარით მიადგა ციხე კარახპოლს, მაგრამ ვერ აიღო. შემოარტყა ერთი ნაწილი ჯარი და მეორეთი გაემგზავრა პონტში (ლაზისტანში). გუბაძე შეშინებული 466 წ. გაიქცა კოსტანტინოპოლში მეფე ლეონ დიდთან. ვახტანგმა აიღო არზიანძორი, ეკლეცი, სტერი და დაატვევა კაი ძალი ხალხი, სხვათა-შორის მღვდლებიც, რომელთაც მოეპყრა პატივით და გულ-კეთილად; ბევრნი ამათგან გაანთავისუფლა. ციხეში დამწყვდეულ ხალხს ძალიან მოეწონა ვახტანგის კეთილ-გულობა და მოინდომა მასთან ზავი. ციხის მცხოვრებლებმა ვახტანგს საჩუქრად მიართვეს 1,000 ლიტრა ოქრო და 500 ნაჭერი ძვირ-ფასი ფარჩეული.

იმპერატორმა ლეონმა აგრეთვე მოინდომა დაზავება ვახტანგთან მხოლოდ იმ პირობით, რომ სპარსთა ჯარი გაეწყვიტა. მეფე დათანხმდა. გააცალკევა ქართველთა ჯარები სპარსელების ჯარებისაგან და ბერძნები დაეცნენ სპარსელებს. ესენი დამარცხდნეს, მაგრამ ვახტანგი თავის-თავის გასამართლებლად სპარსეთის მეფის წინაშე დაეცა დაღალულ ბერძნების ჯარს და სრულიად დაამარცხა ისინი და განდევნა შავ-ზღვის ნაპირებისკენ. ლეონი, რომელიც ის იყო პონტში მოსულიყო, ძალიან გაჰკვირდა ვახტანგის ამ გვარი ყოფა-ქცევით, მაგრამ ვახტანგმა ამ ბრძოლის მიზეზი გადააბრალა ბერძნების ჯარების წინამძღოლს – პოლიკარტოსს. შეიკრა ზავი ლეონს და ვახტანგს შუა. ამ ზავით ვახტანგს დაუბრუნდა ყველა დასავლეთის ნაწილები საქართველოისა, გუბაძე განდევნილ იქნა კოსტანტინოპოლში და ვახტანგი დაინიშნა ლეონის ასულზე, რომელსაც მზითვად მიეცა აფხაზეთი.

ზავის შემდეგ ვახტანგმა მოიარა თავისი ახალი ქვეყნები,

– 42 –

ააშენა მათში მონასტრები, ჩამოაგდო წესიერებანი და გამარჯვებული დაბრუნდა თავის სატახტო ქალაქში.

ვახტანგი ამის შემდეგ ძალიან ცუდად ეპყრობოდა საქართველოში მყოფ სპარსელებს და მოგვებს. სპარსეთის მეფეს არ ეჭაშნიკა მეფის ამგვარი ქცევა სპარსეთის ჯარების გაწყვეტის შესახებ და უფრო მეტად ზავი და დამეგობრება საბერძნეთთან. ახლად გამეფებული სპარსეთის მეფე – ფირუზი (ძმა ორმუზდისა) დიდ-ძალი ჯარით დაეცა სომხეთს და ალბანიას, გააოხრა ეს ქვეყნები და შემოესია საქართველოს.

ვახტანგმა სთხოვა მოშველება ლეონს, რომელმაც გამოუგზავნა 80,000 კაცი. საქართველოში სპარსელების ჯარებს დაუხვდენ მაგარი ციხეები და სრულიად წინ ვერ იწევდნენ. ფირუზმა გაიგო თუ არა, რომ ბერძნების ჯარები მოვიდნენო, მაშინვე შერიგება სთხოვა ვახტანგს იმ პირობით, რომ მოგვებისთვის ნება მიეცა საქართველოში ცეცხლთაყვანის-მცემლობა გაევრცელებინათ. ვახტანგმა არ მიიღო ეს პირობა. მაშინ ფირუზმა გამოუგზავნა ვახტანგს ძვირფასი საჩუქრები, ძვირფასი სამეფო გვირგვინი და იწვევდა შერიგებაზედ მოსალაპარაკებლად. ვახტანგმა მიიღო ეს საჩუქრები და თავის მხრით გაუგზავნა მას 500 მონა და 1000 მხევალი, 500 ძვირფასი ფარჩა და მერე მიეგება ფირუზს.

ამ ზავის ძალით საქართველო სრულიად თავისუფალ და სპარსეთისაგან დამოუკიდებელ სამეფოდ შეიქმნა და ეს ზავი დაგვირგვინდა მით, რომ ფირუზს ვახტანგმა მიათხოვა თავისი და. ვახტანგისავე შუამავლობით საბერძნეთმა და სპარსეთმა მეგობრული ზავი შეჰკრეს ურთიერთ-შორის.

– 43 –

ამ ნაირი გავლენა ჰქონდა საქართველოს ერს ვახტანგ მეფის დროს მაშინდელ უძლიერესს ხალხების ცხოვრების მიმდინარეობაზე.

საქართველოს მდგომარეობა. – ვახტანგის იერუსალიმში გამგზავრება. – ომი ინდოსტანში. – სასულიერო საქმენი. – მოსვლა საქართველოში 13-თა სირიელ მამათა. – ვახტანგი ირთავს ლეონის ასულს, აშენებს ქალაქ თბილისს. – სპარსელების შემოსევა. – სიკვდილი ვახტანგისა.

შემოფარგლული და განთავისუფლებული საქართველო ვახტანგმა გაჰყო ათ საერისთაოთ, ერისთავებად დასვა გამოჩენილნი თვისნი სარდლები. მერე გამოეთხოვა თავის პაწაწინა შვილს, დაჩის, და 10,000 უკეთეს ჯარით გაემგზავრა სალოცავად იერუსალიმში. იქიდგან წავიდა სპარსეთში. სპარ-

სეთის მეფემ გაიყოლია ინდოსტანში სხვა-და-სხვა ხალხების დასაპყრობლად. აქედგან სხვა განძეულთა შორის დაბრუნებისას მოიტანეს ქართველებმა აბრეშუმის ჭიის თესლი.

როცა დაბრუნდა ვახტანგი საქართველოში, ჩვენი ეკლესია სრულიად გაანთავისუფლა გარეშე საპატრიარქოს დამოკიდებულებიდგან. დააწესა საკუთარი საპატრიარქო, რომელსაც შეადგენდნენ თორმეტი საეპისკოპოზო ერთის პატრიარქის დამოკიდებულების ქვეშ. აგრეთვე საბერძნეთიდგან გამოიწერა სამღვდელო პირნი, რომელთაც მოუყვანეს ცოლად ლეონის ასული.

ამავე დროს სირიიდგან მოვიდნენ ცამეტი მამანი

(ბერნი), რომელთაც ააშენეს მონასტრები. *) ამ მონასტრებში ეს წმინდანნი ასწავლიდნენ ხალხს და ღრმად უნერგავდნენ ქრისტეს სჯულს, ასე რომ ცეცხლთ-თაყვანის-მცემლობას თითქმის სრულიად შემოეკვეცა ფრთები.

მეფე ვახტანგსვე ეკუთვნის თბილისის აშენების დაწყება. გარდმოცემა გვეუბნება, რომ ის ადგილი, სადაც ეხლა თბილისის მოშენებული, წინეთ იყო მოცული დიდის უტეხარის ტყით. ამ ტყეში ერთხელ მოინადირა ვახტანგმა, ააფრინეს ხოხობი, რომელსაც მეფემ გამოადევნა თავისი ქორი და მერე თვითონაც ცხენის ჭენებით დაედევნა. მივიდნენ და ნახეს, რომ ქორი და ხოხობი ჩაცვივნულან წყალში და მოხარშულან. მეფეს ძალიან მოეწონა ეს წყალი და მისი მიდამო. მალე დაიწყო აქ ქალაქის შენება, რომელსაც ამ თბილი წყლების გამო დაარქვა თ ბ ი ლ ი ს ი.

საქართველო რომ ამ გვარად გაძლიერდა საბერძნეთში ლეონის სიკვდილის შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა და გამეფდა ანასტასი, მტერი ქრისტიანობისა.

სპარსეთში გამეფდა ფირუზის შვილი – ყობადი, კაცი ცბიერი და მეომარი, რომელმაც მოინდომა სპარსეთის სამეფოს გაძლიერება და გაგანიერება. ყობადს უნდოდა, რომ ვახ-

*) იოანე, აბიბოსი, ანტონი, დავითი, ზენონი, ისიდორე, იასე, იოსები, მიხეილი, პიროსი, სტეფანე, შიო და ფადეი. პირველმა ააშენა ზედაზენის მონასტერი, მეორემ ნეკრესის, ანტონიმ მარტყოფის, დავითმა გარეჯის, ზენონმა იყალთოს, ისიდორემ სამთავისის, იასემ წალკის, მიხეილმა ულუმბის, პიროსმა ბრეთის, იოსებმა ალავერდის, შიომ მღვიმის, სტეფანემ ხირსის და სხვ.

ტანგს შემწეობა მიეცა მისთვის წინააღმდეგ საბერძნეთისა. ყობადმა გამოუგზავნა მეფეს მოციქულები. ვახტანგმა არაფერი შემწეობა არ მისცა, თუმცა კარგათ იცოდა, რომ ამდენი

კადნიერება იაფად არ დაუჯდებოდა.

ყველანი მოელოდნენ ყობადის შემოსევას, ამიტომ გაიხიზნენ მთებში; მეფემ კი გაამაგრა მცხეთა და აქ ჯარების უფროსებად დასვა ერისთავები: დიმიტრი, ნერსე და ბივრიტიანი, თვითონ კი გამაგრდა უჯარმაში.

მართლაც, ყობადი შემოვიდა საქართველოში. მოაოხრა ქიზიყი, აიღო ჭერმის და ველის ციხეები, მერე მოადგა ვახტანგს. სამ დღეს გაგრძელდა ბრძოლა. ორივე მხრივ მრავალი დაიხოცა. მეოთხე დღეს დილას შეესია ვახტანგი მტერს, ბევრი დახოცეს. ვახტანგი მტრის შიგ შუა გულში გაექანა: მოჰკლა შვილი ყობადისა და თითონაც მძიმედ დაიჭრა. შუაბრძოლა დღემდის გაგრძელდა. ბოლოს მტრები გაიქცნენ – ქართველებს კი დიდ-ძალი ალაფი დარჩათ.

მაგრამ რამწამ სპარსელებმა გაიგეს ვახტანგის ჭრილობა, გამხნევდნენ და ხელ-მეორეთ შეეტაკნენ ქართველებს. აქედგან სპარსელები გადავიდნენ მტკვარზე, დაანგრიეს თბილისი, არმაზის ციხე დ დაიპყრეს ქართლი, მცხეთა კი ვერ აიღეს.

სამწუხაროდ, ჭრილობამ ბოლო მოუღო მძლავრს მეფეს. ამან თავის მოადგილეთ დანიშნა თავისი შვილი დაჩი, ორი უმცროსი შვილები დასვა ტაშის-კარის, წუნდის და აფხაზეთის ერისთავებათ და მალე გარდაიცვალა – 499 წელში. ეს მეფე ჰმარხია მცხეთის ეკლესიაში.

სიკვდილის წინ ვახტანგმა დაარიგა ქართველები და სთხო-

ვა, რომ ყოფილიყვნენ უშიშარნი, გულადნი, ქრისტიანობის მოყვარენი და მეზავენი ბერძენთა.

XIII.

500 წლითგან 583 წლამდე.

ომები სპარსელებისა ბერძნებთან. – სპარსელები საქართველოში. – ამის მდგომარეობა. – თბილისის სატახტო ქალაქად გახდომა. – ქსნის და არაგვის ერისთავეი. – ლაზიკა. – აღდგენა ლაზიკის სამეფოისა. – ამის-გამო ომი. – ბერძნები ავიწროებენ ლაზიკის და კოლხიდის ,ცხოვრებთ.

ქართლიდგან სპარსელების ჯარი გაემგზავრა ყარნუ-ქალაქისკენ, რომელსაც უახლოვდებოდნენ ბერძნების ჯარები. ორივე განძვინებული ჯარები შეხვდენ ერთმანეთს ყარნიფორის ველზე. მოხდა საშინელი ბრძოლა. ორივ მხრივ დაიხოცა დიდ-ძალი მეომარი, რის-გამო სპარსელებმა და ბერძნებმაც შეაჩერეს ბრძოლა. მაგრამ მაინც შემდეგში ბერძნები სრულიად დამარცხებულნი დარჩენ. ყობადმა 80,000 ჯარის კაცი გაუწყვიტა, აიღო მრავალი ქალაქები და მაშინ შეურიგდა, როცა მიიღო ანასტასიასაგან ურიცხვი საჩუქარი.

ამ ნაირად ყობადმა დაიპრო საბერძნეთის აღმოსავლეთი ნაწილი, სომხეთი და თითქმის მთელი საქართველო. ამან გაამაგრა დარიელის ყელი და დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოზე. ამ დროებში მეფე დაჩიმ სატახტო ქალაქად გახადა

თბილისი, რომელსაც შემოავლო გალავანი; მცხეთა კი დარჩა მხოლოდ ადგილ სამყოფელად საქართველოს კათალიკოზისა.

დაჩიმ იმეფა 499 – 514 წლამდე, ბაქარმა II 514 წ. 528 წ., ფარსმან VI 528 – 542 წ., თარსმან VII 542 – 570 წ., ბაკურმა III 570 – 583 წლამდე. ყველა ეს მეფენი თავის მეფობაში სცდილობდნენ წმინდათ შეენახათ ქრისტეს სარწმუნოება, რის-გამო აშენებდნენ და აახლებდნენ ეკლესიებს.

ამავე დროს ეკუთვნის არაგვის და ქსნის ერისთავების ჩამომავლობის შესახებ პირველი ცნობანი. ზეპირ გარდმოცემა გვეუბნება, რომ ქსნის ხეველებს და არაგვის ხეველებს შუა ყოველთვის წმ. გიორგის დღესასწაულს ხდებოდა ჩხუბი და თავების მტვრევა. ამის მიზეზი იყო თვით ეს ეკლესია, რომელიც მდებარებდა ამ ორივე ხევების შუა მიჯნაზე. არაგველებსაც უნდოდათ დაესაკუთრებინათ და ქსნელებსაც. ერთხელ გიორგის დღეობაზე სხუ̂ათა-შორის, მივიდნენ ძმები ოსები – დედარუკოვები, რომელთაც მოარიგეს და დაამშვიდეს ორივე ხეველები. ამ ხეველებმა პატივის-ცემისათვის მოიწვიეს ეს ძმები და დასვეს თავის ერისთავებად: ერთი არაგვის ხეობაში, მეორე ქსნისაში. თვით მეფემაც დაამტკიცა ესენი ერასთავებად.

ამ დროს, ე. ი. მეექვსე საუკუნეში ლაზიკა დაერქვა არა მარტო იმ ქვეყანას, რომელშიაც თვით ლაზები სცხოვრობდნენ, არამედ გურიას და სამეგრელოსაც. ამის მიზეზი ის იყი, რომ ვახტანგ გორგასლანის სიკვდილის შემდეგ ბერძნებმა ისარგებლეს დაჩის სისუსტით და ხელ-ახლად აღადგინეს ლაზიკის სამეფო, რომელიც დაიპყრეს გუბაძის ნათე-

სავებმა: დამნაძეძ და მერე ცატემ. ცატეს პირველად მეგობრული განწყობილება ჰქონდა სპარსელებთან, რომელნიც იმ დროს მფლობელობდნენ საქართველოს, მერე იმის შიშის გამო, რომ მოგვებს ექნებათ ცუდი გავლენა ხალხზე, წავიდა კოსტანტინოპოლში, შეირთო იქ ბერძნის ქალი და იმპერატორისაგან ლაზიკის მეფედ აღიარებულ იქმნა. იმპერატორმა დიდი შემწეობა აღუთქვა ცატეს, რომელიც ლაზიკა ში დაბრუნდა, როგორც მეფე. დაბრუნდა თუ არა ცატე, მაშინვე ლაზებმა განდევნეს სპარსელები და ამათ დამოკიდებულებიდგან გამოვიდნენ.

ეს იყო მიზეზი, რომ 523 წელში დიდი სპარსეთის ჯარი მიადგა ლაზისტანს. მოხდა ომი. ლაზების მხარე დაიჭირეს ბერძნებმა. ამ ომებს ცუდი შედეგი ჰქონდათ საქართველოსთვის. აბეზარს მოსული ბევრი ქართველ თავადთაგანი სიმშვიდის მოსაპოებლად წავიდა საბერძნეთში, და ზოგიერთი იმათგან სამუდამოდ დარჩა იქვე. ეს ომი გაგრძელდა 10 წელს. ამ გაჭირების და არეულობის დროს მოკვდა ცატე (528 წ.) და მის მოადგილედ გახდა შვილი მისი გუბაძე II. ბოლოს 528 წელში ზავი შეიკრა ბერძნებს და სპარსელებს შუა. ამ ზავის ძალით სპარსელებმა დასტოვეს ლაზისტანი და ბერძნები კიდევ გახდნენ მის მფლობელად.

ბერძნებმა მაგარს და მიუდგომელ ადგილას, შავი ზღვის პირად, ააშენეს ციხე – პეტრა (ქვა), რომელიც უძლეველი გახდა მტრებისაგან. აქაური ვაჭრობა და აღებ-მიცემა მთლად გადავიდა ბერძნების ხელში; თვით აუცილებელ და ცხოვრებისათვის უუსაჭიროეს საგნებს დაადეს დიდი ბაჟი, მაგ. პურს, მარილს და ამ ნაირად შეაბეზრეს და შეავიწროვეს ლაზები; გარდა ამისა, თვით ბერძნების მმართველნი ცუდად ეპყრო-

ბოდნეს ხალხს. ამათზე უკმაყოფილების გამოსაცხადებლად დესპანები გაგზავნეს კოსტანტინოპოლში, სადაც არა თუ გაუგონეს და ყურადღება მიაქციეს მათ თხთოვნას, არამედ თვით ეს დესპანები დაამწყვდიეს. ამ გვარ მოქმედებამ სრულიად ააღელვა ლაზები, რის გამო სთხოვეს სპარსეთის მეფეს შველა და თავის მფარველობის ქვეშ მიღება. სპარსეთის მეფემ ხოსრომ აღუსრულა მათ წადილი.

ქასრე ანუ ხოსრო, ანუ ნუშირვანი. – აღმოსავლეთი კავკასია. – ქასრეს განზრახვა კავკასიის დაპყრობის შესახებ. – სპარსეთის ჯარი შემოდის საქართველოში. – პეტრა ემორჩილება. – ზავი ბერძნებთან. – გუბაძეს გაქცევა. – ომები სამეგრელოში, წებელდაში და იმერეთში. – გუბაძეს ჰკლავენ. – შერიგება იუსტინიანისა და ნუშირვანისა.

ქასრე იყო ყობადის შვილი. სპარსეთის ტახტზე ავიდა 331 წელში; ამან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ალბანიას. დერბენდის სიმაგრეებს და დაღისტანს. ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც დაიმხო ალბანიის სამეფო და ხალხი ამ სამეფოდსა განიბნა; ამ ქვეყასას ხშირად შემოესეოდა, ხოლმე ჩრდილოეთის ველური ხალხი: ქაზარეველნი, გუნნები და სხვ. იმ დროს, როდესც ყობადი ომობდა საბერძნეთის იმპერიასთან, ანუ შირვანი მოქმედებდა ამ მთებში, ნუშირვანმა დაიმორჩილა თურქმენები, გაამაგრა დერბენდი დ მამის თანხმობით დააწესა სამი საყაენო: თაბასარანისა, დერბენდისა და შირვანისა. შირვანის საყაენოს ნაწილს შეადგენდნენ, ალბანიის გარდა, განჯის და ყარაბაღის მიწებიც და უწინდელი არანის

ნაწილებიც. ქასრემ გაამრავლა მცხოვრებნი დერბენდში და ააგო დიდი ციხე, რომელიც ერთის მხრით სწვდებოდა კასპიის ზღვას, მეორეს მხრით კავკასიის მთებს, და ამ ციხის სიგრძეზე დააყენა მცველები. შირვანის საყაენოში აგრეთვე ააგო ციხე – შირვანი.

ქასრე საზოგადოდ დიდ მნიშვნელობას აძლევდა კავკასიის დაპყრობას. ეს იყო მიზეზი, რომ ქასრემ ასრე ადვილად დაუჯერა ლაზებს და მიიღო მათი თხოვნა. ქასრემ იფიქრა, რომ ლაზების დამორჩილების შემდეგ, ადგილად დავიპყრობ რიონის ხეობას და შავი ზღვის ნაპირებს, და ამის შემდეგ ძნელი არ იქნება თვით საბერძნეთთან ომიც და კოსტანტინოპოლის აღებაცო. ამის გამო ქასრემ დაარღვია ზავი ბერძნებთან და 541 წელში გაემგზავრა ლაზების ქვეყანაში.

ლაზების დესპანები იყვნენ გზის მაჩვენებელნი და ბელადნი სპარსელების ჯარისათვის. სპარსელები რომ შევიდნენ ლაზიკაში, წინ დახვდათ უტეხარი ტყეები. გზები თითქმის არსად იყო. ამიტომ სჩეხავდნენ ტყეებს და ისე მიდიოდნენ. სპარსელები მოვიდნენ თუ არა, გუბაძე მივიდა ნუშირვანთან და სრულიად დაემორჩილა მას. მაგრამ ქასრე არ გაჩერდა. გაგზავნა ჯარი ანიაბადის წინამძღოლობით ციხის პეტრას ასაღებად. ამ ციხეში გამაგრებულიყვნენ ბერძნები. ანიაბადი სრულიად დაამარცხეს, მაგრამ მერე ნუშირვანმა მიუსია ბლომად ჯარი და უბრძანა, რომ ისრები ესროლა. ქალაქისათვის და კედლები დაენგრიათ. მართლაც მალე ისარი მოარტყეს თვით პეტრას გამგეს – იონნე ციბუსს და კედელი გატეხეს. შეშინებული ბერძნის ჯარები დაემორჩილნენ სპარსელებს, ქასრემ იშოვა ციხეში დიდ-ძალი განძეული. თავის ჯარები დააყენა პეტრაში და საჩქაროდ წავიდა სპარსეთში, რო-

მელსაც დაეცნენ დასავლეთის მხრით ბერძნების ჯარები. ბერძნების აქ და სპარსელების ლაზიკაში გამარჯვებამ ჩამოაგდო მათ შუა ზავი 545 წელში, 4 წლის ვადით.

ლაზიკაში ქასრეს ბრძანებით ბეჯითად ავრცელებდნენ მოგვები ცეცხლ-თაყვანის-მცემლობას. მაგრამ ხალხი ძალიან ცივად ეპყრობოდა მოგვების სწავლას და ქრისტიანობას უფრო მოწიწებით ითვისებდა. არ მოეწონა ეს ქასრეს, რომელმაც გადასწყვიტა, რომ მოეკლა გუბაძე და ხალხი გადაესახლებინა თავის ვრცელ სამეფოის სხვა-და-სხვა ადგილებში და შავი ზღვის პირებზე ახალშენების აშენება უნდოდა. გუბაძემ მალე გაუგო განზრახვა. სინანულით შეეხვეწა იუსტინიანეს, რომ ეპატიებინა დანაშაულობანი და მო შველებოდა. იმპერატორმა გაუგზავნა მას ფულები, რომ დაექირავებინა საომრად ალანები, და დაგისტესიუსის წინამძღოლობით გაუგზავ-

ნა 7,000 ბერძენი და 1,000 ზანგის ხალხი.

549 წ. ბერძნები შემოერტყნენ ციხე პეტრას, რომელიც ძალიან გაემაგრებინათ სპარსელებს. ორი წლის ბრძოლის შემდეგ პეტრა აღებულ იქმნა 551 წელში. სპარსელების ჯარები ორ რაზმად გაიყო. ერთმა ნებედის წინამძღოლობით დაიპყრო აფხაზეთი და წებელდა. მაგრამ ეს ჯარები ცოტ- ცოტათი სრულიად გაწყვიტა ხალხმა. მეორე რაზმი მერმერეის წინამძღოლობით რიონზე გადავიდა და არქეოპოლისკენ წავიდა. აქ ბერძნებსაც ჰყვანდათ დაყენებული თავისი ჯარები.

ლაზებმა დაანგრიეს შორაპნის, ვარციხის და სკანდის სიმაგრეები, რომ სპარსელები ვერ გამაგრებულიყვნენ მათში. მერმერეიმ სკანდა მაშინვე აიღო, გაამაგრა კიდევ და შიგ ჯარები ჩააყენა.

მერე დაუპირა დაცემა ბერძნების ბანაკს, მაგრამ ის სრულიად დატოვებული დახვდა, აქედგან დაბრუნდა არქეოპოლისში და მერე მოვიდა ქუთაისში ზამთრის გასატარებლად. ამან ხელ-ახლად გაამაგრა ქუთაისი და შორაპანი, და 554 წლამდე თითქმის მთელი იმერეთი დაიპყრო. გუბაძე იმალებოდა მთებში და არ ეკარებოდა სპარსელებს; 554 წ. ავად-მყოფი მერმერეი მოიყვანეს მცხეთაში, სადაც ის მოკვდა. ქასრემ ამის მოადგილედ დანიშნა ნაკორაგანი. ამის წინამძღოლობის დროს ყოველთვის მარცხდებოდნენ სპარსელები, ბოლოს ბერძნებმა ერთ შეტაკებაში წაართვეს ნიკორაგანს 10,000 კაცი და თითონაც ძლივ-ძლივობით გაიქცა.

ამდენმა უბედურებამ, ჯარების უნაყოფო შრომამ და სისხლის ღვრამ ქასრე დაარწმუნა, რომ ვერას გაარიგებს, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი ხალხი საშინლად ეწინააღმდეგებოდა სპარსელებს. ამის გამო თავის მოქმედებას ამ ქვეყნებში მოუკლო წამალი; ამით ისარგებლეს ბერძნებმა, რომელთაც მოინდომეს სრულიად დაეპყრათ ლაზიკა. აღსასრულებლად თავის განზრახვისა ბერძნებმა მოჰკლეს გუბაძე, რომ სპარსელებთან შერიგების შემდეგ შემცილებელი არა ჰყოლოდათ. მართლაც 561 წელს იუსტინიანე და ქასრე შერიგდნენ. ამ შერიგების ძალით საქართველოს მიენიჭა თავისუფლება როგორც ვაჭრობის მხრით, ისე სჯულისა; გარდა ამისა ლაზიკა სრულიად განთავისუფლდა სპარსელების გავლენისაგან და გადავიდა ბერძნების ხელში; სპარსეთის მეფეს დარჩა მხოლოდ დარიალის დარაჯობა და ყველა ამ ადგილების დათმობისათვის იუსტინიანესაგან მიიღო წლიური შემოსავალი მთელის იმპერიისა, ესე იგი ოც-და-ათი-ათასი, ოქროს ზოდი (გუნდა, ნაჭერი).

იუსტინიანეს გავლენა საქართველოზე. – მისი პოლიტიკა. – ინიშნება საქართველოს ქათალიკოზი. – ბიჭვინტის ტაძარი. – 577 წელი. – იუსტინე II. – 583 წელში ბაკური მოკვდა. – ორმუზდი, ქასრეს მოადგილე. – ორმუზდის პოლიტიკა საქართველოსადმი. – უმეფობა. – იმპერატორს მავრიკეს ქართველები სთხოვენ მეფედ დაუნიშნოს ერთი ვინმე ვახტანგ - გორგასლანის ჩამომავალთაგანი.

საქართველოს დიდი ხანი იყო სწყურდა სჯულის და ვაჭრობის თავისუფლება. ეს თავისუფლება მიენიჭა იუსტინიანეს და ქასრეს ზავის ძალით. იუსტინიანეს ამ წყალობისათვის დიდ პატივსა სცემდნენ ქართველები. მაგრამ ამით არ გათავდა მისი ქართველთადმი მოღვაწეობა: მან მისცა ნება ქართველებს, რომ ქათალიკოზი ამის შემდეგ ამოერჩიათ ქართველთაგან და არა ბერძენთაგან, როგორც აქამდე იყო. თავის გავლენის დასამტკიცებლად იუსტინიანე უყვავებდა გავლენიან პირებს: ქსნის და არაგვის ერისთვებმა მიიღეს საპატიო ტანისამოსი და ღერბები. სხვათა-შორის მან დაიპყრო აფხაზეთი და ააგო ბიჭვინტის დიდი ტაძარი, რომელიც აქნამდი არსებობს, აგრეთვე ჩერქეზეთში ქრისტიანობა გაავრცელა.

577 წელში საქართველო კიდევ ვარდება სპარსეთის ხელში. იუსტინიანეს სიკვდილის შემდეგ გამეფდა უნიჭო იუსტინე II, რომელმაც ჩვენი ქვეყანა დაუთმო ქასრეს. 588 წელში მოკვდა ბაკური და დასტოვა ორი მცირე წლოვანი შვილები. ბურთი და მოედანი დარჩა ქასრეს მოადგილეს, ორმუზდს, რომელმაც საქართველოში გამოგზავნა შვილი თვისი ამბარგეზი; ამას მამის ბრძანების ძალით უნდა დაეცვა უმეფობა საქართველოში და ცდილიყო უთანხმოება ჩამოეგდო საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილებ შუა. ამის გულისათვის

ამბარვეზმა დაამტკიცა ერისთვების უფლებანი და უბრძანა, რომ არავის დამორჩილებოდნენ, გარდა სპარსეთის მეფისა, რომლისთვის უნდა ეძლიათ ხარკი.

უმეფობა საქართველოში გაგრძელდა იმ დრომდე, მინამ სპარსეთს არ შეესივნენ თურქმენების ხალხები და ბერძნები. მაშინ ამბარვეზმა დასტოვა საქართველო და წავიდა მამის საშველად. ამით ისარგებლეს ქართველებმა და 586 წელს სთხოვეს იმპერატორს მავრიკეს, რომ დაენიშნა მათთვის მეფედ ერთი ვინმე ჩამომავალთაგანი ვახტანგ-მეფისა. იმპერატორმა აღესრულა მათ სურვილი: საქართველოს მეფედ დასვა თავისი კლარჯეთის და ჯავახეთის მმართველი (კუროპალატი) გურამი, შვილის-შვილი ვახტანგისა.

XIV.

ბაგრატოვანთ შთამომავლობის მეფობა.

მეფობა გურამისა.

ჩამომავლობა ბაგრატოვანთა. – ახალი ერისთვების დანიშნვა. – სპარსეთში შესვლა. – მოლაპარაკება მავრიკესი ამბარვეზთან საქართველოს დამოკიდებულობაზე. – სიონის და წმ. ჯვრის ტაძრების აშენება. – სიკვდილი გურამისა.

ბაგრატოვანები ანუ ბაგრატიდები ჩამომავლობენ ურიების მეფეებისგან. ზოგიერთნი დავითის და სოლომონის ჩამომავალნი, ურიათა გადასახლების დროს, შემოვიდნენ სომხეთში და აქ ხელ-ახლად გამოჩნდნენ და გამძლავრდნენ. ბოლოს მიიღეს ქრისტიანობაც. მეექვსე საუკუნეში ერთმა მათ-

განმა შეირთო ვახტანგ-გორგასლანის ქალი. ამ ნათესაობის წყალობით იგი გახდა კლარჯეთის და ჟავახეთის მმართველად. მისი შვილი გურამი, რომელიც დაინიშნა საქართველოს მეფედ, გახდა მოთავედ ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ თ გ ვ ა რ ი ს ა. *)

გურამის მეფობის (გამეფდა 586 წ.) პირველ დროში კახეთი ორად გაიყო: მარცხენა მხარე ალაზნისა, ვიდრე კავკასიონის მთებამდე, მიეცა ბაკურ მესამის შვილებს, მარჯვენა კი (ქიზიყი ანუ კამბეჩოვანი) წაერთვა სპარსეთის მმართველს ვახტანგს და მიეცა გურამის ძმებს.

გურამმა რომ საქმეები მოარიგა კახეთში, იმპერატორმა გამოუგზავნა მას დიდ-ძალი ფული და სთხოვა დაექირავებინა მთიული ხალხი, ამასთან შეეერთებინა ქართველთა ჯარები და შეჰსეოდა სპარსეთს. გურამმა მოიწვია ოსები, ძურძუკები, დიდოელები და წავიდა ადირ-ბეჟანის მხარეს. გააოხრეს ეს ქვეყანა და სპარსეთს თავს ზარი დასცეს. მაგრმ მალე ბარამ-ჩუბინმა სრულიად დაამარცხა ოსმალოს ჯარები, მერე მოვიდა და შაება ქართველების ჯარებს, რომელნიც აგრეთვე დაამარცხა. ქართველები უკან მოიქცნენ. სპარსეთში ჩამოვარდა უთანხმოება და შინაური შფოთი, რომელიც დაბოლოვდა მით, რომ იმპერატორმა მავრიკემ მიიღო მონაწილეობა მის დამშვიდებაში, რის გამო საქართველო ხელ-ახლა გადავიდა იმპერატორის მფარველობის ქვეშ.

---

*) ეს არის მიზეზი, რომ ბაგრატოვანთ საგვარეულო ღერბზე გამოხატულია შურდული, რომლითაც მეფე დავითმა მოჰკლა გოლიათი, დავითის ფანდური, სასწორი და კვართი უფლისა, რომელიც მოტანილ იქმნა საქართველოში. ღერბის გარეშემო წარწერაა დავითის ფსალმუნისა. (131. 11).

გურამის მეფობაში აშენდნენ ტაძრები: თბილისში სიონი და წმ. ჯვრისა არაგვი მტკვართან შესართავის მარცხენით მყოფ გორაზე, – იქ, საცა პირველად მირიან მეფის დროს დასდგეს ჯვარი. გურამისვე მეფობაში აღყვავდა თბილისი. გურამი მოკვდა 600 წელში და გამეფდა უფროსი შვილი მისი –

სტეფანოზის მეფობა.

საქართველო სპარსელების დამოკიდებულებაში ვარდება. – იმპერატორის ირაკლის მოქმედებანი. – ქაზარეველნი საქართველოში. – თბილისის აღება ადარნასესაგან. – საეკლესიო საქმენი.

მავრიკეს უნდოდა ახალი განწყობილება და წესიერება შემოეღო თავის ჯარში. ეს არ მოეწონა მის ჯარს და ვიღაც ფოკის წინამძღომლობით დაეცნენ კოსტანტინოპოლს, აიღეს ქალაქი და გაამეფეს ფოკი. ამან მოკლა მავრიკე. ფარვიზმა, სპარსეთის შაჰმა, გადასწყვიტა მაგიერის გარდახდა იმათთვის, ვინც ხელი შეახო მის ნათესავ სახლობას. სპარსელები დაეცნენ მცირე აზიას, გააოხრეს ეს მხარე, მერე სირია, ანტიოქია, იერუსალიმი აიღეს, შევიდნენ არაბისტანში და ეგვიპტეში. ამ გამარჯვებებმა თავს ზარი დასცა იმპერიას და არავინ იცოდა, რით გათავდებოდა ეს ომები. მხოლოდ ირაკლ, ფოკის შემდეგ გამეფებული, იმედს არ ჰკარგავდა და გულადად იყო.

საქართველოს მეფე სტეფანოზი კი ძალიან შეაშინა ფარვაზის განძლიერებამ, რის გამო მან თავის ნებით გადასცა საქართველო სპარსელებს. სპარსელები შემოვიდნენ ამ ქვეყა-

ნაშიაც. ქრისტიან ხალხებს გაუძნელდათ ცხოვრება ამის მეფობის დროს.

ამასობაში ფარვაზი მიადგა კოსტანტინეპოლესაც. ირაკლი, რომ მისთვის თვალები აება, ჯერ შეურიგდა. მერე ორი წლის განმავალობის შემდეგ მოიწვია კავკასიის ხალხები და თითონ დაეცა მას.

ქართველების გულის მოსაგებლად ირაკლიმ წინათვე სტეფანოზის მაგიერ დანიშნა საქართველოში მეფედ ბაკურ III-ს შვილი ადარნასე (სასანიდის გვარიდგან), აფხაზეთის მმართველს ლეონს აჩუქა ქალაქი ნიკოპსია. 622-ს და 623 წლების განმავალობაში ირაკლიმ აიღო სომხეთი, ადირბეჟანი და შირვანი. 624 წ. შიგ შუა სპარსეთში უნდოდა წასვლა, მაგრამ დაღალული ქართველები არ გაჰყვნენ.

იმავე დროს სპარსელებს დერბენდიდგან შემოესივნენ ქაზარეველნი და გაუოხრეს ქვეყანა. ირაკლიმ შემოიერთა ესენი და დაეცა თბილისს, რომელშიაც სპარსელების ჯარით გამაგრებულიყო სტეფანოზი, აიღო ქალაქი *) ყალის გარდა, ყალას შემოარტყა ჯარები ადარნასეს წინამძღომლობით და თითონ შეესია სპარსეთს. გაიარა საქართველოს მიწები: გარდაბანი, ბერდუჯი და ლალი. ააშენა აქ მრავალი ეკლესიები. ხალხი და მმართველი ბერდუჯისა ვარაზგაგელი სომხის გრიგორიანის სჯულიდგან მართლ-მადიდებელ ქრისტიანობაზე მოაქცია.

ადარნასემ აიღო ყალა და დაატყვევა ჯარის უფროსი, გაატყავა იგი და გაუგზავნა ირაკლის, რომელიც მაშინ იყო

*) ირაკლის რომ გაუძნელდა ქალაქის აღება, მაშინ ქალაქის მოურავმა დასცინა მას: წვერი თხისა გაქვსთო და კისერი თიკანისა. ირაკლიმ მიუგო: „თხა დასავლეთისა დაამარცხებს ყოჩს აღმოსავლეთისას.“

ვარაზ გაგელისას. ამ ნაირადვე დასაჯეს სტეფანოზი და მისი მომხრენი. სტეფანოზის შვილები გაიქცნენ და დაიმალნენ კლარჯეთის მთებში, ადარნასე კი დაუბრკოლებლად ავიდა თავის მამა-პაპეულს ტახტზე. ბერძნებს დარჩათ შავი ზღვის ნაპირები და კლარჯეთის ერთი წილი.

629 წელში ირაკლიმ გაათავა ომები სპარსეთთან; დაბრუნდა საქართველოში და აქედგან გაარეკინა ყველა ცეცხლთაყვანის მცემლები. მერე ირაკლი წავიდა საბერძნეთში.

ადარნასეს მეცადინეობით ქართველთ ქათალიკოზის კურთხვვა ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო საქართველოში და არა ანტიოქიაში, როგორც აქამდე. ადარნასე მოკვდა 639 წელში. გამეფდა შვილი ამისი სტეფანოზი II.

არაბები. – დაპყრობა სპარსეთისა, შირვანისა და სომხეთისა. – სტეფანოზ მეორეს მეფობა. – არაბების საქართველოში შემოსევა. – საქართველო ბერძნებ და არაბებ შუა იყოფება. – მეფობა მირისა და არჩილისა. – მერვანის (მურვანის) შემოსევა.

ალლახის მოციქული – მაჰმადი, უდიდესი (თათრების ისტორიის მოწმობით) ყველა მოციქულებზე, გახდა მეშვიდე საუკუნის დასაწყისში მფლობელად მთელის არაბისტანისა, რომლის გაფართოება და გადიდება მოინდომა, მაგრამ სიკვდილმა (632 წელში) აღარ დააცალა. მის მაგიერ მისმა ქალიფებმა (აბუბეკრ და ომარ) თორმეტის წლის განმავალობაში მაჰმადის სიკვდილის შემდეგ აღასრულეს წინასწარმეტყველის სურვილი.

არაბების გაძლიერების მიზეზნი იყვნენ სპარსეთის დასუსტება და იმპერატორის ირაკლის ომები. სპარსეთში დიდხანს ჰსუფევდა შფოთი და უთანხმოება. ჰხოცავდნენ ზედიზედ მეფეებს და ახალ პირებს ამეფებდნენ. გარდა ამისა ირაკლისაგან ძალიან დასუსტებული იყო ეს ქვეყანა, და თვით ირაკლიც, მრავალი ომებისაგან დამაშვრალი, ყურს არ უგდებდა არაბისტანის საქმეებს. ამით ისარგებლეს არაბებმა. აბუბეკრის ბრძანებით არაბების ჯარების უფროსი ქალედი შევიდა სპარ-

სეთში, დაიპყრო ირანი და ევფრატის ხეობა. ჯარების მეორე ნახევარი შევიდა სირიაში და დაიჭირა მრავალი ურიასტანის ქალაქები, სხვათა შორის იერუსალიმიც. მერე სპარსელები შემოვიდნენ ტიგრის ხეობაში და აქედგან სომხეთში. მოხდა საშინელი ბრძოლა; სომხები დამარცხდნენ და ხალხს შიშის ზარი დაეცა. სპარსელებმა დაიპყრეს სომხეთი და არეზის ხეობა (639 წელში). 642 წელში დაიპყრეს აგრეთვე შირვანი. ჯერი მოადგა საქართველოსაც.

არაბების გამარჯვებამ შეაშინა ქართველი ხალხიც. ყველანი მოელოდნენ საშინელ აკლებას, აწიოკებას, ამისთვის ყოველი კაცი მიეშურებოდა მთებისკენ და ვერ მისაგნებელ ადგილებში მალავდა თავის ქონებას, ავეჯეულებას.

663 წლიდგან მოკიდებული საქართველოში მეფობდნენ მირი და არჩილი, შვილები სტეფანოზისა – პირველი დასავლეთ საქართველოში, მეორე აღმოსავლეთში. მალე არჩილიც გაიქცა დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოში თავის ძმასთან, რადგან ეშინოდა განძვინებულ არაბებისა. მართლაც არაბებმა დიდ-ხანს არ უცადეს: მარვანის (ესევე ცნობილია ჩვენს ისტორიაში მურვან ყრუდ) წინამძღომლობით შემოესივნენ საქართველოს, განვლეს დარიელის ყელამდი. დაიპყრეს ეს სი-

მაგრე და მერე განვლეს ქართლი, სამცხე და მიადგნენ არგვეთს, სადაც დახვდა მათ ქართველთ მოწინავე ჯარი ორი ძმის, დავით და კოსტანტინეს (ერისთავები) წინამძღომლობით. თუმცა მოწინავე ჯარი სპარსელებისა დამარცხდა, მაგრამ ამან უფრო გააჯავრა მურვან, რომელიც ყოვლის თავის ძალით იერიშით მივიდა არგვეთზე. ქართველები მამაცურად ჰბრძოდნენ, მაგრამ რას გაიტანდნენ ურიცხვ მტრის რაზმებთან! არაბებმა გაიმარჯვეს, დაატყვევეს თვით ქართველთ ჯარების წინამძღომლები. ხელ-შეკრულები დავით და კოსტანტინე წარუდგინეს მურვანს, რომელმაც ჯერ აწვალა ისინი და მერე ჩაჰყარა ტბაში (ზოგიერთნი ამბობენ მდინარეშიო – რიონში *).

მირვანს უნდოდა დაეტყვევებინა თვით მეფენი. ამისთვის იმან გაიარა მთელი იმერეთი და გადავიდა აფხაზეთში. გაიგო თუ არა, რომ მირი და არჩილი იმალებოდნენ ანაკოპიაში, იმან შემოარტყა ჯარები ამ ქალაქს. მეფეებს ჰყვანდათ ქალაქში 2000 აფხაზი და 1,000 ქართველი; გამაგრებული ქალაქი წვიმებისა და ნიაღვრებისა გამო ვერ აიღო მურვანმა და წავიდა ზღვის პირად, სამხრეთისკენ. ბევრის წვალების და ვაი-ვაგლახის შემდეგ მურვანი გავიდა საქართველოდგან, მაგრამ ვაი ამისთანა გასვლას: არც ერთი შენობა დაუზიანებელი და დაუმხობელი არ დაანარჩუნა საქართველოში; მთელი ჩვენი ქვეყანა არაბების მოხარკედ გახადა.

არაბების შემოსევამ სრულიად დაამხო საქართველოში

---

*) ძმათა დავით და კოსტანტინეს საქართველოს ეკლესია იც-

ნობს წმიდანებად და ამ წმიდანების სახელობაზე აშენებულია მოწამეთის ეკლესია (ექვსი ვერსის სიშორეზედ ქუთაისიდგან.)

– 61 –

კერპთ თაყვანის მცემლობა. მათ დაანგრიეს ჩვენი კერპები, დევნა დაუწყეს მოგვებს და ცეცხლთ თაყვანის მცემლებს. ამისთანავე დღე დაუდგათ აგრეთვე სპარსელების მქადაგთა. საშინელ დევნის გამო ცეცხლთ თაყვანის მცემლობის სჯულის მტკიცედ მორწმუნენი მიილტოდნენ ინდოეთში თავის საშველად. ამ ნაირად მთელ სპარსეთს მიაღებინეს მაჰმადის სჯული და სამუდამოდ დათრგუნეს ზოროასტრის სწავლის დედა ბოძი.

ამ დრთოინდელი შინაური მდგომარეობა ქართველი ხალხისა მოკლედ არის გადმოცემული. მაშინ ქართველებს ჰქონდათ საკუთარი ფული, საკრავი და საომრო იარაღები: ბუკი, დაფდაფი, შურდული, ლახვარი, ხმალი და ფარხმალი. ქართველებს მაშინ სცმევიათ: ახალუხი, გრძელი სახლებიანი ჩოხა, წაღები მაღალ ქუსლებიანი და გრძელ ცხვირებიანი, აგრეთვე ქალამანი.

სხვათა ჩვეულებათა შორის აქამდე დარჩომილა ჩვენ ხალხში იმ დრონდელი „ჭია-კოკონა“-ს საღამ, რომელიც ყოველ წელიწადს იდღესასწაულების ხოლმე დიდი მარხვის უკანასკნელს კვირის ოთხშაბათ საღამოს. ამით ქრისტიანი ხალხი ხატავდა თავის დაცინვას ცეცხლ-თაყვანის მცემლობისადმი.

– 62 –

საქართველო არაბების მფლობელობის დროს.

მეფობა არჩილისა. – მისი მოკვლა. — უბედური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა. – საქართველო ჯუანშერს და იოანნეს შუა იყოფება. – ქაზარების შემოსევა. – თბილისის არაბებისაგან აღება. – აფხაზეთი.

მირი მოკვდა მაშინ, როდესაც ანალოპიას მურვანი შემოერტყა; მეფედ გახდა არჩილი. მირის ანდერძის მიხედვით არჩილმა გაათხოვა თვისი ძმისწულები; სხვათა შორის ერთი მისცა აფხაზეთის მთავარს, რომლის შემწეობითაც დაიპყრო და დაამშვიდა შავი ზღვის ნაპირა ხალხები; ამის შემდეგ ადვილად დაიმორჩილა და დაამშვიდა: სამცხე, ქართლი და კახეთიც, აგრეთვე დუშეთი და ხუნძახი (დაღისტანი). ყველგან აშენებდა ეკლესიებს და ავრცელებდა ქრისტიანობას ქართველ ხალხებში, რომელნიც არაბების შიშით გათათრებულიყვნენ. ამ ნაირი იყო მეფობა არჩილისა 50 წლის განმავალობაში

მურვანის შემოსევის შემდეგ, მინამ არ შემოესეოდა საქართველოს მეორეთ არაბის ხალხი ჯუმაჯუმ-აზამის წინამძღომლობით. ჩვენი ხალხი კიდეგ შეირყა. სად შეეძლო წინ დახვედროდა მტერს! პირველ აოხრებისგანაც ჯერ სული ვერ მოებრუნებინა. მეფე, ერისთავები და მთელი ხალხი შეშინდა. არჩილს უნდოდა თავის-თავი მიეტანა მსხვერპლად ხალხის მაგიერ. ამის გულისათვის ის თვით წავიდა ჯუმანჯუმის ბანაკში ერთგულების გამოსაცხადებლად. აზიმი დაჰპირდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ხალხს მიეღო მაჰმადის სჯული. მაგრამ არჩილმა ეს არა ჰქმნა. მაშინ აზიმმა სთხოვა, რომ თითონ გამაჰმადიანებულიყო. არც ეს მოინდომა არჩილმა. აზიმმა ჩა-

აგდო არჩილი საპყრობილეში და ძალად უნდოდა მიეღებინა მაჰმადის სჯული. მაგრამ მეფე რომ მაგრა იდგა თავის სარწმუნოებაზე, მოაკვლევინა იგი და საშინლად აოხრა საქართველო. მეფის გვამი იპოვნეს ქართველებმა. მეუღლემან მისმან დაასაფლავა იგი სოფ. ნოტკორის ეკლესიაში (კახეთში). საქართველოს ეკლესიამ ეს წმიდანად შერაცხა.

ამ ნაირად ისეც დასუსტებული და ძალა-გამოლეული ქვეყანა უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. საქართველოს დასუსტების ერთი მიზეზთაგანი იყო აგრეთვე საქართველოს ორად გაყოფვა არჩილის შვილებ (იოანეს და ჯუანშერს) შუა. მაგრამ ამისთანა უბედურ დროს საქართველოს ზედ მოჰყვა კიდევ ერთი უბედურებაც – მე ვამბობ ხაზარების შემოსევაზე. ამის მიზეზი იყო ის, რომ მეფეებმა თავისი და შუშანა არ მიათხოვეს ხაზარების მმართველს ხაკანს, რომელმაც მოინდომა მის შერთვა; ხაკანმა გამოგზავნა თავის ჯარი, რომელსაც ძალად უნდოდა წაეყვანა მეფეთა და. ქაზარები დაღისტნიდგან შემოვიდნენ კახეთში, დაარბიეს ჩელეთი, წუკეთი, ველის ციხე, თიანეთი, ერწო, აგრეთვე თბილისი და სხვა ადგილები; ჯუანშერი და შუშანი ტყვეთ წაიყვანეს დარიალის ყელიდგან, მაგრამ შუშანმა ვერ გაუძლო უბედურებას და შხამი მიიღო.

ამ გვარი შავი დღეების მგლოვი თბილისი არაბებმა აიღეს და დაადგინეს აქ თავისი სამმართველო და დაადვეს აღმოსავლეთ საქართველოს ხარკი.

ჯუანშერი ტყვედ დარჩა შვიდ წელიწადს და მერე დიდის საჩუქრებით ხაკანისაგან განთავისუფლებული დაბრუნდა საქართველოში. ამის შემდეგ ჯუანშერს დიდი გავლენა აღარ ჰქონდა თავის სამეფოს ბედ-იღბალზე.

დასავლეთის საქართველო სრულიად დაემორჩილა აფხაზეთის მეფეს ლეონ II-ს.

ამ დრომდის აფხაზეთი იყო ბერძნების იმპერატორების დამოკიდებულების ქვეშ, თუმცა იგი ძველადგანვე შეადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს. ლეონ II-მ ცოლად შეირთო

საკანის ქალი და სიმამრის შემწეობით განდევნა ბერძნები და გამეფდა. მერე დაიმორჩილა სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, გურია და ყველა ეს ადგილები რვა საერისთაოდ გაჰყო: 1 საერისთაო იყო აფხაზეთი; 2, ცხომისა ენგურიდგან მოკიდებული ალანამდე; 3, ბედიისა – ენგურიდგან ცხენისწყლამდე; 4 – გურია; 5 – 6 – რაჭა – ლეჩხუმი; 7 სვანეთი; 8 ცხენისწყლიდგან სურამის მთებამდე რიონის ხეობის გაყოლება. თავის ტახტი გადმოიტანა ქუთაისში. ყველა ამ რვა საერისთაოს დაერქვა „სამეფო აფხაზეთისა.“

იოანნე მალე მოკვდა, მოკვდა აგრეთვე ამის ძმაც – ჯუანშერიც. მეფობა ჟუანშერის ცოლის ძმას – აშოტ ბაგრატოვანს დარჩა. ამ გვარად გათავდა სასსანიდების გვარის მეფობა საქართველოში.

– 65 –

აშოტის მეფობა. – თვით მმართველები კახეთისა. – აშოტის ქართლში შემოსვლა. დამარცხება თბილისის ემირისა (მთავარისა). – აშოტის განდევნა ქართლიდგან. – აშოტის დაბრუნება და სიკგდილი. – არაბები ქართლში. – ხალილა კახეთში. – ხალილას შვილი მაჰმადი ბაგრატს ჰშველის ქართლის აღებაში. – ბერძნები აფხაზეთის შესახებ.

აშოტი იყო შვილის-შვილი გურამისა ბაგრატოვანის; 626 წელში იგი გაიქცა კლარჯეთის მთებში და დაიძალა იმპერატორის ირაკლის დევნისაგან. სამცხე-საათაბეგოზე დიდი გავლენა ჰქონდა აშოტს და ითვლებოდა მის მმართველად. ჯუვანშერი, რადგან იყო სიძე აშოტისა (ცოლად ჰყვანდა მისი და), ამიტომ ამის სიკვდილის შემდეგ მეფის ცოლის წყალობით აშოტი გახდა მეფედ (787 წელში). 23 წლის განმავალობაში აშოტმა იბრძოლა შინაურ დ გარეშე მტრების წინააღმდეგ დ საქართველოს შესაერთებლად. მაგრამ მინამ აშოტი აღასრულებდა თავის წადილს 790 წელში ერთმა თავადმა გამოაცხადა თავის-თავი დამოუკიდებელ მმართველად კახეთისა და გახდა მთავრად ამ ქვეყნისა. საქართველოს სამეფო შეიქნა მხოლოდ ქართლი.

შინაურ შფოთისა და არეულობის გამო არაბების ჯარეზის უმეტესი ნაწილი იქმნენ გაწვეულნი არაბეთში. ამ დროს აშოტმა მიათხოვა თავისი ქალი აფხაზეთის მეფეს თადეოზ I-ს, შვილს ლეონ II-სას, და მერე სიძის შემწეობით შეესია ქართლს. გრიგორიმ – კახეთის მმართველმა, თავის შიშით მოიწვია ლეკებიც და შეუერთდა თბილისის ემირს ალიას; ესენი ქსანზე დაუხვდნენ აშოტს, რომლისაგანაც დამარცხდნენ და ქართლიდგან განიძევნენ, მაგრამ მალე, რადგან შველა არავისგან

– 66 –

იყო, ალიას და სომხეთის ემირის ხალილას ჯარებმა დაამარცხეს

აშოტი და განაძევეს ქართლიდგან.

ამის შემდეგ კაი ხანს დარჩა აშოტი სამცხე-კლარჯეთში. აქ ის აშენებდა ეკკლესიებს და დანგრეულ ქალაქებს. ბოლოს ბედმაც გაუღიმა და დაიპრო მთელი ქართლი, მაგრამ არაბები მოსვენებას მაინც არ აძლევდნენ დ 826 წელში უცებ დაეცნენ მას ნიგალის ხეობაში და შიგ ეგლესიში მოჰკლეს. ამ მეფის გვამი დამარხულია არდანუჯის ეკლესიაში. ალია გახდა ემირად ქართლისა და სამცხე-კლარჯეთისა, აშოტის შვილებს ხარკი უნდა ეძლიათ მისთვის.

872 წელში მოკვდა კახეთის მმართველი (ქორ-ეპისკოპოსი) გრიგორი, რომელსაც აწერენ აშენებას ქალაქის თელავისას ცივ-გომბორის მთის კალთაზე. გრიგორის შემდეგ ხალხმა მმართველად დასვა დაჩი, იოანე ქობულიძის შვილი. დაჩი ჰმართავდა კახეთს 12 წელიწადს, 839 წელს მოკვდა იგი და კახეთში მმართველად გახდა სამუელ დონაური. ამასობაში კახეთს დაეცა ხალილა, სომხეთის ემირი, მაგრამ სოფ. გავაზთან დამარცხებული და უკუ-ქცეული იქმნა. რამდენიმე ხნის შემდეგ ესვე ხალილა შემოესია ქართლს, მაგრამ ჯავახეთში მოკლულ იქმნა. ამის შვილმა, მაჰმადმა განიზრახა ჯავრის ამოყრა და გაემგზავრა ქართლისკენ. მას მიეშველა აშოტის მეორე შვილი – ბაგრატი, რის გამო მაჰმადმა მისცა მას ქართლი.

ამავე დროს აფხაზეთი მოსვენებაში არ იყო. ბერძნები ხშირად ეცემოდნენ მას. 831 წელს ბერძნები შეესივნენ აფხაზებს, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. მაშინ აფხაზთა მეფედ იყო თადეოზი, რომელსც ძალიან უყვარდა ქრისტიანობა. ამ მეფეს ეკუთვნის დაბა ხონის და იქაური სობოროს აშენება.

მაჰმადი. – სომხეთის ემირი ჰშველის ბაგრატს. – ემირი თბილისისა სააკი ეწინააღმდეგებათ. – ბრძოლა რეხის ციხესთან. – ბოგის შემოსევა. – აფხაზეთის მეფენი: გიორგი და იოანნე. – ლიპარიტ ორბელიანი.

მაჰმადს ბაგრატის გამეფება უნდოდა, ამატომ დიდ-ძალის ჯარით შევიდა ქართლში, იერიშით აიღო უფლის-ციხე და მერე სოფ. რეხთან მოუხდა შეტაკება თბილისის ემირის სააკის ჯარებთან. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ მაჰმადი იძულებული იქმნა დაეტოვებინა ქართლი და არანს შეჰსეოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ თბილისს შემოერტყა ბოგა, ოსმალოს ჯარის უფროსი, კაცი უდიერი და სისხლის მსმელი, რომელმაც სომხეთში და ადირ-ბეჟანში გაჟლიტა 80,000 კაცი. ბაგრატი მიემხრო ამას. ბოგამ აიღო ქალაქი, სააკი მაშინათვე ჩამოახრჩო, გადასწვა ქალაქი და გააოხრა გარეშემო მდებარე ადგილები. საქართველოს ქაზარების შემოსევის შემდეგ იმისთანა აოხრება და განადგურება არა სწვეოდა, როგორც ეხლა.

აფხაზეთის მეფემ თადეოზმა თავის შიშისა გამო განიზრახა ბოგას წინააღმდეგობა. ამისთვის ის შეუერთდა ქართ-

ლელებს და კვერცხობის ახლოს დაებანაკა. ბოგამ გაგზავნა მის წინააღმდეგ თავისი ჯარები ზაქარიას და ბაგრატის წინამძღოლობით. თადეოზი დამარცხდა და დვალეთიდგან გადავიდა რაჭაში და იქიდგან შინ დაბრუნდა.

ბოგამ ქართლის აოხრების შემდეგ მოინდომა ოსეთის დაპყრობა, რის გამო ის კიდეც წავიდა ჩარტალეთამდე და ცხოვათამდე და ოსებს გამოართვა 300 მანათი, მაგრამ ამ დროს ბაგრატის ძმამ – გურამმა და სომხეთის მმართველმა

აბულაბასმა სთხოვეს ოსებს, რომ დაბრუნების ნება არ მიეცათ მტრისთვის, თვითონაც თავის მხრით მის წინააღმდეგ ბრძოლა დაჰპირდნენ. ოსები გაგულისდნენ, შეერთდნენ და ერთ ვიწრო ღელეში შეეტაკნენ მტერს. ბოლოს დიდად დაზარალებული ბოგა უკან მოიქცა, არანში შევიდა და იქიდგან კაკეთს შეესია. აქ ამ დროს მმართველად იყო გაბრო დონაური.

ზაფხულში ხელმეორედ უნდოდა ბოგას ოსეთზე წასვლა, მაგრამ არაბისტანიდგან ბრძანება მოუვიდა, რომ თბილისის ემირობა მიეცა მაჰმადისათვის და თვითონ დაბრუნებულიყო. ყველი ეს ამბები მოხდა 854 – 861 წლამდე. საქართველოში ამის წასვლის შემდეგ დროებით ჩამოვარდა მშვიდობიანობა.

876 წელში მოკვდა ბაგრატ I, რომელსაც მხოლოდ სახელი ჰქონდა მეფისა. გიორგი I, მეფე აფხაზეთისა შემოვიდა ქართლში, დაიპყრო ეს ქვეყანა და ერისთაობა მისცა დიმიტრის შვილს – ტინენს. მაგრამ გიორგი რომ მოკვდა და გამეფდა შვილი ამისი იონნე, დედა მისმა მოაკვლევინა ტინენი და ტინენის ძმა – ბაგრატი ზღვაში ჩააგდებინა, რადგან არ უნდოდა რომ ვისმე სხვას ჰქონდა წილი აფხაზეთის სამეფოს მმართველობაში. ბაგრატი ვიღაც მეტივეებმა იპოვნეს და კოსტანტინოპოლში წაიყვანეს.

მეფეების დასუსტებამ და მათ მცირე გავლენამ ქართლში გააძლიერა ზოგიერთი გვარები, სხვათა შორის ორბელიანები; შესანიშნავი ამათგან იმ დროს იყო ლიპარიტ ორბელიანი, მმართველი თრიალეთისა და ამშენებელი ციხის კლდე-კარისა მდ. ალგეთის სათავეზე. ამ გვარს დიდი გავლენა ჰქონდა ქართველების ბედ-იღბალზე. ამას დავინახავთ შემდეგ ისტორიიდგან.

დავით I და ადარნასე II. – ნასირის დამარცხება. – აფხაზეთის მეფის შვილის ბაგრატის და ნასირის ერთად მოქმედება. – ბაგრატის გამარჯვება. – ასპინძის ომი და ნასიძის სიკვდილი. – ომი კარელებთან და აფხაზებთან. – სომხეთის მეფე ჰშველის ადარნასეს. – ადარნასეს გამეფება. – აფხაზეთის მეფე კოსტანტინე ეომება ადარნასეს. – კოსტანტინეს ტყვეობა. – ზავი. – აოხრება სომხეთი-

სა. – აშოტი. – მოსვლა ადარნასესთან სომხეთის ქათალიკოზისა; ადარნასეს გამგზავრება კოსტანტინოპოლში.

876 წ. ბაგრატი გარდაიცვალა და მისი შვილი – დავით I გამეფდა, ამის ბიძის გურამის შვილს ნასირს არ უნდოდა, რომ დავითს რგებოდა ქართლი; ამიტომ აფხაზეთის მეფის იოანნეს მხარე დაიჭირა. მაგრამ 879 წელში იოანნე რომ გარდაიცვალა, აფხაზებმა მიატოვეს ნასირი, რომელმაც, მარტოდ რომ დარჩა, ცბიერება იხმარა: მოჰკლა დავითი 881 წელს. ამ შემთხვევამ ააღელვა ყველა მოკეთენი დავითისა. მთელი ქართლი, სომხეთი, თბილისის არაბები შეიყარნენ და დავითის მოადგილედ დასვეს შვილი მისი – ადარნასე მეორე. ნასირი გაიქცა კოსტანტინოპოლში.

აქაც გულმა ვერ გაუძლო. განდევნილი ბაგრატი ნასირმა შეაფერხა, რომ მას წაერთვა ტახტი აფხაზეთის მეფის ადარსასესვგის (ეს იყო შვილი იოანნესი). ბაგრატმა ითხოვა იმპერატორისაგან ჯარები და გემები და მოადგა აფხაზეთს, დაიმორჩილა ეს ქვეყანა, მოჰკლა ადარნასე, გამეფდა თვითონ, გამოიწვია სტამბოლიდგან ნასირი და მისცა ჯარები ქართლის დასაპყრობლად. პირველად ნასირი შევიდა სამცხეში, აიღო ციხენი: ოძრხე, ჯვარისციხე და ლომსიანი. აქედგან ქვემო ქართლისკენ გამგზავრება უნდოდა, მაგრამ ადარნასემ დაახვედრა ქართლის, სომხითის ჯა-

რები, დაამარცხა იგი და კიდეც მოჰკლა. ამ ნაირად გათავდა ეს ომი.

მაგრამ საქართველოში მშვიდობიანობა მაინც არ დამყარდა. კახეთის ქორეპისკოპოზის გაბრო დონაურის მოადგილემ – ფადლამ დაისაკუთრა გარდაბანი, რომელიც ეკუთნოდა ქართლს, ამიტომ აფხაზეთის მეფე ბაგრატი შემოვიდა ქართლში. ფადლა 893 წელში მოკვდა და ბაგრატი 897 წელში. ამათი მოადგილენი გახდნენ ქორეპისკოპი კვირიკე I და აფსაზეთის მეფე კოსტანტინე.

896 წელში სომხეთის მეფის სემბათისგან გაჯავრებული ადირბეჟანის მმართველი (ემირი) ავშანი (აბულ-კასიმი) შემოვიდა სომხეთში, ააოხრა იგი, მერე შემოვიდა საქართველოშიაც. ქართლის ცხოვრების სიტყვით: ავშანი ჯერ მოადგა თბილისს, რომლის მმართველი მაშინ იყო ჯაფარი. აქედგან წავიდა და უჯარმას შემოერტყა. უჯარმის მცველნი იყვნენ 300 მხედარნი. ამ ციხის აღებამ შეაშინა ციხე ბოჭორმის ჯარები, რომელნიც გაიქცნენ, მინამ მტერი მოვიდოდა. კვირიკემ შეატყო, რომ ვერ მოერევა მძლავრსა და ურიცხვს მტერს, სრულიადი მორჩილება გამოუცხადა მას. კახეთის დამარცხების შემდეგ ავშანმა გაიარა ქართლი, შევიდა სამცხეში, ჯავახეთში დ შემოერტყა ციხე თმოგვს, მაგრამ რომ ვერ აიღო, შემოერტყა მეორე ციხეს – ყველს, რომლის აღების დროს წამებული იქმნა წმიდა გრობრონი. *)

აქედგან ავშანი წავიდა ყარსში, სადაც ამ დროს იმალე-

ბოდა ჯალაბობა სუმბათისა (სომხეთის მეფისა.) აიღო ეს ქა-

*) გობრონი (მიხეილი) ცნობილია ქართველთ ეკლესიისაგან წმიდანად.

ლაქი და დაატყვევა მთელი მისი ოჯახობა. სემბათი იძულებულ იქმნა შერიგებოდა ავშანს, ამანათად მისცა მას თავისი უფროსი შვილი.

ამის შემდეგ 904 წლამდე დამყარდა მშვიდობიანობა საქართველოში. მაგრამ ამ წელს აფხაზეთის მეფე – კოსტანტინე შეესია სემბათის სამეფოს. ადარნასე მიეშველა სემბათს და ორივემ დაამარცხეს კოსტანტინე და დაატყვევეს, მაგრამ მალე აპატიეს დანაშაულობა დ გაანთავისუფლეს. სამწუხაროდ მალე უთანხმოება ჩამოვარდა ადარნესეს და სემბათს შორის, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მეტს პატივს სცემდა კოსტანტინეს და არა ადარნასეს. ამან 907 წელს ზოგიერთ სომხეზის თავადებთან ერთად განიზრახა სემბათის დამარცხება. მაგრამ სემბათმა გაიმარჯვა; ჩამოვარდა ამათ-შორის ზავი, რომლის ძალითაც ადარნასეს სემბათისთვის უნდა მიეცა ყველა ის სომხის თავადები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ადარნასეს შეთქმულობაში.

ამ გვარ გამარჯვებებით გაგულისებულმა სემბათმა გამოუცხადა ომი ადირბეჟანის ემირს უსუფს. ომი გაგრძელდა 914 წლამდე. ბოლოს უსუფმა დაამარცხა იგი და მთელის სახლეულობით დაატყვევა, მოიყვანა დვინში და ჩამოახრჩო.

სომხეთი ჩავარდა სამწუხარო მდგომარეობაში: ყველა თავადები შებორკილ და ყმად წაყვანილ იქმნენ. მრავალი ქრისტიანი სომეხი გასწყვიტეს, რადგან მტკიცედ იდგნენ თავის სჯულზე, სოფლები, ქალაქები დაანგრიეს და ააოხრეს.

915 წელში სემბათის შვილი – აშოტი 600 თავ-განწირული მხედრით მოვიდა საქართველოში და სთხოვა ადარნასეს, რომ მისთვის სომხეთის სამეფო გვირგვინი ეკურთხებინა. სურვილი აღუსრულეს ადარნასემ და აფხაზეთის მეფემ. ამის

შემდეგ აშოტი ყველგან, სადაც კი შეხვდებოდნენ არაბები, ჰხოცავდა და ჟლეტდა მათ. მაგრამ მაინც ვერაფერი გაა-წყო, რისგამო 920 წელში სომხეთის ქათალიკოზი იოანნე VI მოვიდა ადარნესესთან და სთხოვა შემწეობა. რადგან ადარნასე თვითონაც იყო შევიწროებული და თვითონაც ეძიებდა შემწეობას და ჰფიქრობდა კოსტანტინოპოლში წასვლას შემწეობის სათხოვნელად, ამიტომ უარი უთხრა იოანნეს.

ამისთანა მდგომარეობაში იყვნენ საქართველო და სომხეთი, როცა 923 წელში მოკვდა ადარნასე.

ადარნასეს სიკვდილის შემდეგ გამეფდა ქართლში შვილი მისი სუმბათი I. აფხაზეთის მეფე გიორგი II, შვილი კოს-

ტანტინე I-სა, შემოვიდა ქართლში, აიღო იგი და მეფედ დასვა შვილი თვისი კოსტანტინე. სუმბათს დარჩა მხოლოდ სამცხე, ტაო, ჯავახეთი, თრიალეთი, სამშვილდე, ხუნანის საერისთაო, გარდაბანი, კლარჯეთი. კოსტანტინემ სამი წლის განმავლობაში ბევრჯელ გაიმარჯვა მტრებზე და ამით იმედმიცემულმა 926 წელში მოინდომა სრულიად გაენთავისუფლებინა ქართლის სამეფო აფხაზეთის სამეფოს დამოკიდებულებისაგან. გიორგიმ შეაგროვა დიდ-ძალი ჯარი და გაილაშქრა თავის შვილზე, რომელიც გამაგრდა უფლის-ციხეში. ბევრი ხალხი დაიხოცა, მაგრამ გიორგიმ ვერა დააკლო რა შვილს. ბოლოს ხერხი იხმარა: გაუგზავნა წარჩინებული პირნი და თავის მხედრობის პირით მოახსენა, რომ ვითომ ჯარს ჰსურს მისი გამეფება და მამისთვის ტახტის წართმევა, რისგამო საჭიროა იგი გამოეცხადოს ჯარს. უბედურმა კოსტანტინემ დაუჯერა ამ გვარ სიცრუეს, დაჯდა ტივზე და ღამე გასცურა მის ჯარებისკენ. რამწამ აფხაზებმა დაინახეს, მისი მოკვლა დააპირეს, მაგრამ კოსტანტინემ დროიანად გასცურა მეორე კი-

დემდის და სადღაც მიიმალა. თუმცა მალე მიაგნეს მას და წარუდგინეს გიორგის, რომელმაც სიკვდილით დასაჯა, მისი ადილი კი მისცა თავის მეორე შვილს, ლეონს.

929 წ. კახეთში კვირიკე II (ფადლას შვილი) დროს გარდაბანელებმა მოიწვიეს გიორგი და კახეთის ქორეპისკოპოზის უფლებისაგან განთავისუფლების სურვილი გამოუცხადეს. გიორგი შევიდა კასეთში, დასწვა და დაანგრია ბევრი ადგილები. მაგრამ ზამთრის გასატარებლად დაბრუნდა ატენში, სადაც გამოეცხადა შეშინებული კვირიკე მორჩილების გამოსაცხადებლად. თუმცა მალე კიდევ გაიქცა, მაგრამ მაინც დაჭერილ იქმნა გიორგისაგან. გიორგი ხელ-ახლა შევიდა კახეთში. კვირიკეს ძმამ დაუთმო მას უჯარმის ციხე და ზოგიერთი სხვა ადგილები: ბოჭორმა, ლოწობანი, მარინი და სხვ. კი არ ემორჩილებოდნენ. მაგრამ გიორგიმ ორი უკანასკნელი ციხეებიც რომ აიღო, მაშინ კვირიკემ გამოუცხადა, რომ უთმობს მას კახეთს, ოღონც კი გაანთავისუფლოს და მისცეს ნება, რომ ზამთარი გაატაროს ბოჭორმის ციხეში, გაზაფხულში კი გადასახლდება კახეთიდგან. გიორგი დათანხმდა და აფხაზეთში დაბრუნდა. გაზაფხულზე კვირიკე არა თუ გადასახლდა კახეთიდგან, არამედ უარი ჰყო თავისი პირობანი და ქართლის აზნაურების დახმარებით განდევნა აფხაზები და განათავისუფლა ციხეები.

კვირიკეს მოქმედებამ ძალიან შეაწუხა გიორგი, რომელმაც გამოგზავნა ახალი ჯარები თვისი შვილის ლეონის წინამძღომლობით კვირიკეს დასასჯელად. რამწამ ლეონი შემოვიდა კახეთში, ამას მოუვიდა ამბავი მამის სიკვდილზე. საჩქაროდ დაბრუნდა აფხაზეთში, აღვიდა მამის ტახტზე, გამეფდა ლეონ III სახელობით, შეურიგდა კვირიკეს და დაუთმო მას კახეთი. ეს მოხდა 955 წელში.

სუმბათი მოკვდა 959 წელს, მას დარჩა შვილი, ბაგრატ II რეგვენად წოდებული.

ლეონ III იმეფა 2 წელიწადს და მოკვდა 957 წელში უშვილოდ. გამეფდა მისი ძმა დიმიტრი. ძმა ამისა თეოდოსი, რომელიც იყო გაგზავნილი კოსტასტინოპოლში სწავლის მისაღებად, დაბრუნდა იქიდგან სამცხე ში, შეაგროვა ჯარები წინააღმდეგ ძმისა, მაგრამ დამარცხებულ იქმნა. თეოდოსი დაიმალა ქართლში ძამის ციხეში; მაგრამ სამ თვეს გარს შემორტყმული ციხეები დაემორჩილნენ დიმიტრის იმ პირობით, რომ თეოდოსი გაენთავისუფლებინათ.

ამავე დროს ეკუთვნის გალაშქრება ქართველებისა თორნიკეს წინამძღოლობით, საბერძნეთის იმპერატორის თხოვნისამებრ, წინააღმდეგ იმპერატორის მტრისა – ბარდა სკლირისა. ქართველების შემწეობით ბარდა სკლირი სრულიად დაამარცხა იმპერატორმა. ორთავეს დიდი ალაფი დარჩათ, ამ ალაფით ქართველებმა ააშენეს მრავალი ეკლესიები დასავლეთ საქართველოში და გააშენეს ათონის ავერიის მონასტერი.

თეოდოსი მაინც არ დაწყნარდა. კახეთის კორიკოზის კვირიკე II-ის შემწეობით უნდოდა აფხაზეთის მეფედ გახდომა. მაშინ დიმიტრიმ ხერხი იხმარა: სთხოვა კვირიკეს, როშეერიგებინა ორთავე. კვირიკემ შერიგება მოახდინა იმ პირობით, რომ ორივეს დაევიწყათ თავისი წარსული უკმაყოფილებანი, მტრობა და ძმურად ესარგებლნათ თავეთი მამის ქონებით. შერიგების ფიცი მოხდა მცხეთის სობოროში, სადაც მოვიდენ თეოდოსი, დიმიტრი, კვირიკე და სხვ. ფიცის შემდეგ ორივე ძმები წავიდნენ აფხაზეთში, მაგრამ დიმიტრიმ შეიპყრო ძმა – თვალები დასთხარა და საპყრობილეში ჩააგდო. ამ გვარ უღმერთოებამ ააღელვა აფხაზები, რომელთაც დიმიტრის მეფობა

წაართვეს და, რადგან შვილი ამისი უჭკუო იყო, გამოიყვანეს საპყრობილედგან თეოდოს და მეფედ დასვეს (979 წ.)

ამასობაში კვირიკე შევიდა ქართლში და შემოერტყა უფლის-ციხეს. თავადმა ივანე მარუშიძემ მოიწვია დავით კუროპალატი (გამოჩენილი მეომარი მაშინდელი დროისა) ჯარებით ქართლის დასაჭერად და თუ იგი ამას არ იზამდა – მიეცა შემწეობა ამ საქმის აღსასრულებლად კუროპალატის გურგენის შვილის ბაგრატისათვის, შვილის-შვილისათვის ბაგრატ რეგვენისა.

დავითი დაეთანხმა. შემოვიდა ქართლში, გააგდო კვირიკე და გაამეფა ქართლში თავისი შვილობილი ბაგრატი III.

ბაგრატ III-ის გამეფება (980 წ.) ძალიან სასარგებლო იყო საქართველოს სამეფოს გასაძლიერებლად. ბაგრატი, რადგან მცირე წლოვანი იყო, ქართლს განაგებდა დავითი. ამ დროს არაბების სიძლიერესაც ბოლო ეღებოდა. მათი ვრცე-

ლი სამეფო სუსტდებოდა შინაური შფოთის და უთანხმოების გამო. ამიტომ თბილისის ემირს ძალიან მცირე გავლენა ჰქონდა საქართველოს შინაურ საქმეებზე.

ამავე დროს ქართლში კიდევ გაჩნდენ წინააღმდეგნი პირნი, რომელნიც ებრძოდნენ მეფეს. ამათი მოთავე იყო ქავთარა ტბელი, რომელმაც მოიწვია კვირიკე, აიღო უფლის-ციხე და დაატყვევა გურგენი და ბაგრატი, მაგრამ დავითი დაეცა და გაანთავისუფლა იგინი, კვირიკე კი გაგიდა ქართლიდგან.

ამავე დროს აფხაზე შიაც აღელვებული იყო აზნაურობა, რადგან ბრმა თეოდოსი ვერ ჰმართავდა სამეფოს. ამით ისარგებლა იმავე ივანე მარუშიძემ და იმდენი ეცად, რომ თავის მხარეს გადმოიბირა უმთავრესი ნაწილი აფხაზეთის დიდ-კაცობისა და ჩააგონა მათ, რომ მოეწვიათ მეფედ ბაგრატი.

აფხაზებმა გამოუგზავნეს დავითს შუა კაცები და სთხოვეს შვილი მეფედ აბხაზეთისა. დავითი დათანხმდა, როცა ამანათები მოსცეს წარჩინებულ გვარებიდგან. მაშინ დავითმა დალ.ცა თავისი შვილი და გაისტუმრა ქუთაისში, აფხაზეთის სამეფოს დედა-ქალაქში, სადაც ხალხმა შეჰფიცა მას ერთგულობა. ასე 995 წელში შაერთდნენ აფხაზეთ-ქართლის სამეფონი.

გაძლიერება საქართველოსი.

გამეფება ბაგრატისა. – ქავთარ-ტბელი. – რატი ორბელიანი. – რატის მიემხრობა დავით კუროპალატი. – დამორჩილება რ. ორბელიანისა. – სიკვდილი ბაგრატ რეგვენისა და დავით კუროპალატისა. – დამორჩილება კახეთისა, ჰერეთისა. – სწავლა-განათლება, ხელოგნება. – სიკვდილი ბაგრატ III-სა.

980 წელს გამეფდა თუ არა ბაგრატი დაამშვიდა აფხაზეთის ხალხი და ადრინდელი მეფე და ბიძა თვისი – თეოდოსი გაისტუმრა თავის მამის, დავით კუროპალატის ქვეყანაში, რადგან ეშინოდა, რომ მას ხალხი არ აეღელვებინა. აფხაზეთში ჩამოაგდო წესი და სიმშვიდე, მაგრამ ამავე დროს იმერეთში ქავთარ-ტბელის თაოსნობით ზოგიერთებმა განიზრახეს განთავისუფლება ქართლისა ბაგრატის დამოკიდებულებიდგან. წინააღმდეგნი შეიყარნენ და გამაგრდნენ ლისის მთებში. ქართლის დიდ-კაცობა პატივს აღარ სცემდა დროებით მმართველს ამ ქვეენისას – ბაგრატის დედას.

მეფემ გაიგო თუ არა ეს ამბავი, დიდ-ძალი ჯარით გადმოვიდა ლისზე, შეებრძოლა, დაამარცხა, შევიდა ქართლში,

დაამშვიდა და მერე წავიდა იმერეთში; თავის დედაც თან წაიყვანა. მაგრამ წინააღმდეგნი მებრძოლნი მაინც არ დაწყნარდნენ.

რამდენიმე წლის უკან ხელ-ახლად აჯანყდნენ. ამათი მოთავე იყო რატი ორბელიანი, *) რომელსაც ჰქონდა დიდი მამულები ატენიდგან მოკიდებული კიდე-კარამდე და თრიალეთამდე, მასვე ეკუთნოდა მანგლისი და სკვირეთი. რატიმ გადიბირა თავისკენ დავით კუროპალატიც, რომელიც რაღაზედაც გულ-ნაკლული დარჩომილი იყო თავის შვილზე, აგრეთვე ბაგრატ რეგვენი, რომელიც შეესია შავშეთს. დავითი გამაგრდა თრიალეთში; აგრეთვე რატიმ დაიჭირა ატენს და მანგლისს შუა ადგილები. ბაგრატი გაკვირვებული და გაოცებული მამის ამ გვარ ყოფა-ქცევისაგან, მოვიდა ჯარით თრიალეთში, ცხენით მარტო წავიდა მამის ბანაკში მოსალაპარაკებლად და თავის გასამართლებლად. დავითმა მართლაც დიდის სიხარულით მიიღო ისა და შეიწყნარა მისგან თავის განმართლება, დაითხოვა თვისი ჯარები და შინ დაბრუნდა.

ბაგრატი არ შეება საბრძოლველად გამზადებულ რატს, დაბრუნდა აფხაზეთში. ზამთარი რომ დადგა – რატიმ თავის ჯარის კაცები დაითხოვა, – სიჩქარით ჩამოვიდა ქართლში და კიდე-კარს (ეხლა წალკა) შემოერტყა. თავ-ზარ-დაცემულმა რატიმ სრულიადი მორჩილება გამოუცხადა. ამის ნიშნად მისცა მას შვილი – ლიპარიტი, თვითონ კი საცხოვრებლად, ბაგრატის სურვილისამებრ, არგვეთში წავიდა.

---

*) შესანიშნავი გვარი ესე მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინ ჩი ნეთიდგან გამომავალად ითვლება. ორბელიანებს ჰქონდათ და აქვთ დიდ-ძალი მამულები საქართველოში. საქართველოს ისტორიულ ჩარხის ბრუნვაში, მეფის შემდეგ, ორბელიანთ ეკავათ პირველი ადგილი.

994 წ. მოკვდა ბაგრატ II რეგვენი.

1001 წ. მოკვდა დავით კუროპალატი, რომელმაც თავის ქვეყნები დაუტოვა იმპერატორს ვასილის და არა ბაგრატს, როგორც პირობა ჰქონდა. ვასილი მოვიდა თავის მიწების გასაშინჯავად. აქ მოხდა შეტაკება გურგენს და მის შორის, და გათაგდა მით, რომ ვასილი შეურიგდა გურგენს და დაუთმო მას ტაოს ნაწილი.

გურგენის სიკვდილის შემდეგ (1008 წ.) ბაგრატ III-მ გაამრავლა ჯარების რიცხვი. ამ ჟამად მას ჰქონდა დაკავებული თითქმის მთელი უწინდელი საქართველო, გარდა კახეთისა. მან ითხოვა ქორეპისკოპოსის დავითისაგან (კვირიკე II მოადგილე) სრულიადი მორჩილება და ზოგიერთი ციხეების დათმობა. ამაზე დავითმა ომის გამოცხადებით უპასუხა. 1010 წ. ბაგრატი თიანეთიდგან შეესია კახეთს, დაიმორჩილა ისა, დაატყვევა მმართველი დავითი და მთელი ეს ქვეყანა თავის ერისთავებს გაუნაწილა – მერე შევიდა ჰერეთში და მმართველი მისი მეფა–დინარ ტყვეთ ჰყო და ეს ქვეყანა გაანაწილა თავის წარჩინებულთ პართა შუა.

ვახტანგ გორგ-ასლანის შემდეგ სამხედრო საქმეებში არ გამოჩენილა ბაგრატის თანაბარი. ამან დაიმორჩილა განჯის ემირი – ფადკონი, რომელიც ხშირად ეცემოდა კახეთს. ადირ-

ბეჟნის და სომხეთის მმართველნი მას აძლევდნენ ხარკს. სპარსეთის მეფე და იმპერატორი ვასილი მის მეგობრობას დაეძებდნენ. ვასილი შველოდა ბაგრატს ეკლესიების აშენებაში.

სამუდამო ადგილ-სამყოფელი ბაგრატისა იყო ხან ქუთაისი, ხან უფლის-ციხე. თბილისში იმ დროს იმყოფებოდა არაბებისემირი (VII საუკუნიდგანვე), რომელსაც ჰქონდა აქ თავის სა-

სახლე, თბილისში და მის მიდამოში სცხოვრობდნენ თათრები. ამის გამო ქართველობას არ უყვარდა თბილისი.

ბაგრატიდგან იწყობა გაძლიერება ქართველთა. თვით ბაგრატი იყო ღონიერი, ბრძენი დ განათლებული მეფე. ის დაუსვენებლად ამდიდრებდა თავის დაცემულს სამეფოს. მის დროს აღებ-მიცემა, ხვნა-თესვა, სწავლა-განათლება წარმატებაში შევიდნენ. დანგრეულ-დაქცეული შენობანი მეფემ ხელ-მეორედ ააგო; ძველები განაახლა; აგრეთვე ააგო მრავალი ახალი ეკლესიები და ტაძრები. ქუთაისის შესანიშნავი სობოროს საძირკველი ჩააგდო 1003 წელში და ამ სობოროს ასაგებად იხმარა ბევრი მეცადინეობა და დახარჯა დიდ-ძალი ფული. სობორო მარმარილოს ქვით იყო აშენებული. დიდებულ სობოროდგან ეხლა დარჩომილა მხოლოდ ნანგრევები. მცხეთის დაძველებული სობორო ბაგრატმა სრულიად განაახლა, ბედიის ტაძარი (აფხაზეთში) აგრეთგე ეკუთვნის ამ მეფეს. იუსტინიანეს ეკლე–სიასთან (მარტვილში) ბაგრატმა ააშენი მონასტერი, რომელიც გახადა ადგილ-სამყოფელად ეპისკოპოზის ჭყონდიდელისა. *) ქალაქების და ციხეების რიცხვი ამის დროს გამრავლდა. იმ დროინდელ ქალაქთა შორის შესანიშნავები არიან: ახალ-ციხე დ ახალ-ქალაქი. საეკლესიო და საერო ლიტერატურამ ფეხი გაიდგა. ახალ-გაზდა ქართველები სწავლის დასასრულებლად მიდიოდნენ საბერძნეთში და სწავლით აღჭურვილნი ბრუნ-

*) ჭყონდიდელი იყო პირველი მინისტრი მეფისა. ჭყონდიდელს ირჩევდნენ იმისთანა პირთაგან, რომელნიც ცნობილნი იყვნენ თავის მაღალ ზნეობით, სწავლა-განათლებით. ჭყონდიდელი იყო მოთავე ყველა მწიგნობართა. აგრეთვე მფარველი ქვრივ-ობოლთა. იგი პირველად გადასცემდა მეფის ნებას საერო და სასულიერო მმართველებს. ომის დაწყების წინ იგი უძღოდა ჯარს ჯვარით, ლოცავდა მათ და მერე, ბრძოლის დროს, თითონ უკან მოექცეოდა ხოლმე და ამხნევებდა მათ.

დებოდნენ თავის სამშობლოს გასანათლებლად. ამ დროს ერთმა უგანათლებულესმა და წმიდა პირმა – ექვთიმემ *) გადმოიღო ქართულს ენაზე 920 წიგნი საერო და სასულიერო ლიტერატურიდგან. ბაგრატის მეფობის დროსვე სცხოვრობდნენ ათონის მთაზედ გამოჩენილნი მსწავლულნი და წმიდანნი: იოანნე ხახულელი, ოქროპირად წოდებული, იოვანნე პატრიკი, შესანიშნავი მწერალი და გადმომღები პლატონის და არისტოტელის ფილოსოფიათა და წმ. გიორგი მთაწმინდელი, რო-

მელმაც დაასრულა თარგმანი სასულიერო წიგნთა. პირველი ს-ხარება იოანესაგან გადმოითარგმნა ამ დროს. **)

შორეულ იერუსალიმსაც გასწვდა ხელი ბაგრატისა. იქ მან ააშენა მონასტერი ქართველთათვის. ეხლა ბერძენთ ხელ-შია ჩავარდნილი. წინეთ იქ სწავლობდნენ ახალ-გაზდა ქართვე-ლები. მონასტერს დიდი მამულები აქვს ნაჩუქები საქართვე-ლოში ჩვენი მეფეებისაგან.

ბაგრატი გარდაიცვალა 1015 წ. და დაიმარხა ბედიის მონასტერში.

მეფობა გიორგი II-სა.

გამეფება გიორგი I-სა. – კვირიკე იპყრობს კახეთს, ჰერეთს და შვიდ საერისთაოდ ჰყოფს. – განზრახვა ოსეთის მთავრისა და მისი სიკვდილი. – იმპერატორი ვასილი II იპყრობს ზემო ქართლს. – ლიპარიტ ორბელიანი შველის მეფის მტერს. – სი-კვდილი გიორგისა და კვირიკესი.

თავის მამის სიკვდილის შემდეგ რომ 1015 წელს გა-მეფდა გიორგი I, კვირიკე III, განდევნილმა კახეთიდგან, მიიბირა ზოგიერთი გავლენიანი პირები და ამათ შემწეობით

---

*) ეს იყო შვილი თორნიკესი, რომელმაც შეაკეთა საბერძნეთში ათონის მონასტერი, წოდებული ივერიის მონასტრად·

**) ეს სახარება ახლაც ინახება თ, ივანე გრუზინსკის სახლში.

დაიპყრო, როგორც კახეთი, ისე ჰერეთი. პირველში დააარსა სამი საერისთო: რესთავში, ქვეტერში და პანკისში; მეორე-ში ოთხი: ხორნაბუჯში, ვეჯინში, მაწეხში და სტორში, და თვითონ გამეფდა: სატახტო ქალაქად ჰქმნა თელავი და ისე გაძლიერდა, რომ საშიშო შეიქმნა როგორც ქართლისათვის, ისე ოსეთისათვის; ოსეთის მთავარს – ორდურეს უნდოდა შეე-მცირებინა გავლენა კვირიკესი და დაესუსტებინა იგი, რამდენა-თაც შეეძლო. ამიტომ თიანეთიდგან შემოვიდა კახეთში, მა-გრამ დამარცხებულ და სიკვდილით დასჯილ იქმნა.

გიორგის იმდენი ძალა არა ჰქონდა, რომ კვირიკე დაემორჩი-ლებინა, ამიტომ შეჰკრა დაახლოვებული ზავი სპარსეთის მეფეს-თან, რომ მის შემწეობით მაინც მორჩილებაში ჰყოლოდა განჯის ხანი, მაგრამ ამ ზავმა უფრო მეტი უბედურება დაჰ-მართა: ბერძნების იმპერატორმა – ვასილი II-მ არ მოუწონა ყოფა-ქცევა გიორგის და 7 წლის შემდეგ შემოესია ზემო ქართლს, აიკლო და ააოხრა ისა და დაამარცხა გიორგი სო-ფელ შარივთან და ზემო ქართლში აიღო.14 ციხე. იმპერა-ტორს შველოდა უძლიერესი ერის-თავი ქართლისა – ლიპარი-ტი. გიორგი იმპერატორს შეურიგდა. ვასილიმ დაინარნუნა და-კავებული ადგილები და მძევლად წაიყვანა შვილი გიორგისა – ბაგრატი, რომელიც პირობისამებრ, სამი წლის შემდეგ უნდა

გაენთავისუფლებინა ვასილს. ბაგრატი რომ დაბრუნდა, გიორგიმ იცოცხლა კიდევ ორი წელიწადი და შემდეგ მოკვდა; ამის სიკვდილის წლის თავზე, მოკვდა კახეთის მეფე – კვირიკე, რომელიც 1027 წელს მოჰკლა მისმა მონამ – ოსმა.

გიორგის მეფობა არაფრით არ არის შესანიშნავი ბრძოლის გარდა. მრთელი მისი მეფობის დრო ხალხმა ბრძოლაში გაატარა.

მეფობა ბაგრატ IV-სა.

განხეთქილება საბერძნეთს და საქართველოს შუა. – პოლიტიკა ბანიის ეპისკოპოსისა და მისი მომხრეებისა. – შერიგება ქართველებისა და ბერძნებისა. – ბაგრატი ირთავს ელენეს. – ქუთაისის სობოროს შენობის დასრულება. – გამარჯვება ქართველებისა დვინის ემირ ფადლონზე. – თბილისის განთავისუფლების სურვილი. – ომები კახელებთან. – ლიპარიტ ორბელიანის გაძლიერება და მისი ომები მეფესთან ბერძნების შემწეობით. – სიკვდილი ლიპარიტისა.

კოსტანტინე IVმ9 გამეფებისავე უმალ დაარღვია მეგობრული განწყობილება საქართველოსთან. ვასილისაგან განთავისუფლებული ნორჩი ბაგრატი რომ საქართველოში მოდიოდა, კოსტანტინემ გამოადევნა თავისი კაცები, რომ შეეპყრათ ბაგრატი და უკანვე, კოსტანტინოპოლში წაეყვანათ. მაგრამ წადილი ვერ აღუსრულდა, თუმცა მის ყოფა-ქცევამ ორივ სახელმწიფოთ შუა ჩამოაგდო განხეთქილება.

1028 წელში ვაჩე კარანიძე და ბანიის ეპისკოპოსი – იოანნე, რომელთაც დიდი გაგლენა ჰქონდათ ტაოს-კარში, განუდგნენ ბაგრატს და თავის ციხე-ქალაქები დაუთმეს კოსტანტინეს, რომელმაც გამოგზავნა ჯარები თავის ხაზინადრის წინამძღოლობით. ამან ჯარების გარდა იხმარა ოქრო და ამ ორის იარაღით დაიმორჩილა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და მერე მოადგა ციხე კიდე-კარს, რომელშიაც ზოგიერთი აზნაურებით იყო გამაგრებული ლიპარიტ ორბელიანი – ქართველი ჯარების უფროსი. მაგრამ ბერძნებმა, რომ აიკლეს ამ აზნაურების მამულები, შეშინდნენ ისინი და მტრის მხარეს გადვიდნენ. ამასთანა გაჭირებულ დროს ბერძნების წინააღმდეგ ამ

ხედრდა ტბეთის ეპისკოპოსი საბა, რომელმაც გაამაგრა ეკლესიები და ციხეები თავის ეპარქიისა და მარდათ წინ დაუხვდა მტრებს და იმდენი ეცადა, რომ მტრებმა ფეხი ვერ შემოსდგეს ამ ქვეყანაში. ამისმა მაგალითმა გაამხნევა არტანუჯის ერისთავი – იოანნე აბუსერი, რომელმაც შეკრიბა თავისი ჯარები და მტერი დაამარცხა.

ქართველთა სასიხარულოდ იმავე წელიწადს (1028) მოკვდა კოსტანტინე და გამეფდა რომანოზ აგრირი, რომელ-

მაც გაიწვია თავისი ჯარები საქართველოდგან.

ამ გვარი პოლიტიკა იმპერატორისა ძალიან მოეწონა ბაგრატს; მაშინათვე მეგობრობის გამოსაცხადებლად გაუგზავნა ქათალიკოზი – მელქისედექი, რომელიც დიდის სიყვარულით მიიღო იმპერატორმა და საჩუქრებით გამოისტუმრა. სამი წლის შემდეგ კოსტანტინოპოლში გაემგზავრა აგრეთვე დედა ბაგრატისა – მარიამი, რომელმაც გამოუცხადა რომანოზს ერთგულება შვილისა და ქართველთ ხალხთა და სთხოვა მას, რომ კუროპალატობა ებოძა ბაგრატისათვის, აგრეთვე მიეთხოვა მისთვის თვისი ნათესავი – ელენე (ვასილი აგრირის შვილი). იმპერატორმა აღუსრულა წადილი მარიამს. ელენეს მზითვად მრავალ განძეულთა შორის მისცა ერთი ლურსმანი ქრისტეს ჯვრისა და ხატი ოქონის ღვთის მშობლისა. ამ გვარად ჩამოვარდა მეგობრობა საქართველო-საბერძნეთ შუა.

ელენე მოვიდა ქუთაისში, სადაც მოხდა ქორწილი 14 წლის ბაგრატისა, ახალ-გაზდა მეფემ დაასრულა შენება ქუთაისის სობოროსი და გარდაიცვალა უძეოდ.

1036 წ. დიდ-ძალი ჯარებით დვინის ემირი – ფადლონი (აბულ-სევერი) შეესია აღმოსავლეთ ნაწილს სომხეთისას, რომლის მეფემ დავითმა სთხოვა შემწეობა ბაგრატს. ბაგრატმა ლი-

პარიტ ორბელიანის და იოანნე აბაზაძის წინა-მძღოლობით მიაშველა 4,000 კაცი. ამათ შეუერთდნენ აგრეთვე: კახეთის მეფე გაგიკი (შვილი კვირიკე III-სა), დასავლეთ სომხეთის მეფე – იოანნე და თბილისის ემირი – ჯაფარი. მინამ ეს ჯარები უშველიდნენ, ფადლონმა უმეტესი ნაწილი სომხეთისა აიკლო, მაგრამ შემწეობა რომ მოვიდა საქართველოდგან, ფადლონი სრულიად დამარცხდა, დასტოვა დიდი ალაფი, გაიქცა და მალე მოკვდა.

ამ გამარჯვებამ მეტად გაამხნევა ლიპარიტ ორბელიანი და ი. აბაზაძე. ამათი ფიქრით ეს დრო ძალიან მარჯვე დრო იყო თბილისის განთავისუფლებისათვის და მის ემირის ჯაფარის დამარცხებისათვის. ესენი დაეცნენ მის სამფლობელოს დასავლეთის მხრით და კიდეც აიღეს ბირთვისი. ბაგრატს არ მოეწონა მათი ამ გვარი მოქმედება და არა თუ მისცა ნება სხვა ადგილებიც აეღოთ, არამედ უბრძანა, რომ ბირთვისი დაებრუნებინათ ჯაფარისათვის. ლიპარიტი თავისას არ იშლიდა და იმდენი ეცადა, რომ მეფე დაიყოლია და დაითანხმა, რომ ამას (მეფეს) თითონვე ეწინამძღოლა ჯარისათვის მტრებზე დასაცემათ და საქართველოს განსათავისუფლებლად. 1038 წ. შეესივნენ ემირს: დასავლეთის მხრით იმერეთის და ქართველების ჯარები, აღმოსავლეთის მხრით კახელებისა. ორმა წელიწადმა განვლო, მაგრამ თბილისი ვერ აიღეს; მცხოვრებლები, ყოვლის მხრით დაკეტილები, ძალიან შევიწროვდნენ. ამასობაში ქართლელებმა და იმერლებმა აიღეს ორი სიმაგრე: ორბისი და ფარცხისი. ჩამოვარდა დიდი შიმშილი დამწყვდეულ ხალხში, რომელმაც ბოლოს განიზრახა დამორჩილებოდა ბაგრატს. ემირმა ჯაფა-

რმა ღამე ტივით გაპარვა მოინდომა. საქმე რომ ამ ნაირად ბოლოვდებოდა, ლიპარიტის მტრებმა მეფეზე ისეთი გაგლენა

იქონიეს, რომ იგი იძულებული იქმნა დაეტოვა ჯაფარი თბილისშივე ემირად და ჯარები უკან დაებრუნებინა.

ამ გვარმა მეფის მოქმედებამ ააღელვა ლიპარიტი და აგრეთვე კახეთის ჯარი, რომელიც თბილისში მოელოდა დიდს დავლას. ამისთვის მეფე განრისხდა კახელებზე, შევიდა კახეთში და მთის ყელ-გაბრიელის ახლოს შეება კახეთის ჯარს, სრულიად დაამარცხა იგი, დაატყვევა უკეთესი მათი მხედრები – ერისთვები: პანკისისა – სტეფანოზი, ხორნაბუჯისა – ვაჩე, სტორისა – რაჯე და სხვანი. მერე შევიდა თიანეთში, დასწვა მშვენიერი ბოჭორმის სასახლე, კვირიკე III-საგან აშენებული, და დაბრუნდა ქართლში.

იმ დროს, როდესაც ბაგრატი არბევდა კახეთს, ლიპარიტი ემზადებოდა მეფესთან საბრძოლველად. ლიპარიტმა საბერძნეთიდგანაც ჯარები მოიშველა. მაგრამ რამწამს გაუგო განზრახვა მეფემ, მაშინვე შევიდა ჯავახეთში და გაამაგრა ახალქალაქი, ლიპარიტი კი დაეცა ატენს, რომელსაც იცავდნენ თმოგვის ერისთავები – ფარსმანი და თუხარისისა – ბეშკენ ჯაყელი. 1041 წ. ბერძნების ჯარები უკანვე დაბრუნდნენ, მეფე შეურიგდა ლიპარიტს და მისცა ქართლის ერისთაობა. 1042 წ. ჯაფარი მოკვდა და ბაგრატი უთავო ქალაქმა მოიწვია. ამ დროს მეფე ანაკოპიას გარს შემორტყმოდა თავის ჯარებით, რომ გაენთავისუფლებინა იგი ბერძნებისაგან. ბაგრატმა იქ თავის ჯარები ჯაჯანას ხელ-ქვეით დასტოვა და თვითონ წამოვიდა თბილისში, სადაც დიდის ამბით მიეგება მას ხალხი, გარდა ერთი ნაწილი ქალაქისა – ისნისა. ისნელებმა დასწვეს ხიდი და არ ემორჩილებოდნენ ბაგრატს, მაგრამ მალე ესენიც დამორჩილდნენ.

1045 წ. ლიპარიტი კიდევ შეება მეფეს. ამ წელს ბერ-

ძნებმა განიზრახეს დაეკავათ ერთი ნაწილი სომხეთის სამეფოსი, ამიტომ გაიწვიეს კოსტანტინოპოლში შვილი აშოტისა – გაგიკი II და იქვე დაანარჩუნეს; სომხეთისათვის კი თვისი საკუთარი მმართველი უნდა გამოეგზავნათ, მაგრამ მინამ ისინი გამოგზავნიდნენ, სომხები გაიყვნენ სამ ნაწილად: ერთს უნდოდა მეფედ დავითი, მეორეს აბულსევერი, მესამეს საქართველოს მეფე – ბაგრატ IV. რაწამს ბაგრატს მოუვიდნენ მოციქულები სომხეთიდგან, იმ წამსვე გაგზაგნა ჯარები არტანუჯის ურისთავის – აბუსერის წინამძღოლობით სომხეთში, რომ აეღოთ სატახტო ქ. ანი, რომელიც მართლა მსწრაფლად აიღეს. ანში მოვიდა დედა ბაგრატისა – მარიამი. ეს რომ გაიგო კოსტანტინე მონომახმა, გამოუგზავნა ლიპარიტს დიმიტრის წინამძღოლობით ჯარები და უბრძანა წაერთვა ბაგრატისათვის

არა თუ ანი, არამედ მთელი სამეფოც და გაემეფა დიმიტრი.

ლიპარიტი დაეცა ქ. ანს; მოტყუებით გამოიწვია მოსალაპარაკებლად ანის მცველები: აბუსერი, იოანნე როდიონი და გურამ გოდერძიანი და დაატყვევა ისინი; მერე ქალაქიც აიღო. ამ დროს ბაგრატი იყო თბილისში; საჩქაროდ წავიდა ჯავახეთში, სადაც მესხეთში ჯერ შემწეობას დაჰპირდნენ, მერე უმტყუვნეს და ლიპარიტის მხარეს გადავიდნენ. ამათ შეუერთდნენ კახელებიც. აქ შეტაკება არ მომხდარა. გავიდა ზაფხული, შემოდგომა და ზამთრობისას მეფე დაბრუნდა ქართლში·

1046 წ. მეფეს მოეშველნენ 4,000 ვაღაგნი (ვარიაგები). ბაგრატმა გაამაგრა ბამი და წავიდა ჯარებით სასირეთში, სადაც ბაგრატი მტრებისგან დამარცხებულ იქმნა. ამ ბრძოლაში მოკლეს დიმიტრაც.

ამ დამარცსების შემდეგ მეფეს ორი გზაღა დარჩა: ან უნდა

შერიგებოდა ლიპარიტს, ან გაქცეულიყო ქართლიდგან. მეფემ პირველი არჩია. სოფლებში დასტოვა თავისი ჯარები და თითონ მცირე ამალით წავიდა ლიპარიტის სანახავად. მაგრამ ლიპარიტს სინიდისმა ნება არ მისცა, რომ შეხვედროდა ბაგრატს. ამიტომ დაიმალა და არ ინახულა მეფე, რომელიც შერიგებაზე იმედ დაკარგული დაბრუნდა იმერეთში.

ამასობაში კალმახის ერისთავმა – სულამ და არტანუჯისა – გრიგოლმა და ზოგიერთ მესხეთის აზნაურებმა შეაგროვეს ჯარები და მოიწვიეს ბაგრატი. მცხეთიდგან ბაგრატი დაუყოვნებლივ მოვიდა და შეუერთდა მათ არკის-ციხეში. ლიპარიტი მყისვე კახელებით, ბერძნებით და სომხებით დაეცა არკის-ციხეს და აიღო. ბაგრატი გაიქცა ქუთაისში. სულა და გრიგოლი დაატყვევეს და საშინლად განაწვალეს საპყრობილეში.

ლიპარიტი ამის შემდეგ შემოვიდა ქართლში და თავისუფლად ჰმართაგდა მას.

იმავე 1046 წ. ლიპარიტი ებრძოდა დვინის ემირს, მერე ერთი წლის შემდეგ იმპერატორმა გაამხედრა ოსმალების წინააღმდეგ, რომელნიც მცირე აზიას შემოესივნენ, ამგრამ დამარცხებულ და ტყვედ წაყვანილ იქმნა.

ამ დროს ბაგრატი თავად-აზნაურობამ და ლიპარიტის შვილებმა –იოანნემ და ნინიამ მოიწვიეს და გადასცეს მას ყველა ქალაქები და ციხეები, აგრეთვე თბილისიც.

მაგრამ ლიპარიტი მალე პატივებულ იქმნა და პირ-დაპირ კოსტანტინეპოლში წავიდა, საიდგანაც კაი ძალი ჯარით წამოვიდა საქართველოში. ბაგრატი შეშინდა და უკანვე, ქუთაისში დაბრუნდა, – ლიპარიტი კი ქართლში შევიდა.

ბოლოს, ბაგრატი რომ თავისით ვერას გახდა, თვითონ თავის დედით – მარიამით წავიდნენ საბერძნეთში და სთხოვეს-

კოსტანტინე მონომახს, რომ შემწეობა არ მიეცა ლიპარიტი-სათვის. კოსტანტინემ პატივით მიიღო იგინი, მაგრამ სამი წლის განმავლობამდე შეინახა თავისთან და მერე დიდ-ძალის განძეულით და საჭურჭლით გამოისტუმრა. იმერლები დიდის სიხარულით მიეგებნენ მეფეს. მის დაბრუნებამ გაახარა ხალხი აგრეთვე ქართლშიაც და ყველგან თვისი ცუდი ხასიათის გამო ლიპარიტი უკვე მოძულებული იყო. სულა-კალმახელმა და სხვა მესხეთის დიდ-კაცობამ დაატყვევეს ლიპარიტი და შვილი მისი იოანნე და ბაგრატს მიჰგვარეს. ხალხს უნდოდა მათი ჯვარცმა, მაგრამ მეფემ აპატივა ლიპარიტს და ხელახლად დაუმტკიცა ყველა მისი საკუთარი მამულები და არგვეთი. ამაყმა ლიპარიტმა აქ ვეღარ მოისვენა სირცხვილისაგან, წავიდა კოსტანტინოპოლში და იქ გარდაიცვალა.

შემოსევა არპ-ასლანისა.

ლიპარიტ ორბელიანის სიკვდილის შემდეგ (1059 წ.) ბაგრატმა თითქმის ყველა ციხეები კახეთისა და ჰერეთისა აიღო. ამის დროს მრავალნი დანგრეულნი შენობანი განახლდნენ და აშენდნენ ახალნიც. წარმატების ხელ-შემწყობი იყვნენ ქა-თალიკოსი მელქისედეკი და დიდი მასწავლებელი წმიდა გი-ორგი მთაწმინდელი.

სამწუხაროდ, ბოლოს დროს ბაგრატის ნამოქმედარს და ნაღვაწევს სამარე გაუთხარა არპ-ასლანმა, რომელმაც 1063 წ. დაიმორჩილა თურქესტანი, ხოვარეზმი და 1064 წ. შემოე-

სია საქართველოს და სომხეთს. სულთანს უნდოდა დაემხო და მოესპო ქრისტიანობა ამ ქვეყნებში.

არპ-ასლანმა აამხედრა სპარსები, ოსმალები და შემოვი-და ალბანიაში; აქ გაანადგურა ქრისტიანობა, მერე გაუგზავნა მოციქულები კვირიკეს და სთხოვა ცოლად ასული: კვირიკე შიშის-გამო დაყაბულდა და ქალაქ ლორში წარუდგინა მტერს ქალი და ამით იხსნა თვისი პატარა სამეფო გაოხრებისაგან. აქედგან არპ-ასლანი წამოვიდა თრიალეთზე. ბაგრატი ამ დროს სცხოვრებდა ხეკრებულში (ტაოსში) და არ იცოდა თუ რა მოელოდა. ამიტომ მტრებმა მოკლე დროში დაიმორჩილეს და გაანადგურეს შავშეთი, კლარჯეთი და ტაო, ვიდრე ფანასკერ-ტამდე; აგრეთვე თორი და ღვევი. მერე დაბრუნდნენ თრიალე-თში, – სამი დღის შემდეგ შევიდნენ ჯავახეთში და შემოერტყნენ ახალ-ქალაქს, რომელიც იყო მდიდარი, მრავალ-ხალხიანი ქა-ლაქი და ჰქონდა მაგარი ციხეები. ციხე აიღეს; გარდა მო-ხუც ქალთა და ყმაწვილთა, რომელნიც ტყვეთ წაიყვანეს, ყველა დახოცეს; ქალაქი დაანგრიეს და დაამარცხეს. აქედგან მდინარე ხრამის ხეობით გაიარეს სამშვილდე და შემოერტენენ

ციხე–ლალს, რომელიც მოშენებულ იყო ორ მაღალ მთაზე
და ორივე მხრით ჩაუდიოდენ ჩქარი მდინარეები. თუმცა
ასეთი მაგარი ადგილი ეკავა ამ ციხეს, მაგრამ მაინც მტრებმა
აიღეს და დაანგრიეს. აქედგან წავიდნენ ქალაქი ანის
ასაღებად; ყარსის და ანის აღების შემდეგ დაბრუნდენ სპა-
რსეთში; მეფე ბაგრატმა დაიწყო თავის ხალხის დამშვიდება
და შენება იმ ადგილებისა, რომლებიც გაანადგურეს მტრებმა.
1086 წ. ბაგრატი გამხედრდა კახეთის მეფის – აგსარტანის წი-
ნააღმდეგ, რომელიც ხსენებულ უბედურობის დროს გამოვიდა
ბაგრატის მორჩილებიდგან. მეფე ბაგრატს მიემხრნენ ყველა

გამოჩენილი გვარები ჰერეთისა, გარდა აგსარტანისა. სამწუხა-
როდ, დამორჩილებას მთელის კახეთისას დაუშალა არპ-ასლა-
ნის ხელ-მეორედ შემოსევამ კახეთში. შეშინებული ბაგრატი
დაბრუნდა ქართლში, ხალხი კი შიშის-გამო. შეიხიზნა მთებ-
ში.

ამ ქვეყანაში რომ შემოვიდა განძვინებული მტერი, მას
დახვდა აქ მხოლოდ აგსარტანი, რომელმაც წარუდგინა ასლანს
საჩუქრები და ნიშნად მორჩილებისა მაჰმადიანობა მიიღო. არპ-
ასლანი ამით დაკმაყოფილდა და აგსარტანი თან გაიყოლია.
კახეთიდგან მოკიდებული მტკვრამდე დასწვა-დაანგრია ყველა-
ფერი, რაც წინ შეხვდა. მტკვრის პირზედ დახვდენ მას
თბილისის თათრები, რომელთაც გადიყვანეს მეორე კიდეზე.
ურიცხვი თვისი ჯარი არპ-ასლანმა რამდენიძე დასად გაჰყო:
ეს დასები ქართლის ყველა მხრისკენ გაგზავნა, რომ ერთბაშად
გაენადგურებინათ ეს ქვეყანა. ჩვენი ხალხი ტყე-ღრეში დაიმა-
ლა. მეფე ბაგრატი ვერც ერთგან ვერ შეება მტერს, რადგან
იყო დარწმუნებული, რომ ვერას გაიტანდა. არპ-ასლანი უში-
შრად იწეოდა წინ; მთელი ქართლი სრულიად მოაოხრა და
გადვიდა იმერეთში, რომელიც ციხე სვერამდე ქართლივით
მოაოხრა და მერე ზამთრის დროს დაბრუნდა ქართლში. ეს
ქვეყანა ადამიანის სისხლით მორწყა ამ მხეცმა, მრავალი ხალხი
ტყვე ჰყო, მერე ითხოვა ბაგრატისაგან ხარკი და მშვიდობი-
ანობის ჩამოგდებას დაჰპირდა. მაგრამ სასტიკმა ყინვებმა აღარ
მოაცდევინეს პასუხის მიღებამდე. იგი დაბრუნდა სპარსეთში,
თბილისი კი გადასცა განჯის ემირს, რომელსაც უბრძანა,
რომ მუდამ შიში არ მოაკლოს საქართველოს.

ესეთი იყო მეორედ შემოსევა არპ-ასლანისა. ხალხი და-
შინებული და თავ-ზარ დაცემული იყო. ამ შემთხვევის უბე-

დურებას დაემატა კიდევ სხვა უბედურებაცა: მო.მავალ გაზა-
ფხულზე საქართველო მოტვლიპა დიდმა ნიაღცარმა.

არპ-ასლანი 1068 წ. შეება საბერძნეთის იმპერატორს
– რომანოზს დ 1071 წ. სრულიად დაამარცხა და ტყვე ჰყო
იგი. შეჭჰრა ამათთან თავისთვის სასარგებლო ზავი, მერე წა-

ვიდა სირის დასაპყრობლად.

ამ დროს განჯის ემირი შემოესია ქართლს, მაგრამ ბაგ-
რატმა თვით დაიკავა დიდ-გორი და იოანნეს (ლიპარიტ ორბელია-
ნის შვილი), ნინია ქობულიძის და მურვან ჯაყელის წინამძღო-
ლობით გაგზავნა ჯარები (35, 000 კაცი) მტრის წინააღმდეგ
მუხრანში და წილკანში. მტერი მაშინვე გაიქცა ღართის-კარი-
სკენ. ქართველებმა შეუტიეს და ნახევარზე მეტი დახოცეს.
ემირი ნარჩომ 15,000 კაცით გაიქცა ზევითკენ, არაგვის ხე-
ვის გაყოლებაზედ და შევიდა ერწოში და იქიდგან თბილისში დაბ-
რუნება უნდოდა, მაგრამ ბაგრატის თხოვნით კახელებმა დაიჭი-
რეს და წარუდგინეს მეფეს, რომელმაც ამის შემდეგ მალე
აიღო თბილისი და გადასცა სათლარს – დმანისის მმართველს,
თვითონ კი დაინარჩუნა ციხეები: რუისთავი, ფარცხისი, აგა-
რანი, გრიგოლ-წმინდა და გავაზნი. აგრეთვე გადაახდევინა
44,000 დრაჰკანი დ მძევლად გამოართვა რამდენიმე განჯის
გამოჩენილი გვარის შვილები.

1072 წ. არპ-ასლანი მესამედ დაიძრა საქართველოსკენ,
რადგან ბაგრატმა უარი უთხრა ხარკის მიცემაზე, მაგრამ ამა-
ვე დროს ის უნდა წასულიყო თურქესტანში, სადაც ხალხი
აჯანყდა. მაშინ დიდ-ძალი ჯარი მალექ-შაჰის წინამძღოლობით
გამოგზავნა საქართველოში, თითონ კი თურქესტანში მიმავალი
მოკვდა, რისგამო მალექ-შაჰი შუა გზიდგან დაბრუნდა სპარსეთში.

ამავე დროს მეფე ბაგრატმა მოიარა თვისი სამეფო, ავად

გახდა დ 45 წლის მეფობის შემდეგ 1072 წელს გარდაიცვა-
ლა და გამეფდა შვილი მისი გიორგი.

მეფობა გიორგი II-სა.

გიორგის აღუდგნენ ერისთავები. – დამშვიდება მათი. – იოანნე ორბელიანი და მისი შვილი ლიპარიტი. – დამორჩილება სხვა-და-სხვა ადგილებისა და გაძლიერება მეფისა. – თურქები ციხე ყველთან ამარცხებენ გიორგის. – დანგრეგა ქუთაისისა და და-მორჩილება თბილისისა. – სამწუხარო მდგომარეობა საქართვე-ლოსი. – გადაყენება გიორგისა და გამეფება დავით მეორისა – აღმაშენებლად წოდებულისა.

ნახევარი წელიწადიც არ გასულიყო გიორგის გამეფების
შემდეგ, რომ იოანნე ორბელიანი თავის შვილით – ლიპარი-
ტით, ნინია ქობულიძე და სვანეთის ერისთავი ვარდანი აღუ-
დგნენ. გიორგიმ დაუთმო იოანნეს ციხე სამშვილდე, მის
შვილს – ლიპარიტს ლოწობანი, ნინიას თმოგვი, ვარდანს ას-
კალანი და ამ ნაირად დაამშვიდა იგინი, თუმცა ეს მშვიდობია-
ნობა კიდევ მალე დაირღვა იოანნესაგან. მაშინ გაჯავრებულმა
გიორგიმ მოიწვია აგსარტანიც და შემოერტყა სამშვილდეს,

რომელიც მალე აიღო; იოანნე ჯერ გაიქცა სომხეთის მთებ-
ში, მერე შეჰფიცა მეფეს ერთგულებაზე და მიიღო უკვე და-
კარგული სამშვილდე და კიდე-კარი. თუმცა ამის შემდეგ იო-
ანნემ კიდევ მალე უღალატა მეფეს, მაგრამ მოძულებულმა
ხალხისაგან და მეფისგან ვერაფერი ვერ გააწყო და იძულებულ
იქმნა – შვილით გაქცეულიყო მელიქ-შაჰთან; აქედგანაც მალე

უკანგე გამოიქცა, რისგამო თურქები დაეწივნენ და ცოლ-შვი-
ლიანად ტყვეთ წაიყვანეს.

გიორგიმ შინაობაში მშვიდობიანობა რომ ჩამოაგდო,
გამხედრდა დასავლეთისკენ და აიღო ანაკოპია, მრავალი ცი-
ხეები კლარჯეთში, შავშეთში, ჯავახეთში დ არტანუჯში; გარდა
ამისა ქალაქ ანის ყოფილ მმართველს გრიგოლ ბაკურიანის
შემწეობით აიღო ყარსი, ვანანდი, აზიაც-ფორი, კარნიფორი,
და ყველა ამ ქალაქებიდგან თურქები განდევნა.

დიდსანს არ გაგრძელდა გიორგის ბედნიერება. მოკლე
დროში მეტად გაძლიერდნენ თურქები (ოსმალები) სამხრეთ-და-
სავლეთ მხრისკენ საქართველოისა. ესენი ხშირ-ხშირად ეცე-
მოდნენ საქართველოს. ამის-გამო გიორგი ამხედრდა მათზე,
მაგრამ ციხე-ყველთან სრულიად დამარცხებულ იქმნა. აქ მტრებს
დარჩათ ალაფი: სტოლის მოწეობილობა ოქრო-ვერცხლისა,
მრავალი ძვირ-ფასი ბადიანი და სხვა ნივთები. გიორგი აჭა-
რიდგან იმერეთში გამოიქცა. თურქებმა კი, გაკვირვებულებმა
ამ გვარ მეფის სიმდიდრით, იფიქრეს რომ საქართველო უნ-
და იყს სიმდიდრის საუნჯეო, დროებით შეამცირეს ომები
მცირე აზიაში და 1080 წ. ივნისის თვეში შემოვიდნენ ჩვენ
ქვეყანაში. მეფე გიორგი გაიქცა აფსაზეთში. თურქებმა დაან-
გრიეს არტანუჯი, ააოხრეს კლარჯეთი, ტაო, აიღეს ქუთაი-
სი და დაანგრიეს; დაიმორჩილეს თბილისი და მტკვრის კი-
დეებზედ დაასახლეს დიდი დასტები თათრებისა, სპარსელები-
სა და თურქებისა; ესენი მუდამ ეცემოდნენ სოფლებს და არ-
ბევდნენ. ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა საქართველო, რომ
აღარსად მშვიდობიანობა არ მოიპოვებოდა. მრავალი ხალხი
დაიხოცა. ნარჩომი სრულიად გაცარცულნი იყვნენ, სახლ-კა–

რი დანგრეული ჰქონდათ. თურქები რომ მიწის პირზე ვერა-
ფერს პოულობდნენ, სამარეს სთსხრიდნენ და სიმდიდრეს
ეძებდნენ.

ამისთანა საშინელ მდგომარეობაში რომ იყვნენ, მეფე
გიორგი ხალხის თხოვნისამებრ წავიდა მელიქ-შაჰთან შეწევნის
და ხსნის სათხოვნელად. მელიქ-შაჰმა შეიწყნარა მისი თხოვნა:
გამოიხსნა ჩვენი მამული სრულ გაოხრებისაგან, მისცა გიორ-
გის კახეთიც და ჰერეთიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ მას
ყოველ წელიწადს უნდა ეძლია დადგენილი ხარკი. მაგრამ გიორგიმ
კახეთი და ჰერეთი ხელ-ახლად დაუბრუნა აგსარტანს, რომელიც

წყალობის სათხოვნელად მივიდა მელიქ-შაჰთან.

ყველა ამ უბედურებათა დაერთვნენ კიდევ სხვა-და-სხვა საშინელი მოვლენანი ბუნებისა. ხალხი ამას ღვთის რისხვად სთვლიდა, იმის გამო, რომ ამ დროს ბევრნი სტოვებდენ ღვთის სჯულს და მაჰმადიანდებოდნენ. აღდგომის დღეს იყო ისეთი ძლიერი მიწის-ძვრა, რომ თვით მაღალი მთები, მაგარი კლდეები იქცეოდნენ; მრავალი ქალაქები, ციხეები, სახლები დაინგრნენ და გახდნენ საფლავად თავის პატრონებისა.

12 წელს ასეთი ტანჯვა გამოიარა ჩვენმა მამულმა. უსახლ-კაროდ დარჩომილი ჩვენი ხალხი სრულიად გაირყვნა და ავაზაკობას მიჰყო ხელი. თვით მეფე გიორგი ვერას ჰშველოდა ხალხს, რისგამო მაშინდელ მსწავლულ და განათლებულ პირების თხოვნისამებრ გიორგიმ ტახტი დაუთმო თავის შვილს – დავით მეორეს (1089 წ.)

მეფობა დავით II-სა.

I.

მდგომარეობა საქართველოსი დავითის გამეფების ხანებში. – ზრუნვა დავითისა სამეფოს აღსადგენად. – სასულიერო პირთა კრება ზნეობის აღსადგენად. – ლიპარიტ ორბელიანი და დაბოლოვება მისი შფოთიანი ცხოგრებისა. – სიკვდილი მალექ-შაჰისა. – დაწყობა ჯვაროსნობის ომისა. – პეტრე უდაბნოელი და პაპა ურბანი მეორე. – პოლიტიკა სომხებისა და ბერძნებისა. –

დავითმა მეფობა მიიღო მაშინ, როცა ხალხის ზნეობითი მხარე დაცემული იყო, საზოგადო მშვიდობიანობა შერყეული და საქართველო როგორც სამეფო დამხობილი. თბილისი და მისი მიდამონი (ავჭალიდგან მოკიდებული, ვიდრე მდ. ხრამის შესართავამდე და აქედგან ციხე სამშვილდემდე) ეჭირათ ოსმალებს. ესენი ზამთრობით ჩადიოდნენ ალაზნის შესართავამდე და განჯამდე და ხალხს ძრიელ აწვალებდნენ.

კახეთი ამ დროს გაცალკევებული იყო და მას ჰმართავდა საკუთარი მეფე-კვირიკე, რომელიც მალე მოკვდა და გამეფდა მისი ძმისწული – აგსარტანი; მტრის აკლების შიშით ხალხი გახიზნულ იყო ტყე ღრეში და საქართველო დაცარიელებული იყო. გამეფდა თუ არა დავითი, მიაქცია ყურადღება სამეფოს სამწუხარო მდგომარეობას. პირველად მან ტყე-ღრიდგან გამოიწვია შეშინებული ხალხი და ხელ-მეორედ დაასახლა გაოხრებულ ადგილებზე. რომ მტერს არ ევნო მის სამეფოსთვის, ჯერ-ჯერობით აძლია მათ ხარკი. ზნეობის აღსადგენად მეფემ მოიწვია კრება ქათალიკოზის იოანნეს თავს-მჯდომარეობით. ეს

კრება შესდგა ეპისკოპოზებისაგან და მრავალ განათლებულ პირთაგან. აქვე იყვნენ: გიორგი ჭყონდიდელი და არსენი, იყალთოს ეპისკოპოსი, დიდად განათლებული პირი და მოძღვარი დავითისა; კრებამ დაადგინა, რომ ძლიერთ და გავლენიანთ ბრალდებულთ წაერთვათ თანამდებობა და ზნეობით შეჩვენებას მიეცნენ. მათი ადგილები დაეთმოს უკეთეს პირებს. ლიპარიტ ორბელიანმა, რა ნახა, რომ მას შეაჩვენებდნენ, დაიწყო ხალხის აღელვება. მაგრამ მას სტაცეს ხელი და საპყრობილეში ჩასვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ იმან მოინანია ცოდვები და მეფეს ერთგულობა შეჰფიცა, რისგამო მეფემ აპატივა დანაშაულობა და დაუბრუნა მას მამულ-დედული. რამწამს ლიპარიტი დაბრუნდა თავის მამულში, ფიცი დაივიწყა და კიდევ ხალხის აჯანყება მოინდომა. იგი ხელ-მეორედ შეპყრობილ იქმნა და, ორი წლის საპყრობილეში დამწყვდევის შემდეგ, გაგზაგნეს საბერძნეთში დ მისი ქონება კი ასწერეს ეკლესიის სასარგებლოდ.

1092 წელში მოკვდა მალექ- შაჰი და მისი სახელმწიფო გაიყო რამდენიმე ნაწილად. სამი წლის შემდეგ (1095 წ.) დაიწყო ჯვაროსნობის ომი წმ. ადგილების (სსვათა-შორის ქრისტეს საფლავის) მუსულმანებისგან განსათავისუფლებლად. როგორც მალექის სიკვდილს, ისე ჯვაროსნობის ომს ღ=დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს წარმატებაზე.

აი როგორ. პალესტინა, სადაც დაიბადა, აღიზარდა და მერე ჰქადაგებდა მაცხოვარი, – რისგამო დასტანჯეს და ჯვარს აცვეს იგი – დაპყრობილი ჰქრონდათ მუსულმანებს და დიდათ სტანჯავდნენ ქრისტიან ხალხს. სხვათა შორის ერთმა პილიღრიმმა (მლოცავმა) – პეტრე უდაბნოელმა 1095 წელში, ბევრი წვალების შემდეგ, მიაღწია პაპა ურბან II, რომელსაც

აღუწერა საშინელი მდგომარეობა ქრისტიანებისა პალესტინაში და სთხოვა შემწეობა და განთავისუფლება იმ წმინდა ადგილებისა ურჯულოთაგან. პაპამ გაუგონა მას და საფრანგეთის ქალაქში – კლერმონში პირველად უქადაგა ხალხს ამ საქმის შესახებ. ხალხი აღტაცებაში მოვიდა; წლის თავზე 600,000 კაცი ევროპიელთ ჯარი გამხედრდა ურჯულოებზე. ყოვლის მხრიდგან მუსულმანები მოე შურებოდნენ აქეთკენ (მცირე აზიაში), რათა დაიკავონ პალესტინა.

ამისთანა დროს სომხები, იმის მაგიერ, რომ იმოქმედონ ევროპიელებთან ერთად და იზრუნონ თავის სამეფოს აღსადგენად, მიემხრნენ თავის ორს პატრიარქს, რომელთაც ჰქონდათ ერთმანეთში ფილოსოფიური ბაასი და შეჰყურებდნენ მათ. ბერძსები კი უფრო ოსმალებს შველოდნენ, ვიდრე ქრისტიანებს...

II.

გაძლიერება ქართველთა. – იგინი ჰშველიან ევროპიელთ პალესტინის განთავისუფლებისათვის. – პალესტინაში წმ. სინაის მთაზედ დავითი აშენებს ტაძარს, აგრეთვე მრავალს ტაძრებს ჩვენს ქვეყანაში. – დავითი მიაქცევს განსაკუთრებით ყურადღებას ხალხის განათლებას და ქვეყნის აშენებას.

თუმცა ევროპიელნი იწვევდნენ მუსულმანებს პალესტინაში საბრძოლველად, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მყოფი მუსულმანები (სელჯუკები) მაინც არ ჰსჩქარობდნენ იქ წასვლას. დავითმა ესენი დასტა-დასტა დაამარცხა და მომეტებული ნაწილი განდევნა საქართველოდგან. სელჯუკები განძვინდნენ და საქართველოს დაკარგვა ითაკილეს. დიდ ძალის ჯარით წამოვიდნენ

და დავითს დაეცნენ. ძალოვანი და უშიშარი მეფე ესე დავით 1,500 კაცით მიუხტა მტრებს და ისეთ ნაირად დაამარცხა მათი ჯარი, რომ იგინი იძულებული შეიქმნენ წასულიყვნენ ჩვენი ქვეენიდამ. ქართველთ დარჩათ მათგან კაი-ძალი ალაფი.

ამის შემდეგ. დავითმა მოინდომა განაწილებული და გაყოფილი სამეფოს შეერთება და აღდგენა. უზნეო მეფე კახეთ-ჰერეთისა – აგსარტანი ტყვე ჰყო და სამეფო მისი (1105 წ.) შემოუერთ თავის სამეფოს. *) ამის შემდეგ დაიპერო ქვეყნები ორთავ ზღვათა შუა: კასპიის ზღვისკენ დერბენდი შეადგენდა მაშინდელ დროის საქართველოს მიჯნას და ესევე (დერბენდი) იყო შესანიშნავი სიმაგრე, საცა დადგმული იყო რკინის კარები, მოსაგერებლად ჩრდილოეთ კავკასიის ველურებისა. აგრეთვე დაემორჩილნენ დავითს შირვანი, რანი და მოვაკანი. დასავლეთის მხრით უკანასკნელი მიჯნა მაშინ იყო ტრაპიზონი. ოსმალები (სელჯუკები) დავითმა განდევნა ტაოს-კარიდამაც და ის ადგილიც თავის სამეფოს შემოუერთა. სომხები მათი ორგულობისათვის საქართველოსადმი დასაჯა: წაართვა მათ სატახტო ქალაქი ანი.

---

*) ამ დრომდის თავისუფალი და დამოუკიდებელნი კახეთ-ჰერეთის და კუხეთის ქ ო რ ი კ ო ზ ე ბ ი ი ყ ვ ნ ე ნ:

1, გრიგოლ I	787– 826 წ.	6, კვირიკე I	893 – 918 წ.
2, ვაჩე ქობულაძე	897 – 839 „	7, ფადლა I	918 – 929 „
3, სამუელ დონაური	839 – 861 „	8, კვირიკე II	929 – 976 „
4, გაბრო დონაური	861 – 881 „	9, დავით	976 – 1010.
5, ფადლა I	881 – 893,		

მ ე ფ ე ნ ი:

10, კვირიკე III დიდი	110 – 1029 წ.	13, კვირიკე IV	1084 – 1102 წ.
11, გაგიკი	1029 – 1058 „	14, აგსარტ II	1102 – 1105 „
12, აგსარტანი I	1058 – 1084.		

ასეთი გაძლიერება დავითს იაფად არ დაუჯდა: ამისთვის იგი მრავალჯერ შეებრძოლა მტერს: მუხრანში 1115 წ., ტაოსში 1116 წ., ყალაძორში 1117 წ., არეზის პირას 1118 წ., მტკვარზედ 1120 წ., მანგლისში, დიდ-გორში 1121 წ. და სხვაგან. ყოველი კუთხე საქართველოისა მოგვითხრობს დიდებას ამ მეფისას, რომელიც ყველგან და ყოველთვის თავს ზარს სცემდა მტრებს. თვით მისი ახოვანება, ტანადობა, უეზარი ღონე და სულის დიდება ხელს-უწყობდა მას. იგი სამაგალითო მეომარი იყო ჯარში. ჯარს მუდამ წინ უძღოდა. მან არ იცოდა დაღალვა და მისმა მკლავმა დაცდენა. ხმა მას ჰქონდა ლომებრივი. სპარსები და თურქები მუდამ მარცხდებოდნენ და უტოვებდნენ მას დიდ-ძალ ალაფს, რომლითაც დავითმა გაამდიდრა თვისი სამეფო.

ამ ნაირის ძლიერებით წაქეზებულნი ქართველნი მიეშველნენ ჯვაროსნებს და აქ მრავალ ჯერ გაიმარჯვეს. მეფემ სინაის მთაზე ააშენა ტაძარი წმ. ეკატერინესი ქართველთა ღვთის მსახურთათვის.

ასე აღადგინა დამხობილი სამეფო. მაგრამ მარტო ამით არ დასრულდა მისი აღდგინება. საქართველო ამ დროს მძლავრი, აღდგენილი იყო თავის ძველის მიჯნებით და შინაურის განწყობილებით. ამისთვის მან რამდენიმე ჯერ მოახდინა კრებები სასულიერო პირთან; გამართა სკოლები ქართველთ ყრმათა აღსაზრდელად, გამართა სასტუმრო – საავადმყოფოები დაჭრილთა და სნეულთათვის და ხშირად თვით ესტუმრებოდა ამ ავადმყოფებს და პირად თვითონ ემსახურებოდა მათ·

ყველა ამას გარდა დანგრეული და დაქცეული ციხეები, ტაძრები დ ქალაქები ზოგი ხელ-ახლა აღაშენა, ზიგი შეა-

კეთა და აღადგინა; ყველა ამას მოახმარა ბრძოლის ველზე ნაშოვნი ალაფი.

უდიდესი და უმშვენიერესი ყველა მისგან აგებულ ტაძართაგან არის გენათის *) ტაძარი, რომელიც აღაშენა დავითმა მსგავსად ფიწუნდის ტაძრისა. გენათის მონასტერი ახლაც გვიმოწმებს დიდებას და კეთილ-დღეობას ქართველებისას დავით მეორის დროს. ეს ტაძარი აგებულია მსხვილის და დიდროანის ქვით, ერთი ქვა (ცხრა ალაბი სიგრძით) დადებილია მასზე თვით დავით აღმაშენებელისაგან. საკურთხეველში ასვენია მოვარაყებული ხატი ღვთის-მშობლისა, ნაჩუქები იმპერატორის ალექსი კომნენისაგან. აქვე ასვენია უუძველესი ხატი ხახულის ღვთის-მშობლისა, ქმნილი წმ. ლუკასაგან და მოკმაზული ძვირფასის ქვებით თვით მეფე დავითისაგან. დავითმავე გაამშვენიერა ხახულის ღვთის-მშობლის ტაძარი (ჭოროხის ტოტზე.)

დავითმავე მოინდომა შერიგება სომეხთა და ქართველთა

სარწმუნოების მხრით. ამიტომ კრება მოახდინა. თავსმჯდომარედ კრებისა იყო მცხეთის ქათალიკოსი იოანნე. ამ კრებამ ვერ შეარიგა ეს ორი ხალხი, რადგან სომხები მაგრა იდგნენ თავის სეჯულზედ და ამის გამო უფრო მეტი განხეთქილება ჩამოვარდა მათ შუა.

მეფე დავითი გარდაიცვალა 1125 წელს. საქართველოს აღდგენისათვის და გაშენებისათვის ქართველნი მას აღმაშენებელად უწოდებენ, და საქართველოს ეკლესია მას მრავალი ქველმოქმედებისათვის და წმინდა ცხოვრებისათვის ჰრაცხავს წმინ-

*) გენათისა, ესე იგი ღვთის-მშობლის დაბადებისა.

დათა შორის. განისვენა ამა წმიდა მეფემ და დაესაფლავა გენათის მონასტერში. გამეფდა შვილი მისი დიმიტრი I.

დიმიტრი I.

(1125 – 1155 წ.)

ანდერძი დავითისა. – დიმიტრის ვაჟკაცობა, ძლიერება და მშვიდობიანობა ქართველთა. – ბერად მემოსვა დიმიტრისი. – გამეფება დავით მესამისა და ორთავეს სიკვდილი.

რომ მოუახლოვდა სიკვდილის ჟამი მძლავრსა და ღვთივ ცხებულსა მეფეს დავითს, აღიჭურვა სიხარულით და დასწერა შემდეგი ანდერძი: «მივდივარ წინაშე უკვდავისა მეფისა, რომელმაც ამ სოფელსა მომანიჭა ეგეოდენი წყალობანი თვისნი, რომელმაც მომცა შვილი დიმიტრი, უმეტეს ჩემზე აღჭურვილი სიბრძნითა, სიმართლითა, სიმტკიცითა და ვაჟკაცობითა. ამისთანა მეფე. არს ჯილდო უფლისა მართალთათვის დაშთენილთა ამ სოფლად. ამისთანა შვილმა აღავსო გული ჩემი სიხარულითა დიდითა.»

ეს ანდერძი დიმიტრიზე მართლა ზედგამოჭრილი იყო. 30 წლის მეფობაში მან დაამტკიცა მამის იმედი და უმეტეს მამისა გააძლიერა და დაამშვიდა საქართველო. ჯერ მამისავე სიცოცხლე ი და მისივე მინდობილებით დიმიტრიმ გაილაშქრა შირვანზე. ჰქმნა ომნი და ბრძოლანი, თავის ვაჟ-კაცობით განაკვირვა მტერნი, აიღო ციხე ყალაძორი, დაამარცხა სპარსეთის თავი ჯარი და აივსო ალაფითა და ტყვითა დიდითა. მამის სიკვდილის შემდეგ მან დაარბია განჯა.

გაოხრებული თურქებისაგან ქვეყანა – ტაო ხელ-ახლა დაასახლა და ჰყო მშვიდობა. მის მეფობის განმავალობაში ქართველთა

ხალხი მშვიდობიანად მუშაკობდა შინაობაში და გარეშე მტრებისგან უვნებელი იყო.

30 წ. მეფობის შემდეგ იგი ბერად შედგა, მეფობა გადასცა თავის შვილს – დავით III-ს, რომელიც ექვსი თვის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა. ამავე წელს გარდაიცვალა ბერი დიმიტრიც.

დავით III-ის სიკვდილის შემდეგ (1156 წ.) გამეფდა საქართველოში შვილი დიმიტრი მეფისა – ძმა დავით III-სა – გიორგი.

გიორგი III, შვილი დიმიტრი I-სა.

(1156 – 1184 წ.)

უმეტესი გაძლიერება საქართველოსი. – გაგანიერება სამხრეთის მიჯნებისა. – მუსულმანების მოძრაობა. – დამარცხება სულთნებისა და ბრწყინვალე ბრძოლანი ქართველთ ჯარისა. – საბერძნეთის იმპერატორის მანუილის ძმის ანდრონიკ კომნენის დასახლება საქართველოში. – დერბენდის და სხვა ადგილების აღება. – ვარძიის და სხვა ადგილების გაშენება. – სიკვდილი გიორგი მესამისა.

ჯვაროსნობის ომი პალესტინაში და პირადი ნიჭი გიორგი მეფისა მეტად ჰშველოდნენ საქართველოს. მუსულმანების ყურადღება მიქცეული იყო პალესტინისადმი, რათა ცდილობდნენ რომ ქრისტიანეთ არ წაერთვათ ეს ადგილები. მეფე

გიორგი კი ამით მშვენივრად სარგებლობდა. გასაძლიერებლად თვისი სამეფოისა და ჯვაროსნობის ომის გასაადვილებლად იგი ხშირად უტეხავდა ომს ხან თურქებს, ხან სპარსელებს, და, საზოგადოდ, მუსულმან ხალხებს; და ისეთი ოსტატობით და სპასპეტური ხერხით ებრძოდა მათ, რომ სულ მუდამ ბრძოლის ველიდგან გამარჯვებული გამოდიოდა.

თვისი მოქმედებანი მან დაიწყო საქართველოს სამხრეთ მიჯნაზე, არარატის ქვეყანაში, საცა მაშინ სარაცინები ბატონობდნენ. აქ მან დაამარცხა მტრები, აიღო სომსეთის დედაქალაქი ვაგარშაპატი და დვინი, და ყველა არეზის ნაპირა ქვეყნები. შანშე დადიანის მოთავეობით აღდგომილი ქართველთა წინაშე ქ. ანი დაიმორჩილა და ამით მტრებს თავზარი დასცა. შანშე დადიანი სპარსეთში გაიქცა და ისე თავი იხსნა.

რამდენადაც ქართველთ ემატებოდათ დიდება და პატივი, იმდენად თურქებს და სპარსელებს აკლდებოდათ გავლენა მცირეაზიაში. ამიტომ ბევრი ვეღარ მოითმინეს. სელჯუკები, ხორასნის სულთნები შეუერთდნენ ქალიფის ჯარებს და საქერთველოს წინააღმდეგ ამხედრდნენ. მაგრამ გიორგიმ მათ არ აცალა. პირველად თვითონ სისწრაფით შეუტია, დაეცა მათ და ორ-

ჯელ ზედიზედ გაიმარჯვა მათზე: პირველად შირვანში, მეორედ სომხითში.

ამისთანა ბრწყინვალე მოქმედებით წაქეზებულნი ქართველნი სამაგალითონი და თითით სანვენებელნი გახდნეს მტერთათვის. სამთა მეფეთ მშვიდობიანმა და სახელოვანმა მეფობამ ქრთველნი სულიერად და მატერიალურად გაამდიდრა, გააძლიერა. დიდძალმა ალაფმა გაუვსო მეფეს ხაზინა. ეს იყო იმის მიზეზა, რომ გიორგი მეფემ ჰქმნა შესანიშნავი ისტორიაში ლაშქრობა.

– 104 –

თავის მამაცი ჯარი მან გაჰყო რამდენიმე წყობად და ერთი გაგზავნა ვანის დასაპყრობლად, მეორე არზერუმის, მესამე მტკვრის გაღმა განჯის ქვეყნებისა, მეოთხე განჯას იქით ხოლთამდის; მეხუთე ალაზნის მტკვართან შესართავიდგან შირვნამდის; თვითონ კი წავიდა ყაჯოგანის დასაპყრობლად. ყველა ამ ჯარებმა ისე სწრაფად და მალე აღასრულეს თავისი ვალი, რომ გეგუთელები ამ გვარ სისწრაფით განცვიფრებულნი იყვნენ, როცა დაინახეს ბრძოლიდგან დიდ-ძალი ალაფით დაბრუნებული ქართველთა ლაშქარი.

ამის შემდეგ ყველა საქართველოს მეზობელი ხალხები ეძებდნენ მეგობრობას ქართველებთან *). ბიძაშვილი დიდის იმპერატორისა მანუილისა ანდრონიკ კომნენი მშვიდობიანობის მოსაპოებლად მოვიდა საქართველოში მთელის თავის ოჯახითურთ. მეფე დავითმა მიიღო იგი, როგორც ეკადრებოდა მეფის გვარის შვილს და აჩუქა მას მრავლი მიწები კახეთში. **)

უკანასკნელი ლაშქრობა ჰქონდა გიორგის ანდრონიკის ჩამოსვლის შემდეგ წინააღმდეგ დერბენდის და სხვა მთიულებისა, რომელნიც ყაჩაღურად ეცემოდნენ ქართველთ ქვეყნებს. ყველა ეს ხალხები მეფემ დაამარცხა, დაიმორჩილა, აღაოხრა მუსკური, შარაბამი, აიღო ქალაქი შაბური, მშვიდობიანობა ჩამოაგდო აქაურობაში და მშვიდობით და დიდებით დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

---

*) ჩვენი მატიანის გადმოცემით ბერძენნი, ინდიელნი, არაბელნი, სულთნები ხორასნისა, სირიისა, მისირისა, იკონიისა, აგრეთვე ხაზარეველნი, ალანნი, აბაზგნი და ყველა ხალხები მაღრუბით მაშრუყამდის ეძიებდენ გიორგის მეგობრობას.

**) მისი (ანდრონიკ კომნენის) ჩამომავალნი, დაშთენილნი საქართველოში, ეხლა იწოდებიან ანდრონიკაშვილებად და ხარისხით არიან თავადები.

– 105 –

გიორგი მეფე ყველა თავის სიმდიდრეს და ხაზინას ახმარებდა საქვეყნო საქმეს: ციხეების და ტაძრების შენებას. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა იგი ვარძიას *), რომელიც იყო სამეფო საატახტო ადგილი და რომელიც შემდეგში მონასტრად გადაიქცა.

ამ გვარი იყო საქართველოს მდგომარეობა, როცა 1184 წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი III და გამეფდა ერთად-ერთი შვილი მისი – ასული თამარი.

თამარ მეფე – ასული გიორგი III-სა.

1184 – 1212 წ.

I

გამეფება თამარისა. – შესანიშნავნი მხედარნი ამა დროისა. – პოლიტიკური ნიჭი თამარისა. – პირველი ქმარი მისი და ამ ქმრობის შედეგი. – მეორე ქმარი.

გიორგი III სხვა ძე არ ესვა ძართ ოდენ მარტო ასული – თამარი, რომელსაც მამის სიკვდილის შემდეგ დარჩა სამეფო ტახტი. თამარი პატარაობიდგანვე მიბარებული იყო თავის მამიდა – რუსდანთან, რომელიც მეტად გამოცდილი და განსწავლული ქალი იყო. თამარმა მისგან შეისწავლა ყოველგვარი დროის შესაფერი სიბრძნენი და ისეთი ქალი გამოდგა, რომ

*) ვარძია არის ახალციხის მხარეს, მტკვრის პირას, ქარძამეთის წყლის შესართავის ახლოს. ეს არის კლდეში გამოკვეთილი შენობა, აქვს მრავალი ოთახები, ეკკლესიები და სენაკები. ეს შენობა „თროგლოდიტურ“ შენობას ეკუთვნის.

თავის ჭკუა-გონებით, სწავლა-ზრდილობით აღემატა ყოველთა აქნობამდის მჯდომარეთა საქართველოისა ტახტსა ზედა. ამასთანავე იგი აღჭურვილ იყო წარმოუთქმელითა სილამაზითა, ახოვნებითა და მძლავრის და უმწიკვლო სულითა.

მისი პოლიტიკური ნიჭი, მისი შორს გამჭვრეტელობა ტახტსა ზედა აღსვლასავე გამოჩნდნენ. მან მართალია მამისაგან ჩაიბარა ძლიერი სამეფო, მაგრამ ეს სამეფო ისე მკვიდრ საფუძველზე არ იყო დაყენებული, რომ მას სულ მუდამ (რასაკვირველია ღირსეულის მეფის ხელში) ესარგებლა შინაურის ერთობით, განწყობილებით და ამ გაერთებული ძალით, ერთგულებით პასუხი ეგო მრავალთა მტერთა თვის. ამ გვარი ნიჭი გამოიჩინა თამარმა და ამან გამეფებისავე უმალ ხელში იგდო ის მძლავრი თავადები, რომელნიც ხშირად მორჩილებიდგან გამოდიოდნენ, თავისუფლად მოქმედებდნენ და ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ მეფეთაც. ამ გვარ სენს ბოლო მოუღო თამარმა და თავის შესანიშნავის ნიჭით და ოსტატობით ყოველი ქართველის გული მოიგო და მოისყიდა.

სამშობლო ქვეყნის საქმეების განსაგებელად მან მოიწვია შესანიშნავი პირნი: ამირ სპასალარად (ჯართ მეუფროსედ) სარგის მხარგრძელი და ამისი შვილი ზაქარია. აგრეთვე მანდატურთ უხუცესად ჭია-ბერი; მეჭურჭლეთ-უხუცესად კახაბერი

ვარდანისძე; მსახურთ-უხუცესად ვარდან დადიანი; ჩურჩერა-ხად (მეფის სუფრის უფროსად) გამრეკელი თორელი, რო-მელიც ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ გახდა სპა-სალარად.

ამასვე ჟამსა თამარმა დასვა ბარამ ვარდანიძე სვანთა ერისთავად; კახაბერ კახაბერისძე რაჭის ერისთავად; დოთაღოს შარვაშიძე აფხაზეთის ერისთავად; ამუნელისძე ცხუმის (სუ-

ხუმის) ერისთავად; ოდიშის ერისთავად ბედიანი; იმერეთ-ქართ-ლის ერისთავად რატი სურამელი და კახეთის ბაკური ძაგანისძე; ჰერეთის ერისთავად ასათ გრიგოლისძე; სამცხის ერისთავად ბოცო ჯაყელი; ამ დროს ჭყონდიდლად (მწიგნობართ უხუცე-სად) იყო მთავარ-ეპისკოპოსი მიქელ.

ამათ შემწეობით და «სიმშვიდითა დავითისნითა, სიბრძნი-თა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავისა დღესისა ხვალი-სა არ მიგდებისა, იპყრნა ზღვით პონტოსით ზღვამდე გურ-განისა (კხპიისა) და სპერიდგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერნი და ამერნი, ხაზარეთამდი და სკითთადმი.»

მაგრამ მინამ თამარი დაიმორჩილებდა ყველა ამ ხალხებს და დაიწყობდა ომს მტრებთან, ქართველთ მოინდომეს მისთვის ქმრის შერთვა. თამარის მთხოვნელნი იყვნენ მრავალნი. მაგ-რამ ქართველნი ეძიებდნენ უკეთესს და ღირსეულს პირს.

ბოლოს ბევრი რჩევის შემდეგ, ქართველთ აირჩიეს რუსთ მეფის – ანდრიას შვილი გიორგი, რომელიც მო-წვიეს ვაჭარის ზანქან ზორაბაბელის პირით ყიფჩაყიდგან. გი-ორგი ჩამოვიდა საქართველოში და ხალხმა თამარს რუსუდანის პირით მოახსენა თვისი სურვილი. მაშინ თამარმა გონიერად უთხრა ხალხს: «კაცნო, ვითარ ღირს შეუტყობლად ესე ვი-თარისა საქმისა ქმნად? არა ვიცით კაცისა ამისთვის უცხოსა: არცა ქცევა, არცა საქმე, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მხედრობისა და სიქველისა; მაცადეთ ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკვე მისი!» თუმცა ასე მჭევრ-მეტყველურად და საქმის ცოდნით ევედრებოდა თამარი ხალხს, მაგრამ იგინიო «წინააღუდგებოდეს და უშვილობასა მოახსენე-ბდეს და სახლსა მისსა უნაყოფობასა, დრტვინვიდეს და წინამ--ძღვარსა სპათათასა ითხოვდეს და ყოვლითურთ შეაიწროებდეს

სულსა მისსა.“ ამის შემდეგ თამარმა თანახმად ხალხის სურ-ვილისა და დასამტკიცებლად თვისის გონივრებისა და შორს გამჭვრეტელობისა შეირთო გიორგი.

ეს ამბავი რომ შეიტყეს ორთა ძმათა ოსთა მეფის შვილთა, რომელთაც სხვათა შორის უნდოდათ თამარის ქმრად გახდომა, გულს შემოეყარათ და ერთმა ვერ გაუძლო სევდას და შინ წასვლისას მოკვდა ნიქოზს და იქვე წმ. რაჟდენის ტა--ძარში დიდის დიდებით დამარხეს.

თამარის ქორწინების შემდეგ მოხდა ლაშქრობა. მოთა-
ვედ ჩვენი ჯარისა იყო თვით გიორგი. ამ ხელად გაილაშქრეს
ქართველთ ჯარებმა და აიღეს ყარსი, კარნიფოლი; მცირე
ჯარით გამრეკელმა განდევნა ოსმალნი ძაღლის-ხევიდგან (პალა-
კაციოდგან;) მხარგძელმა მოიარა დვინის და სურმანის ქვეყნე-
ბი, სხვებმა განაძევეს მტრის ჯარები კლარჯეთიდგან. აჯანყე-
ბულნი დვინელნი გიორგიმ ხელახლად დაამარცხა და წაართვა
მათ კაი ძალი ალაფი. აქედგან წავიდა არარატისკენ და განა-
ბნია დიდ-ძალი ოსმალთა ჯარები. დაბრუნებისას ქართველთ
დაეცნენ გელაკუნის ოსმალნი, მაგრამ არც მათ მოუდრიკეს
თავი ქართველებმა. ამის შემდეგ გაილაშქრეს განჯისკენ და
მდინარე არეზის ნაპირებისკენ.

ასე რომ მშვენიერად მიდიოდა გარეშე საქმენი თამარი-
სა, საუბედუროდ, ოჯახური ბედნიერება და მშვიდობიანობა
დაირღვა მეფის სასახლეში. ამის მიზეზი იყო გიორგი, რო-
მელიც თანდათან შეეჩვია სიმთვრალეს, გაირყვნა სრულიად,
„რამეთუ სიმთვრალესა შინა იწყო მრავალთა საძაგელთა და
უშვერთა საქმეთა ქმნად, რომელთა ნამეტნავ არს აწერად.“ შე-
უჩნდნენ კაცნი მის გასაკურნებლად, მაგრამ «ვკურნებდით ბა-
ბილოვანსა და არა იყო კურნება, არათუ ოდენ არა შეიგონა,

არამედ უძვირესთა მიმართ იწყო და კაცნი უბრალოდ გვემნა
და ასოთა ამოგდებითა ტანჯნა.»

ამის შემდეგ თამარმა სახალხოდ გამოაცხადა, რომ იგი
ამისთანა გარყვნილ კაცთან ვეღარ იცხოვრებს, მიუბრუნდა
გიორგის და უთხრა: «მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა
ხისასა გამართვად და უბრალოდ განვუყრი მტვერსაცა, რომე-
ლი აღმეკრა შენ მიერ.“ თამარი განშორდა მას და რუსუდან
დედოფალმა და ყოველთა წარჩინებულთა გიორგი ჩასვეს ნავში
და კოსტანტინოპოლში გაგზავნეს. ასე დაირღვა პირველი ცოლ-
ქმრობა თამარისა.

ამის შემდეგ თხოვნისამებრ სასულიერო წოდებისა, აზ-
ნაურთა და ხალხისა თამარი მეორედ უნდა შეუღლებულიყო.
ხელახლა მრავალნი გამოჩნდნენ მსურველნი თამარის ქმრობი-
სა. სხვათა შორის საბერძნეთის იმპერატორის შვილი, ანტი-
ოქიის მთავარი ბაემუნდი და მრავალნი სულთნები. მაგრამ ყვე–
ლა ამათგან არც ერთი ამორჩეული არ იქმნა, არამედ ამოირ-
ჩიეს ქართველთ მეფეთა ნათესავი დავით სოსლანი ბაგრატოვა-
ნი, ოსთა მეფის შვილი, რომელიც რუსუდანს თვისის უშვი-
ლობისაგამო მოეყვანა თავის სახლში აღსაზრდელად. ეს და-
ვითი მოიყვანეს და „დიდუბეში ქორწილი ქმნეს შესატყვისი და
შემსგავსებული ხელმწიფობისა და შარავან დედობისა მათისა.“
შემდგომად ამისა «შემოვიდეს თბილისად და დასხდნენ ტახტ-
სა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი განმანათლებელ-
ნი ყოველთანი. »

დიდებულთა ამათ მეფეთაგან ეშინოდათ ყოველთა მტერ-
თა და ვერ უბედავდნენ შებმას. დავითი იყო მინიჭებული ყო-

ველივე სათნოებით. იგი წაეჯობინა ყოველსა მშვილდოსანსა,

ცხენოსანსა მკვირცხლსა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა ყოველთა ნასწავლთა, აგრეთვე ხელთა სიკეთითა...“

ამავე დროს მოკვდა საქართველოს კათალიკოზი ჭყონდიდელი მიქელი. რადგან იგი ყველას სძულდა, ამიტომ არავინ იგლოვა მისთვის. თამარმა მოიწვია გარეჯიდგან მსწავლული კაცი – ანტონი და ჭყონდიდლად დასვა. ამასობაში რუსი გიორგი კოსტანტინოპოლიდგან ჯარით წამოვიდა საქართველოსკენ და ტახტის მოპოება მოინდომა. შემოვიდა ყარნუქალაქში (არზრუმში) და გადიბირა თავისკენ ზოგიერთი თავადები. სხვათა შორის გუზანი მმართველი კლარჯეთისა და შავშეთისა; ბოცო მმართველი სამცხისა; ვარდან დადიანი, მმართველი იმერეთისა. ამ ვარდანმა მიიბირა თავისკენ აფხაზნი, სვანნი რაჭველი, არგვეთელნი და მეგრელნი. ყველა ესენი მიემხრენ გიორგის და გეგუთში სამეფო ტახტზე დასვეს. ამის შემდეგ ერთი ნახევარი აჯანყებულთა და ორგულთა გადავიდა ლიხზე, გააოხრა ქართლი და მოაწია ქ. გორამდის და ნაჭარმაგევამდის; მეორე ნახევარი რკინის-ჯვარზე გადავიდა ციხის-ჯვარში და დასწვა ოძრხე. ესენიც მიდიოდნენ თბილისისკენ.

გაიგო თუ არა თამარმა ასეთი მოქმედება იმერთა, შეჰკრიბა ჯარები და გამრეკელის წინამძღოლობით აფრინა სამცხისკენ, საცა შეკრებილიყვნენ მტრები. ნიალის მინდორში მოხდა ბრძოლა და აჯანყებულნი დამარცხებულ და განბნეულ იქმნენ. ახლა კი მიხვდნენ თვის შეცდომას იმერნი და პატივება სთსოვეს მეფეს *), თვით გიორგი დაატყვევეს და მოჰგვარეს თამარს, რომელმაც აპატივა ყველა აჯანეებულთა და პირად

*) ქართველნი თამარს უწოდებდენ „მეფეს“ და არა „მეფას“, მისის სიმძლავრისა და სიქველისა გამო.

გიორგისაც დანაშაულობანი. და „მისცა დედოფალმა სიმტკიცე ყოველთა მუნ მყოფთა: პირველად გიორგის უვნებელად გაშვებისათვის, მერმე მის ჟამისა არას შეცოდებისათვის, არცა შენანებისა და გარდახდისა“. ამის შემდეგ გიორგი „წარვიდა მასვე მისსა სვეუბედურსა გზასა და შეიქმნა მშვიდობა, ერთობა და სიხარული საქართველოსა შინა.“

II

გაძლიერება თამარისა. – აღება ქალაქებისა და ციხეებისა. – დიდ-ძალი ალაფი. – ყარსის აღება. – სულთნის ალეპპო ნუქარდინის შებმა. – მისი წერილი თამარისადმი. – ამის პასუხი. – დასჯა ალექსი ანგელისა. – დაარსება ტრაპიზონის იმპერიისა. – სიკვდილი დავით სოსლანისა. – არდებილის სულთნის დამა– რცხება. – ხორასანში გალაშქრება. – ზ. მხარ-გრძელის სიკვდი-

ლი. – პირველი ათაბაგი. – განდგომა ფხოველთა და დიდოელთა. – დასნეულება თამარისა, მისი უკანასკნელი სიტყვები და სიკვდილი.

სახელი და დადება თამარისა უმეტესად გაძლიერდა მეორე ქმრის, დავითის შერთვის შემდეგ. დავითმა მეორედ დაამარცხა საქართველოში შემოსული რუსი–გიორგი და გამოიჩინა დიდი ძლიერება სპარსეთის ომში და ნუქარდინის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაშინ, როდესაც თამარი მშვიდობიანად განაგებდა სამეფოს, მოვიდა ამბავი, რომ ყველა სპარსელნი მისულან თავის ხალიფასთან და უთხოვნიათ შეწევნა წინააღმდეგ თამარისა, რომ ხალიფასაც ყოველსა შინა სპარსეთსა დაურიგებია ოქრო, რათა შეკრიბონ ჯარი ურიცხვი ინდოეთიდგან, სამარყანდიდგან მოკიდებული ვიდრე დარუბანდამდის, ესე იგი იმდენი ლაშქარი, რომ მათი რიცხვი არცარავინ იცოდეს და არცარა ერთსა

თემსა დაეტეოდეს. ამდენი ჯარები შეეკრიბათ, ხალიფას ძვირფასი დროშა *) წამოეღოთ და დაბანაკებულიყვნენ ადარბადაგანს და მხოლოდ „მაშინ განეცხადებინათ წაკიდება თვისი“.

რამწამს ყოველივე ესე ესმა თამარს, უბრძანა ანტონი ჭყონდიდელს: „არა ავითა გულითა და არცა დედა-კაცური სიტყვითა: – ისწრაფეთ დაწერად და მამაცურითა სიტყვითა მიმოდასდევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბენ მხედრობა.“ ესე უბრძანა და „ბრძანება საქმე იქმნა და ათსა დღესა შინა ვითარცა გროი შავარდენთა მოჰფრინდა ყოველი მხედრობა ყოვლითურთ სავსენი სიხარულითა და აღივსო სპითა თამარისათა მტკვრის პირი თბილისით ყარაღაჯამდის, ალგეთის პირი, ქციის პირი და ბერდუჯის პირი“... ყველა ეს ჯარები მივიდნენ სომხითში და იქ იხილა იგინი თამარმა და ტკბილ, მამაცურ სიტყვით მიეგება მათ:

„ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისათვის მათისა და სიმცირისათვის თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენთანა არს... მოიგონეთ გედეონისაგან ურიცხვ მადიანელთა დახოცვა... მხოლოდ ღმერთს მიენდვე-

*) მაჰმადის სამღვთო დროშა „სანჯაყ – შერიფ“ ყოველთვის ინახებოდა ბაღდადის ხალიფების (მმართველების) სახლში, ხოლო ეხლა კი სტამბოლის სულთანთან. სანჯაყ-შერიფი იყო მაჰმადის ცოლის აიშის ოთახის ფარდა, რომელიც მაჰმადმა სიკვდილის წინა წამებში მიუბოძა თვისთა მხედართ-მთავართა, რათა მისის ხილვით მუდამ მოჰგონებოდათ, რომ იგინი იბრძვიან ღვთისათვის და მისის მოციქულისათვის, როდესაც ამ დროშას ბრძოლის ველზე გამოიტანენ, მაშინ ყველა მუსულმანის სამღვთო ვალია გამოვიდეს და შეებრძოლოს მტრებს (გიაურებს); ვინც ამას არ იზამს, ის მოღალატეა ისლამისა, მისი ქორწინება ირღვევა და მისნი ძენიც უკანონოდ ითვლებიან.

ნით და გულნი თქვენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მის-
სა და სასოება თქვენი ყოველი ჯვარისა მიმართ ქრისტესისა
იყავნ: შეისწრაფეთ ქვეყნად მათდა, შეწევნითა ყოვლად წმ.
ღვთის-მშობელისათა და ძალითა უძლეველისა წარმოემართე-
ნით.“ ამის შემდეგ წარუძღვნა ძელი ცხოველისა და თანა
წარატანა ანტონი ჭეონდიდელი.

ამ ნაირად გამხნევებული ჯარი ორად გაიყო და ორის
მხრით იერიშით მივიდა მტერზე. პირველად მივიდა მტერზე
ზაქარია მხარ-გრძელი და, როცა იგი ურიცხვ მტერთაგან იძლე-
ოდა, უცებ შემოუტია მათ უკანიდგან დავით სოსლანმა და
მყის დაამარცხა დაღლილნი მტერნი და ტყვე ჰყო მრავალი
მათგან (12,000 კაცი) და ხელში იგდო ყველა მათი ქონება-
ნი, მრავალნი დროშანი ხალიფას დროშითურთ. ბრძოლის
ველზე მტერს დარჩა ურიცხვ ოქრო-ვერცხლის, თვალეულო-
ბის და ძვირფასის ქვების გარდა 2,000 ცხენი, 17,000 ჯო-
რი, 15,000 აქლემი, ყველა ესენი დატვირთულნი სურსათით
და სხვა-და-სხვა ნივთეულობით. ამდენის განძეულობით და დი-
დებულებით წამოვიდნენ ქართველნი და მიულოცეს თამარს
სახელოვანი გამარჯვება.

ამის შემდგომ თამარმა გაგზავნა ჯარები ყარსის ასაღე-
ბად. დროთა ვითარებისაგამო ეს ქალაქი მტრებს დაეჭირათ.
რამწამს მოუახლოვდნენ ყარსს ქართველნი, იმავე წამს მტრე-
ბი გაიქცნენ და იგი დარჩათ ქრთველთ. ყარსის მმართველად
დასვეს იოანნე ახალციხელი ჯაყელი და თვით დაბრუნდნენ
ქართლად; აქ დიდხანს არ მოუსვენია ჩვენ ჯარს. მალე მათ
წინ აღუდგა საშინელი მტერი ჯვაროსნობისა – ალეპოო *)

---

*) ალეპპო იყო მაგარი და მდიდარი ქალაქი. ასურისტანში. ეს
ქალაქი მე X საუკუანეში ეკუთნოდა სულთნებს. სულთანი
ნუქარდინიც აქაური იყო.

ნუქარდინ, რომელიც კადნიერებით დ ამაყობით სწერდა წიგნს
თამარს და გამოითხოვდა მას ბრძოლის ველზე.

„მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცისა ქვეშისა, უმა-
ღლესი მიმსგავსებული ანგელოსთა, თანამდგომი ღვთისა,
მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქარ-
თველთასა თამარს: ყოველი დიაცი რეგვენია, შენ გიბრძანებია
ქართველთა აღებად ხრმლისა და ღვთისაგან საყვარელისა ის-
ლემთა ერისა დახოცად მუსულმანთა და კვალად ნათესავსა ზე-
და თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური. აწ მე მოვალ, რათა
უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა და განგწვართო შენც
და ერა შენი არაოდეს აღებად ხრმლისა, რომელი ღმერთსა
ჩვენთვის უბოძებია; ხოლო ცხოვრებით იგი ოდენ ვაცხოვ-
ნო, რომელმან უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყვანი მცეს წი-
ნაშე კარვისა ჩემისა და აღვიაროს ქადაგება მაჰმად მოციქუ-

ლისა და უარჰყოს სჯული შენი და ხელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯვარისა, რომლისა მიმართ დაგიცსთ ცუ-და სასოება; აწ მოელოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა.“

ნუქარდინს ჰყავდა 800,000 ჯარი დ ამათგან 100,000 იყვნენ ცხენოსანნი; ამ ჯარში მოგროვილნი იყვნენ მცხოვრებნი მესოპოტომიიდგან, გალეტონიდგან, ისავრიდგან, კაპპადოკი-იდგან, დიდი სომხეთიდგან, ბითინიიდგან, პაფლაგონიიდგან და სხვა ადგილებიდგან.

ამისთანა ძალით დაიმედებულმა ნუქარდინის მოციქულმა, როცა შეიყვანეხ თამარს წინაშე, ამაყად სთქვა: :უკეთუ მე–ფემან თქვენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმა ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჯად სულტნისა.“

ამ სიტევებმა ააღელვეს სარდალი ზაქარია, რომელიც მყის წარმოდგა და გააწნა ისეთი სილა, რომ მოციქული „დაეცა პირსა და ვითარცა მკვდარი დაედვა“.

წაიკითხა თუ არა თამარმა ამ გვარი საწყენი წერილი ნუ-ქარდინისა, გასცა ბრძანება მოეგროვებინათ ჯარები.

„მაშინ მოუწოდეს სპათა, იმერთა დ ამერთა, სიკოფსი-ით ვიდრე დარუბანდამდის და ბრძანება და წიგნები ქროდა და მალე-მსრბოლთა ცოტათა დღეთა შინა მალე შემოკრიბეს, ვი-თარცა ვეფხვნი სიკისკასითა და ვითარცა ლომნი გულითა... შეკრბეს ჯავახეთს და არღარა ჰყოვნეს... შევედრა (თამარმა) სოსლან დავით და სპა მისი და დროშა ბედნიერად ხმარებუ-ლი და წარგზავნა ვარძიით ლაშქარნი. რომელთა თვით თამარ უძღოდა წინა...“ ასე მოვიდნენ ბასიანამდის, იქ იყვნენ ერთ დღეს და „მხოლოდ მაშინღა მოციქულნი წარგზავნნა სულტა-ნისა და წარატანა თან მოციქული თვისი და მიუწერა ნაცვა-ლი წიგნისა ესრეთცა:“

„ძალისა ღვთისა ყოვლისა მპყრობლისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამის მვედრებელმან და პატიოსნისა ჯვარისა სასოებით მოსავმან, წავიკითხე ღვთისა განმარისხე-ბელი წიგნი შენი, ჰი ნუქარდინ, და ვსცან, სიცრუენი შენნი, რათა ბჭე ღმერთი იყოს; არა გასმიესა, რამეთუ ყოველი ცრუდ მოფუცავი სახელსა ღვთისა მის მიერ აღიხოცოს. შენ ოქროთა შეკრებულთა სიმრავლისა მყვირეთა მინდობილხარ, უმეცარი მსჯავრსა ღვთისასა, ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არ-ცა სპათა ჩვენთა სიმრავლესა; არცა რასა სხვასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძისა ღვთისა, ყოვლისა მპყრო-ბელისა და შეწევნასა ქრისტეს ჯვარისასა, რომელსა შენ ჰგმობ; ესე – რა ვითარი შემოგეთვალა, წარმომივლენია მხ

დრობა ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თაყვანის ცემად, არა-

მედ დამხობად შენდა ზვავისა მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღვთისა მიერ არღა რა გმობად სახელსა მისსა; იყავნ ნება ღვთისა და ნუ შენი; ხოლო მე ვუწყი დახსნილობა მსახურთა შენთა, ამისთვის წარმომივლინიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართვას და განკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა ფერხნი ესე რა კართა შენთა ზედა დგანან.“

ამის შემდეგ ქართველთა ჯარმა დაუყოვნებლივ თაყვანი სცა და უამბორა წმ. ჯვარსა – ძელი ცსოველისასა, გამოეთხოვა და გამოემშვიდობა თამარს და მივიდა ბასიანს, საცა იყო დაბანაკებული სულტანი და ნახეს იქ რიცხვი ცხენისა, ჯორისა და აქლემისა ურიცხვი, კარვები და სარა-ფარდაგები, რომელთა მინდორი იგი ძლივს იტევდა. მუნ (ადგილსა ბოლოსტიკესად წოდებულს) დააწყეს ქართველთ თვისი რაზმები და „მუნ წინამბრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი, ამირსპასალარი და ახალციხელი შალვა და ივანე, და სხვანი თორელნი და ერთ კერძო აფხაზნი და ერთ-კერძო ამერნი ჰერკახნი და ვითარ იხილეს სულტანი, ცოტად ცხენი ააჩქარეს და მიმართეს. მოჰხდა ომი ფიცხელი და ძლიერი, განგრძელდა მყოვარ ჟამ. ანაზდად ეგეოდენი მტერთა სიმრავლე განსქდა, იძლია და დაითანტა.“

ლტოლვილს და განფანტულს მტერს ქართველთ „დევნა უყვეს, ჰხოცეს, ჩამოჰყრიდეს, იპერობდეს და სიმრავლისაგან მტერი ვერ ივლტოდეს, არამედ ურთიერთარს დასთრგუნვიდეს.“ მტერნი ამ გვარად სრულიად დამარცხებულ და დევნილ

იქმნენ, მხოლოდ ქართველთა ჯარი მცირედ დაზიანდა და „არც ერთი კარგი მეფისაგან შესწავებული კაცი მოკვდა“.

ქართველთა დარჩათ იმდენი დავლა, რომ „არ იყო განცდა მისი სიდიდითა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელთა, ნაქსოვთა სიმრავლე აურაცხველნი, სასმურნი ოქროსანი, თვალ-მარგალიტნი, ლანკნები, პინაკები, ლაგვინებისა და ქვაბებისათანა ყოვლითურთ სავსეთა მიუწდომლითა ალაფითა; ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემისა სიმრავლე და კარავთა და საფენელთა სიმრავლე და ურიცხვეულობა, რომელ დაყარეს, გინმე აღრაცხნეს, რამეთუ სავსე იყო ყოველი საბანაკო მათი.»

ამდენის დავლით ქართველი ჯარი დაბრუნდა და მოვიდა თბილისს, საცა თამართან ერთად იდღესასწაულეს ძლევა მტერთა ზედა; ტყვეთა რიცხვი იმდენი იყო, რომ „ასსა სპარსა ერთი ქრისტიანე ძლივ მიხვდებოდა წარმომყვანელად“. აივსო თამარის ხაზინა სიმდიდრითა. სასახლეში ამის შემდეგ სხვა ჭურჭელს აღარ ხმარობდნენ, თუ არა ოქროს და ვერცხლისა; ძვირფასი ქვები და იაგუნდი იმდენი იყო, რომ «საწყავით რწყავდნენ“.

ყველა ეს დავლა, აურაცხელი ალაფი, თამარმა მოახმარა ქველ და კეთილ საქმეებს. ალექსანდრიიდგან (ეგვიპტეში) მო-

კიდებული ლუბია სინაიმდის და „მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის, ხოლო იერუსალიმისთვის რადღა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ბარძიმ-ფეშხუმებსა, ეკლესიათა და სიწმიდეთა საბურველსა და მონაზონთა და გლახაკთათვის ოქროთა აურეცხელთა; ტ ყ ვ ე ნ ი გ ა ნ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ნ ა დ ა ხ ა რ კ ი ე რ ს ა თ ვ ი ს ს ა უ კ უ ნ ს ც ი ს დ ა ყ ო ვ ე ლ ი ჭ ი რ ი დ ა ჭ ი რ ე ბ უ ლ ი ა ღ ი ღ ო ს მ ა თ გ ა ნ; კვალად კერ-

ძოთა ელადისათა და მთა-წმიდისა, ეგრეთვე მაკედონიისათა, პატრიღონს, კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინოპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან; და კვალად ისავრიას, კურუხეთს და ყოველთა მათ სანახებთა შავისა-მთისათა, კვიპრისათა, ესე ყოველნი აღავსნა ქველის საქმითა.»

როდესაც თამარი თვისის ძლევა-მოსილებით იდიდებოდა ყოველგან და როცა იგი უხვს მოწყალებას აძლევდა ქვრივ-ოხერთა, მონაზონთა და მონასტრებთა, მაშინ ბერძენთ იმპერატორი ალექსი ანგარი, «რომელმან ძმასა თვისსა ისაკსა თვალნი დასწვნა და მეფობა წარუღო» (წაართვა) აღჭურვილი ვერცხლ-მოყვარებით სჩაგრაგდა და სცარცვავდა თამარისაგან გაბედნიერებულთ მონაზონთ და მონასტრების ქონებას ისაკუთრებდა. «სცნა რა ესე თამარმა, მაგიერი წართმეულთა სხვა გაუგზავნა მონასტერთა და განრისხდა მეფეთა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერსუნდი, კიტორა, ამასტია, ირაკლია და ყოველნი ადგილნი ფეზლაღონიისა და პონტოსანი». აქ დააარსა ტრაპიზონის იმპერია *) და მმართველად განაწესა ნათესავი თვისი ალექსი კომონიანოსი (კომნენი, ანდრონიკაშვილი).

თამარმა თვით თავის საკუთარ ქვეყანაში არც ერთი ეკლესია, ტაძარი არ დასტოვა შეუწევნელად. ყველას ყველგან ის აქცევდა დიდს ყურადღებას. დანგრეულს კგლესიებს, ციხეებს აგრეთვე აახლებდა და ახლებს აშენებდა. გაჰყავდა უწყლო ადგილებში არხები, რუები. იმან ერთს ადგილას ცხოვრება

*) ტრაპიზონის იმპერია არსებობდა ვიდრე 1461 წლამდის და ამ წელს მას ბოლო მოუღეს ოსმალთა.

არ იცოდა: ხან სცხოვრებდა კახეთში, ხან ქართლში, ხან იმერეთში. არც ერთი კუთხე საქართველოისა არა რჩებოდა თამარს უხილველად.

ხარაჯა მოჰქონდათ თამარისათვის გარდა მთიულ ხალხთა: განჯელთ, ნახჩევნელთ, ყარნუქალაქელთ (არზრუმელთ) და ეზინკიელთ.

როდესაც დედოფლის გაგლენა სხვა-და-სხვა ხალხებზე

და მისი დიდება აღვიდა უმაღლეს წერტილამდის, და როდესაც მან ყოველი თვისნი ცოდნანი და ძალნი სამშობლო ქვეყანის შინაურ საქმეებს მიაპყრო, მაშინ მოკვდა დავით სოსლანი, რომლისაგან თამარს დარჩა ვაჟი გიორგი-ლაშა და ასული რუსუდან. ჩვენ მტრებს გაუხარდათ მისი სიკვდილი და აიშალნენ. მოინდომეს თვისი დიდების დაბრუნება და ჯავრის ამოყრა.

პირველად აღდგა არდებილის სულტანი, რომელიც ფარულად შემოვიდა ანის ქალაქში, დახოცა მრავალი ეკლესიაში მლოცავი ხალხი. ეს გაიგო თამარმა და მალიად გაგზავნა თავისი ჯარი არდებილში; ქართველთ აიღეს ეს ქვეყანა, მრავალი დახოცეს (12,000), ტყვეთ წამოიყვანეს სულტანი და მისნი ცოლნი და შვილნი, აგრეთვე დარჩათ ურიცხვი ძგირფასეულობა აქლემნი, ჯორნი, ცხენნი და სხვანი.

რაოდენიმე ხნის მშვიდობიანობის შემდეგ თამარმა, ზაქარია და ივანე მხარგრძელების რჩევით, გაისტუმრა თვისი ჯარები სპარსეთში ხორასნის დასაპყრობლად. დიდძალი ქართველი ჯარი გადავიდა მდ. არეზზე და მიადგა თავრიზს, რომლის მცხოვრებნი „განკრთეს და ძრწოლამან შეიპყრნა ყოველნი მკვიდრნი თავრიზისანი, ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი მიმდგომნი თავრიზის ქალაქისანი; მაშინ განიზრახეს რათა

ხარკის მიცემით და ძღვნითა და შევრდომითა და ზენარის თხოვნითა დაამშვიდონ პირნი ქართველთა სპათანი; წარმოავლინეს მოციქულნი და ითხოვეს მშვიდობა, არა მოოხრება ქალაქისა მათისა; აღუთქვეს ძღვენი ურიცხვი“. დასთანხმდნენ პირობაზედ ქართველნი და მერმე „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი და ყოველნი თავადნი თავრიზისანი და მოიღეს ოქრო, ვერცხლი, ლარი, თვალი, მარგალიტი, შესამოსელნი, ცხენი, ჯორი, აქლემი და საზრდელნი კმასაყოფელნი ლაშქართათვის; აღავსნეს დიდნი და მცირენი“.

თავრიზს ზაქარია მხარგძელმა დასვა თავისი მმართველნი, თითონ კი წაუძღვა ჯარებს; გაიარეს ადარბადაგანის ქვეყანა და მიმართეს მანას; რამწამს მანას მელიქმა გაიგო ქართველთა მოსვლა, მოიქცა თავრიზელებსავით: ურიცხვი საქონლით იყიდეს მშვიდობა. ზაქარიამ აქაც დასვა საკუთარი მმართველნი და წავიდა და შემოერტყა ერთ მცირე, მაგრამ ძლიერად გამაგრებულ ქალაქს – ზანგას, ამ ქალაქელთ ფიცხელად იწყეს ბრძოლა, მაგრამ მალე ქალაქი აღებულ და მცხოვრებნი ხარჯ დადებულ იქმნენ. ამის შემდეგ ქართველთ აიღეს ხვარასნის ქალაქები: ყაზმინი და გურგანი.

ამას იქით ქართველნი ვეღარ წავიდნენ, რადგან დიდ, ძალი ალაფი ამძიმებდა მათ. «შემოიქცეს გამარჯვებულნი და სიმდიდრითა შემოსილნი ქართველნი», მაგრამ დაბრუნებისას გაიგეს, რომ მანას მელიქს დაუხოცნია და ძელსა ზედა ჩამოუკიდნია ქართველნი მცველნი. ესმა ესე ზაქარიას და ივანეს: „დიდად გამწარდეს. შეიპყრეს მელიქ და ყველანი სახლეულნი და ნათე-

სავნი მისნი და სიკვდიდ დასაჯნეს, თვით იგი და შვილნი მისნი; ტყავები დაჰხადეს და ძელსა ზედა ჩამოჰკიდეს: ხოლო ქა-

ლაქი მოაოხრეს, მოსწვეს და ტყვე ჰყვეს; ხოლო სიმდიდრე, რომელი წარმოიღეს შეუძლებელ არს აღრიცხვა მათი».

ამის შემდეგ წამოვიდნენ ადარბადაგანს და გამოვლისას პირველად უჟანელთ, მერმე თავრიზელთ მოართვეს ქართველ ჯარს დიდი ძღვენი და სიმიდიდრე. ამ ქვეყნიდგან გადმოვიდნენ ნახიჩევანს და მშვიდობით და დიდებით მოვიდნენ თბილისს წინაშე თამარისა, რომელიც გაეგება მათ ზეიმითა და დიდებითა. „იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა. მერმე შევიდეს ისანსა და დაჯდა მეფე ტახტსა ზედა სამეფოსა. შეუძღვა ამირ-სპასალარი და შევიდეს თავადნი და დასხდეს წესისაებრ და მიიღეს არმაღანი ურიცხვი, და დადვეს წინაშე მეფისა: გაკვირდა მეფე, რომელ არავის ქართველთაგანსა უნახნეს ეზომნი სიმდიდრენი აურაცხელნი, თვალნი და მარგალიტნი. ხოლო თამარი აღასრულებდა ლიტანიაობასა და განსცა მრავალი ობოლთა და ქვრივთა ზედა და ეკლესიანი აღავსნა სიმდიდრითა და ლაშქართა ზედა განყო საჭურჭლე დიდი.“

მაგრამ, სამწუხაროდ ამისთანა სიხარული დიდხანს არ გაგრძელდა. ძლევა-შემოსილი და სპასალართა შორის უნიჭიერესი კაცი ზაქარია, ძე სარგის ამირ-სპასალარისა, გარდაიცვალა და ჰქმნეს გლოვა და ტირილი დიდი. ზაქარიას დაკარგვა ძვირად უღირდა თამარს და საქართველოს, რადგან მისთანა ერთგული და ნიჭიერი მეომარი საქართველოს სხვა არა ჰყვანდა. მოიგლოვეს იგი და მერმე თამარმა მოიწვია ძმა ზაქარიასი ივანე, მსახურთ უხუცესი და ამირ სპასალარობა უბოძა. მაგრამ მან არ იკისრა ეს თანამდებობა და უთხრა მეფეს: „მრცხვენეს ნაცვლად მისსა დგომად, არამედ ათაბაგობითა პატივ მეც, რამეთუ საქართველოსა შინა არა არს ესე წესად თქვენ მეფეთა წინაშე, მეფობა ამით განადიდე, წყალობა შენი

ჩემზედა, ვითარცა წესი არს სულტანთა, რომელ მეფეთა გამზრდელთა და სულტანთა ათაბაგობით უხმობენ“. უსმინა ესე თამარმა და ათაბაგობა უბოძა. მსახურთ უხუცესად კი დანიშნა ვარამ, ზაქარია გაგელისძე.

ამის შემდეგ თამარი როცა მოგზაურობდა თავის სამეფოში და ყველას მამასავებ ეალერსებოდა და უპატრონებდა, მოვიდა ამბავი, რომ ფხოველნი და დიდოელნი განდგნენო, მყის შეაგროვა ჯარები და ათაბაგის წინამძღოლობით გაგზავნა მათ ზედა. სამ თვეს იყო ბრძოლა. განდგომილნი დამარცხდნენ და დასჯილ იქმნენ და სამარადისო მორჩილებაში ყოფნის პირობა მისცეს თამარს.

სამწუხაროდ, რადგანაც ცის ქვეშე არს არის რა უსრული, აგრეც ქართველთ სიხარულს, ბედ-იღბალს და წარმა-

ტებას ბოლო მოეღო. «მხედრობათა შინა განგრძობილ დე-
დობრივ უძლურებისაგან» ნაჭარმაგევს ავად გახდა თამარ და
თბილისს კუბოთი წამოიყვანეს. ვერა მკურნალმა ვერ მოარჩი-
ნა იგი: „დღემან მისმან იწყო მიდრეკად, მზემან დასვლად,
ჰაერმან სხვად ფერად უფერულობა და ცისკარსა დღისასა ზე-
და იწყეს დაჭნობად; და თვალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხ-
რომელთა სიმრუდეთ მიმართეს, ხელთა მათ, მსახურებისაგან
გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძლურებად;
ფერხთა იწყეს შედრეკად, და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი
სხვა და სხვად ფერად იხილვებოდეს». თამარს გარს ეხვივნენ
ყოველი წოდების და ღირსების ხალხნი: თავადნი, აზნაურნი,
გლეხნი, სამღდელონი, გლახაკნი და ობოლნი და ყველანი
ქვითინით სტიროდნენ მეფის დაკარგვას, ბოლოს სიკვდილის
წინა წამებში სნეულმა წამოიწია და მიჰმართა ხალხს: «ძმანო
და ჩემნო შვილნო, მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან სა-

შინელისა. გევედრები ყოველთა რათა მარადის კეთილსა ში-
ნა იყვნეთ მახსენებელ ჩემდა. აჰა ესერა მკვიდრად სახლისა
ჩემისა დაგიტევებ, რომელნი მომცნა ღმერთმან. შვილნი ჩემ-
ნი გიორგი და რუსუდან: ეგენი მიიხვენით ჩემ-წილ და მაგათ
აღმოგივსონ დაკლებული ჩემი». ბოლოს ყველას გამოემშვი-
დობა და უკანასკნელად სთქვა: «ქრისტე და ღმერთო ჩემო!
შ ე ნ შ ე გ ვ ე დ რ ე ბ ს ა მ ე ფ ო ს ა ა მ ა ს, რომელი შენ მიერ
მერწმუნა, და ე რ ს ა ა მ ა ს პ ა ტ ი ო ს ნ ი თ ა ს ი ს ს ლ ი თ ა
შენითა მოსყიდულსა და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ
მომცენ და მერმე სულსა ჩემსა“ და ამით აღესრულა ძზე
ქართველთა, იანვრის 18 დღესა 1212 წელსა. იმეფა სულ
28 წელი.

გვამი თამარისა რამდენიმე დღეს დასდვეს მცხეთის სო-
ბოროში და მერე წაიღეს და საუკუნოდ დაასვენეს გელათის
ტაძარში.

III.

შედეგი თამარის მეფობისა ქართველთ ერისათვის და ქრისტია-
ნობისათვის საზოგადოდ. – ქართული ლიტერატურა. – ოქროს
ეპოქა ქართველთათვის. – მოსე ხონელი, დილარგეთ სარგის-
თმოგველი, აბდულ მესია შავთელი, ჩახრუხაძე და უკვდავი შო-
თა რუსთაველი.

თამარის მეფობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართვე-
ლოს და ქრისტიანობას საზოგადოდ. რადგან თამარმა დაუ-
მტკიცა გარეშე მტრებს ქართველთ ძალ-ღონე და დიდება და
მით განადიდა და დაიფარა აურაცხელ მტერთაგან თვისნი ქვე-
შევრდომნი, ამიტომ შინაური ცხოვრება ქართველთა ფართეთ

და თავისუფლად აღყვავდა და მიაღწია უმაღლეს წერტილამდე. რამდენადაც თამარი იყო ძლიერი და ღონიერი სამხედრო საქმეებში, იმდენად და უფრო მეტად ხალხის მმართვაში. იმან დამართა მრავალი სკოლები, რომლებშიაც იზრდებოდნენ ქართველთ ყმაწვილები; იმან აღაშენა მრავალი სკოლები და ეკლესიები ყველა მთიულ ხალხებისათვისაც; ოსეთში, ჩერქეზეთში, ლეკეთში და ყველგან მთაში არიან ნათშნი ეკლესიებისა, ციხეებისა მოწმად თამარის მოღვაწეობისა ყველა ამ ველურ ხალხების გასანათლებელად. იგი იყო კარგი აღმაშენებელი ქვეყნისა; არც ერთი კუთხე საქართველოისა არ დარჩენილა, რომ იქ თამარი არ ყოფილიყო და არ დაეტოვებინა თვისი კვალი. ზოგან იგი აშენებდა ქალაქებს, ციხეებს, ზოგან ეკლესიებს, ზოგან გაჰყავდა არხები, ზოგან გალავნები, ერთის სიტყვით, ყველგან და ყველაფერს უწვდებოდა ხელი თამარისა. ამდენის ღვაწლისაგამო ეხლაც თვით ჩვენ მტერ მთიულ ლეკთაგან და სხვა ხალხთაგან იდიდების „ფერი ფადიშას“ (თამარ-მეფე).

ამ ნაირად თამარის დროს დაუდგა ყველა ქვეშევრდომ ხალხებს საზოგადოდ და ქართველებს კერძოდ ოქროს ეპოქა. თამარი იყო მფარველი და პატრონი ყოველი ნიჭისა, ნიჭიერნი და გონიერნი მუდამ წინ წამოწეულნი და პატივში იყვნენ. უკეთესი ადგილები სამსახურში მათ ეკავათ. ეს იყო მიზეზი, რომ ქართველთ სულიერი და გონებითი ნიჭიერებანი გაიფრჩქვნენ და ფართეთ გაიშალნენ. ამ დროს დაიბადნენ შესანიშნავნი და უნიჭიერესნი მწერალნი: მოსე ხოელი, დილარგეთ სარგის თმოგველი; პოეტნი: აბდულ მესია შავთელი, ჩახრუხაძე და რუსთაველი შოთა. ამ პირთ უკვდაგი ჰქმნეს ჩვენი ლიტერატურა.

მოსე ხონელი – ხონის მცხოვრები, იყო თამარის ვეზირი; ამან დასწერა რომანი «ამირან-დარეჯანიანი».

დილარგეთ სარგის თმოგველი – სოფ. თმოგვიდამ (ახალციხის მხარეში). ამან სპარსულიდამ გადმოსთარგმნა რომანი «ვის-რამიანი» ; ამაშია მოთხრობა ვისზე და რამინზე.

აბდულ მესია შავთელი – (ბერობაში იოანედ წოდებული) სეკრეტარი თამარისა. ამან დასწერა მშვენიერი ლექსი სადიდებელად დავითისა. ამხაირივე ლექსი დასტოვა მეფის ხაზინადარმა ჩახრუხაძემ სადიდებელად თამარისა.

შოთა რუსთაველი დაიბადა მცირე სოფელ-ქალაქში – რუსთავში (ახალციხის მხარეშია). იმან მიიღო უმაღლესი განათლება ათინაში და შემდეგ უპირველესი ადგილი ეკავა სამეფოში; ამან დასწერა «ვეფხის ტყაოსანი». ეს სახელი იმიტომ ჰქვიან ამ შესანიშნავს პოემას, რომ მისი (პოემის) უმთავრესი მოქმედი პირი – ტარიელი იცვამდა ვეფხის ტყავს.

მეფობა ლაშა გიორგისა.

(1212-1223 წ.)

ბრწყინვალე მეფობას თამარისას ორ გვარი შედეგი ჰქონდა ქართველთათვის. – სასახლის წამხდარი ზნეობა. – მტრების აღდგომა წინააღმდეგ ქართველთა. – აშლა მონგოლთა. – მათგან დაპყრობა ქვეყნებისა და დამარცხება ქართველთა. – სიკვდილი ლაშა გიორგისა.

თამარმა გამეფებისავე უმალ მოუპოვა საქართველოს შინაური ერთობა. შეჰკრიბა ყველა ქართველთა უკეთესი წარმომადგენელნი, ქართველთა ძალანი და მათ შემწეობით დაამარცხა ჩვენი მტერ-

ნი, დაადვა მათ ხარკი და მიანიჭა საქართველოს ისეთი ძლიერება, რომ მისი სახელი მაღრუბით-მაშრიყამდის *) განითქვა, უძლიერესს მტერთა ქედი დაახრევინა წინაშე ქართველთა. იშოვა (თამარმა) იმდენი დავლა-ალაფი, რომ საქართველოს შინაურს საჭიროებასაც – ციხეების, ქალაქების, ეკლესიების, მონასტრების და მათთან სკოლების ასაშენებლადაც ეყოთ და ურწყავ ადგილების სარწყავად არხების გასაყვანადაც და ღარიბთათვის დასარიგებლადავ. ამ გვარის მოქმედებით თამარმა ქართველთა სახალხო წმიდა სიამაყე დააკმაყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმავე დროს გადაჰკიდა პატარა ერს ყველა მძლავრი და სისხლის მსმელი მეზობელი ხალხნი, რომელნიც თამარის სიკვდილის და თვრამეტის წლის, უხასიათო და განებივრებულ ლაშა გიორგის გამეფების შემდეგ, აიშალნენ და რამდენი სიმწარეც თამარმა მიაყენა მათ, ორი-სამი იმდენი იმათ ქართველებს; ამ დროის დასუსტებულმა საქართველომ ამის შემდეგ ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნა თავისი სიძლიერე. მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარად საქართველოს დასუსტების და დაძაბუნების მიზეზნი იყვნენ აგრეთვე: 1) სისუსტე და უზნეობა პირველთა შემდეგ თამარის მეფეთა და 2) აშლა შუა გულს აზიაში მონგოლთა ჩინგის-ყაენის წინამძღოლობით.

იმისთანა ნიჭიერმა და შესანიშნავმა დედა-კაცმა და მეფემა, როგორიც იყო თამარი, ვერ გამოზარდა თავისი შვილები ისე, რომ თვისის სიკვდილის შემდეგ ღირსეულნი მოადგილენი ჰყოლოდა. ჯერ ცამეტის წლისა ყმაწვილი იყო, როდესაც ლაშამ გვირგვინი დაიდგა და მეფემან თამარ მიულოცა მეფობა.

---

*) დასავლეთიდგან აღმოსავლეთამდინ.

ის სამხედრო საქმეებს სრულიად ყურს არ უგდებდა და მას «ჟამსა იშვებდა და იხარებდა; იყო ლაღი, თვით ბუნება და

უშფოთველად და დაწყნარებით დაეტევა სამეფო. თვისი».

ამ გვარ-ლაღობის და განცხრომის ჩვეული, გამეფების შემდეგაც თავისას არ იშლიდა. მან განაშორა სახელმწიფო საქმეებს ისეთი გამოჩენილნი კაცნი, რომელთაც მოეპოვათ საქართველოს დიდება და რომელნიც თამარის მარჯვენანი იყვნენ; საქართველოს ბედ-იღბალი მიანდო იმისთანა კაცებს, რომელნიც თუ გამოადგებოდნენ მას ნადირობაში და ნადიმობაში, თორემ სხვაფრივ არაფერში. «განაშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყვარნა თანამოჰასაკენი, მასმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა»... ამისთანა ხალხმა ერთხელ მთვრალობაში ჩხუბი მოახდინეს და მეფეს ლაშას ერთი თვალიც გამოსთხარეს. ამის მხილველნი, სამშობლოს ერთგულნი, მეტადრე ივანე ათაბაგი და ვარამ გაგეელი ზაქარიას ძე, ეუბნებოდნენ ლაშას: „არა თავს ვიდებთო, შენს მეფედ ყოფასა, უკეთუ არ განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა და უწესოებასა, რომელსა ჰყოფ». მაგრამ ყველა ესეები ლაშასათვის არად ღირდა. მან უარესებიც ჩაიდისა. კახეთს, სოფელს ველისციხეს მისულმა „იხილა ქალი ფრიად ქმნული კეთილი (ვიღაცის ცოლი), შეიყვარა ქალი იგი ფრიად და მუცლად იღო დედა-კაცმან მან და ჰშვა ყრმა, რომელსა სახელად უწოდეს დავით“.

ამისთანა უწესოება ვეღარ მოითმინეს ქათალიკოზმა, ვაზირთა, ეპისკოპოსთა და სხვათა და მოახსენეს მეფეს: «არა ჯერ არს რათამცა მხევალი გესვას და არა ცოლი. ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელი». ხოლო მეფესა

„არა ენება და არცა უსმინა,“ რისგამო წაიყვანეს ქალი იგი, დედა დავითისი და „ქმარსავე მისსა მისცეს იგი.» ლაშა კი არც ამის შემდეგ შეუღლდა და „ეგო უქორწინებლად.“

მეფის მაგალითმა იმოქმედა ქვეშეგრდომებზედაც. გავრცელდა ხალხშიაც ბოროტებანი: სიძვანი, მრუშებანი, ამპარტავნება და სხვ.

საქვეყნო, მამულისათვის სასარგებლო საქმე ლაშას, თითქმის, არაფერი გაუკეთებია. მართალია იმან პირველ წლებში თავის მეფობისა დაამარცხა აჯანყებულნი განჯელნი, მაგრამ ამის მიზეზნი იყვნენ ის თითო-ოროლა მხედარნი თამარისა, რომელნიც ჯერ არ განშორებოდნენ მას.

ამისთანა თავხედი და სულელი მეფის დროს შუა-გულ აზიაში გაძლიერდა თემუჩინი, *) ჩინგისხანად წოდებული,

---

*) თემუჩინი იყო მონგოლთა (კალმიკთა) მეფე. ახალი ისტორია მონგოლებისა იწყობა 1200 წ. ქრ. შემდეგ. მონგოლი არის უშნო, უმსგავსი, ცხენის უმი ხორცის მჭამელი და მისივე რძის მსმელი, ჯგუფ-ჯგუფად ანუ თემობით სცხოვრობდნენ მონგოლის ანუ მუნგალის მინდვრებში (აზიაში). ყოველს თემს საკუთარი ხანი (ბატონი) ჰყვანდა, 1206 წ. გაძლიერდა ერთი თემის ხანი – თემუჩინი, რომელმაც ყველა სხვა ხანები დაამარცხა და ყველა თემები შეაერთა, დაი-

პყრო ჩინეთი და ერთ მილიონ ნახევარ ჯარით წამოვიდა დასავლეთის ქვეყნების ასაკლებად. აიღო სამარყანდი, ბუხარა, ბალხი და მრავალი სხვა ქალაქები, გაწყვიტა 80,000 კაცი. მერე უფროსი თვისი შვილი ჯუჩი გაგზავნა ყიფჩაყის ასაკლებად. (ყიფჩაყი სამ სამეფოდგან შესდგებოდა: აშტარხნისა, ყაზანისა და ყირიმისა). ჯუჩი შევიდა ამ ქვეყნებში და მდ. კალკაზე რუსები და პოლოვცები საშინლად დაამარცხა (1224 წ.). მისმა შვილმა ბატუმ 300,000 კაცით აიღო რიაზანი, დასწვა მოსკოვი; 4 მარტს მდ. სიტაზე, ტვერის გუბერნიაში, მან საბოლოვოდ დაამარცხა რუსის ჯარი და 200 წლის მონობის

რომელმაც დაიბანაკა ყარაყურუმში და ჩერმაგუნის წინამძღოლობით გამოგზავნა დასავლეთისკენ დიდ-ძალი ჯარი, რომელმაც დაიპყრო ირანი, თურანი, ჟიგონი, ირაკი, ადირბეჟანი განჯამდის და შემოვიდა საქართველოს პროვინციაში – გაგში. ლაშა კაი ძალი ჯარით შეებრძოლა მტერს, მაგრამ საშინლად დამარცხებული უკუ მოიქცა თბილისში; მონგოლები თავისუფლად შემოვიდნენ საქართველოში, აიღეს სამშვილდე, აქედგან დადაბრუნდნენ, აიღეს დერბენდი და წავიდნენ ჩინგისთან ყარაყურუმში.

მონგოლების (ქართველნი ამათ თათრებს უწოდებდნენ) დაბრუნების შემდეგ ლაშა სულ არ ჰფიქრობდა ქართველების გამხნევებას და არ ემზადებოდა მტრის დასახვედრად, პირიქით იმან მიჰყო ხელი მთვრალობას და გარყვნილობას, მამულის საქმეს სრულიად ყურს არ უგდებდა. ამ დროს მცირე აზიის სულთანმა მელიქმა ითხოვა მისი და რუსუდანი ცოლად. ამ საქმის გასარიგებლად ლაშა წავიდა ბაგავანში, იქ ავად გახდა და 1223 წ. მოკვდა. სიკვდილის წინა წამებში უანდერძა იქ მყოფ ქართველებს, რომ მეფედ დაესვათ რუსუდანი და მის შემდეგ თვისი უკანონო შვილი დავითი, თამარის ქმრის სოსლან-დავითის მოსაგონებლად, სოსლანად წოდებული.

უღელი დაადვა მთელს სარუსეთოს. მან აიკლო აგრეთვე ვენგრია და სილეზია და თვის საბანაკოდ აირჩია სარაი მდ. ვოლგაზე. ამავე დროს
ჩინგისის მეორე გენერალი ოგოდაი არბევდა ინდუსტანის ქვეყნებს, მესამე გენერალი კი ჩერმაგუნი კავკასიას.

მეფობა რუსუდანისა.

(1223- 1247 წ.)

რუსუდანის ყოფა-ქცევა. – ჯელალ-ედინი იღებს ანს და შემოდის საქართველოში. – ათაბაგი ავაგი მხარგრძელი. – ჯელალი იღებს თბილისს და აოხრებს საქართველოს. – ყიასდინის დამოყვრება. – სიკვდილი ჯელალისა და მონგოლების შემოსევა. – ზავი მონგოლებთან. – დამარცხება ყიასდინისა. – რუსუდანის თხოვნა პაპისადმი. – სიკვდილი რუსუდანისა და გამეფება დავით სოსლანისა და დავით ნარინისა.

რუსუდანი უმუტეს ძმისა იყო გარყვნილი და გულ-გრილი თავის ქვეშევრდომთადმი. ის მუდამ მხიარულობაში და ლაღობაში იყო და სამეფო საქმეებს სრულიად ყურს არ უგდებდა. ამ დროს თათართაგან დამარცხებული და განდევნილი ხორასნის სულთანი ჯელალ-ედინი 140,000 კაცით შემოდის საქართველოს პროვინციაში დვინში. აოხრებს ქ. ანს, სომხეთს, გაგს განჯამდის (1225 წ.). ქვეყნის შველის მაგიერ ამ საუბედურო დროს, მეფის სპასპეტნი ქიშპობდნენ ერთმანერთში და რუსუდანი კი ებრძოდა თავის ქმარს – არზრუმის სულთანს მაგიტ-ედინს, იმიტომ რომ ეს უკანასკნელი მეტად აყვედრიდა მეფეს გარყვნილობისათვის. ამასობაში ჯელალი ავაგის პირით უთვლის რუსუდანს, რომ დასტოვოს პირველი ქმარი და შეირთოს იგი. რუსუდანი არ თანხმდება. მაშინ განძვინებული ჯელალი მოდის თბილისზე, მეფე კი მიიქცევა ქუთისს. სულთანი შემოდის სომხითში, სწყვეტს ყველა მცხოვრებლებს და იღებს თბილისს (1226 წ.). იმოდენ ხალხს ხოცავს, რომ ქალაქის ქუჩები იმსება ადამიანთა გვამებითა. ხალხის უმეტეს

ნაწილს ავლაბრის ხიდიდამ მტკვარში ჰყრის. თბილისში იღუპება ჯელალისაგან 100.000 კაცი. ამის შემდეგ ჯელალი შეესევა საქართველოს და 5 წლის განმავლობაში არბევს მას და სრულიად აოხრებს.

მაშინ, როდესაც ჯელალის ჯარნი ატიალებდნენ საქართველოს, რუსუდანი სცხოვრებდა ხან ქუთაისში და ხან აფხაზეთში. ამ დროსვე დაუმოყვრდა ყისდინს, იკონიის სულთანს, რომელსაც თვისი ქალი (მაგიტ-ედინისაგან) თამარი მიათხოვა და მზითვათ აწყვერი მისცა. ქალს თამარს გააყოლა ძმის შვილი – დავით სოსლანი, თავისი ვაჟი დავითი კი (მაგიტ-ედინთან ნაყოლი) დასვა მეფედ საქართველოისა.

ჯელალი რომ საქართველოს არბევდა, იმ დროს ჩინგისის მოადგილე გაუგ-ხანი შემოესია სპარსეთს და გაჟლიტა 532,000 მცხოვრები. ჯელალი სამშობლო ქვეყნის საშველად წავიდა, მაგრამ დამარცხდა და მონგოლთაგან გამოიდევნა თბილისამდის და აქედგან ბასიანამდის და იქ მოკლულ იქმნა.

რაც კი რამ გადარჩა საქართველოში სულ ყველა დაამხეს მონგოლთა: ეკლესიანი (გარდა ბოდბის-ნინოწმინდისა), ყველა ციხეები პირქვე დასცეს. ხალხი თავ-ზარ დაცემული მიილტვა თებისკენ. მთელს საქართველოს (აქეთურს) ცეცხლი წაუკიდეს და აღარ სად აღარ იყო თავშესაფარი ადგილი. ამისთანა სავალალო დროს საქართველოს გამოუჩნდა მშველელი. ეს იყო

ავაგი, შვილი ათაბაგის ივანესი. ზავის შესაკრავად იმან მოციქულნი გაგზავნა უმთავრეს ურდოში მონგოლთა-ბარდაში. მონგოლნი დათანხმდნენ და დაადვეს ქართველთ დიდი ხარჯი (ხარკი) და ქართველთათვის მეფის დანიშნვის უფლებაც დაიტოვეს.

ეს უღელი მონგოლთა მძიმედ დააწვა ქართველთა და საშინლად შეაფერხა, ისეც უნიჭო მეფეების წყალობით შეფერხებული წარმატება ქართველთა ერისა. დიდებული თამარის ბრწყინვალე სამეფო სრულიად დაინგრა და დასუსტდა. ამდენმა უბედურებებმა გაეტეხეს ქართველთ გული, დასჩაგრეს და სასოწარკვეთილებაში ჩააგდეს.

შველა ქართველთ აღარსაიდგან ჰქონდათ. ბიზანტიის იმპერია აღარ არსებობდა. *) ყისდინი, მშველელი რუსუდანისა, მონგოლთა სრულიად დაამარცხეს, მხოლოდ დიდ-ძალის ოქროთი შეისყიდა თავისუფლება იკონიის სულთანმა. ამ გაჭირებულ დროს რუსუდანი მიიქცა პაპა გრიგორი IX-დმი შემწეობის სათხოვნელად. მაგრამ ეს თხოვნა შეწყნარებულ არ იქმნა, თუმცა პაპამ 7 ბერი გამოგზავნა საქართველოში მეფის და ქართველთა ერის კათოლიკობაზე მოქცევისათვის.

მონგოლნი კი მცირე აზიიდგან წავიდნენ საზაფხულოდ არარატის ქვეყნებში, დავით სოსლანი კი (ეს ყიასდინს გამოსთხოვეს) აღიარეს საქართველოს მეფედ და მის სამეფო ტახტზედ დასამტკიცებლად გაგზავნეს იგი ყარაყურუმში. ეს რომ გაიგო რუსუდანმა თავის დავითიც **) დიდის საჩუქრებით და ბრწყინვალე ამალით გაგზავნა ბარდაში, რომ მეფედ იგი დაესვათ და არა სოსლანი. მონგოლთა უფროსებმა მიიღეს სიხარულით და ესეც გაგზავნეს ყარაყურუმში.

რუსუდანი სრულიად დაასუსტა ბიწიერებამ და გარყვნილობამ, ღონე მილეულ იქმნა, ვეღარ მოელოდა შვილის გა-

---

*) იგი დაიმხო 1204 წ. და მის ადგილას 50 წლით დაარსდა ლათინის იმპერია.

**) მონგოლთა მას დაარქვეს „ნარინი,“ ესე იგი იმათებურად „მოსული.“

ბედნიერებას, მოიწამლა თავი და განუტევა ცოდვილი სული თვისი.

მონგოლთა უფროსმა ყარაყურუმში ყუბულ-ყაენმა ვერც ერთ დავითს ვერ მისცა უპირატესობა. გაუგზავნა ისინი თავის ბაღდადის ასაღებად მიმავალ ძმას – ულუყაენსა და დააბარა, რომ ან ერთი მათგან დაესვა ტახტზე, ან ორივე ერთად. ულუყაენმა არჩია უკანასკნელი, რის გამო დავით სოსლანი და დავით ნარინი ეკურთხნენ საქართველოს ტახტზე თბილისში.

მეფენი

- დავით IV ნარინი 1243 – 1959 წ.
- დავით V სოსლანი 1243 – 1259 წ.

საქართველოს შევიწროებული მდგომარეობა. – დავით ნარინის გაქცევა. – იმერნი აღიარებენ ნარინს თავის მეფედ. – განყოფა საქართველოისა ორ სამეფოდ.

მონგოლნი მოსვენებაში არ იყვნენ: ისინი ებრძოდნენ სხვა და სხვა ხალხებს და ქართველთ მეტად ავიწროებდნენ და თან საომრად წაასხამდნენ ხოლმე. ქართველთ მეფენი ყურმოჭრილნი ყმანი იყვნენ ულუყაენისა. მეფეთაგან ქართველთ უფრო სოსლანი უყვარდათ და არა სწყალობდნენ ნარინს, რის გამო ეს უკანასკნელი განდევნეს ბარდაში. მაგრამ ნარინი გაიქცა აფხაზეთში, საცა ნადირობის დროს შეხვდა მას სუმბათ ორბელიანი, რომელმა ჩააცვა მას უბრალო ტახისამოსი, რომ არ ეცნოთ მონგოლთა და გაგზავნა თორში ლიპარიტ თორელთან, ამან კიდე გამოაცილა იგი იმერეთში – ქუთაისში. მეგრელთა, რაჭველთა, სვანთა, აფხაზთა და ყველა ლიხს იქითელთა სიხარულით აღიარეს იგი თვის მეფედ 1259 წ. ამ გვა-

რად მთელი საქართველოს სამეფო გაიყო ორად: ამერეთის სამეფოდ დ იმერეთისა.

იმერეთის მეფე ნარინი 1259 წ. – 1289 წ.
ამერეთის მეფე სოსლანი 1259 წ. – 1270 წ.

სოსლანის მორჩილება. – ბაღდადის ომი. – აღწერა ხალხთა. – ხარკი. – ეგვიპტის (მისირის) ომი. – დავით სოსლანი აღუდგება ულუყაენს. – მისი დამარცხება. – იმერეთის ქათალიკოსი. – სარგისი ყარნუ-ქალაქის უფროსად ხდება. – სიკვდილი ულუსი. – აოხრება კახეთისა. – სიკვდილი სოსლანისა.

ნარინის გაქცევა რომ გაიგო მონგოლთა ბატუ-ყაენმა, მაშინვე გაიწვია სოსლანი მორჩილების გამოსაცხადებლად. ამანაც აღასრულა მისი სურვილი. ამისგამო სოსლანი დასაჩუქრებულ იქმნა ბატუსაგან. თავის ქვეყანაში რომ დაბრუნდა, გამოეცხადა ულუ-ყაენს, რომელმაც ის დიდის ქართველთა ჯარით ბაღდადის *) ასაღებად წაიყვანა. რამდენიმე დღეს ქალაქის სიმაგრემ ძლივს გაუძლო მტრებს; დავით სოსლანი თავის ჯარით პირველად შევიდა ქალაქში. ულუ-ყაენმა საზარელი სისხლის ღვრა მოახდინა. დაატყვევა თვით ქალიფი და მერე მოჰკლა იგი და გასწყვიტა მისი ჯალაბობაც.

ამ დროს ბატუმ მოახდინა აღწერა ყველა თვის ქვეშე-

ვრდომ ხალხთა. ამ აღწერის ძალით ხარჯი გაწერილი იყო ყოველს კაცზე, ცხოველზე, მიწაზე, ვენახზედ; სოფლე-

*) ბადდადი მდიდარი და შესანიშნავი ქალაქია მდ. ტიგროსის მარცხენა კიდეზე. აშენებულია პირველ ქალიფებთაგან. მასში 100,000 მცხოვრებია და დიდი ვაჭრობა აქვს.

ლებს უნდა მიეცათ აგრეთვე ცხვარი და ოქროს ფული, და ცხენის საქირავებლად 3 კაპეიკი ყოველ დღე. ვინც ამ ხარჯს ვერ მისცემდა იმას ართმევდნენ ვაჟს ანუ ქალს. გარდა ამისა ათის თავზე ერთი კაცი უნდა ჯარში ჩაწერილიყო და მიეღო მონაწილეობა მონგოლთა ომებში. ამის მიხედვით მარტო ნარინს უნდა გამოეყვანა 10 თუმანი *) ჯარის კაცი.

ულუ-ყაენი ბაღდადის აღების შემდეგ ხელ-მეორედ მიესია მისირის სულთანს, რომელიც დაამარცხა ქართველების შემწეობით და სრულიად აღაოხრა სირია და მესოპოტამია. აქედგან ქართველნი ულუ-ყაენის ნებადართვით დაბრუნდნენ საქართველოში. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ესენი ხელ-ახლა გაიწერა ულუმ. მაგრამ დაღალულმა დავითმა უნაყოფოდ ბრძოლა მტერთათვის აღარ ინება და აღარ წავიდა ულუსთან სარგის **) ჯაყელის რჩევით და დარჩა სამცხეში. ულუმ კი გააოხრა ეგვიპტე და დაბრუნებისას 20,000 კაცი გაგზავნა დავითის წინაღმდეგ. მეფემ სარგისის წინამძღოლობით დაუპირდაპირა მტრებს 8,000 ცხენოსანი, რომელნიც დამარცხდნენ და მტერმა აღაოხრა სამცხე; სასიხარულოდ მალე მტერნი გაწვეულ იქმნენ სამცხიდგან, რადგან ხორასანს დასცემოდა ხანი თურანი, რომლის საწინააღმდეგოდ მიეშურებოდა ულუ-ყაენი.

სარგისის რჩევით სოსლანი მიდის იმერეთში ნარინთან და ურთი-ერთ შორის თანხმობით ჰყოფენ საქართველოს ორ

*) თუმანი = 10,000 კაცია, მამასადამე 10 თუმანი შეადგენს 100,000 კაცს. ამ აღწერილობის ძალით განსვენებულს ბროსეს გამოჰყავს, რომ მე XIII საუკ. ქართველთა რიცხვგ 4 მილიონი იყო. აღწერილობაში ყრმანი 0 წ. – 10-მდის არ ითვლებიან.

**) ეს არის შესანიშნავი თავის დროის მწერალი და აგრეთვე მხედარი.

სამეფოდ: ლიხის მთებს აღიარებენ მიჯნად ორთავ სამეფოებ შუა. ქუთაისი ხდება სატახტო ქალაქად და ამასთანავე საქათალიკოსოდ იმერეთის სამეფოისა. ამ დრომდის კი მთელი საქართველოს საქათალიკოზო ქალაქი ერთად ერთი მცხეთა იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ულუ-ყაენი თვითონვე ურიგდება სოსლანს და გაიწერს მას თავის ურდოში, საცა დავითი მიდის სარგისთან ერთად. ესენი ერთგულების დასამტკიცებლად იმარჯვებენ ულუს მტერზე, რისგამო სარგისს ეძლევა ყარნუ-ქალაქი, მაგრამ მეფის დავითის ჩაგონებით ხელ-ახლა ულუ-

ყაენი ართმევს მას.

ულუ-ყაენი მალე მოკვდა და მისი ადგილი დარჩა მის შვილს – ავაგს ამან გაამაგრა მტკვრის ნაპირები არეზამდის, მაგრამ დარბენდიდგან ჩამოსულ მონგოლთა ბერკას წინამძღოლობით გააოხრეს კახეთი, შემოვიდნენ თბილისამდის, გაჟლიტეს ბევრი ქრისტიანნი და აქედგან დაბრუნდნენ, რადგან უცებ გარდაიცვალა ბერკა.

ამ დროს იმერეთში მოხდა შემდეგი: კახაბერი, რაჭის ერისთავი არ დაემორჩილა ნარინს. ფარულად შეიყვანა თათარნი ქუთაისში, რომელთა გაცარცვეს ქალაქი, ეკლესიები, ბევრი ქრისტიანე დაატყვევეს და დაბრუნდნენ აბაგთან, მაგრამ მეორე წელიწადს ხელ-ახლა აიღეს ქუთაისი და გაცარცვეს იგი.

ამ გვარმა მოუსვენარმა ცხოვრებამ, მრავალთა უბედურებათა, 18 წლის შვილის სიკვდილმა ბოლო მოუღეს მეფე დავით სოსლანს. იგი გარდაიცვალა მონგოლთა ურდოში 1270 წ. დაიმარხა მცხეთაში. მას დარჩა მცირე წლოვანი ძე დიმიტრი.

დიმიტრი, მეფე ამერეთისა, თავდადებული.

(1270 – 1289 წ.)

საქართველოს მმართველად ინიშნება სადუნა მაკა-ბერდელი. – მისირის აღება. – ყიასდინის სიკვდილი. – მაკაბერდელი კახეთ პერეთის მმართველად რჩება. – საქმენი დიმიტრისი. – სიკვდილი აბაგისა. – არგუნისაგან ნოინების დახოცვა. – თავ-დადება დიმიტრისი. – მისი შვილები. – გამეფება ვახთანგისა.

რადგანაც დავით სოსლანის სიკვდილის შემდეგ ჯერ დიმიტრი იყო მცირე წლოვანი და მეფობა არ შეეძლო, ამიტომ აბაგმა სამეფოს დროებით მმართველად დანიშნა უფროსი და წარჩინებული მთავარი ს. მაკა-ბერდელი. ამის მმართველობის დროს აბაგამ გაილაშქრა მისირის დასაპყრობად, მაგრამ იქ, იკონიის სულთნის ფარვანის მიზეზით დამარცხდა (ფარვანი შეუღლებულ იყო თამარასთან, რუსუდანის ასულთან, ყიასდინის ქვრივთან). სულთანი მოკლულ იქმნა და მისი ცოლის მზითევი – აწყვერი მიეცა სარგის ჯაყელს და ამის შვილს ბექას.

დიმიტრის გავაჟკაცების და გამეფების შემდეგაც, სადუნი დარჩა მმართველად კახეთ-ჰერეთისა და ამ ქვეყნებს ბრძნულად ჰმართავდა. დიმიტრი მეფე იყო მეტად ღვთისნიერი, ჭკვიანი, მშვიდი ხასიათისა და ქვრივ-ობოლთა და ღატაკთა შემწყალებელი. იგი იცვამდა უბრალო ტანისამოსსა და ისრე ფარულად ათვალიერებდა საწყალს ხალხსა, იგებდა მის ტკივილებსა და შეძლებისა-და-გვარად შველოდა და ნუგეშს სცემდა ხოლმე. მან ააშენა ეკლესიები, გაამშვენიერა და გაამდიდრა ზოგი-

ერთი იმათგან. შეირთო ცოლად ტრაპიზონის იმპერატორის კომნენის ასული, რომლისაგანაც გაუჩნდა ორი ვაჟი: ვახთანგი და დავითი. თვისი და მიათხოვა არგუნსა. სამეფო სრულიად დაამშვიდა და ახალი, უფრო სამართლიანი აღწერა მოახდენინა არგუნსა. ამ დროს მონგოლთა სამეფო დაიყო რამდენიმე დამოუკიდებელ სამეფოებად.

თუმცა საქართველო ცოტაოდენად დამშვიდდა, მაგრამ ხალხთა ზნე, ყოფა-ქცევა ბევრად შეიცვალა: ამდენმა ურჯულო ხალხებმა იქონიეს თვისი გავლენა. თვით მეფემ დიმიტრიმ, გარდა პირველის ცოლისა, შეირთო კიდევ ორი ცოლიც. მთავრები მეტად გარყვნილები იყვნენ. ხალხიც ბაძავდა უფროსებს. ნიკოლოზ ქათალიკოზის ქადაგებანი და ვედრებანი დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. ყველა ამ გვარ უბედურებას ზედ დაემატა აგრეთვე ბუნების ღელვაც: საშინელმა მიწის ძვრამ ვნების კვირაში (1279 წ.) დიდი ზარალი მისცა ხალხს. სხვათა შორის დაანგრია მცხეთის და აწყვერის ტაძარნი.

იმერეთის სამეფო ამ დროს უფრო მშვიდობიანად იყო და შენდებოდა. კახაბერმა შეინანა ცოდვები და მეფისაგან პატივებულ იქმნა, მაგრამ ხელ-ახლა შეუტყეს ორგულობა და დასაჯეს: თვალები ამოუწვეს, ერთი ფეხი და ერთი ხელი მოსჭრეს და ორი შვილი მისი გაგზავნეს კოსტანტინეპოლში.

ამ გვარს მდგომარეობაში იყვნენ სამეფოები, როდესაც აბაგა შოკვდა და მის მოადგილედ გახდა ძმა მისი აჰმადი, კაცი უდიერი, ცბიერი, სისხლის მსმელი და მწვალებელი, რისგამო იგი მალე აბაგის შგილისაგან – არგუნისაგან მოკლულ იქმნა.

ამ დროს დერბენდელნი აღუდგნენ არღუნს, რომელმაც დიმიტრი მეფესთან ერთად დაამარცხა იგინი. ქართველთა ერთის შეტევით აიღეს მეტად მაგარი ციხე ანაკა და სრულიად დაანგრიეს იგი. ხალხნი ზოგი დახოცეს და ზოგი დაატყვევეს. გამარჯვებული არღუნი რომ დაბრუნდა, ეჭვში შევიდა: მას ეგონა ნოინები *) მღალატობენ და მიორგულებენო. ამიტომ საიდუმლო ბრძანება გასცა, რომ დაეხოცათ ყველა ნოინები მცირე აზიისა და ხორასნისა. ამ ბრძანების ძალით უწინარეს ყოველთა მოიკლა დიმიტრის მეგობარი ნოინი ბუღა (ჩინგის ყაენი).

ბოლოს ჯერი მიდგა დიმიტრიზედაც: ესეც ეჭვში ჰყვანდა. დიდის ჯარით არღუნი დადგა საქართველოს მიჯნებზე და შემოუთვალა მეფეს, რომ წასულიყო მის ურდოში. ერთგულების გამოსაცხადებლად მეფე დიმიტრი თავის შვილით დავითით წავიდა არღუნის ურდოში. მაგრამ შორი-ახლო შეხვდნენ მას არღუნისაგან დაყენებული კაცები; დაიჭირეს მეფე და მისი შვილი დაამწყვდიეს ერთს ციხეში, საცა დარჩნენ იმ დრომდის, მი-

ნამ არღუნი მოელაპარაკებოდა დავით ნარინს, რომ შვილი მიეცა ამერეთის სამეფო ტახტზე დასასმელად. ნარინ დათანხმდა. ამით არღუნს უნდოდა, რომ ორივე სამეფოები მორჩილებაში ჰყოლოდა. ამის შემდეგ 1289 წ. დიმიტრი გამოიყვანეს ქალაქს გარეთ და თავი მოჰკვეთეს. იქ მყოფთა ქართველთა თავადთა იყიდეს გვამი მეფისა, მოიტანეს და მცხეთაში დამარხეს. ამ ნაირი სვეც მოელოდა დავითსა, მაგრამ ის შეეცოდა ნოინს ტაჩარს, რომელმაც გამოსთხოვა ის ყაენსა და იშვილობილა.

---

*) ნოინი ანუ მმართველი.

დიმიტრის იმპერატორის ასულისაგან დარჩა: დავით უფროსი, ვახთანგი, ლაშა, მანუილი და რუსუდანი; თათრის ქალისაგან: ბადური, იედიგარი და ქალი ჯიგდა-ხათუნი; ნათენასაგან (ესე იყო ასული ბექასი): გიორგი. ძენი თვისნი დიმიტრიმ, როდესაც მიდიოდა ურდოში, გაგზავნა ზოგნი მთიულეთში, ზოგნი კახეთში, უმცროსი გიორგი კი იშხნის ციხეში – ტაოს ქვეყანაში. საქართველო დარჩა უმეფოდ.

მაგრამ მალე მივიდა ყაენთან ვახთანგი, ნარინის შვილი. არღუნმა კარგა მიიღო ისა. შერთო მას თვისი და – ოლჯათი და გამოისტუმრა თბილისში.

ვახთანგი II, მეფე იმერეთისა, შვილი დავით ნარინისა.

(1289-1292 წ.)

ვერაფერი მალამო დასდო ვახთანგმა ქართველთა ხალხის წყლულებს. თუმცა ის იყო «პატიოსანი, ტკბილი და მოსამართლე, ახოვანი და მხნე და სამხედროთა ზნითა აღსავსე». მან საქართველოს საქმეების გამგებლობა გადასცა ხუტლუ ბუღას და თვითონ, თითქმის, სრულიად სამეფო საქმეებს ყურს არ უგდებდა. ამის გამო რამდენიმე ხნის შემდეგ ხუთლუ-ბუღამ მოინდომა დავითის (დიმიტრის ძის) გამეფება. მისი შემწე იყო აგრეთვე ტაჩარ ნოინი და ოსეთის მთავარი-ფარაჯა.

ამასობაში საშინლად ავად გახდა არღუნი და მოკვდა. აგრეთვე დასნეულდა ვახთანგი და გარდაიცვალა (1292 წ.) ამავე წელს გარდაიცვალა დავით ნარინიც.

საქართველოს სისუსტით უნდა ესარგებლა რომის პაპას ნიკოლოოზ IV გასავრცელებლად კათოლიკობისა. ამიტომ მან 1289 წ. გამოგზავნა საქართველოში რამდენიმე ბერნი, რომელნიც პატივით მიღებულ იქმნენ. მათ მიეცათ აგრეთვე

უფლება დაეარსებინათ თბილისში საკუთარი საეპისკოპოსო. იმათი წინამძღვარი იყო იოანე ფლორენციელი.

მეფენი:
- დავით მე-VI, მეფე ამერეთისა, 1292 – 1310.
- კოსტანტინე, ძე ნარინისა, მეფე იმერეთისა 1292 – 1327.

ნარინს ჰყვანდა სამი შვილი. მამის სიკვდილის შემგეგ კოსტანტინე, როგორც უფროსი ვაჟი, აღვიდა მამის ტახტზე, მაგრამ უმცროსი მისი ძმა მიხეილი (ანუ მიქელი) აუჯანყდა და დამოუკიდებელ მეფედ რაჭისა და არგვეთის ქვეყნებისა აღიარა თავი თვისი.

ამერეთის მეფედ ქეთგუქონ ყეინმა დასვა დავითი მე-IV, მაგრამ მიწამ გამოგზავნიდა თბილისში, ჯერ წაიყვანა საომრად წინააღმდეგ თვის მტრისა და შემდეგ მის დამარცხებისა გამოისტუმრა თბილისში. მეფის ჩამოსვლამდის ოსნი დაეცნენ გორს, აიღეს ქალაქი და ქართლსაც აოხრება დაუწყეს. ქართველთ ჯარებმა წაართვეს და სრულიად დასწვეს გორი. ორთავ მებრძოლთ შუა ჩამოვარდა ზავი.

ქეთგუქონი მალე მოიკლა, მისი ადგილი დაიჭირა თუქალმა, რომელსაც ემტერებოდა არღუნის შვილი, ხვარასნის სულთანი ყაზანი. თუქალი გაიქცა სამცხეში, თვისი შვილი კი გაგზავნა ტაოში. ყაზანმა გამოითხოვა თუქალი და მისი

შვილი და თვითონ გახდა დიდ ყეინად და განძვინებული დავითზე დიდ-ძალის ჯარით მოვიდა და მოაოხრა სომხეთი, ქართლი და ერწო. მაგრამ მეფე დავითი მაინც არ ემორჩილბოდა მას, ამისგამო ყაზანმა მეფედ ქართველთა დანიშნა მისი ძმა გიორგი, ძე დიმიტრი II-სა.

მეფენი.
- გიორგი V უფროსი, მეფე ამერეთისა 1299 – 1301 წ.
- ვახთანგი III ძე დიმ. მეფე ამერეთისა 1301 – 1307 წ.
- გიორგი VI უმცროსი ძე დავით VI 1308 – 1318 წ.

დავითი ჩაიკეტება ცის-კარში. – გამეფდება ვახთანგი. – მცირე აზიის სულთანი დაეცემა ქართველებს. – მათი დამარცხება. – აღება დამასკისა. – დამარცხება ეგვიპტელთა. – დავითი დაეცემა თბილისს. – ყაზანის სიკვდილი. – ახალი ყეინი. – ვახთანგის სიკვდილი. – გამეფება გიორგი II-სა, სიკგდილი დავით IV და მისის შვილის გიორგი VI სა უმცროსისა.

რამწამს ახლად გამეფებული გიორგი მე-V შემოვა თბი-

ლისში, იმავ წამს დავითი თავის ძმით ვახთანგით გაემართე-
ბა თბილისიდგან. მათ ყაზანი ხუთლუ-შაის წინამძღოლობით
გამოადევნებს ჯარებს. ისინი ჩაიკეტებიან მეტად მაგარს ცი-
ხეში ცის-კარში (თუშეთში). ხუთლუ-შაი იმ ციხემდის ვერ
მივიდა ადგილ მდებარეობის სიმაგრისა გამო; ჩვენი ქვეყნები
კი დაარბია და ისედაბრუნდა ყაზანთან.'ცის-კარში დავითი წაე-
ჩხუბა თავის ძმასვახთანგს, რისგამო ეს უკანასკნელი მივიდა
ყაზანთან, რომლისაგან პატივით მიღებულ და მეფედ გამო-
ცხადებულ იქმნა. ამ ნაირად ამერეთს ერთივე იგივე დროს
ჰყვანდა სამი მეფე: გიორგი, დავითი და ვახთანგი III.

ამ საშინელ დროს ქართველთათვის ერთი შემწე ვინმე
არ გამოჩნდა. მტრები ხომ მტრობდნენ და აოხრებდნენ ქვე-
ყანას, თვით მეფეთ შთამომავლობაც ისრე სინიდის დაკარგუ-
ლი და გარყვნილი იყო, რომ, ერის შველის მაგიერ, ერთმა-
ნერთში ჩხუბობდნენ, მიიბირებდნენ ხოლმე ერთ ნაწილს ქარ-
თველთ ხალხისას და მათ შემწეობით ეომებოდნენ მეორე ნა-
წილს, რომ ჩამოეგდოთ მათი მომხრე მეფე ტახტიდგან და
თავისი დაესვათ.

ამისთანა დროს, როდესაც კაცი კაცს ვეღარა სცნობდა,
როდესაც ძმა-ძმას ღალატობდა, დასავლეთ საქართველოს შ-
მოესია მცირე აზიის სულთანი აზათ-მაზე 60,000 კაცით.
მან აიღო ტაო, ვაშლოვანი, მუძგული და დახოცა მრავალი
ხალხი. ამისთანა საზარელ დროს ბექამ შეაგროვა 12,000 კაცი
და თავის შვილის სარგისის მოშველებით დაეცა მტრებს,
ბევრი მათგან დახოცა, სხვები განდევნა ტაოდამ და აიღო
ნორ ქალაქი.

ყაზანი კიდევ ამხედრდა წინააღმდეგ ეგვიპტელთა და წაი-
ყვანა ვახთანგი ქართველთ ჯარით. ბრძოლა მოჰხდა დამასკის
ახლოს. ქართველთ ცხენოსნებმა დაამარცხეს ეგვიპტელნი და
განდევნეს იერუსალიმისკენ. დამასკი კი დაანგრიეს და მცხოვ-
რებნი მისნი დახოცეს.

დავითმა ამასობაში შეაგროვა ხელად 15,000 კაცი და
დაეცა მონგოლებს თბილისში და საშინელი სისხლის ღვრა
მოახდინა. მაგრამ ვახთანგი სწრაფად გამოეშურა მცირე აზი-
იდამ, შეებრძოლა ძმას, დაამარცხა იგი და დაატყვევა, თუმცა
შემდეგ ისევ გაანთავისუფლა.

ყაზანს დიდხანს აღარ უცოცხლნია. ის მოკვდა და ყეი-
ნად გახდა მისი ძმა ყარა-ბუღა. ამან მიიღო მაჰმადის სარწმუ-

ნოება და უნდოდა ამ სარწმუნოების გაგრცელება, მაგრამ რად-
გან ამაო იყო ყოველი მისი განზრახვა ამ მხრით, ამიტომ
ბრძანება გასცა გაეწყვიტათ ყველა ქრისტიანები საქართველო-
ში. ვახთანგმა ააცდინა ქართველებს ეს საშინელი განსაცდელი:
იგი წავიდა ურდოში, ხმალზე თავი დასდო და მოახსენა ყე-

ინს, რომ ის მზად არის აქვე თავი მოაკვეთინოს, თუ ქრისტიანთ გაწევეტის ბრძანება გაუქმებული არ იქმნება. მართლაც ყარა-ბუღამ შეუსმინა და აპატივა ქრისტიანთა. მეფე დაბრუნდა და გზაში მოკვდა, იგი დაიმარხა დმანისში. მას დარჩა დიმიტრი და გიორგი. დიმიტრი გახდა ბატონად დმანისისა, გიორგი კი სამშვილდისა.

ძმების სიკვდილის შემდეგ გიორგი VI წავიდა ურდოში. იქ პატივით მიღებულ იქმნა, მაგრამ რაღაც გაუგებარ მიზეზებისა გამო მეფედ დანიშნულ იქმნა ყეინისაგან უმცროსი შვილი დავითისა (ეს ამ დროს უკანასკნელ წამებში იყო) გიორგი. ყარა-ბუღაც მოკვდა და გაყეინდა მისი შვილი აბუსაითი, რომელთანაც მივიდა გიორგი VI; ამას ყეინმა მისცა მთელი საქართველო და დაუმორჩილა დავითის შვილნი, ყველა მთავრები და მესხნი. 1310 წელს დავით VI და მისი შვილი გიორგა IV გარდაიცვალნენ და დარჩა სამეფო მარტო გიორგი V, ბრწყინვალედ წოდებულს.

– 145 –

ბრწყინვალე მეფობა გიორგი V-სა.

(1318 წ. – 1346 წ.)

დაპყრობა ქვეყნებისა. – ოსებზე გალაშქრება. – მათი დამარცხება. – უთანხმოება ნოინებ შორის. – გიორგი განდევნის სამეფოდგან ყველა თათრებს. – აღება იმერეთისა. – მორჩილება გურიელისა, დადიანისა, სვანთა და აფხაზთა. – მთიულთა ზედა გამარჯვება. – ნოინების დამარცხება. – ეკლესიის და სამოქალაქო წესების გადაშინჯვა და განახლება. – სიკვდილი გიორგისა.

მრავალი ღელგისაგან საქართველო სრულიად დაღალულ იყო. თამარის სიკვდილიდგან აქამომდე იგი შფოთვაში იყო და მოსვენება არა ჰქონდა, როგორც გარეშე მტერთაგან: სპარსთაგან, მონგოლთაგან, თურქთაგან, ოსთაგან, ისე შინაურებისაგან; უნიჭო მეფეთაგან, მცბიერ თავადთაგან და სხ. დაღალულს და სრულიად დასუსტებულს სამეფოს ეჭირვებოდა დასვენება და დროებით თავისუფლად ამოსუნთქვა. კიდეგ რამდენიმე ათი წელი ამ ყოფაში, ხალხი სრულიად დაიჩაგრებოდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდა და შესაძლებელიც არის, სრულიად დაიღუპებოდა. ამ გვარს საშიშო და მეტად შევიწროებულს დროს ხალხს მწედ გამოუჩნდა მეფედ გიორგი V, რომელმაც თვისის გონიერებითა დაიპყრო: სომხითი, მოვაკანი, რანი, ჰერეთი, კახეთი, ქართლი, სამესხეთო, ტაო, შავშეთ-კლარჯეთი. გამეფებისავე უმალ მიუხდა ოსებს, გაიმარჯვა მათზე, წაართვა იმათ ქართლში დაპყრობილი ციხეები და დაბები; აქედგან შევიდა კავკასიის მთებში, დაამარცხა მთიულნი, ყველას დაადვა ხარკი, დაამშვიდა ქართლის ქვეყანა და გამარჯვებული დაბრუნდა.

მაშინ, როდესაც მეფე ებრძოდა მთიულს მტრებს, იქ, სპარსეთისკენ იკიდებოდნენ ნოინები, რომელთაც მოჰკლეს მუსათ-ყეინი და განდგნენ თვის-თვისად. ზოგმა დაიპყრო ხორასანი, ზოგმა სპარსეთი, ზოგმა ერაყი, ზოგმა ადარბადაგანი, ზოგმა მცირე აზია.

ნოინების განდგომით და ჩხუბით ისარგებლა გიორგიმ და ყველა თათარნი განდევნა საქართველოდგან, როცა გარეშე მტერნი აღარ აშინებდნენ მეფეს; მაშინ განიზრახა ურჩთა თავადთა და ერისთავთა დასჯა; მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს დიდად ვნებენ იგინი თავის ყოფა-ქცევით. სურვილის სისრულეში მოსაყვანად იმან მიიწვია ყველა ერისთავნი და წარჩინებულნი ცივის მთაზედ, ვითომ სადარბაზებლად. მუნ მოსწყვიტნა ურჩნი თვისნი და „დაადგინნა ყოველთა ადგილთა წარვლინებულნი ერისთავნი თვისნი მორჩილებისანი.“ ამირსპასალარობა და ათაბაგობა მისცა სარგის *) ჯაყელს.

ამის შემდეგ დიდი ჯარით შევიდა რანს, შირვანს, აიღო ეს ქვეყნები, დაიმორჩილა დაღისტნის და ყველა ხალხები, ვიდრე დერბენდამდე. დაადვა მათ ხარკი და დიდებით დაბრუნდა თავის ქვეყანაში. აქაც მეფე მოსვენებით არ იყო. მას აწვალებდა ყოველთვის ერთი ჰაზრი: უნდოდა ხელში ჩაეგდო იმერეთიც და მით გამხდარიყო მბრძანებელი მთელის თამარის სამეფოისა. მას ბედმაც გაუღიმა.

ჩვენ ვიცით, რომ შემდგომად ნარინის სიკვდილისა, იყო შლილობა ძმათა შორის, ესე იგი როდესაც გამეფდა ნარინის შვილი კოსტანტინე, მეორე შვილმა მიქელმა მას ჩხუბი აუ-

*) სარგისი იყო ძე ათაბაგის ბექასი. მას ჰყვანდა ორი ძმა: ყვარყვარე და შალვა.

ტეხა. ეს ჩხუბი და შფოთი გაგრძელდა მრავალსა წელსა. ამით ისარგებლეს მთავართა. გაძლიერდნენ და განმკვიდრდენ ერისთავნი. კოსტანტინე უძეოდ მოკვდა და გამეფდა მიქელი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ დარჩა მცირე წლოვანი ბაგრატი; ამის გამეფებას წინ აღუდგნენ ზოგიერთი ერისთავნი.

ამ დროს ლიხს იქით გაჩნდა ჯარით გიორგი. იმერთ სიხარულით მიიღეს მეფე. ბაგრატი ჩაიკეტა ქუთაისში. გიორგი შემოერტყა მას. შეშინებულმა ბაგრატმა სთხოვა მეფეს, რომ მიენიჭა მისთვის სიცოცხლე. გიორგიმ პატივით მიიღო იგი და შორაპნის ერის თავად დანიშნა (1330 წ.).

ამის შემდგომ დაშინებულნი: გურიელი, მამია დადიანი, სვანთა ერის-თავი, აფხაზეთისა შარვაშიძე მოერთნენ მეფეს „ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა“ (საქართველოისა). იმერეთიდგან მეფე გაემგზავრა სამეგრელოში, აფხაზეთში, განაგო იქაური საქმეები,

იქიდგან წავიდა სამცხეში, რომლის ათაბაგი სარგისი იმ დროს გარდაიცვალა (1334 წ.) მეფემ ათაბაგობა მისცა მის შვილს ყვარყვარეს. ერისთავები დასვა აგრეთვე: კლარჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს; არტაანში და წუნისში დასვა ერისთავებად ბიძანი და ბიძის ძენი ყვარყვარე ათაბაგისანი. მერმე აქედგან უკუმიიქცა თბილისად.

თბილისში მან გაიგო, რომ ზოგიერთ მთიულნი მის მორჩილებიდგან გამოსულ იყვნენ. ამიტომ ხელ-ახლა გაილაშქრა მათზე, დაიპყრო მთიულთა ქვეყანანი, წარჩინებულნი მათნი ჩამოიყვანა მთიდგან, მოვიდა თბილისს, შეუდგინა მათ ხალხთა მართვის წესნი *) და დაითხოვა.

---

*) ეს წესნი შემდეგ შევიდნენ ვახთანგ მე VI გამოცემულს კანონებში.

როდესაც მეფემ გაიმარჯვა ყველგან და ახლა სამეფოს შინაურ საქმეებს ხელი მოჰკიდა, ამ დროს მოკვდა ქათალიკოზი ევთვიმე და მის მაგიერ ამოირჩიეს ვასილი. ამავე დროს აღუდგა მეფეს ვიღაც ნოინი, აიღო სომხითი, დაიწყო პყრობად რანისა, მოვაკანისა და მოვიდა განჯას. მეფე გიორგიმ გაიმარჯვა მასზე, მოსწყვიტნა სპანი მისნი მახვილითა და მოვიდა თბილისს დიდის ალაფითა.

არც კი დაესვენა მეფეს, რომ მცირე-აზიის სულთანი ოხსან-ხანი შემოესია კლარჯეთს. მეფემ მაზედაც გაიმარჯვა, უკუაქცია სულთანი, წაართვა მას დიდი ალაფი და გახარებული წამოვიდა თბილისში.

ამის შემდეგ მეფეს აღარ ჰყვანდნენ ურჩნი და ორგულნი და მას ექვმდებარებოდა მთელი საქართველო ნიკოფსიიდგან დერბენდამდე.

როცა დაამარცხა ყველა შინაური და გარეშე მტერნი სამეფოსნი, შეკრიბა ყველა განათლებულნი და ქვეყნისთვის გულ შემატკივარნი: ქათოლიკოზნი, ეპისკოპოსნი და სხვ. განაახლა და განწმინდა საეკლესიო წესნი, აგრეთვე საერონი და დაადგინეს მოწესენი წესსა ზედა თვისსა და უწესონი განჰკვეთნეს.»

ამ ნაირად გიორგიმ დაამშვიდა საქართველო. წესი გაუჩინა მას და ქვეყანას დაუწყო შენება. ყველა ამ გვარ ღვაწლისა გამო და მამულისთვის სახელოვანად სამსახურისათვის მამულის შვილთა დაასაჩუქრეს გამოჩენილი მეფე ესე მეტად დიდის საჩუქრით: „ბრწყინვალე.“

აღესრულა ბრწყინვალე მეფე გიორგი V 1346 წ. თბილისსა და გამეფდა მისი ძე დავით VII.

(1346 – 1445 წ.)

დავით VII. – ბაგრატ V. – გიორგი VI. – კოსტანტინე. – საქმენი თემურ-ლენგისა. – ალექსანდრე I. – ვახთანგ IV. – სასუ–ლიერო კრება. – მიტროპოლიტი სოფრონი იგზავნება ფლორენტინის კრებაზე.

ყველა ზემო ხსენებული ხელმწიფენი წრფელად ზრუნავდნენ და მოღვაწეობდნენ თავის სამშობლო ქვეყნისათვის. დავითი, ბაგრატი და სხვანი აშენებდნენ ეკლესიებს და ციხეებს. დავითის მეფთბის დროს (1346 – 1360 წ.) ხალხი სტკბებოდა მშვიდობიანობითა. მეფე იყო ყველას მწე და ერთგული პატრონი. ამ ნაირადვე დაიწყო თავისი მეფობა ბაგრატ მე V (1360 – 1395 წ.). მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა მშვიდობიანობა: აღმოსავლეთში გაჩნდა ახალი მტერი კაცობრიობისა საზოგადოდ და ქართველებისა კერძოდ – ეს იყო თემურ-ლენგი. დიდ-ძალის ჯარით თემურ-ლენგი შემოერტყა თბილისში, რომელშიაც გამაგრებულ იყო ახოვანი ბაგრატი თავის მცირე ჯარით. თემურმა აიღო თბილისი, დაატყვევა თვით მეფეც, მისი ცოლიც და ამალაც. თბილისში ჩააყენა ჯარი, ტყვები კი წაიყვანა და წავიდა ყარაბაღში.

ყარაბაღიდამ რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ გამოგზავნა ჯარები ქართლის ასაოხრებლად. თათრებმა გაწყვიტეს მრავალი ხალხი, დაანგრიეს და დასწვეს საყდრები, სახლები, სხვა თა შორის მცხეთის ტაძარი და ქვაბთა-ხევის მონასტერი. მერე დაბრუნდნენ თემურთან, რომელმაც აიღო შექი, შირვანი, მაზანდერანი და დაღისტანი.

თავის სამეფოს საშველად ბაგრატმა განგებ მაჰმადიანობა მიიღო; თემურს ეს ძალიან მოეწონა. ბაგრატმა სთხოვა თემურს: ჯარები მომეცი, რომ მთელი საქართველოც გავამაჰმადიანოო. 12,000 კაცის უფროსად დანიშნულ იქმნა ჩვენი მეფე და საქართველოში გამოგზავნილ. ბაგრატმა საიდუმლოდ აცნობა შვილს თავისი განზრახვა: «მე ბერდუჯში დავდგები და შენ თავს დაგვესხი და სულ ამოვწყვიტოთ თათართ ჯარიო». მართლაც ბაგრატის ძე გიორგი დაესხა დაბანაკებულთ თათართ და სრულიად ამოსწევიტა. ამ ნაირად განთავისუფლდა მეფე ბაგრატი. ეს გაიგო თუ არა თემურმა, იმავ წამს განძვინებული მთელი თავის ჯარებით წამოვიდა საქართველოზე. ქართლის საზღვრებზე მოჰხდა საშინელი ბრძოლა. ქართველები მამაცურად და ლომებრ იბრძოდნენ. მაგრამ რას უზამდნენ იმისთანა უთვალავ ჯარს! თუმცა თემურს მეხუთედი მთელი რაზმისა გაუჟლიტეს ჩვენებმა, მაგრამ მაინც უკან დაახიეს და მთებში დაიმალნენ. თემური შევიდა შიგ ქართლში, რაც დარჩომილ იყო ისიც დასწვა და ყარაბაღში დაბრუნდა. მეფე ბაგრატიც მალე მოკვდა და გამეფდა მისი ძე გიორგი VI.

გიორგის გამეფების პირველსავე წელს (1395 – 1407) თემური შეესია მთიულებს და დაიმორჩილა ქვეყნები იალბუზამდე. თერგის ნაპირებზე შეებრძოლა ყიფჩაყის ხანს თახ-

თამიშს და დაამარცხა იგიც. იქიდგან დაბრუნებული კიდევ დაეცა ქართველებს. გიორგი დაუხვდა წინ და დაუმარცხა მოწინავე ჯარი. მაგრამ თათართ მაინც სძლიეს. ქართველნი შეიხიზნენ მთებში. თემურმა გამოიარა ქართლზე, რაც კი რამ აღორძინებული იყო წინა აოხრების შემდეგ, ხელ-ახლა გააფუჭა, შემოვიდა თბილისში, მისი ციხე დაანგრია, ეკლესიები მონასტრები და სახლები გააოხრა და ყარაბაღში წავიდა.

– 151 –

ბოლოს გიორგიმ გადასწყვიტა დამორჩილებოდა სისხლის მსმელ მტერს. მაგრამ თემურმა მოიგონა მისი მამის ღალატი და ორგულობა, ამიტომ არ შეურიგდა გიორგის. პირიქით ჯარებით დაეცა საათაბეგოს, მრავალი ხალხი გასწყვიტა, ზოგი დაატყვევა, ეკლესიები დაანგრია და მოვიდა მანგლისში და დაბანკდა. ორი თვის თავზე გაილაშქრა არაგვის ხეობაში. შენობანი და ციხეები სულ საძირკვლიანად დასთხარა. მაგრამ ხალხი ვერ იპოვა, რადგან მთებში შეხიზნულ იყვნენ.

ამ ნაირად შვიდ ჯერ თემური დიდძალის ჯარით შემოვიდა საქართველოში, მაგრამ იგი ვერც ერთხელ ვერ დაიმორჩილა. პირ-იქით ქართველი ვაჟ-კაცნი ყოველთვის თემურის ჯარს ქურდულად ეცემოდნენ, უხოცავდნენ ჯარის კაცებს და ხშირად სურსათსაც ართმევდნენ. ამისგამო თემური თუმცა ძალიან გაჯავრებული და ბოღმა მოსული იყო და ჰსურდა ქართველების სრულიად ამოწყვეტა, მაგრამ მაინც უნდა შერიგებოდა მათ, რადგან ყოველი მისი ცდა ამაოდ ივლიდა და ქართველებს ვერ იმორჩილებდა. შერიგება მოახდინა შირვანის შეიხმა იბრეჰიმა – მეგობარმა თემურისამ. ათასი ოქრო, ამდენიც ცხენი და სხვა ძვირფასეული ქართველთ მეფისაგან იყო შერიგების პირობანი და ამან დააკმაყოფილა მხეცის გული.

მშვიდობიანობა ჩამოვარდა თუ არა, მეფემ დაიწყო აღშენება თავის ქვეყნისა. მთიდამ ჩამოიყვანა დაშინებული ხალხი. გასწყვიტა საქართველოს სამზღვრებზე დარჩომილი თათარნი და დაიმორჩილა ყველა თვისი წინანდელი მოხარკენი და ჩამოაგდო თავის სამეფოში წესიერება და მშვიდობიანობა. სვანეთის ერისთავი ვარდანიძე ორგულობისათვის გადააყენა და მის მაგიერ დანიშნა გელოვანი. მაგრამ შემდეგ ვარდანიძე გურიის ერისთავად დანიშნულ იქმნა იმავ გიორგისაგან.

– 152 –

1407 წ. გარდაიცვალა გიორგი და გამეფდა კოსტანტინე, რომელმაც ააშენა დანგრეული ქალაქები, ციხეები, ეკლესიები და სხვ. მაგრამ საქართველოს აღორძინება დიდ ხანს არ გაგრძელდა. 1414 წ. შეიხმა იბრაჰიმა წინააღმდეგ თურქომანიის ყარა-უსუფისა მოიშველა კოსტანტინე, მაგრამ დამარცხდა. კოსტანტინე დატყვევებულ იქმნა. ახალ-გაზდა მეფე გალიაში დამწყვდეული რომ წარუდგინეს ყარა-უსუფს, მან გაარტყა სილა კოსტანტინესა. მის მხლებლებმაც გაიმეორეს და ამნაირად

ტანჯული გარდაიცვალა. დასაფლავებულია კოსტანტინე ვარ-
ძიაში.

1414 – 1442 წ. იმეფა კოსტანტინეს ძემ ალექსანდრემ. გამოჩენილი და შესანიშნავი მეფე ესე ერთ წამს მოსვენებაში არ იყო. ხან ერთ კუთხეში წავიდოდა თავის დაჩაგრულ ხალხის გასამხნევებლად და ქალაქებ-ეკლესიების ასაშენებლად, ხან მეორეში. მცხეთის ტაძარი დანგრეული თემურისაგან მან განაახლა და შეაკეთა. სასულიერო წოდების გასამხნევებლად და ეკლესიურ საქმეებზე საბჭოდ მეფე ალექსანდრემ ქათოლიკოზის თავმჯდომარეობით მოახდინა სამღვდელოთა კრება. ფლორენტინის კრებაზედ მან გაგზავნა მიტროპოლიტი სოფრონი და ერთიც ეპისკოპოსი, რომელთაც კრების გარდაწყვეტილებაზე ხელი არ მოაწერეს და ფლორენტინიდგან გამოიქცნენ ვენეციაში, იქიდგან კოსტანტინოპოლით საქართველოში.

მეფე ალექსანდრე უყურადღებოდ არა სტოვებდა თავის სამეფოს მეორე ნახევარსაც – იმერეთს. იმან დაამშვიდა შარვაშიძე და დაიმორჩილა, მისგან მოკლული მამია დადიანის მაგიერ დანიშნა მისი შვილი ლიპარიტ დადიანი. გურიაც, სვანეთიც ემორჩილებოდა მას. იმერეთის ერისთავად დანიშნა ნარინის ჩამომავალი დიმიტრი. ამაყი და თავისუფალი ახალ- ცი-

ხის ერისთავი არ ემორჩილებოდა მეფეს; რისგამო დამარცხებულ და დატყვევებულ იქმნა. მაგრამ შემდეგში ხელ-ახლა ებოძა თვისი საერისთო.

1431 წ. ალექსანდრემ ოსმალებს წაართვა ლორი და საქართველოს მიჯნებიდამ განდევნა თათარნი. ბოლოს მცხეთის სობოროს გვერდით აიშენა ეკვედერი, ბერად შედგა (იწოდებოდა ათანასედ) და სამეფო გადასცა თვის ძეს ვახთანგს, რომელმაც იმეფა სამი წელიწადი. ამან დაამარცხა შირვანის ხანი და თვის მოხარკედ გახადა.

ერისთავი იმერეთისა მოკვდა და მეფემ დანიშნა შვილი მისი ბაგრატი. სამცხის ერისთავი იოანე მოკვდა და მის მაგიერ დანიშნა (1444 წ.) მისი ძე აღბუღა.

ამ მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესაც გარდაიცვალნენ: ბერი ათანასე და მისი შვილი მეფე ვახთანგი (1445 წ.).

საქართველოს განაწილება.

I.

არეულობა და შინაური ბრძოლა. – იმერეთის, ახალ-ცოხოს, კახეთის ერისთავები. – დადიანი. – გარეშე მტრები: სპარსელნი, ლეკნი და სხვ.

თემურ-ლენგის შემოსევამ საქართველოში სამეფო გვარი
დაასუსტა. მაშინ როდესაც მეფენი ებრძოდნენ საზოგადო
მტერს, ხშირად ზოგიერთნი მთავარნი და ერისთავნი თავის
ციხე-სიმაგრეებში უდარდელად ჩაკეტილ-იყვნენ და საზოგადო,

საქვეყნო საქმეს სრულიად ყურს არ უგდებდნენ. პირიქით ზო-
გი მათგან სცდილობდა დასუსტებულ იყო მეფე, რომ თავისუ-
ფალი და დამოუკიდებელი გამხდარ იყო თვითონ.

იმერეთის ერისთავი ბაგრატი სწორედ ამისთანა კაცი
აყო. იმან მიიმხრო ყველა დასავლეთი საქართვალოს მთავრები,
ურჩობა გამოუცხადა საქართველოს მეფეს და თავისი თავი და-
მოუკიდებელ მეფედ აღიარა. საქართველთოს მეფე 1462 წ.
შეებრძოლა მას ჩხართან, მაგრამ დამარცხებულ იქმნა, რისგა-
მო ბაგრატი უფრო დამკვიდრდა ტახტზე, აფხაზეთის ქათო-
ლიკოზი გამოიწერა და გვირგვინი აკურთხა ქუთაისში. თავის
მომხრე მთავრები სრულიად განათავისუფლა და დამოუკიდებე-
ლი ჰყო. ესენი იყვნენ: მთაგარი სამეგრელოსი, მთავარი ოზურ-
გეთისა, სვანეთისა და აფხაზეთისა; მხოლოდ იმ პირობით,
რომ 1) ყველა ახალი მთავრები უნდა დაემტკიცებინა
იმერეთის მეფეს და 2) ვერც ერთს თავისით, მეფისათვის
დაუკითხავად ვერ შეეძლო გამოეცხადებინა მტრისთვის ომი.

სამცხის ერისთავმაც წაჰბაძა იმერეთის მეფეს: იმან (ყვარ-
ყვარემ) წაახალისა ყველა თვისი ქვეშევრდომი ბატონები და
ერისთვები, გამოუცხადა საქართველოს მეფეს ომი, რომელიც
დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ დასრულდა (1465 წ.) მეფის
გიორგი მე-VI ტყვეობით. მეფე განთავისუფლდა ტყვეობი-
დამ მხოლოდ მაშინ, როდესაც დაამტკიცა სამცხის ერისთვის
სრულიადი დამოუკიდებლობა და ყვარყვარეს ათაბაგობა მისცა.

საქართველოს მეფე გიორგი რომ ტყვეობაში იყო,
იმერეთის ახალი მეფე ბაგრატი შემოესია ქართლს და კახეთის
აღებაც მოინდომა. მაგრამ კახელებმა სცნეს რა მოახლება
განსაცდელისა, მოიწვიეს დავითი (ეს იყო ძე დიმიტრისი,
ძისა ალექსანდრესი) და კახეთ-ჰერეთის მეფედ აღიარეს.

ამ მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესც გიორ-
გი მეფე ყვარყვარემ განათავისუთფლა, თანაც გამოაყოლა დი-
დი სამცხის ჯარები ბაგრატის და კახელების დასასჯელად.
გიორგის წამოსვლა, რომ გაიგო ბაგრატმა, მაშინათვე წავიდა
იმერეთში, მეფე დავითიც, დატოვებული კახელ-ჰერეთელები-
საგან, გაიქცა დიდოეთში. მაგრამ როდესც იმავ წელიწადს
(1465 წ.) გიორგი მე VII გარდაიცვალა და ტახტი დაუტო-
ვა თავის შვილს კოსტანტინე III, მაშინ ჰერეთ-კახეთის თა-
ვადებმა ხელ-ახლა მოიწვიეს დავითი, რომელიც მეფედ ეკურ-
თხა ბოდბეში (1469 წ.). დავითმა სატახტო ქალაქად აღირ-
ჩია გრემი.

ამ სახით საქართველოს სამეფო გაიყო სამ სამეფოდ: ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა, აგრეთვე ერთ დამოუკიდებელ სამთავროდ: სამცხისა.

ამის შემდეგ სრულიად დაირღვა საქართველოს სამეფო. ყოველი მეფე ანუ ერისთავი სცდილობდა დაეჩაგრა და დაესუსტებინა თავისი მეზობელი სამეფო და მის წილ თვითონ გაძლიერებულიყო. ამისთვის ყოველი მეფე ყოველ გგარ ღონისძიებას ხმარობდა, ოღონდ კი თავისი მოძმე დაეჩაგრა. თუ თვითონ სუსტი იყო და პირ და პირ ბრძოლა არ შეეეძლო, სთხოვდა შემწეობას ან სპარსელებს, ან ოსმალებს, ან ლეკებს და მათ შემწეობით ანთხევდა მთძმე და ერთ-ღვიძლ ქრისტიან ქართველთა სისხლს, არბევდა და აოხრებდა მის ქვეყანას.

იმერეთის მეფეს ბაგრატს უნდოდა ეუფლნა ქართლშიაც, ამიტომ დიდი ჯარები დაამზადა. ქართლის მეფეს კი უნდოდა შემოერთებინა კახეთი. ამ დროს მოკვდა კახეთის მეფე დავით I და გამეფდა მისი შვილი გიორგი, რომელმაც

პირობა შეჰკრა ბაგრატთან, რათა ერთად შეებრძოლონ ქართლის მეფეს. ყველა წინანდელი ერისთვები გამოსცვალა (გიორგიმ), რადგან მათ ორგულობა შესწამა. თავისი მომხრენი განაწესა: ქიზიყში, ელისენში, წუკეთში, დიდოეთში, თიანეთში, ჭიაურში, შილდაში, ყვარელში, მარტ ყოფში, გრემში და სხვ. ალავერდში დასვა კახეთის უმთავრესი კპისკოპოსი. გააშენა და გაამშვენიერა გრემი. მოსპო ხმარებიდამ «ჰერეთი» და იწოდა კახეთის მეფედ. დიდოელებიც დამორჩილდნენ მას, მაგრამ თუშნი და ხევსურნი თავს არ უხრიდნენ.

იმერეთის მეფე კი, მინამ წამოვიდოდა ქართლზე, დაეცა სამეგრელოს მთავარს დადიანს ვამეკს. 1477 წ. ბაგრატმა აიღო ყველა ვამეკის ციხეები. ვამეკმა სრული მორჩილებ. გამოუცხადა და სთხოვა პატივება. ბაგრატმა აპატივა, გამოართვა დიდი ჯარები და ქართლზე წამოვიდა. კოსტანტინე დამორჩალდა მას უბრძოლველად.

კახეთის მეფე ვერ მიეშველა ბაგრატს, რადგან იმ დროს სპარსელნი იაკუბ-ხანის წინამძღოლობით შემოსულიყვნენ კახეთში და დაეჭირათ ხერკი, საგურამო, მარტ-ყოფი და თიანეთი. ტახტი რომ არ დაეკარგა, გიორგი მეფემ სპარსეთის შაჰს უზუნ-ჰასანს გაუგზავნა საუქრები, მონები და მხევლები და სრული მორჩილება გამოუცხადა.

უკან მიმავალი იმერეთის მეფე ბაგრატი რაჭაში გარდაიცვალა (1478 წ.) და ტახტი დარჩა მის შვილს ალექსანდრე მე II-ს, რომელსაც არ დამორჩილდა სამეგრელოს მთავარი ვამეკ დადიანი. მას მიჰბაძეს: გურიელმა, კახაბერმა, შარვაშიძემ აფხაზეთისამ, გელოვანმა სვანეთისამ. ამით ისარგებლა ქართლის მეფემ და შევიდა იმერეთში. იქაურმა ერისთავებმა სიხარულით იმერეთს მიიღეს მეფე კოსტანტინე, ალექსანდრე კი მთებში მიიმალა.

1482 წ. მოკვდა ვამეკ დადიანი და იმავე წელს ახალ-
ციხის ათაბეგმა დაამარცხა კოსტანტინე და ქართლში გამოა-
გდო. მაშინ ალექსანდრე მეორე დაბრუნდა ქუთაისში. მაგრამ
ახალი დადიანის შემწეობით კოსტანტინე კიდევ შემოვიდა
იმერეთში, და ქუთაისი აიღო და მეფე ალექსანდრე განაძევა.
სამწუხაროდ სპარსეთის შაჰმა არ დააცალა კოსტანტინეს ალე
ქსანდრე მეფის მომხრეების ამოწყვეტა და იმერეთის შემო-
ერთება. კახეთის მეფის თხოვნით მან ასანბეგის წინამძღო-
ლობით გამოგზავნა ჯარები და 1488 წ. იგინი შემოერტ-
ყნენ თბილისს. კოსტანტინე სწრაფად დაბრუნდა თავის სამე-
ფოში, რომელიც სპარსელთა აღაოხრეს 1488 წ. დ 1481 წ.,
აიღეს დიდი ალაფი, გრეთვე მონები, მხევლები და დაბრუნ-
დნენ. იმერეთის მეფე ამასობაშა შევიდა ქუთაისში, შეურიგდა
ყველა იქაურ მთავრებს და დაიწყო სამეფოს გამგეობა.

ამ ნაირად სამივე სამეფონი დაზიანდნენ და დასუსტ-
დნენ. კახეთის მეფე გიორგი I რომ გარდაიცვალა, გამეფდა
ალექსანდრე I, რომელმაც სპარსელების შიშისაგამო მიჰმართა
რუსეთის ხელმწიფეს და შველა სთხოვა.

ქართლის მეფე კოსტანტინე მე III რომ მოკვდა და გა-
მეფდა ძეი მისი დავით მე VIII, მაშინ იმერეთის მეფე შე-
მოესია ქართლს და გორი აიღო. მაგრამ შინაური არეულო-
ბისა გამო მალე დაბრუნდა თავის ქვეყანაში, ავად გახდა და
მოკვდა 1510 წ., მას დარჩა ძენი ბაგრატი, დავითი და ვახ-
თანგი. 1511 წ. მოკლულ იქმნა კასეთის მეფეც ალექსანდრე I.

როცა ამ ნაირად დასუსტდა საქართველოს სამეფო და
განაწილდა, საუბედუროდ, იმავე დროს გაძლიერდნენ ლეკნი;
ესენი ხშირად შემოსეოდნენ ხოლმე საქართველოს და არბე-
ვდნენ მის რომელიმე ნაწილს და კუთხეს. ლეკნი, მცოდნენი

ყოველი მთის ბილიკისა, ადვგილად გადმოდიოდნენ კახეთში და
იდუმალად ეცემოდნენ სოფლებს და არბევდნენ. ხშირად მთელი
მათი ჯარი (ხალხი) ერთად შემოესეოდა ხოლმე კახეთს,
ჰხოცავდნენ ხალხს, იჭერდნენ სოფლებს, ხან მთელ კახეთსაც,
აქედგან გადადიოდნენ კუხეთში (თიანეთ-საგურმოში) დ იქაც
ჟლეტავდნენ ხალხს, ატყვევებდნენ, ხარჯს ადებდნენ და მიდიო-
დნენ თავის მთებში. შემდეგში, როდესაც შინაური შფოთი-
საგან ქართველთ მეფენი სრულიად დასუსტდნენ და თავის პი-
რად მტრებსაც პასუხს ვერ სცემდნენ, მაშინ ლეკნი უფრო გა-
მხნევებულნი, ჩამოესეოდნენ ხოლმე ნუხის მაზრიდამ, გადა-
დიოდნენ განჯის მაზრაში და იქიდგან შედიოდნენ სამცხის გა-
თათრებულ საათაბეგოში და იმათთან ერთად ყაჩაღურად არბევ-
დნენ და აოხრებდნენ ქართლის ნაწილებს, ასე რომ მტკვრის ნა-
პირები (გორის-ჯვარი, არმაზი, დიღომი, კოჯორი) საშიში
შეიქმნენ, რადგან შიგ ლეკნი ბუდობდნენ. მეფენი და მთავრები

ერთად შეერთების და ერთად ბრძოლის მაგიერ საზოგადო მტერთან, ერთმანეთს უსევდნენ ლეკებს და არბევინებდნენ ურთი-ერთ მამულებს.

II

ავ-გიორგი II, მეფე კახეთისა. – ბაგრატი მე III, იმერეთისა. ოსმალნი სამცხეში და იმერეთში. – ომი ჯიქებიან. – სიკვდილი ავ-გიორგისა. – ლევან L მეფე კახეთისა, –-გახთანგი, –-მაჭ ისმაილი, –-1518 წ. – ქართლის მეფე დავით მე VIII. – გიორგი II, მეფე იმერეთისა.

იმერეთში მოკვდა ალექსანდრე II და გამეიგდა მისი ძე ბაგრატ III. – კახეთში გიორგიმ მოჰკლა თავისი მამა, მეფე

ალექსანდრე, ძმას დიმიტრის გამოსთხარა თვალები და თვი-თონ გამეფდა. ძმას ჰშველოდნენ და აქეზებდნენ სპარსელნი, რომელნიც უკვე კახეთში იყვნენ. მათთან ერთად მან სტან-ჯა და აწვალა კახეთის ხალხი, რომელმაც სამართლიანად ავ-გიორგი დაარქვა. სამცხეში ამავე დროს შემოვიდა სულთანი სელიმ II, რომელიც ათაბეგთან მზე-ჭაბუკთან ერთად წავიდა იმერეთში, დაიპყრო მთელი ქვეყანა, შევიდა ქუთაისში, დასწვა იგი, გაცარცვა გენათი და დაატყვევა მრავალი იმერელი და და-ბრუნდა. იმერეთის მეფე ჩამოვიდ მთებიდამ, დააშოშმინა ხალხი და დაიწყო თავის მოოხრებულ სამეფოს აღორძინება. მომკვდარი მამია დადიანის მაგიერ დანიშნა მისი ძე ლიპარი-ტი, გიორგი გურიელის მაგიერ მისივე შვილი მამია. აფხა-ზეთის და სვანეთის მთავარნი ყოვლის ფერში ემორჩილებო-დნენ მეფეს და ხალხი მალე მოსულიერდა.

რადგას ჯიქნი მუდამ აოხრებდნენ და სცარცვავდნენ სა-მეგრელოს და სვანეთის მომიჯნავე ხალხს, ამიტომ ბაგრატი ყველა მთავრებით ამხედრდა წანააღმდე ჯიქებისა. მაგრამ და-მარცხდა, გურიელი მამია დაატყვევეს და მამია დადიანი მო -ჰკლეს. მეფე კი გაიქცა და ძლივს თავი იხსნა. სამეგრელოში დადიანობა მიეცა ლევანს, გურიაში ტყვეობიდამ გამოხსნილი მამიას სიკვდილის შემდეგ დანიშნულ იქმნა შვილი მისი რო-სტომი.

კახეთის მეფეც სანატრელ მდომარეობაში არ იყო; ხალხს ის მეტად სძულდა. მისი ავ-კაცობა და უსამართლობა ვეღარ მოითმინეს, დაიჭირეს, დაამწყვდიევეს და მოჰკლეს (1513 წ.). მემკვიდრედ მას დარჩა მცირე წლოვანი ლევანი, რომელსაც ზრდიდნენ მისი ნათესავები – ჩოლაყაშვილები.

ქართლის მეფემ დავითმა ისარგებლა ამით და 1513 წ. კახეთის მეფედაც გამოაცხადა თავისი თავი. დავითი მე-VIII ძმას

ვახთანგს ჰშველოდა, რათა გაემეფებინა იგი იმერეთში. მაგრამ ბაგრატმა არ აცალა: გადმოვიდა ქართლში, დაამარცხა დავითი და ტყვე ქმნილი ვახთანგი წაიყვანა იმერეთში. დავითი კი შევიდა კახეთში ლევანის მოსაკლავად, მაგრამ ჩოლაყაშვილებმა ლევანი დამალეს ომანის ციხეში და სხვა დიდებულებთან ერთად შველა სთხოვეს სპარსეთის შაჰს ისმაილს; ისმაილი მოვიდა საქართველოში, დაამტკიცა კახეთის მეფედ ლევანი და თვითონ დაეცა დავით მე VIII-ს. 1518 წ. აიღთო მცხეთა და თბილისი, დაანგრია ეკლესიები; სიონის ღვთის-მშობლის ხატი მტკვარში ჩააგდო და ავლაბრის ხიდ-თან მეჩეთი ააგო. ამასობაში ლევანმა შეირთო ასული გურიე-ლისა და მას სთხოვა შველა წინააღმდეგ ქართლის მეფისა. გურიელი მამია დასთანხმდა. ქართლს ასმაილმა დაადო დიდი ხარჯი, თბილისში დასტოვა თვისი ჯარები, თვითონ დაბრუნ-და სპარსეთში და იქ მოკვდა. მას მემკვიდრედ დარჩა მცირე წლოვანი თამაზი.

დავით VIII ერთი კიდევ სცადა თავისი ძალა: მან გა-სწყვიტა სპარსეთის ჯარი თბილისში და კახეთის დასაპყრობად წავიდა. მაგრამ მაღაროსთან ლევანმა დაამარცხა დავითი, რო-მელმაც ამის შემდეგ აღიარა იგი (ლევანი) კახეთის მეფედ (1520 წ.).

ლევანმა ბოდბეში იკურთხა გვირგვინი და თინათინს შეუღლდა გრემში. მისგან ეყოლა ალექსანდრე და იასე. მა-გრამ მალე თინათინი გაეყარა ქმარს, რადგან იგი გარყვნილი კაცი იყო, მოლოზნად შესდგა, ააშენა შუა-მთის მონასტერი და მას შესწირა დიდი მამულები. ლევანმა კი შეირთო შამხალის

ქალი, რომლისაგან გაუჩნდნენ: გიორგი, ელიმურზა, ვახთანგი და ხოსრო; ბოლოს ლევანი გონზე მოვიდა, დასტოვა გარყვნი-ლობა და შეუდგა სამეფოს შენებას. მან კახეთს შემოუერთა ფშავ-ხევსურეთ-თუშეთი, დაიმორჩილა და დაიპყრო ლეკნი, რომელნიც დაასახლა ფიფინეთში. *)

დავითი, როდესაც ვერას გზით კახეთი ვეღარ დაიბრუ-ნა, შეუდგა თავის ქვეყნის შენებას. თბილისში ბევრი შენობები განაახლა და ახლები ააგო. ყველგან და ყოვლის ფერში ჰშველოდა იგი თავის დაჩაგრულს ხალხს. ბოლოს სიკვდილის მოახლება იგრძნო, ბერად შესდგა (1525 წ.), ტახტი ძმას გიორგის გადასცა და თავისი შვილები (ლუარსაბი, დიმიტრი და რომანი) ჩააბარა და იმავე წელს მოკვდა.

1525 – 1534 წ. იმეფა გიორგი VIII-მ. გამეფებისავე უმალ მან მკვიდრი და მეგობრული ზავი შეჰკრა იმერეთის და კახეთის მეფეებთან. მეგობრობამ განაძლიერა სამივე სამეფო-ნი. სამცხის ათაბეგი იყო ყურმოჭრილი ყმა გიორგისა, რა-დგან ათაბეგობის წართმევისა ეშინოდა.

ოსმალეთის სულთანმა სულეიმანმა სთხოვა სამთა მეფე-თა განეთავისუფლებინათ იერუსალიმი, რომელიც სირიელთა და სპარსელთაგან დაპყრობილ იყო. თვითონ სულთანი ებრძოდა სპარსეთის შაჰს. მეფენი გამხედრდნენ და განათავისუფლეს

იერუსალიმი, აღაშენეს ეკკლესიები, დიდი შესაწირავი შესწირეს წმინდა ადგილებს და დაბრუნდნენ.

1529 წ. სულთანმა სძლია შაჰს და წაართვა ერევანი. სულთანის გაძლიერების შიშისაგამო მეფე გიორგი VIII 1534

---

*) ფიფინეთი ერქვა ჭარს (ზაქათალას).

წ. ბერად შესდგა და სამეფო ტახტი დაუტოვა ლუარსაბს, დავით VIII ძეს.

ლუარსაბმა მეგობრობა არ გასწყვიტა კახეთის და იმერეთის მეფეებთან. სპარსეთის შაჰს სრულიად არ უხრიდა თავსა. მან დაიწყო თავის ქვეყანაში ციხეების, სახლების აშენება. ამ ნაირადვე მოიქცა იმერთა მეფე ბაგრატი, რომელმაც გაამაგრა რაჭის მიჯნები, დანიშნა იქ ერისთავად ერთგული თვისი მეგობარი შოშიტა ჭილაძე. მემრე 1535 წ. როსტომ გურიელი და დადიანის დახმარებით დაეცა ახალ-ციხის ათაბაგს, რომელსაც ოსმალების მხარე ეჭირა, დაამარცხა ათაბეგი ყვარყვარე, დაატყვევა და სამცხე კი იმერეთს შეუერთა. ამ ნაირი გამარჯვებისათვის როსტომ გურიელს ბაგრატმა მისცა აჭარა და ლაზისტანი. მაგრამ მეფემ დიდ-ხანს ვერ ისარგებლა თავის გამარჯვებით: ყვარყვარეს ძემ ქაიხოსრომ მოიწვია ოსმალნი და დაამარცხა ბაგრატი, რომელსაც ამ ჟამად დადიანის და გურიელის გარდა ჰშველოდნენ ქართლის მეფეცა.

ამ უბედური ომის დროს თბილისს იდუმალად მოადგა შაჰ თამაზი და აიღო იგი. თამაზს უნდოდა დაესუსტებინა ქართლ-კახეთის სამეფოები, გაეძლიერებინა იმერეთის სამეფო, რათა იმას ებრძოლა ოსმალთა ზედა. მაგრამ სპარსეთში მომხდარ არეულობამ აღარ დააცალა: შაჰი ყარაბაღში დაბრუნდა და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდგან გადაასახლა 30,000 ქართველი და სხვა-და-სხვა კუთხეებში ქართლისა და კახეთისა დააყენა თავისი ჯარები.

ოსმალებმა კი წაართვეს ბაგრატს აჭარა-ლაზისტანი და ჭოროხის პირზე ააშენეს ბათუმი და იმას იქით ზღვის პირზე გონია. იმერეთის მეფემ თავის მომხრეებითურთ ერთი კიდევ სცადა თავისი ღონე: დაეცა ოსმალებს, მაგრამ ამაოდ:

ოსმალთ სძლიეს. ბაგრატმა საათაბეგოც ყვარყვარეს შვილს ქაიხოსროს დაუბრუნა, თვითონ ყვარყვარე კი ტყვეობაში მოკვდა.

ამავე დროს არც კახეთ-ქართლის მეფეები იყვნენ მოსვენებით. ქართლის მეფემ ლუარსაბმა განდევნა საქართველოდგან სპარსეთის ჯარები, ლევანმა კი 1547 წ. სახელოვანად გაიმარჯვა ასან-ბეგზე, რომელიც შირვანის მმართველად იყო დაყენებული თამაზისაგან და ხშირად არბევდა ხოლმე კახეთსა. თვით ასან-ბეგი მოკლულ და შირვანი აკლებულ და აოხრებულ

იქმნა. ამის შემდეგ ორთავ მეფეთ პირობა დასდეს, რათა ერთად პასუხი ეგოთ სპარსთათვის. იმათ გაანთავისუფლეს თბილისი და სპარსელთ ჯარი განდევნეს და აღაოხრეს ადირ-ბეჟანი. სამწუხაროდ ასრე კარგად დაწყობილი საქმე დიდ-ხანს არ გაგრძელდა: ლევან-მეფის გული მოისყიდა შაჰის საჩუქრებმა და მოწყალეობამ. წავიდა ყარაბაღში წინაშე შაჰისა (1548 წ.). იქაც ლევანმა დაიმსახურა შაჰის მოწყალება; მან მოჰკლა დერვიშ-მაჰმადი ძეი შირვანის მფლობელის ასან-ბეგისა, რომელიც აუჯანყდა შაჰსა. ლევანი დიდის საჩუქრებით დაბრუნდა კახეთში. ამავე ((1548 წ.) მოკვდა იმერეთის მეფე ბაგრატ III და გამეფდა იქ იმისი შვილი გიორგი.

გიორგი II, მეფე იმერეთისა იყო კარგი მეგობარი ახალ-ციხის ათაბეგისა. როსტომ გურიელი რომ მოკვდა, გიორგიმ გურიელად დანიშნა ძეი მისი გიორგი.

ლუარსაბ მეფე, დარჩომილი უმწეოდ, აშენებდა თავის ქვეყანას. მაგრამ თამაზმა არ დააცალა: მოვიდა ჯარით, აიღო თბილისი და უკეთესი ციხეები. ლუარსაბი გაიქცა იმერეთში გიორგისთან. თამაზმა დაანგრია სახლები, საყდრები, ციხეები და ქალაქები; დაარბია ქართლის ქვეყანა. აბეზარს მოსული

ხალხი შეიყარა თავის მეფესთან და შეებრძოლა მტერს. ყველგან გამარჯვება ქართველებს რჩებოდათ. ატენის ციხის აღების დროს სპარსელთ დაატყვევეს მეფის დედა; გაბრაზებული ლუარსაბი მთელი თავისი ჯარით გარისთან დაეცა მტერს და მეფის ძის სიმონის მოხერხებული ბრძოლის წყალობით გამარჯვება კიდევ ჩვენებს დარჩათ. ხოლო ლუარსაბი დაჭრილ იქმნა, რისგამო მალე მოკვდა. ამით გამხნევდა თამაზი და ხელმეორედ ქართლის ციხეები დაიჭირა და ქართლს დაადო ხარჯი.

კახეთის მეფემ ლევანმა თამაზის შიშისაგამო მიჰმართა რუსეთის მეფეს იოანე IV-ს, რათა მიიღოს იგი თავის მფარველობის ქვეშ. იოანე IV უგზავნის მას ჯარებს, რომელნიც ლევანმა თამაზის თხოვნით (უკეთ ვსთქვათ ბრძანებით) უკანვე გაისტუმრა.

III.

სიმონ I. – დაუთხან. – ალექსანდრე კახეთისა. – ხუდაბენდი. – 1578 წ. – 1590 წ. – კახეთის მეფე ებრძვის ქართლის მეფეს. – საქმენი იმერეთში. – 1581 წ. ლევან, როსტომ, იმერთა მეფენი. – 1600 – 1605 წ. კოსტანტინე მამის და ძმის მკვლელი.

1558 წ. გამეფდა ქართლში სიმონ პირველი, ძე ლუარსაბისა. 1559 წ. მან შეირთო კახეთის მეფის ლევანის ასული და სამამრის დახმარებით მოინდომა ქართლიდამ სპარსელების განდევნა. მაგრამ ლევანი ცხადათ არ გამოვიდა ბრძოლის ველზე, მან კახეთის ჯარი თავის შვილის წინამძღოლო-

ბით მოაშველა. ქართლ-კახეთის ჯარებით სიმონი მამაცურად მიადგა თბილისს, მაგრამ რადგან იმაში სპარსეთის ჯა-

რე იდგა და ქალაქი ძალიან გამაგრებული იყო, ამიტომ თბილისი ისევ მტრებს დარჩათ. ამ ურჩობამ და წინააღმდეგობამ სიმონს დიდხანს სიცოცხლე გაუმწარა. და ამის მიზეზად შეიქმნა ღვიძლი ძმს სიმონისა დავითი, კაცი ცბიერი და მოღალატე. დავითმა 1566 წ. შაჰს პერობა მისცა: „მაჰმადს ვირწმუნებ, თუ ქართლის სამეფოს მე მომცემთო.“ თამაზს ძალიან მოეწონა: სიხარულით აღუსრულა დავითს პირობა, მდიდრად დაასაჩუქრა იგი, დავათის მაგიერ დაუთ-ხანი დაარქვა და ებოძა ქართლის სამეფო ტასტი, რომლის დასაპყრობლად გამოაყოლა მას თავისი ჯარები და განჯის და ყარაბაღის ხანებსაც უბრძანა მიშველებოდნენ მას.

ამ ნაირი ძალით დაუთ-ხანი წამოვიდა თავის ძმაზე, სიმონზე, რომელმაც ორჯერ ზედი-ზედ გაიმარჯვა, მაგრამ როდესაც დაუთ-ხანს ლეკებით შამხალი მიემხრო, მაშინ სოფ. ფარცხისთან მტრებზე გამარჯვება არ დააცალა ქვეყნის მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილმა, რომლის ჯაშუშობით გაცხარებული ომის დროს სპარსელთ დაიჭირეს იგი (სიმონი) და თამაზს წარუდგინეს. თამაზმა ჯერ ალერსიანად მიიღო, მაგრამ როდესაც სიმონმა გამაჰმადიანობაზე უარი უთხრა, იგი ალამუტის ციხეში დამწყვდია.

დაუთხანი 1569 წ. ტახტზედ აღვიდა. ხან სცხოვრებდა თბილისში, ხან სოფ. ქვეშში; ქვეყნის წესიერად მმართვას და პატრონობას სრულიად ყურს არ უგდებდა. ზოგი თავადები ამის დროს მეტად გაძლიერდნენ და გათამამდნენ. იგინი ისაკუთრებდნენ სამეფო მიწა-წყალს და ქონებას გაუსჯელად.

ამ დროს კახეთიც მშვიდობიანად არ იყო. აქ მოკვდა მეფე ლევანი და ქვეყანას დაუპატრონდნენ მისი ძენი (მეორე ცოლიდამ) ელი-მურზა, ხოსრო და ვახთანგი. მაგრამ ალექსან-

დრე, შვილი პირველი ცოლიდამ (თინათინიდამ) წამოედავა ძმებს, დაუთ-ხანის შემწეობით დაეცა, დაამრცა, დახოცა იგინი და თვითონ გამეფდა (1571 წ.).

ერთგულებისათვის (რომელიც არა ერთხელ დაუმტკიცა) კახეთის მეფეს ალექსანდრეს მოწყალების თვალით უყურებდა თამაზი. სპარსელნი განვიდნენ კახეთიდამ. ქვეყანამ ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა. ალექსანდრე ბეჯიდად შეუდგა კახეთის შენებას და აღორძინებას; მალე დროში ისეთი უშიშარი და მშვიდობიანი შეიქმნა ეს ქვეყანა, რომ ტანჯულნი და დევნულნი ქართლიდამ, საათაბეგოდამ, იმერეთიდამ აქ მოდიონენ და აქვე სახლდებოდნენ სამუდამოდ.

კახეთის სამეფო რომ სტკბებოდა მშვიდობიანობითა და წესიერებითა, ქართლის სამეფო კი უგუნურ დაუთხანის

ხელში იწიწკნებოდა და იტანჯებოდა. ხალხს მეტად სძულდა თავისი მეფე. წარჩინებულნიც აბეზარს მოსულიყვნენ მისგან. მარჯვე დროს ელოდნენ, რომ ის ტახტიდამ ჩამოეგდოთ. ეს დროც მოვიდა: თამაზი მოკვდა და სპარსეთში აჯანყება მოჰხდა.

სპარსეთის არეულობით ისარგებლა აგრეთვე სულთან ამურატ III-მ, რომელმაც ლალა-ფაშის წინამძღოლობით 15,000 კაცი გამოგზავნა საქართველოზე. ლალა-ფაშამ დაიჭირა თავრიზი, ერევანი და განჯა. სამეფოს აუკლებლობა პირობად დაუდო და კახეთის მეფეც წაიყვანა შირვანზე. აიღო შირგანიც და მემრე მოვიდა და აიღო თბილისი; დაუთხანი მიიმალა მთებში.

უმეფოდ დარჩომილნი ერისთავნი მუხრან ბატონის თავმჯდომარეობით შეიყარნენ და ზავი შეჰკრეს ლალა-ფაშასთან, რომელიც, გაამაყებული თავის გამარჯვებებით, ახლა წა-

ვიდა იმერეთის ასაღებად, მაგრამ იმერთაგან დამარცხებული რომ თბილისისკენ მოდიოდა, მაშინ ქართლელებმა სრულიად დაამარცხეს. ლალა გაიქცა შირვანში, მაგრამ დიდი ჯარებით ისევ მალე მუხრანში მოვიდა.

ამასობაში სპარსეთის არეულობაც დაბოლოვდა. საყეენო ტახტზე აღვიდა ხუდაბენდი, განათავისუფლა სიმონი, ისევ ტახტი დაუბრუნა, მისცა ჯარები, ფულები და გამოგზავნა საქართველოში, რათა განეძევა ოსმალნი ქართლიდამ. სიმონი მოვიდა და დაბანაკდა სომხითში, მოიწვია ქართველნი სამშობლოს და ჯვარის დასაცველად. ქართველნიც გამხნევდნენ; სიმონი დაეცა ოსმალთ, დაამარცხა იგინი და განდევნა გორიდამ, მემრე აიღო ოსმალთ უმთავრესი ქალაქი თბილისი. ლალა სამცხიდამ ოსმალეთში გაიქცა. დაუთხანიც კოსტანტინოპოლში წავიდა და იქვე მოკვდა.

ამ ნაირად მოთმინებითა და ტანჯვა-წვალების შემდეგ სიმონი კიდევ გამეფდა. მან დაიწყო ქალაქების და ციხეების შენება. აწიოკებული და ტანჯული ხალხი დაამშვიდა. მალე იგი შეიქმნა საყვარელი მეფე ხალხისა, დიდებულთა და სამღვდელოთათვის. მაგრამ ქართლის აღორძინება დიდხანს არ გაგრძელებულა. კახეთის მეფე ალექსანდრე იდუმალად ჯარებით დაეცა დიღომში მყოფ მეფეთ, გაცარცვა იმის სახლი და სიმონმა კი ძლივს იხსნა თავი მთებში. ალექსანდრემ აღაოხრა ქართლი, გადასწვა მინდორ-ვენახები, ბევრი ქართლელი დაატყვევა და ბევრნიც სტანჯნა. ხელდახელ მეფემ შეჰყარა თავისი ჯარი და დაეცა ალექსანდრეს ჭოტორთან, დაამარცხა იგი სრულიად, დაიბრუნა ყველა თვისი ნივთები; ალექსანდრემ კი ძლივს მაღაროში თავი შეაფარა. ბოლოს ეს მეფენი შეარიგა აშატანმა, სიმონის ნათესავმა.

იმერეთშიაც მშვიდობიანობა არ იყო. გიორგი გურიელი გაეყარა თავის ცოლს დადიანის ასულს და ცოლად შეირთო მეფე გიორგის ასული. დადიანს ეს ეწყინა და ჭილაძეების დახმარებით და ძმის წულის შემწეობით დაეცა იანეთში მეფესა, მაგრამ იძლია. დადიანი გაიქცა ოსმალეთში, მეფემ კი დაიჭირა სამეგრელო. სულთანს გაუხარდა დადიანის მისვლა და ტრაპიზონის, არზერუმის ჯარებით გამოგზავნა იმერეთში. გურიელი იძულებული შეიქმნა 10,000 დრაქმი მიეცა დადიანისათვის და შერიგებოდა. გურიელისაგან გაშვებული დადიანის ქალი შეირთო ბაგრატმა, გიორგი მეფის ძემ. ამნაირად ჩამოვარდა მშვიდობიანობა. მაგრამ მალე დადიანი ცხენიდამ ჩამოვარდა და მოკვდა. დადიანობა მიიღო მისმა შვილძა გიორგიმ.

ესრე, სამივე სამეფოებში სანატრელი მშვიდობიანობა არ ჰსუფევდა. მუდამ ომიანობის ამბავი ისმოდა და ხან ერთი კუთხე საქართველოისა იწიწკნებოდა, ხან მეორე, ხან მესამე.

ჯერ სამი წელიწადი არ შესრულებულ იყო ლალა-ფაშის განდევნის შემდეგ, რომ ისევ ახალი ოსმალეთის ჯარი სინანა-ფაშის წინამძღოლობით 1581 წ. შემოერტყა თბილისს, აიღო იგი და თვისი ჯარით დაბანაკდა ს. მუხრანში. ამავე დროს სინანა-ფაშის მომხრენი: მეფე იმერთა გიორგი, დადიანი და გურიელი შემოვიდნენ ქართლში. ოსმალნი სიმონმა დაამარცხა და თბილისში შერეკა, იმერლებს შეუკრა გზა. ბევრის ცდილობის შემდეგ შეურიგდა გიორგი მეფეს, რომელიც ამის შესდეგ მალე მოკვდა 1585 წ. იმერეთის ტასტი დარჩა თორმეტი წლის ლევანს, მის შვილს.

სიმონს მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა განეთავისუფლებინა სამშობლო ოსმალთაგან. ამისთვის ის ყოველ გვარ ღონის ძიებას ხმარობდა. მაგ. მან მიათხოვა თავისი ქალი მანუ-

ჩარს, სამცხის ათაბეგს და მის შემწეობით შემოერტყა თბილისის ციხეს, დაამარცხა ოსმალნი და განდევნა; აგრეთვე აიღო დმანისი და ლორი. ოსმალნი 1586 წ. შეურიგდნენ სიმონს, მაგრამ საათაბეგოს აოხრება მოინდომეს. მანუჩარი თავის ჯალაბობით გადმოვიდა თავის სიმამრთან, რომელმაც ოსმალნი საათაბეგოდამაც განდევნა და მანუჩარს დაუმორჩილა ზოგიერთი ურჩნი თავადნი.

სამცხიდამ მეფე სიმონი გადავიდა იმერეთში, საცა მას მიემხრნენ ზემო-იმერეთის ბატონები; ლევანი შეებრძოლა სიმონს, მაგრამ დამარცხებულ და ლეჩხუმში განდევნილ იქმნა; სიმონმა გამოართვა მძევლები იმერლებს და ქართლში მოვიდა; ლევანი კი ქუთაისში დაბრუნდა და დადიანზე გაილაშქრა, რადგან ამ უკასასკნელმა შემწეობა არ მისცა სიმონის დასამარცხებლად. მაგრამ ლევანი იძლია. დადიანმა დატყვევა, შკეთის ციხეში დაამწყვდია; აქვე მოკვდა ლევანი და დადიანის სურვილისამებრ იმერეთში გამეფდა 1590 წ. როსტომი, შვილისშვილი ბაგრატ III.

გამეფდა თუ არა როსტომი, მისი მწე და მფარველი

მამია დადიანი მოკვდა და გადადიანდა მისი ძმა მანუჩარი, რომელიც აგრეთვე კარგი მეგობარი იყო როსტომისა. მაგრამ გურიელმა როსტომის მაგიერ მოინდომა გამეფება ვახთანგის შვილის-შვილის ბაგრატისა. ოსმალთ ჯარების შემწეობით გაამეფა ბაგრატი. ჯიჯავაძეებს ჩამოართო საჩინო, რადგან ისინი ბაგრატს არ ემორჩილებოდნენ და მისცა მეორე ჯიჯავაძეს.

ამისთანა უთავ-ბოლობის და შფოთისა გამო ქართლის მეფე ხელ-მეორედ გადავიდა ლიხზე, აიღო ქუთაისი, განდევნა გურიის ჯარი, ჩააყენა იქ თავისი მმართველები და ჯარი,

თვითონ კი დაბრუნდა. მაგრამ როსტომმა დადიანის შემწეობით ისევ განდევნა სიმონის ჯარი და მაართველები.

ამის გამო მეფე სიმონი მესამედ შევიდა იმერეთში, აიღო სკანდე, კაცხი, სვირი და ქუთაისი. როსტომი გაიქცა ოდიშში მანუჩართან. სიმონი დაედევნა მას, რადგან უნდოდა იმერეთის ქართლთან შეერთება, მაგრამ ს. იფიშქვიტთან სიმოსი დამარცხდა (1590 წ.); მოწინააღმდეგეთ დარჩათ სიმონის ზარბაზნები და ალაფი, მეფე კი გაიქცა ქართლში. როსტომმა მეგობრული ზავი შეჰკრა სიმონთან და ქუთაისში დამკვიდრდა.

მინამ სიმონი იმერეთიდამ დაბრუნდებოდა, ოსმალნი სომხითში შემოვიდნენ, აიღეს ლორი და გორშიაც გადმოვიდნენ. სიმონმა უკანვე დაუბრუნა ლორი და გორიც. მაგრამ ოსმალეთის სულთანი განძვინდა და ქართველების წინააღმდეგ გამოგზავნა დიდ-ძალი ჯარი ჯაფარ-ფაშის წინამძღოლობით. ოსმალნი შამოვიდნენ ქართლში და ნახიდურზე დადგნენ; სიმონი კი იმათ პირ-და-პირ მტკვრის მეორე მხარეს დაბანაკდა. ამას უნდოდა უეცრივ დასცემოდა თავის მტრებს, მაგრამ ერთხელ რომ შინჯავდა გარემოს, ცხენით შესტოპა ტალახში, ჩაეფლო, მტრებმა დაიჭირეს და გაგზავნეს კოსტანტინოპოლში.

სიმონი შვილი გიორგი შეურიგდა ოსმალთ, დაუთმო მათ ციხეები და თვითონაც მეფედ აღიარებულ იქმნა (1600 წ.)

გიორგი მე IX-ს გულითადი სურვილი იყო განეთავისუფლებინა თვისი მამა. სულთანი ამისთვის ითხოვდა ხარჯს მთელი ქართლიდამ და ზოგიერთ ციხეებს. სიმონმა ეს არ ისურვა და სასყიდლის ერთბაშად გადახდა მოინდომა. სულთა-

ნი ამ პირობაზე ბოლოს დათანხმდა. მოციქულებმა ფული რომ წაიღეს სიმონი უკვე გარდაცვლილ იყო *). სულთანმა ფულები მაინც გამოართო და მოციქულთ მასცა მეფის გვამი, რომელიც მოიტანეს და მცხეთაში დამარხეს.

ასრეთი იყო გავლენა ოსმალთა საქართველოზე მაშინ, როდესაც სპარსეთის ტახტზე აღვიდა შაჰ-აბაზ I დიდი. მას ფიქრადაც არ მოსდიოდა საქართველოს დატოვება ოსმალთა-

თვის. 1601 წ. საქართველოს დაპყრობისათვის ასტყდა საშინელი ომი ოსმალთა და სპარსთა შუა. აბაზმა საშველად მიიწვია ქართლ-კახეთის მეფენი, რომელნიც მიეშველნენ. კახელნი და ქართველნი ვაჟკაცურად შეებრძოლნენ მტრებს და პირველად შევიდნეს ქალაქში. სპარსეთის შაჰმა დასაჩუქრების მაგიერ ქართლის მეფეს წაართვა ლორი ბერდუჯამდის და ამისთვის ყოველ წლივ აძლია 300 თუმანი ფული; კახეთის მეფეს კაკის მაგიერ ყოველ წლივ დაუნიშნა 700 თუმანი.

ამის შემდეგ აბაზი ჰმართავდა ქართლ-კახეთის სამეფთობს. ეს იყო მიზეზი, რომ კახეთის მეფემ ალექსანდრემ და ქართლისამ გიორგი IX მიჰმართეს ხელმწიფეს ბარის-ფეოდორიჩ გოდუნოვს და სთხოვეს მფარველობა და შემწეობა. მანაც აღუთქვა. მაგრამ ამით უფრო გაარისხეს აბაზი და უფრო მეტ განსაცდელში ჩააგდეს სამეფოები.

ამავე დროს სამეფო გვარეულობის წარმომადგენელნი ისე წამხდარნი და ზნეობით დაცემულნი იყვნენ, რომ ძმა ვეღარა სცნობდა ძმასა, შვილი მამასა.

კახეთის მეფის ალექსანდრე II შვილი დავითი შაჰის ჩაგონებით და მისგან გამხნევებული შეიპყრობს თავის ძმას

---

*) ზოგი ერთნი სწერენ მოსწამლესო.

გიორგის და დაამწყვდევს ციხეში, ამ ნაირადვე მოეპყრობა მამასაც და თვითონ გამეფდება. მაგრამ მისი მეფობა გაგრძელდა მხოლოდ ექვს თვეს. ის მოკვდა. უვარესები ჩაიდინა (იმავე 1605 წ.) გიორგის ძმამ კოსტანტინემ. ეს წავიდა სპარსეთში, მაჰმადიანობა მიიღო, დიდი ჯარებით წამოვიდა კახეთში სამეფო ტახტზე ასასვლელად. კოსტანტინე ჯარებით დადგა ქალაქს ბაზარში (ეს არის ზაქათალის მაზრაში, ეხლა უბრალო სოფელია), მოიწვია თავისი მამა და ძმა გიორგი, ვითომ კეთილის განძრახვით, დახოცა ისინი და მოციქული გაუგზავნა ძმის ცოლს ქუთევანს და მოახსენა: „მე მებოძა ტახტი კახეთისა, ჩემი ძმა დავით II მოკლულ არს და შენ ჩემზე გამოთხოვდი“. რასაკვირველია ქეთევანმა უარი უთხრა. გაბრაზებულმა კახეთის ხალხმა ვეღარ მოითმინა. მეფედ დასვეს ქეთევანი და დაეცნენ კოსტანტინეს, დაამაცხეს იგი და მოჰკლეს.

ქეთევანმა ალავერდის სობოროში დაასაფლავა ალექსანდრეს და დავით II-ს გვამნი. აბაზმა კი, როცა გაიგოთ კოსტანტინეს სიკვდილი, ვითომ გაუხარდა, პირფერობით სთქვა: «ეგრე ჯერ არს მამის მკვლელისათვის“, კახეთის მეფედ დანიშნა ქეთევანის შვილი თეიმურაზი, რომელიც სპარსეთში მძევლად ჰყვანდა. თეიმურაზი ყველამ სიხარულით მიიღო და მეფედ ბოდბეში აკურთხეს (1605 წ.).

ქართლის მეფე გიორგი IX იმავე წელს მაჰმადიანობის მიუღებლობისათვის, შაჰის ბრძანებით, შხამით მოწამლულ იქმნა. თბილისი, დმანისი და ლორი აიღეს სპარსელთ და ლო-

რისათვის დანიშნული 300 თუმანი მოსპეს. ქართლის ტახ-
ტზე აღვიდა გიორგის ძე ლუარსაბ II.

IV.

ლუარსაბ II, მეფე ქართლისა. – თეიმურაზ I, მეფე კახეთისა.
– გიორგი III, მეფე იმერთა. – გიორგი სააკაძე. – შაჰ აბაზი I.
– ქეთევანი და თეიმურაზის ძენი. – ლუარსაბის სიკვდილი. – და-
მკვიდრება სპარსთა ქართლ-კახეთში და ოსმალთა საათაბეგოში.

სამთავე სამეფოს მეფენი აღვიდნენ ტახტზე 1605 წ. ყველანი მეგობრულად სცხოვრობდნენ და თავის სამეფო საქმეებს კეთილ-სინდისიერად განაგებდნენ. იმერთა მეფემ, რადგან წარსული არეულობის და შფოთის გამო მრავალი ხალხი (უფრო დიდებულთაგან) ზნე წამხდარ და გარყვნილ იყო (ცოლებს უმიზეზოდ ეყრებოდნენ, ნათესავებს ირთავდნენ, ტყვეებს ჰყიდნენ და სხ.), მოახდინა სასულიერო პირთა კრება. ამ კრებაზე მიწვეულ იყვნენ: ქათოლიკოსები: მცხეთისა და აფხაზეთისა, ეპისკოპოსები: სამეგრელოსი, იმერეთისა და გურიისა. ამათ დაადგინეს ახალი წესები და ამ წესების მოწინააღმდეგეთ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. კახეთის მეფემ თეიმურაზმა შეირთო გურიელის ქალი და დაიწყო შნება თავის სამეფოსი. ლუარსაბ მეფე, ძე გიორგი IX-სა იყო მხნე და ვაჟ-კაცი კაცი. თუმცა ხაზინა ცარიელი ჰქონდა (რადგან იგი მამის სიმონის დასახსნელად სულთანს გაუგზავნა), მაგრამ მაინც მხნედ განაგებდა თავის სამეფოს.

ამ დროს ქართლში გამოჩნდა შსანიშნავი და მოუღალავი პირი: ეს იყო გიორგი სააკაძე. მან ბევრგან და ბევრ შემთხვევაში იხსნა საქართველო განსაცდელისაგან, მაგრამ მი-

სი ღვაწლი ერთი წვეთია იმ ვნებასთან შედარებით, რომელიც გიორგის წყალობით ხვდა სამეფოებს.

სააკაძე იყო თბილისის მოურავი, ლუარსაბის კარგი მეგობარი. ამის შემწეობით ლუარსაბმა სურამის ახლოს დაამარცხა თათარ-ხანი (ყირიმის-ხანი), რომელსაც დაღესტნის ხალხები დაემარცხებინა, შესულ იყო განჯა-ერევნის ქვეყნებში, დაემარცხებინა თავისი მტრები და სურამიდამ თავის ქვეყანაში დაბრუნება უნდოდა. ამ ომში ქართველ ქალებმაც მონაწილეობა მიიღეს და კაცებთან ერთად მტრებს ეომებოდნენ.

ბრძოლის ველიდამ დაბრუნებისას ლუარსაბი შევიდა საკაძესთან, საცა მოეწონა მისი და, და წინააღმდეგ დიდებულთა სურვილისა, შეირთო იგი. მაშინ წარჩინებულთა პირთა გადასწყვიტეს სააკაძის დაღუპვა. ამიტომ იგი გაიქცა ნუგზართან, სიმამრთან (ეს იყო არაგვის ერისთავი) და ორთავე გაიპარნენ

შაჰ აბაზთან, რომლის შემწეობით გადასწყვიტეს დაეღუპათ თავისი მტრები. შაჰმა პატივით მიიღო ისინი. თხოვნის ასრულება დაჰპირდა. ამის შემდეგ ნუგზარი, დაბრუნდა, სააკაძე კი შაჰის სასახლეში დარჩა.

კახეთის მეფე თეიმურაზი მალე დაქვრივდა. დარჩა ობლები ლევანი და ალექსანდრე. შაჰმა სამძიმარი უთხრა და თავის მწუხარება გამოუცხადა თეიმურაზს. მემრე სთხოვა შეერთო ცოლად ლუარსაბის მეფის ქალი, რომელიც ახლო ნათესაობის გამო თეიმურაზს არ ერგებოდა. „მით უფრო განიმტკიცება, უთვლიდა შაჰი, ჩვენი მეგობრობაო, რადგან მეც ლუარსაბის და – თინათინი მყავს ცოლადო“. თუმცა უკანონობაზე ბევრი ილაპარაკა თეიმურაზმა და ჯერ უარი უთხრა, მაგრამ მაინც ძალას უნდა დამორჩილებოდა. ამნაირად შაჰი ღობე-ყორეს ედებოდა და სააკძესთან ერთად საქართველოს აოხრების მიზეზებს ეძებდა.

– 175 –

ქორწილის შემდეგ თეიმურაზმა ომანის შვილის წინამძღოლობით გაგზავნა ჯარები ლეკების დასამორჩილებლად. ქაიხოსრო ომანის შვილი, მხნეობით განთქმული, შევიდა დაღისტანში, აიღო სალეკო ქვეყნები, მრავალი ხალხი დახოცა და ბევრნიც დაატყვევა. ამისთანა კაცის ღვაწლი სამშობლოსადმი თემურაზმა სიკვდილით დასჯით გადუხადა, მრავალთა მოშურნეთა წყალობით: ომანის შვილს კახეთში გამეფების სურვილი დასწამეს.

სამეფოების მშვიდობიანობა 1615 წ. დაირღვა; ამ წელს შაჰი უეცრივ განჯასთან გაჩნდა. აქედგან თეიმურაზს შეუთვალა: „ოსმალებთან საბრძოლველად მივდივარ, თუ ჩემი მეგობარი ხარ და იმათ არ მიეშველები, მძევლად შენი შვილი გამომიგზავნეო“. მეფე მიხვდა აბაზის ცბიერებას და შვილის გაგზავნა არ უნდოდა, მაგრამ კახელებმა უთხრეს მეფეს: „თუ შვილს არ გაუგზავნი, ქვეყანას აგვიოხრებსო.“ მეფეც დაყაბულდა: უმცროსი შვილი, თავისი დედა ქეთევანი და ნოდარ ჯორჯაძე აბასის დასაწყნარებლად გაგზავნა. – „შენი შვილის გამდელი ხომ არა ვარ, თუ ჩემთან მეგობრობა გინდა, უფროსი შვილი გამომიგზავნე, მაშინ მოგშორდებიო.“ კახელების რჩევით თეიმურაზმა ესეც გაგზავნა. შემდეგ აბაზმა თვითონ თეიმურაზიც მოითხოვა. კახელები ეხლა მიხვდნენ თავის შეცდომას.

თეიმურაზმა მოიშველა ლუარსაბი და გაამაგრა კახეთი. აბაზმა ერთი ნაწილი ჯარი ჟალეთისკენ გაისტუმრა, მეორეთი კი კახეთისკენ გაემგზავრა. გზის მაჩვენებელი და ბელადი იყო სააკაძე. თეიმურაზმა ნახა საქმე წაგებული იყო, გასწია ჟალეთისკენ. აქ დაეცა სპარსელთ, დაამარცხა ისინი, წაართვა ყველაფერი, რაც გააჩნდათ და მოვიდა მუხრანში ლუარსაბთან.

– 176 –

ჟალეთის დამარიცხება მეტად გააჯავრა აბაზი, რისგამო მთელი ჩვენი ხალხს გაწვეტა დააპირა. ქართველნი ტყე-ღრეში მიიმალ-ნენ, მეფენი იმერეთში გიორგისთან გაიქცნენ.ნ . აბაზმა ქეთევანი და იმისი შვილის-შვილნი შირაზის საპყრობილეში გაგზავნა, თვი-თონ კი კახეთის და ქართლის დარბევით გამოიარა გორამდის და იქ დადგა. დიდ-ძალი საჩუქრები აღუთქვა იმერეთის მეფეს, თუ ის ორივე მეფეთ მოსცემდა, მაგრამ გიორგიმ უარი შეუთვალა და ქათოლიკოზის მალაქიას და პაატა აბაშიძის შუა-მავლობით ითხოვა მათი პატივება. აბაზმა უთხრათ: „ლუა-რსაბი მე მიყვარსო და იმას სამაგალითოდ დავასაჩუქრებო, თუ ჩემთან დაბრუნდაო, თეიმურაზი კი ჩემი საუკუნო მტე-რიაო.“

ლუარსაბი გამოეცხადა აბაზს. მან პატივით მიიღო იგი. მაგრამ მალე აბაზმა მეფე ყარაიაზის ჭალებში სანადიროდ წაიყვანა, ქართლში დასტოვა თავისი ჯარები გამაჰმადიანებული იასე (ისახანის) მეფის ძის (ეს იყო თემურაზის ბიძა-შვილი) წინა-მძღოლობით, კახეთი ჩააბარა ნოდარ ჯორჯაძეს და დავით ომანის-შვილს და თვითონ კი ყარაიაზიდგან ლუარსაბითურთ წავი-და მაზანდერანში, საცა გამაჰმადიანება უბრძანა მეფესა, მაგრამ ლუარსაბმა არ ირწმუნა. ამიტომ იგი გაგზავნილ იქმნა შირაზში და იქ, დიდი ხნის პყრობილი, მოაკვლევინა (1622 წ.). ქართ-ლის მეფედ დანიშნა დაუთ-ხანის ძე ბაგრატ V, რომელიც გამაჰმადიანებული სპარსეთში სცხოვრებდა.

აბაზის წასვლის სამი თვის თავზე ნოდარ ჯორჯაძემ, დავით ომანის შვილმა და სხ. მოჰკლეს ისახანი, მოიწვიეს თეიმურაზი და ისევ კახეთში გაამეფეს. ეს გაიგო თუ არა აბაზმა ალი-ყული-ხანის წინამძღოლობით ერთი ნაწილი ჯარი გამოგზავნა არაგვისკენ, რომ მას თეიმურაზისთვის შაეკრა

გზა, თვითონ კი დიდი ჯარებით კახეთისკენ წავიდა. ვერც ეხლა დაიჭირეს თეიმურაზი: ამან დამარცხა ალი-ყული-ხანი, წაართვა სურსათი და განდევნა საქართველოდგან. მაგრამ აბაზის მოახლება რომ გაიგეს, კახელნი მთებში შეიხიზნენ, თეიმურაზი კი ექვსი თვის მეფობის შემდეგ კიდევ იმერეთ-ში გაიქცა.

1617 წ. შაჰი აბაზ I შემოვიდა საქართველოში, დაა-ნგრია ქალაქები, სოფლები, გაცარცვა მონასტრები და ეკლე-სიები, დალეწა ხატები და ჯვრები; ეკლესიებიდამ შეძენილი ოქ-რო-ვერცხლი მოახმარა თავის ჰარამ-ხანას. ქრისტიანნი, რო-მელთაც მთაში გახიზნვა ვერ მოასწრეს, ათასობით შიგ ეკლე-სიებში შეკრებილიყვნენ და წმ. საიდუმლო მიღებულნი ელოდნენ თვის განსაცდელს. აბაზი უკიდებდა ცეცხლს ეკლესიებს და ხალხითურთ სწვამდა. რომ ქრისტიანთ სისხლით გული შეი-ჯერა, აბაზმა კახეთის მმართველად დანიშნა ფეიქარ-ხანი, თვითონ კი დიდ-ძალი ქართველი ხალხი აჰყარა და სპარსეთ-ში წაასხა. ზოგი მათგანი დაასახლა მაზანდერანში, ზოგი ხო-რასანში. *)

აბაზ I უკანასკნელად აოხრების შემდეგ ჩვენი ქვეყანა დამოკიდებულ იქმნა სპარსეთისაგან შემდეგი პირობებით:

1, სჯული შეუხებლივ უნდა დარჩომილიყო.

2, ეკლესიები რჩებოდნენ და მეჩეთების აშენების უფლება არ ჰქონდათ (სპარსელთ.)

3, მძიმე ხარჯი არ უნდა დასდებოდა საქართველოს.

4, მეფედ, ქართველი სამეფო გვარიდამ, უეჭველად გამაჰმადიანებული უნდა ყოფილიყო. მეფის ერთ-ერთ შვილს

*) ამ ქვეყნებში ეხლაც სცხოვრობენ მაშინდელი ქართველთ ჩამომავალნი, რომელთაც ახსოვთ თვისი მამა-პაპეული ქვეყანა.

მაჰმადი უნდა ერწმუნა. იმას მამის სიცოცხლეში მდივან-ბეგობა ეძლეოდა და მამის სიკვდილის შემდეგ საქართველოს ტახტი.

აბაზი რომ დაბრუნდა სპარსეთში და კახეთი თითქმის უპატრონოდ დარჩა, მაშინ ლეკნი ჩამოვიდნენ დაღისტნიდამ, დაიპყრეს გაღმა მხარი (უწინდელი ელისენი, აწინდელი საინგილო), მეტად მდიდარი კახრთის ნაწილი. გაიყვეს ეს ქვეყანა, აქვე დასახლდნენ და აიშენეს ციხეები: ჭარი, ბელაქანი, კატეხი და სხ. მკვიდრი ხალხი გაამაჰმადიანეს და დაარქვეს ინგილო, ესე იგი ახლად გამაჰმადიანებული.

ამ დროს საათაბეგოში დამკვიდრნენ ოსმალნი. უკანასკნელი ქრისტიანი ათაბეგი *) მანუჩარ III-მე გამაჰმადიანებულმა ბიძა მისმა ბექამ მოსწამლა. ბექას (თათრობაში საფარ) ებოძა საათაბეგოს ფაშობა 1624 წ.

ამ ნაირად ორმა მძლავრმა და მოსისხლე მტერმა ურჯულო სახელმწიფოებმა ფეხი მოიდგეს საქართველოში: სპარსელთ აღმოსავლეთ ნაწილში, ოსმალთ დასავლეთისაში.

*) საგარ ფაშამდე სამცხე-კლარჯეთის ანუ საათაბაგოს დამოუკიდებელნი ქრისტიანნი ათაბეგნი იყვნენ:

ყვერყვარე I	1465 – 1466 წ.	ყვარყვარე III	1516 – 1535 წ.
ბაადური	1466 – 1475 წ.	ქაიხოსრო II	1535 – 1563 წ.
მანუჩარი I	1475 – 1483 წ.	ყვარყვარე IV	1563 – 1582 წ.
ყვარყვარე II	1483 – 1500 წ.	მანუჩარი II	1582 – 1614 წ.
ქაიხოსრო I	1500 – 1502 წ.	მანუჩარი III	1614 – 1624 წ.
მზე ჭაბუკი	1502 – 1516 წ.		

V.

თეიმურაზ I წინაშე სულთნისა. – წამება ქეთევანისა და წვალება მეფის ძეთა. – ქართლ-კახეთის მდგომარეობა. – სიმონ II. – კახეთში ისევ თეიმურაზი გამეფდება (1623 წ.). – სიევდილი სააკა–ძესი და აბაზისა. – შეერთება ქართლ-კახეთისა. – შინაური საქმეები. – მისიონერები. – თეიმურაზი, როგორც მწერალი. – დაპყრობა არაგვის პირისა. – ხოსრო მირზა ქართლის ტახტზე. – მოღვაწეობა ხოსროსი. – ოსმალთ გავლენა დასავლეთ საქარ–თველოში. – თეიმურიზი ხელ-ახლა გამეფდება კახეთში. – ალექსანდრე III, იმერეთის მეფე. – აბაზ II. – შეერთება კახეთისა და ქართლისა. – სპარსელთ გავლენა ქართველებზე. – გამეფება ვახთანგისა.

თუმცა თავის სამეფოზე მოშორებით – გურიაში სცხოვრე–ბდა თეიმურაზი, მაგრამ გულით და სულით თავის ქვეყანაში დაბრუნება და შველა უნდოდა. ამიტომ იმან მოციქული გაუგზავნა სულთანს და შემწეობა სთხოვა; სულთანმა პატივით მიიღო მოციქული, მეფე თეიმურაზს აღუთქვა შემწეობა და დროებით დანიშნა მმართველად გონიისა; აგრეთვე რამდენიმე ალაგი უბოძა საათაბეგოში. ამნაირი განკარგულება სულთანისა არ მოეწონა გურიელს, რადგან თეიმურაზისათვის ნაბოძები ადგილები მას თვითონ ეკუთვნოდა. თეიმურაზმა არ აწყენინა: 700 კაცი კახელებით ის ჩავიდა სტამბოლში მუსტაფა სულთანის წინაშე, მაგრამ ისა კიდევ შემწეობას დაჰპირდა და ისევ გონიაში გამოგზაგნა. ამ ნაირ მდგომარეობაში მან (თეიმურაზმა) 1619 წ. რუსეთის იმპერატორს მიხეილ ფეოდორიჩს შემწეობა და შაჰ-აბაზთან შუამავლობა სთხოვა.

აბაზი უფრო გააბრაზა თეიმურაზის ამნაირმა მოქმედებამ, რის-გამო მეფის დედა ქეთევანი წამებულ იქმნა და მეფის ძენი ლევანი და ალექსანდრე საჭურის ჰყვნა. ამ საშინელი სასჯელისაგან ალექსანდრე იმავ წამს გარდაიცვალა, ლევანი კი შეიშალა.

მაშინ, როდესაც ბუნებითი მეფე კახეთისა დატანტალებდა და შემწეობას ითხოვდა ხან ერთისაგან, ხან მეორისაგან, კახეთში კი ფეიქარ-ხანი ანგრევდა და აოხრებდა ქრისტიანთ ეკლესიებს და კახეთის მიწებს უყოფდა თათრებს და მონგოლებს და ასახლებდა მათ თავის გასაძლიერებლად. ამ დროს ქართლის მეფე ბაგრატ V-ც სტანჯავდა ხალხს დ ა აწვალებდა, რისგამო სრულიად მოძულებული იყო და მოკვლის შიშისაგამო თბილისშიაც ვერ სცხოვრებდა, არამედ შორს თბილისიდამ – საბარათიანოში. ბოლოს როდესაც უკანასკნელი ჟამი მოუახლო-და, მოიწვია ეპისკოპოსი და თავისი ცოდვები შეინანა. ამ დროს აქ იყო მოლაც, რომელმაც მრისხანებით შეჰ–ხედა ეპისკოპოსს, მაგრამ მეფემ ყური არ უგდო მაჰმადის მოციქულს, პირჯვარი გადიწერა და მოკვდა (1619 წ.) სოფ. ბოლნასში. მეფეს დარჩა ცოლი ანნა, ძე სიმონი და ასული ლელო.

ანნა ჩამოვიდა თბილისში და მეფედ თვისი შვილი სი-

მონი გამოაცხადა, მაგრამ მოურავმა სააკაძემ, არაგვის ერისთავმა ზურაბმა მთელი ხალხითურთ უარი ჰყვეს მეფობა გამაჰმადიანებულის მისის შვილისა. მაგრამ აბაზმა ყორჩიხანის წინამძღოლობით გამოგზავნა ჯარები და მათ შემწეობით ტახტზე ავიდა სამონ II ანუ სიმონ ხანი (1619 წ.). ამის შემდეგ თვითონ ყორჩი-ხანი კახეთისკენ წავიდა, მოტყუებით იწვევდა კახელებს თავის კარავში და ხოცავდა. ამისთანა უსამართლობა ვეღარ აიტანა სამშობლოს მოღალატე სასკაძემ. ამან და

ზურაბმა მოჰკლეს ყორჩი-ხანი და ფეიქარ-ხანი, დაამარცხეს და განდევნეს კახეთიდამ სპარსელთ ჯარები, და ხელ-ახლა თეიმურაზი გაამეფეს (1623 წ.).

მაგრამ თითო-ოროლა ჯერ მტრებზე გამარჯვება ვეღარ ჰშველიდა დარღვეულს სამეფოს. სააკაძემ რომ მტრები დაამარცხა და განდევნა, იმას პატივის-ცემის მაგიერ დევნა დაუწყეს საქართველოს მებატონეებმა, რადგან მისი გაძლიერება არ უნდოდათ. ზურაბმა, რომელიც მოსისხლე მტერად შეიქმნა სააკაძესი, თეიმურაზის შემწეობით დაამარცხა სააკაძე; ამის შემდეგ მოურავმა საქართველოში ცხოვრება აღარ ინდომა: იგი წავიდა სტამბოლში, რათა სულთნის შემწეობით შემოსულიყო საქართველოში დასასჯელად თავის მტრებისა. მაგრამ მუხთალმა სოფელმა აღარ დააცალა, რომ მემამულეთა სისხლი ახლად დაეღვრევინებინა ოსმალთათვის: იგი იქვე ღალატობით მოჰკლეს (1628 წ.).

1628 წ. მოკვდა აბაზ II-ც და საქართველომ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა. თეიმურაზმა დაიწყო კახეთის შენება და ქართლიდამ სიმონ II-ს განძევება მოინდომა; სურვილი მალე აღუხდა: არაგვის ერისთავი ზურაბი, სიძე თეიმურაზისა ქურდულად შევიდა სიძთნ II ბანაკში – ცხვილოსის ციხეში (ქსანზე), მოჰკლა მეფე და მისი თავი თეიმურაზს გაუგზავნა. თეიმურაზი დაუყოვნებლივ წავიდა ქართლში და დაიპყრო მისი ტახტიც; ესრე ეს ბედისაგან დევნილი მეფე მეორედ გახდა მეფედ ქართლ-კახეთისა (1629 წ.)

პირველი საქმე თეიმურაზისა იყო თავის სიძის ზურაბის მოკვლა, რადგან ამ ძლიერი და დაუნდობელი *) კაცისა ეში-

*) ზურაბის ერისთაობის დროს ასრე გამოუხატავს ხალხს: „ზურაბ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო!“

ნოდა. ამის შემდეგ მან დაიწყო ეკლესიების შენება და ქრისტიანობის გავრცელება. მართლ-მადიდებელ მქადაგებლებთან ერთად მან ნება მისცა კათოლიკეთ მქადაგებლებსაც, რომელნიც საქართველოში მოვიდნენ საკათოლიკო ეკლესიის დასამკვიდრებლად. მათი წინამძღვარი იყო ავიტაბოლისი. მართლაც მალე ჩვენში ფეხი მოიდგეს ამ მისიონერებმა და თავის სჯუ-

ლის გასავრცელებლად ამოირჩიეს თბილისი, გორი, ქუთაისი და სხ. მათ ქადაგებას უფრო წარმატება ჰქონდა საათაბეგოში, საცა მცხოვრებნი ათასობით გადადიოდნენ პაპისკენ. ამ ნაირად ფეხი მოიდგა საქართველოში საკათოლიკე ეკლესიამ და ეხლა მისნი შვილნი ათი-ათასობით ითვლებიან ჩვენ-ქვეყანაში.

იმერეთში ამ დროს სუფევდა განხეთქილება: დადიანი ებრძოდა მეფე გიორგის. ამან თავის გასაძლიერებლად თავის შვილს ალექსანდრეს შერთო თეიმურაზის ასული, არაგვის ერისთვის ზურაბის ქვრივი დარეჯანი. მაგრამ ამ ნათესაობამ ვერ უშველა მას. ლევან დადიანმა დაამარცხა იგი და ბევრი დიდებულნი ტყვე ჰყო. ამის შემდეგ ლევანმა დაატყვევა თავისი სიძე სიმონი, გურიის მმართველი, რომელსაც (სიმონს) თავისი მამა მოეკლა, თვალები დასთხარა, გურიის მმართველად დასვა ქაიხოსრო ვახთანგის ძე და სამეგრელოში დაბრუნდა. თეიმურაზი შინაური საქმეების გამო ვერ ჰშველოდა თავის სიძეს, იმერეთის მეფეს.

თუმცა მთელი სიცოცხლე თვიმურაზმა ბრძოლაში განატარა, მაგრამ მაინც ის სამწერლო ასპარეზედაც მოღვაწეობდა. მისგან დაგვრჩა: „მირიანი“ და „ლეილიანი“, „ვარდ-ბულბულიანი“, „სიყვარული იოსებისა და ზალიხისა“ და სხვ.

ამ ნაირად თითქმის კალმით ხელში ებრძოდა იგი თავის მტრებს. ქართლ-კახეთის ჯარებით მან აიკლო ულუყო-

ზორის ხალხი, რომელიც არბევდა და მოსვენებას არ აძლევდა კახეთს; მემრე დაიპყრო არეზის ნაპირები: ყარაბაღი, ყაზახი; განჯის მმართველი ბეგლარ-ბეგი დავით უნდილაძე თავის ხალხით გადმოიყვანა და იორის ნაპირებზე დაასახლა. თეიმურაზის საქციელმა გააბრაზა სპარსეთის შაჰი სეფი, რომელმაც თავის სპასალარი როსტომ სააკაძე (ეს იყო ძე მოურავის სააკაძისა) გამოგზავნა ქართველებზე, მაგრამ იგი დამარცხებული იქმნა; შაჰმა მეორეთ გამოგზავნა ჯარები და მასთან ერთად ხოსრო მირზა (როსტომი), ძე დაუთ-ხანისა, რომელსაც მისცა ქართლის ტახტი. თეიმურაზს უბრძოლველად ტახტის დათმობა არ უნდოდა, მაგრამ როდესაც ბარათაშვილებმა, ერისთავებმა და ვახთანგ მუხრან-ბატონმა დასტოვეს მეფე და ხოსრო-მირზისკენ გადავიდნენ, მაშინ მეფე იძულებულ იქმნა განშორებოდა ქართლს და იმერეთში შეეფარებინა თავი. ამ ნაირად ხოსრო-მირზა ანუ როსტომ I 1634 წ. აღიარებულ იქმნა ქართლის მეფედ, კახეთი კი მიეცა სელიმ-ხანს (1634 წ.)

როსტომი თუმცა ტახტზე მოხუცებული (68 წ.) ავიდა, მაგრამ მეტად მხნე იყო. მან გაამაგრა გორი, სურამი, თბილისს ციხე შემოალო და მცხეთის ციხეც შეაკეთა. ყველა ქალაქებში სპარსელი ჯარები ჩააყენა. თუმცა იგი მაჰმადიანი იყო, მაგრამ ქრისტიანებს სრულიადაც არ სდევნიდა, პირიქით აშენებდა ეკლესიებს და ხელს უწყობდა ჩვენი სამღვდელოების განათლებას.

როსტომის დროს მთელი საქართველო გაიყო ორად:

მიითვისა სპარსეთის შაჰმა სეფიმ: ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის ერთი ნაწილი; ოსმალეთის სულთანმა ამურატ IV მთელი დასავლეთი საქართველო, საათაბეგო და ქურთისტანის მეორე ნაწილი. ეს მოჰხდა 1636 წ.

– 184 –

ამის შემდეგ ოსმალნი ბეჯითად შეუდგნენ მაჰმადიანობის გავრცელებას. აფხაზეთში და საათაბეგოში შემოვიდა მაჰმადიანობა. მონასტრები და ეკლესიები ნელა-ნელა დაიხურნენ. იქაური ეპისკოპოსნი და მღვდლები გადავიდნენ ქართლ-კახეთ-იმერეთში. საეკლესიო მიწა-წყალი მაჰმადიანთ დაისაკუთრეს. საათაბეგოს მმართველის ასლან-ფაშის დროს (1654 – 1679 წ.) თავად-აზნაურობას ჩამოხდა თვისი ნამდვილი ღირსება და ბეგებად, აღებად აღიარებულ იქმნენ. ვინც არ დაემორჩილნენ ამ წეს-წყობილებას ქართლ-კახეთ-იმერეთში გადასახლდნენ.

როსტომი და სელიმ-ხანი დიდ-ხანს არ იყვნენ მშვიდობიანად: მათ ძილი დაუფრთხო თეიმურაზმა. იმან მოიმხრო ქათოლიკოზი დომენტი და არაგვის ერისთავი დათუნა და მათ შემწეობით ტახტის დაბრუნება მოინდომა, მაგრამ როსტომმა ეს გაიგო, დაღუპა დათუნა და დომენტი. ახალმა არაგვის ერისთავმა ზაალმა და თეიმურაზმა რა ნახეს სიძლიერე როსტომისა, გადავიდნენ კახეთში, დაეცნენ სელიმ-ხანს, დახოცეს მისი ჯარები და სელიმი განდევნეს. ამ ნაირად თეიმურაზი კიდევ გამეფდა კახეთში (1636 წ.).

როსტომმა იმერეთის მეფის გიორგი III დამცირება მოინდომა, რადგან ეშინოდა, რომ ის არ მიმხრობოდა თავის სიმამრს – თეიმურაზს. ამიტომ ლევან დადიანის მხარე დაიჭირა. თუმცა თვითონ მოხუცებული იყო, მაგრამ შეირთო ასული ლევანისა, სიმონ გურიელის ქვრივი; მემრე დადიანი წაეჩხუბა გიორგი მეფეს. მეფე დამარცხდა ერთ ბრძოლაში და დატყვევებულ იქმნა. ამისთანა მდოგომარეობაში იგი მოკვდა დადიანი: ეცემოდა იმერლებს, ატყვევებდა და სტანჯავდა. თეიმურაზი და როსტომიც მუდამ ბრძოლაში იყვნენ.

– 185 –

ერთხელ თეიმურაზი აჯაყებული დიდოელების დასამშვიდებლად წავიდა დიდოეთში. ამით ისარგებლა როსტომმა, შევიდა კახეთში, დაამარცხა კახელები, მაგრამ საჩქაროდ დაბრუნებული თეიმურაზისაგან იძლია მაღაროში. როსტომი თბილისში გაიქცა.

1642 წ. სპარსეთის ტახტზე ავიდა აბაზ II მამის სეფის სიკვდილის შემდეგ. მან უბრძანა როსტომს კახეთში სპარსელთ უფლება აღედგინა. ამიტომ ყოვლის მხრით შეიწროებული თეიმურაზი (მის მტრები იყვნენ: როსტომი, ლეკები და სპარსელები) მიიქცა რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისადმი და შემწეობა სთხოვა, მაგრამ შემწეობის მაგიერ რუსეთში მიწვევა მოუვიდა.

1648 წ. ქართლის ჯარები ვახთანგ მუხრან-ბატონის წინამძღოლობით შევიდნენ კახეთში და თეიმურაზის ჯარზე გაიმარჯვეს. მოჰკლეს მეფის ძე დავითი, თეიმურაზი კი გაიქცა იმერეთში. კახეთი დაპყრობილ და ქართლთან შეერთებულ იქმნა (1648 წ.).

1653 წ. თეიმურაზმა რუსეთის ხელმწიფეს კიდევ მოციქული გაუგზავნა და სთხოვა ზარბაზნები და 6000 კაცი, მაგრამ შემწეობა მაინც არ მოუვიდა. ბოლოს თვითონ 1656 წ. რაჭიდამ, დიგორიდამ, საჩერქეზოდამ წავიდა თერქში, იქიდამ აშტარხანში და მოსკოგში. მაგრამ შინაური საქმეებისაგამო რუსეთის ხელმწიფემ შემწეობა ვერ მისცა, ამიტომ თეიმურაზი ისევ იმერეთში დაბრუნდა.

ამ ნაირად ქართლ-კახეთა დარჩა როსტომს, რომლის მეფობის განმავლობაში (1634 – 1658 წ.) ქართველთ ცხოვ-

რებას ღრმად დაეტყო სპარსელთ გავლენა. ჩვენში გაჩნდა დიდი გამაჰმადიანებული წრე, რომელიც აღიზარდა სპარსეთში და იქიდგან გადმონერგა და სამშობლო ქვეყანაში ააღორძინა სპარსელთ ზნე, ჩვეულებანი, ადგომ-დაჯდომა და სხ. ყველა თანამდებობას სპარსული სახელ-წოდება დაერქვა. მეჯლისები და ყოველ გვარი შექცევა საზითა, დაირითა, ზურნითა, დაფითა, ნაღარითა სპარსულ გემოვნებაზე შემოვიდა; უწინდელი ჩვენი სამუსიკო საკრავები: ჩანგი, ებანი, წინწილი ხმარებიდამ გავიდნენ; ქართული ბუნებრივი საცმელიც შეიცვალა სპარსულზე; სახლების შენებაც სპარსულებრივად დაიწყეს; სკამებზე ჯდომა დაივიწყეს, პირიქით სპარსულებრ მოკეცით ჯდომა შემოვიდა. სპარსული გავლენა აგრეთვე ღრმად დაეტყო ჩვენს მწერლობას, რომელიც მხოლოდ მით გაირჩეოდა სპარსულიდამ, რომ ენა ქართული იყო, თორემ შინაარსი და სხვ. სულ სპარსული იყო.

თუმცა სპარსული გავლენა იყო, მაგრამ მაინც როსტომი დაუღალავად აშენებდა თავის სამეფოს. ხალხი მშვიდობიანად იყო; მას აღარავინ აწვალებდა. ამიტომ მინდორ-ველნი, ბაღებ-ვენახები კარგად შემუშავებულები იყვნენ. ქალაქებში ააშენეს მრავალი სახლები. თვით როსტომმა სიონის სობოროს დაადგა მშვენიერი გუმბათი, მტკვარზე და ქციაზე (ხრამი) მაგარი ხიდები გააკეთა, გაამაგრა კოჯორი, ციხე შემოავლო გორს და თბილისში, სხვათა შორის, აიშენა მშვენიერი და დიდი სასახლე.

როსტომი მოკვდა 92 წლისა (1658 წ.) და რადგან მეფის გვარეულობაში პირ-და-პირი ჩამომავალი არ იყო, ამიტომ აბაზ II ნება დართვით საქართველოს ტახტზე როსტომის სურვილისამებრ 1657 წ. აღვიდა გამაჰმადიანებული ვახ-

თანგი (შაჰ-ნაოზი), მუხრან-ბატონი ბაგრატიონი *), კახეთის

მმართველად კი დაინიშნა ისევ სელიმ-ხანი, რომელმაც ერწო-თიანეთი მისცა არაგვის ერისთავს ზაალს, თვითონ კი სცხოვრებდა ყარაღაჯში და მაჰმადიანთ უყოფდა ქრისტიანთ მიწებს. ეს მოსულნი ანგრევდნენ ქრისტიანთ ეკლესიებს და სტანჯავდნენ ხალხს. ამიტომ ზაალმა შეჰყარა თუშნი, ფშავნი, ხევსურნი, მოიშველია ქსნის ერისთავი შალვა, მისი ძმა ელიზბარი და ბიძინა ჩოლაყა-შვილები, დაეცა ურჯულოებს, ამოსწყვიტა ისინი ბაქტრიანში და ალავერდში. სელიმ-ხანი გაიქცა (1659 წ.), კახეთის მმართველად კი გახდა მურთუზ-ალი ხანი .

VI.

ვახთანგი V. – საქმენი იმერეთში. – ბაგრატ IV. – დარეჯანი. – ვახთანგი იმერეთში. – 1661 წ. არჩილი დაიჭერს იმერეთის ტახტს. – თეიმურაზი I და არჩილი სპარსეთში. – სიკვდილი თეიმურაზისა. – არჩილი ანუ შაჰ-ნაზარალი-ხანი, მეფე კახეთისა. – მოღვაწეობა არჩილისა. – საათაბეგოს-ფაშა იმერეთში. – ბერი დიმიტრი იმერეთის ტახტზე. – კახეთის მეფე არჩილი იმერეთის მეფედ. – ერეკლე I კახეთის ტახტზე. – ვახთანგი სპარსეთში კვდება. – გიორგი X ქართლის ტახტზე. – კახეთის მმართველი ბეჟან-ხანი. – არჩილი უტახტოდ დარჩება.

ვახთანგ V მხნე და მოუღალავი კაცი იყო. იგი გამაჰმადიანდა და გამეფდა. გულში ისევ ქრისტიანი იყო და ქრი-

*) ვახთანგი იყო ძე თეიმურაზ მუხრან-ბატონისა, თემურაზი იყო ძე ვახთანგისა, ვახთანგი – ბაგრატისა, ბაგრატი კი ძე ქართლის მეფის კოსტანტინესი.

სტიანთ ჰშველოდა და შემწეობას აძლევდა. წინა-ხანებში წამხდარი ზნეობა საქართველოს დიდებულთა მან რამდენადაც შეეძლო მოსპო; აგრეთვე განაახლა და გაამაგრა ქალაქები და ციხეები, მაგ. თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და მრ. სხ. საქათოლიკო ტახტზე დასვა განათლებული და კეთილ-სინდისიერი დომენტი, რომელმაც აღაშენა და განაახლა ბევრი მონასტრები, ეკლესიები და სამღვდელოება განამხნევა. თვით მეფემ შეირთო ცოლად როსტომ მეფის ქვრივი მარიამი, თუმცა პირველის ისევ ცოცხალი ცოლისაგან ჰყვანდა: არჩილი, გიორგი, ლევანი, ლუარსაბი, ალექსანდრე, სოლომონი, ანნა და თამარი. მარიამი უფრო იმიტომ შეირთო, რომ მას დიდი გავლენა ჰქონდა ქართლში. არაგვის ერისთავმა ზაალმა წინააღმდეგობა გაუწია ვახთანგს: ის და მისი გამეფება უკანონოდ იცნო. ამის გამო ზაალი დასჯილ იქმნა სიკვდილით და ერისთაობა ებოძა ოთარს, ზაალის ნათესავს. თავის გასაძლიერებელად ასული თვისი ანნა მიათხოვა აბაზ II-ს, ყველა ამით ვახთანგმა მოიხვეჭა დიდი გავლენა არა თუ ქართლში, არამედ კახეთშიაც, რომლის

მმართველი იმ დროს იყო მურთუზ-ალი-ხანი.

იმერეთის სამეფო ამავე დროს იწიწკნებოდა ლევან დადიანისაგან და რადგან ალექსანდრეს სხვა ღონისძიება არა ჰქონდა მტრების მოსაგერებელად, ამიტომ ხოსია ჯაფარიძე მოციქულად გაგზავნა რუსეთში და ალექსი მიხეილიჩისაგან შემწეობა ითხოვა. 1650 წ. რუსის მეფის მოციქულნი ნიკიფორე პავლოვიჩი და ალექსი ივანიჩი მოვიდნენ რაჭაში, მეფეს დიდი საჩუქრები მოუტანეს და თავის მეფისშემწეობა და მფარველობა აღუთქვეს.

აღთქმული შემწეობის იმედით ალექსანდრეს ძმამ მამუკამ დაიწყო ომი დადიანთან; რამდენიმეჯერ კმდეც გაიმარჯვა, მაგრამ ერთ ბრძოლაში დამარცდა და დატყვებულ იქმნა. ლე-

ვანმა გამოსთხარა თვალები და ციხეში სიკვდილამდის შეინახა.

ლევან დადიანს ცოლად ჰყვანდა მშვენიერი ასული აფხაზეთის მთავრისა. იმაზედ ცუდი ხმები დადიოდნენ ხალხში. ამიტომ ლევანმა იგი მოჰკლა და წაართო ცოლი დარეჯანი თავის ბიძას და თვითონ შეირთო; ორი შვილი პირველის ცოლისაგან მოჰსწამლა. ამ უღვთო საქციელმა ააღელვა აფხაზეთის მთავარი, რომელსაც სიკვდილამდის ბრძოლა არ შეუწყვეტია; აგრეთვე ბიძა მისი გიორგი, რომელიც ლევანთან ბრძოლაში მოკვდა. ბოლოს ძმამ იოსებმა განიზრახა ლევანის მოკვლა, მაგრამ ამისთვის თვალები გამოსთხარეს და ციხეში პყრობილი მოკვდა. ლევანიც ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

სამეგრელოში ჩამოვარდა განხეთქილება: ხალხი გაიყო ორ მოპირდაპირე ბანაკად: ერთს გამთავრება უნდოდა ლევანის ძმის ლიპარიტისა, მეორეს (დარეჯანის მომხრეთ) ვამეყისა, დარეჯანის და მის პირველი ქმრის შვილისა. ამ უწესოებით ისარგებლა იმერეთის მეფემ ალექსანდრემ, შევიდა სამეგრელოში, დაიპყრო იგი, წაართვა ლევანისაგან იმერეთში მოხვეჭილი სიმდიდრე, დადიანობა ვამეყს მისცა და იმერეთში დაბრუნდა.

წყენინებული ლიპარიტ დადიანი გაიქცა ახალ-ციხეში და როსტომ ფაშისაგან ითხოვა შემწეობა. როსტომმა გამოაყოლა ჯარები, რომელთაც მიემხრო ქაიხოსრო გურიელი, ჭილაძენი და მიქელაძენი. 1658 წ. სოფ. ბანძასთან ალექსანდრემ დაამარცხა ესენი, ბევრნიც დაატყვევა. სამეგრელოში ისევ ვამეყი დარჩა. ლიპარიტი და გურიელი ოსმალეთში გაიქცნენ და იქ დაიხოცნენ. გურიის მმართველად დაინიშნა სიმონის ძე დიმიტრი. თვითონ ალექსანდრეც მალე მოკვდა (1660 წ.); მას პირველი ცოლისაგან, რომელსაც გაეყარა, ჰყვანდა 14 წ. ძე

ბაგრატი და ერთიც ასული. ბაგრატ IV მამის სიკვდილის შემდეგ გამეფდა (1661 წ.); მეორე ცოლისაგან დარეჯანისაგან (ეს იყო ასული თეიმურაზისა, ქვრივი არაგვის ერისთვის ზურაბისა) მეფეს ალექსანდრეს არა დარჩა რა.

გამეფდა თუ არა ბაგრატი, დარეჯანს ფიქრად მოუვიდა გათხოვება თავის გერ შვილზე, ბაგრატზე. სურვილი გამოუცხადა ახალ-გაზდა მეფეს, მაგრამ მან უარ ჰყო. მაშინ ცბიერმა ამა დედა-კაცმა, რომ გავლენა არ დაეკარგა იმერეთში და სამეფო ტახტს არ მოშორებოდა, ბაგრატს შერთო თავისი ნათესავი ნესტან დარეჯანი. მის სამწუხაროდ ამის შემდეგაც იმერეთის დიდებულთა არ მიუშვეს დარეჯანი სამეფო საქმეებისადმი და ტახტს განაშორეს. ამით გაცხარებული დარეჯანი შეიპყრობს მეფეს, დაამწყვდევს ქუთაისის ციხეში, რვა თვის ჯვარ დაწერილს მეფეს წაართმევს ცოლს, თვალებს გამოსთხრის, თვითონ კი გათხოვდება ერთ იქურ თავად-ვახთანგზე, რომელსაც მეფედ იმერეთისა აკურთხებს. იმერთა თავადნი და დიდებულნი მეტად გაბრაზდებიან და წინააღმდეგ ამ უღმერთო დედა-კაცისა მოიწვევენ იქაურ მთავრებს.

ვამეყ დადიანი პირველი შემოვიდა იმერეთში. დარეჯანი მეფითურთ ჩაიკეტა ქუთაისის ციხეში, რომელიც დიდი ხნის შემდეგ მოტყუებით აღებულ იქმნა. ვახთანგს თვალები დასთხარეს, დარეჯანი ნესტან-დარეჯანითურთ გაიქცა ახალ-ციხეში შემწეობის სათხოვნელად. მეგრელებმა აღაოხრეს იმერეთი და დიდ-ძალი ალაფი წაიღეს. ვამეყმა იმერეთში ისევ ბრმა ბაგრატი II გაამეფა.

ამ არეულობის დასაწყნარებლად და ამაყი ვამეყის დასასჯელად ვახთანგი V ქართლის მეფე შევიდა იმერეთში, დაიჭირა სვირი, კაცხი და სკანდე; მას მიემხრნენ: იმერეთის ხალხი

და ლეჩხუმის მმართველი ლაშხის შვილი ხოსია. სკანდეში იყო მოხუცებული და გაღარიბებული მეფედ ყოფილი თეიმურაზი, რომელიც ვახთანგმა თბილისში გაისტუმრა, შემდეგ დაეცა ქუთაისს, აიღო ისა და დაატყვევა ბრმა მეფენი: ბაგრატ IV და ვახთანგი. შემდეგ დაიპყრო სამეგრელო, რომლის მთავრად დანიშნა ლევან III (ლევან II შვილის-შვილი) და შეჰრთო მას თავის ნათესავი თამარი. შარვაშიძემაც მორჩილება გამოუცხადა. ვამეყი გაიქცა სვანეთში, საცა სვანებმა თავი მოსჭრეს და ვახთანგ V მოართვეს; გურიელიც დამორჩილდა ამ მეფეს. ამ ნაირად ვახთანგ V დაიმორჩილა მთელი ლიხს იქითი ქვეყნები, იმერეთში გაამეფა თავისი 14 წ. შვილი არჩილი; თვითონ კი, სხვათა შორის, ორი ბრმა მეფენი წამოიყვანა და თბილისში მოვიდა.

ვახთანგ V თუმცა ასრე სამაგალითოდ დაასრულა საქმენი და ქართლს მთელი დასავლეთი იმერეთი დაუკავშირა, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდ-ხანს არ გაგრძელდა ამ ნაირი მდგომარეობა: იმერლები არ ემორჩილებოდნენ არჩილს და ვახთანგს, როგორც მეფეს, უარ ჯერ ჰყოფდნენ. მათ ახალ-ციხის ფაშის დახმარებით სთხოვეს სულთანს, რომ განეძევა არჩილი და თვითონ დაეპყრო იმერეთი. სულთანმა სპარსეთის შაჰს მოაგონა 1635 წ. პირობანი შესახებ საქართველოსი და სპარსეთის შაჰმა ამის გამო უბრძანა ვახთანგს გადაეყენებინა არჩილი

და იმერეთის სამეფო კანონიერი მეფისთვის მიეცა. ვახთანგმა არჩილი თეიმურაზთან ერთად სპარსეთში შაჰთან გაგზავნა; იმერეთის ტახტი კი ისევ ბაგრატ IV ბრმას დაუბრუნა.

სპარსეთში არჩილმა სახალხოდ უარ ჰყო ქრისტიანობა და გამაჰმადიანდა, სახელად დაერქო შაჰ-ნაზარალი-ხანი და, როდესაც კახეთის მმართველი მურთუზ-ალი-ხანი მოკვდა, და-

ნიშნულ იქმნა კახეთის მეფედ (1664 წ.). თეიმურაზმა კი არ მიიღო მაჰმადიანობა, ამისგამო ასტრაბადში დაამწყვდიეს და იქვე საპყრობილეში გარდაიცვალა. შაჰის ნება დართვით გვამი მისი წამოიღეს კახეთში და ალავერდის სობოროში 1664 წ. დამარხეს.

1664 წ. არჩილი აღვიდა კახეთის ტახტზე. მის ვაჟ-კაცურმა შეხედულებამ, ტანადობამ და სულის მაღალ თვისებებმა პირველსავე ხანში ხალხის გული მოიგო; იგი მამაცურად და გამჭრიახად ჰმართავდა თავის სამეფოს და მისმა მკლავის სიძლიერემ მალე დააშინა განებივრებული ლეკნი, რომელნიც ამიერიდგან ველარ ბედავდნენ კახეთში შემოსვლას. არჩილი შევიდა დაღისტანში, პირქვე დასცა იქაური სიმაგრენი, მრავალი ხალხი ტყვე ჰყო და მრავალიც დახოცა. შაჰს მოსწონდა ყოფა-ქცევა არჩილისა და ამით გამხნევებული მეფე მშვიდობიანად აშენებდა თავის სამეფოს. გრემიდამ მან ტახტი თელავში გადმოიტანა. აქვე ააშენა სასახლე, ეკლესიები და განუწესა მათ ეპისკოპოსი. თავის მოღვაწეობა მწერლობასაც არ მოაკლო. იმან ზედ-მიწევნით იცოდა სამღვთო წერილი. პირველი მან შეაგროვა დაბადება. რადგან ქართულ ენაზე ისო ზირაქის და მაკაბელთა წიგნნი ვერ ჰპოვა, ამიტომ მან თვითონ ბერძნულიდამ გადმოსთარგმნა. მისი თხზულება „არჩილიანი“ გვიმტკიცებს, რომ მეფე არჩილმა კარგად და დაწვრილებით იცოდა მწერლობა და ისტორია საქართველოსი. ერთის სიტყვით როგორც მამა (ვახთანგი) ისე ძე (არჩილი) მხოლოდ გარეგნობით იყვნენ მაჰმადიანნი; ნამდვილად კი ისინი ქრისტიანთ მფარველნი, გულ-კეთილნი, სიმართლის-მოყვარენი, გლახაკთა და უბედურთა შემწე და პატრონნი იყვნენ.

მაშინ როდესაც ქართლ-კახეთის სამეფონი მშვიდობიანობით სტკბებოდნენ, იმერეთი და სხვა სამთავროები საშინელ მდგომარეობაში იყნენ. უნიჭო და უთვალებო ბაგრატ IV სისუსტის გამო მთავრები არბევდნენ ერთმანერთს, დიდებულნი და თავადნი ეცემოდნენ უღონო ხალხს, სცარცვავდნენ, ატყვევებდნენ ცოლ-შვილს, ერთმანერთს და ჰყიდიდნენ *); ზოგიერთნი იქამდის გაძლიერდნენ, რომ ქვეყნის გაყიდვაც დაიწყეს. მაგ. სოსია ჩხეიძემ ოსმალებს მიჰყიდა ქუთაისის ციხე (1666 წ.). მაგრამ ყველაზე თავ-გასული იყო ლევან დადიანი, რომელიც ყოველს უსამართლობას იდენდა და საშინლად აწუხებდა იმე-

რეთს. ერთ ბრძოლაში მას ბედმა უღალატა. იმერლებმა დაა-
მარცხეს, დაატყვევეს და მინამ არ გაუშვეს ტევეობიდამ
სინამ თავისი მშვენიერი მეუღლე არ დაუთმო იმერეთის მე-
ფეს და არ შეირთო მისი და, გოგიაძეს ქვრივი.

შემდეგ ამისა გარყვნილმა დარეჯანმა მოტყუებით გორის
ციხიდამ განათავისუფლა ტყვედ ქმნილი თავისი ქმარი ვახთანგი
და ასალ-ციხის ფაშის დახმარებით დაიპყრო იმერეთის ტახ-
ტი. ფაშამ საშინლად აღაოხრა იმერეთი, ბაგრატ IV ძლივს
გაიქცა და შეეფარა ვახთანგ V. დარეეჯანმა კი დაიწყო ბა-
ტონობა. ამან დევნა დაუწყო სამღვდელოებას, ზოგიერთ დი-
დებულთ, რომელთაც წინათ უღალატეს. მაგრამ ეს დევნა

---

*) შარდენი ამბობს, რომ 25 – 40 წ. კაცს ჰყიდიდნენ 15 ფრან-
ციცულ ეკუდ (ერთი ეკუ – 70 კაპ.); 40 წ. მოხუცს 8 – 10 ეკუდ; ქა-
ლებს 13 – 18 წ. 20 ეკუდ; დედა-კაცებს 12 ეკუდ; ყრმებს 3 და 4
ეკუდ. სტამბოლში, ალექსანდრიაში ქაირში და სხ. ერთი ორად და
სამად ძვირად ისყიდებოდენო. გარდა ამისა ოსმალეთს იმერეთი ყოველ
წლივ ხარჯად აძლევდა 80 ქალს და ვაჟს, გურია 46, სამეგრელო
60,000 საჟ. ადგილობრივ ტილოს.

ძვირად დაუჯდა უბედურს. ხოსია ლაშხის შვილმა, რომელიც
ძუძუ მოწოვებით იშვილობილა დარეჯანმა, ხანჯლით გამო-
ფაშვა იგი (დარეჯანი.) მემრე იმავე წელს (1668 წ.)
ვახთანგიც მოჰკლეს.

ამ უწესოების მოსასპობლად ახალ-ციხის ფაშა სწრაფად
წამოვიდა იმერეთში, აიღო ქუთაისი და გაამეფა გურიის
მმართველი დიმიტრი-ბერი.

წავიდნენ თუ არა ოსმალნი იმერეთიდამ, იმერლებმა
სთხოვეს ვახთანგ V გამოეგზავნა იმერეთში სამეფო ტახტზე
ბაგრატ IV, ვახთანგმაც 1669 წ. გაისტუმრა იგი. დიმიტრი-
ბერი ისევ გურიაში წავიდა.

მაგრამ ბაგრატის ბედის ჩარხი სულ უკუღმა ტრიალე-
ბდა. მან არ იცოდა რა იყო მშვიდობიანობა. კიდევ აუჯან-
ყდნენ ზოგიერთნი. მოთავედ იყო სეხნია ჩხეიძე და ლევან
დადიანი, რომელთაც მოინდომეს ბაგრატის განძევება იმე-
რეთიდამ. ბაგრატმა ბრძოლა დაიწყო და თავის მტრები დაა-
მარცხა (1671 წ.) და (ვითომ) სამეფოში მშვიდობიანობის
ჩამოსაგდებად ქუთაისის ციხეში ოსმალთა ჯარი ჩააყენა.

აბაზ II სიკვდილის შემდეგ (1667 წ.) მისი შვილი
სულეიმანი რომ ავიდა ტახტზე, მან მოინდომა ვახთანგის
დასუსტება, ამიტომ სხვა რომ ვერაფერით ვერ აისრულა წა-
დილი, რუსეთიდამ ერეკლე (ძე დავითისა, ძისა თეიმურაზისა)
გამოიწერა და სამეფო გვარში ჩხუბის ჩამოგდება მიანდო.
ერეკლე მოვიდა თუშეთში. არჩილმა მოიწვია ის თავისთან, მე-
გობრულად გაუმასპინძლდა და თავის კაცებით სპარსეთში გაი-
სტუმრა. მაგრამ მალე შემდეგ ამისა კახელებმა აოხრების ში-
შისაგამო სთხოვეს არჩილს ტახტი დაეთმო ერეკლესთვის და
თვითონ იმერეთის ტახტი დაეპყრო. არჩილიც, გამოცდილი

მამის ვახთანგის დაუკითხავად, დაჰყაბულდა და წავიდა ახალ-ციხეში და ფაშის და დადიანის შემწეობით შევიდა იმერეთში. იმერლები, შეწუხებულნი მარადის შფოთისაგან, განუდგნენ თავის სუსტს მეფეს და მიემხრნენ არჩილს, რომელიც ქუთაისში შევიდა და ხელ-ახლა აღიარებულ იქმნა მეფედ. ბაგრატი გაიქცა მთებში, მისი ცოლი თამარი კი წაყვანილ იქმნა დადიანისაგან.

კახეთის მეფედ დანიშნა (სულეიმანმა) ერეკლე, ხოლო წინადვე უბრძანა მაგმადიანობის მიღება. ვახთანგს კი რაღაც მიზეზები მოუგონა და ისპაჰანში გაიწერა. ვახთანგმა ქართლ-კახეთის მმართველად დასვა თავისი შვილი გიორგი, თვითონ კი გაემგზავრა ისპაჰანში, მაგრამ გზაზედვე მოკვდა (1675 წ.).

მამის სიკვდილით ისარგებლა არჩილმა, შემოვიდა ქართლში და ტახტის დაჭერა მოინდომა. მაგრამ სულეიმანმა ქართლის მეფედ დანიშნა გიორგი ანუ გურგენ-ხანი (1676 წ.) და რადგან ერეკლეს ჯერ ქრისტიანობა არ დაეტოვა, ამიტომ კახეთის მმართველად დანიშნულ იქმნა სპარსელი ბეჟან-ხანი, კაცი უდიერი და მტარვალი ხალხისა. ეს მოვიდა ყარაღაჯში (1677 წ.), არჩილი კი ისევ იმერეთში დაბრუნდა. მაგრამ გიორგი გურიელმა არზრუმის სეტასქარის და ახალ-ციხის ფაშის დახმარებით არჩილი იმერეთიდამ განდევნა.

VII.

არჩილი რუსეთში მიდის. – ლიხს იქითი ქვეყნების მდგომარეობა. – იმერეთმი გამეფდება ალექსანდრე IV. – არჩილი ოსეთში. – ერეკლე ანუ ნაზარ-ალი-ხანი ქართლის ტახტზე. არჩილი დაიპყრობს იმერეთის ტახტს. – გურგენ-ხანი ისევ ქართლის მეფედ. – 1691 წ. ოსმალნი დაანგრევენ ქუთაისის ღვთის-მშობლის დიდს სობოროს. – დახრჩობა იმერეთის მეფის ალექსანდრესი. – არჩილის სიკვდილი. – არეულობა იმერეთში. – იქ სიმონის შემდეგ გამეფდება მამია გურიელი, იმის შემდეგ გიორგი აბაშიძე (1701 წ.) – დამორჩილება შარვაშიძესი. – გამეფება გიორგი VI და არეულობა იმერეთში. – ქართლში გამეფდება ვახთანგ VI. – გამოცემა კანონებისა და სხ. მოღვაწეობა მისი. – იმამ-ყული-ხანი კახეთის მეფედ. – ლეკების მოძრაობა. – თეიმურაზი გამეფდება კახეთში. – ქართლი სიმონი. – ალი-ყული-ხანი (იესე) ქართლში. – ბაქარი ქართლის მეფედ. – სპარსეთიდამ დაბრუნდება ვახთანგ VI. – ლეკებთან საბრძოლველად მომზადება.

მეფე არჩილი ქართლში სცხოვრებდა და გულის ტკივილით უყურებდა ბეჟან-ხანისაგან კახელების უღმერთო წვალებას. ლეკთ და თათართ მან მისცა ყოველ გვარი თავისუფ-

ლება: იგისი უშიშრად შემოდიოდნენ კახეთში, ჰხოცავდნენ, არბევდნენ ქვეყანას და ალაფით და ტყვეებით ბრუნდებოდნენ თავის მთებში. თუ კი ქრისტიანს მოეკლა თათარი ან ლეკი, იმას ბეჟანი თავს სჭრიდა. არჩილმა ვეღარ მოითმინა და კახეთის განთავისუფლება მოინდომა, მაგრამ სპარსელთ გაუგეს და შაჰის ბრძანებისა მებრ გურგენ ხანისაგან იგი განიდევნა საქართველოდამ. არჩილი რუსეთის ხელმწიფის თეოდორ ალექსეიჩის ნება დართვით მოზდოკიდგან მოსკოვში წავიდა, თანაც წაიყვანა თავისი ჯალაბობა.

– 197 –

იმერეთში ბაგრატ ბრმამ შეაგროვა ჟჯრები, შევიდა სამეგრელოში, დაამარცხა ლევან დადიანი, წაართვა მას თავისი ცოლი და ქუთაისში დაბრუნდა. 1680 წ. დადიანი მოკვდა. ერთად-ერთი მისი ძე მანუჩარი, რომელიც გიორგი გურიელთან მძევლად იყო, გურიის მთავარმა მოჰკლა და მოინდომა თავის სამთავროსთან სამეგრელოს შეერთება. მაგრამ უპატრონოდ დარჩომილ დიდებულთ დადიანობა მისცეს ვაჟკაცობით განთქმულს აზნაურს კაცია ჩიქოანს, რომელიც ლევან დადიანისაგან ლეჩხუმის მმართველად დანიშნულ იყო. ჩიქოანმა დევნა დაუწყო ყველა-წინ წამოყენებულ და წარჩინებულ პირთ, ბევრნი დახოცა და თავის გვარეულობას და მონათესავეთ მისცა უგეთესი ადგილები. ეს მოხდა 1680 წ.

მეორე წელს (1681 წ.) მოკვდა ბაგრატ ბრმა. გურიელმა ახლა იმერეთის დაპყრობა მოინდომა. მაგრამ ქართლის მეფემ მძევლად მყოფი მეფის ძე ალექსანდრე გამოგზავნა იმერეთის ტახტზე ასასვლელად. ახალ- ციხის ფაშის დახმარებით ალექსანდრემ სოფ. როკიტთან 1683 წ. დაამარცხა გიორგი გურიელი და ავიდა მამის ტახტზე.

ქართლის მეფე გიორგი XI მეგობრულად სცხოვრებდა იმერეთის მეფესთან, მიზეზი ამისი უფრო ის იყო, რომ სპარსეთის შაჰი სულეიმანი საჩუქრებით ან მაღალი თანამდებობის დაპირებით აჩხუბებდა ქართველ თავადეს და მეფის წინააღმედ ამოქმედება მათ. ციციშვილნი წასჩხუბა ამილახვრებს, ქსნის ერისთავნი არაგვის ერისთვებს, მეფის ძენი ერთმანერთს და მეფეს. ამ ყოფიდამ გამარჯვებით გამოსასვლელად გიორგი მეგობრულად ეპყრობოდა იმერლებს. მან შეირთო ცოლად მიქელაძეს ქალი და ალექსანდრე IV იმერეთის მეფეს, შერთო თავის ნათესაგი ქალი.

– 198 –

მეფე ალექსანდრემაც თავისი ასული შერთო ერთ უძლიერესს თავადს პაატა აბაშიძეს და მით დიდი გავლენა მოიხვეჭა იმერეთში. მეფის წინააღმდეგ იყვნენ მთავარნი გურიისა და სამეგროლოსი, ერისთავი რაჭისა შოშიტა და ბეჟან ლორთქიფანიძე. მტრებს შუა მოხდა ომი, რომელიც გათავდა როკის ბრძოლით 1684 წ. ამ ბრძოლაში დაიხოცნენ გიორ-

გი გურიელი და შოშიტა. მეფეს თუმცა დაეხოცა თავადნი და ორი აბაშიძენი, მაგრამ მაინც გამარჯვება მას დარჩა, გურიელად დასვა გიორგის შვილი ქაიხოსრო. პაატა აბაშიძის ქვრივი, თავისი ასული, მიათხოვა რაჭის ერისთავს პაპუნას, შოშიტას ძეს. ახალ-ცისის ფაშა ალექსანდრეს თანახმა არ გაუხდა და გურიელად დასვა ქაიხოსროს მაგიერ მისი ბიძა მალაქია. ამის გამო ჩამოვარდა ჩხუბი. ამ ჩხუბში მალაქიას თვალები დასთხარეს და ქაიხოსრო მოჰკლეს. გურიელად გახდა ქაიხოსროს ძე მამია.

ამ ნაირი მდგომარეობა თავის სამეფოებისა რო შემოესმა არჩილს, მან ითხოვა შემწეობა რუსეთის მეფისაგან, მაგრამ რომ შემწეობა არ მიეცა, თვითონ მარტოდ წამოვიდა ოსეთში (1687 წ.)

ერეკლე, რომელიც სპარსეთის სასახლეში 15 წ. სცხოვრებდა და რომელსაც მეფობა არ ეძლეოდა, რადგან ისლამს უარ ჰყოფდა, ბოლოს იძულებულ იქმნა ერწმუნა იგი. შაჰმა მისცა მას ქართლის სამეფო და ამასთანავე ყულარ-აღობა.

ერეკლეს ანუ ნაზარ-ალი-ხანს ქართლის თავადები და დიდებულნი ქართლის საზღვარზე მიეგებნენ, გიორგი მეფე კი მარტოდ დარჩომილი ცხინვალიდამ რაჭაში 1688 წ. გაიქცა და თავის ძმას არჩილს მიემხრო. მათი მხარე დაიჭირეს აგრეთვე: რაჭის ერისთავმა, სამეგრელოს მთაგარმა, ბეჟან ლორ-

თქიფანიძემ, ჭილაშვილთ და მიქელაძეებმა. ალექსანდრე მეფის საქმე რომ გაჭირდა, მაშინ მან ლეჩხუმი უბოძა დადიანს და მიიმხრო. არჩილის მომხრენი დაიმალნენ, რისგამო გიორგი მეფე არზრუმის ფაშასთან შემწეობის სათხოვნელად წავიდა, არჩილი კი შარვაშიძესთან. არზრუმის ფაშა გურგენთან ერთად ჯარებით შემოვიდა იმერეთში და არჩილი გაამეფა. დადიანს არჩილმა ლეჩხუმი ისევ წაართვა და იმერეთის ციხეებში ოსმალთ ჯარები ნააყენა.

ამ ნაირად ქართლის და იმერეთის სამეფოებს ორ-ორი მეფენი ჰყვანდნენ ერთ და იმავე დროს. ერეკლე, კაცი გამოუცდელი და მეტად უნიჭო, მალე მოძულებულ იქმნა, რადგან იმან სამეფოს მმართვა ჩააბარა თავისაგან წინ წამოყენებელთ პირთ, ძველი თანამდებობის კაცნი, როგორც საერონი, ისე სასულიერონი, გამოსცვალა. სპარსელთ ჯარს თბილისში მისცა ყოველგვარი თავისუფლება და იმათ დაუწყეს ხალხს წვალება. ეს იყო მიზეზი, რომ ქართველებმა ისევ თავისი ძველი მეფე ინდომეს. აშოთანი მუხრან-ბატონი, გიგი ამილახვარი, ნიკოლოოზ მაღალაშვილი წავიდნენ საათაბეგოში, იქ მყოფი მეფე გიორგი მოიყვანეს და დასვეს ქართლის ტახტზე (1691 წ.). ნაზარ-ალი-ხანი ჯერ თბილისის ციხეში ჩაიკეტა, მემრე კი დუშეთში გაიქცა. ალექსანდრე მეფეს კი, როდესც ქართლიდამ საათაბაგოში იპარებოდა, დაეცა გიორგი მეფე, ცოლი და ორი მისი შვილები სიმონი და გიორგი დაატყვევა, მეფე კი ძლივს გაიქცა.

მაგრამ არჩილიც დიდ-ხანს არ დარჩა ტახტზე: დადიანი სხვა თავადების შემწეობით შემოერტყა ქუთაისს. ოსმალთ ჯერ დაანგრიეს ქუთაისის ღვთის-მშობლის დიდი სობორო და მემრე გადასცეს დადიანს. არჩილი გაიქცა და ალექსანდრეს ისევ მიეცა იმერეთის ტახტი.

ქართლის მეფეს გიორგის ძმისთვის შველა უნდოდა და იმერეთის ტახტის დაბრუნება, მაგრამ მისმა მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა. ამნაირადვე ეცადა გაემეფებინა ძმა კახეთში, მაგრამ ვერც არას აქ გახდა, რადგან იქ ერეკლე ნაზარალი-ხანი კიდეც დამკვიდრებულიყო ტახტზე. გიორგი მეფე და იმერეთის მეფე ალექსანდრე შეურიგდენ ერეკლეს; გიორგი მეფის ჯავრი სჭირდა ალექსანდრეს, რადგან იმიგსან დატყვევებულნი იყვნენ მისი ცოლი და შვილები.

მაგრამ ცოლ-შვილის განთავისუფლებას აღარ დაუცადა: იმან შეირთო მეორე ცოლი; ეს იყო ასული გიორგი აბაშიძისა, სამეგრელოს მთავრის და რაჭის ერისთვის მოყვრისა. მაგრამ მისმა დაუდგრომელმა ხასიათმა და მრავალ-გვარმა ჭორებმა ააღელვა მეფის წინააღმდეგ იმერელნი, მათ შორის გიორგი აბაშიძეც, ცოლიც უჩიოდა ქმარს და ითხოვდა მასთან გაყრას. ბოლოს შესდგა სამღვდელოთა და საერო პირთა ყრილობა, რომელზედაც გადასწყვიტეს გადააყენონ ალექსანდრე და მის მაგიერ დასვან ერთ-ერთი იმერთა მეფედ ჩამომავალთაგანი; არჩევანი ხვდა ერთ თავადს გიორგის, რომელიც აქამდის მყუდროებაში სცხოვრებდა. ამ გიორგიმ ალექსანდრე მეფე ვითომ სანახავად გამოიწვია და დახრჩობინა (1696 წ.). თვითონ კი შეირთო მისი ქვრივი და ტახტზე ავიდა.

მაგრამ ამანაც დიდ-ხანს ვერ იმეფა: ორი წლის თავზე იგი გადააყენეს და სულთნის სურვილისამებრ ქართლიდამ გამოიწერეს ალექსანდრეს ძე სიმონი და გაამეფეს.

იმედ დაკარგული და უმწეოდ დარჩომილი არჩილი კი თაღაურის ხეობიდამ მოსკოვში დაბრუნდა და 1712 წ. გარდაიცვალა, მას დარჩნენ: ცოლი და ქალი დარეჯანი. *)

---

*) არჩილის ძე ალექსანდრე ყმაწვილობაში მსახურებდა პეტრე დიდის „პოტეშნი“ ჯარში; შემდეგ ის სამზღვარ გარეთ გაიგ-

სიმონიც უხასიათო მეფე გამოდგა. ჯერ მეგობრულად სცხოვრობდა ბატონებთან და მთავრებთან, შემდეგში კი მოინდომა ყველას გამოცვლა და დასჯა, მაგრამ თვითონვე გაეგზა მახეში: იგი ტახტიდამ გადააყენეს და მამია გურიელი გაამეფეს (1701 წ.); ამანაც დიდ ხანს ვერ გსძლო ტახტზე: იმერეთში გაამეფეს გითოგი V აბაშიძე.

ყმაწვილობიდანვე გიორგი ბერად შესულიყო და მონასტერში სცხოვრებდა (ბერობაში მალაქია). როდესაც როკის

ბრძოლაში ყველა ძმები დაეხოცა. მაშინ ის დაბრუნდა შინ
და მამულის მმართვა დაიწყო. შემდეგ რომ გამეფდა, შეარიგა
იქაური მთავრები და ერთობა ჩამოაგდო მათ შორის.

სულთანს მუსტაფას არ მოეწონა ერთობა და შეგობრო-
ბა იმერეთის სამთავროებისა, რადგან ეშინოდა მათი გაძლიე-
რებისა და ისევ უთანხმოება და არეულობა უნდა ჩამოე-
გდო, რისგამო დიდ-ძალი ჯარებით ახალ-ციხის ფაშის დახმა-
რებით ოსმალნი შევიდნენ იმერეთში. მაგრამ გიორგიმ ყველას
პასუხი უგო და შეჰკრა ოსმალებთან შემდეგი პირობა: აღვი-
დეს ტახტზე მცირე წლოვანი გიორგი, ძე ალექსანდრესი, მის
მცირე წლოვანობის დროს სამეფო ჰმართოს გიორგი აბაში-
ძემ; დაინგრეს შორაპნის ციხე და იმერელთ სულთანს აძლი-
ონ ხარკი. მაგრამ ეს პირობანი დაირღვნენ, რამწამს ოსმალნი
გავიდნენ იმერეთიდამ.

გაიორგი აბაშიძემ მხნედ მოჰკიდა ხელი სამეფო საქმეებს
და გონიერად განაგებდა ქვეყანას. ყველა ურჩნი მოარჯულა,

ზავნა და როცა დაბრუნდა „ფელცეხ-მეისტრობა“ მიეცა. ნარვის ომ-
ში შვედებმა ტყვედ წაიყვანეს; ტყვეობაში 1710 წ. მოკვდა რევე-
ლში. დასაფლავებულ არს მოსკოვის დონის მონასტერში.

ერთგულნი დაასაჩუქრა და სრულიად დაამშვიდა ეს „მღელვა-
რე .“ 1707 წ. გიორგი ჰასაკში მოვიდა. აბაშიძემ მო-
იწვია ყველა მთავრები, აკურთხა ქუთაისში და სამეფო საქმე-
ნი გადასცა ახალს მეფეს გიორგი VI.

1707 წლიდამ ვიდრე 1720 წლამდის იმერეთის სამეფო
იწიწკნება მთავრების, მეფეების და თავადთა შორის ბრძოლით და
უთანხმოებით. ეს არეულობა 1720 წ. სრულდება მეფის გიორგი
VI მოკვლით. მთავრების და იმერელთ თხოვნით ახალ-ციხის
ფაშამ დასვა ტახტზე იმერეთის მეფის ძე ალექსანდრე.

ქართლ-კახეთიც ამ დროს დამშვიდებული არ იყო. კა-
ხეთს ჯერ ლეკების შემწეობით არბევდა აბაზ-ყული-ხანი,
მემრე ერეკლეს დაბეზღებით კახეთის მმართველად 1695 –
1703 წ. დანიშნულ იქმნა ქაიბ-ალი-ხანი, რომელმაც რვა
წლის განმავლობაში უარესად აღაოხრა ქვეყანა და საშინლად
აწვალა ხალხი. ერეკლემ და ამ ქაიბმა ქართლსაც მოსვენება
არ მისცეს: ამათ დაამარცხეს ქართლის მეფე გიორგი, ეს
გაიქცა საათაბეგოდამ ერევანში და იქიდგან წავიდა სპარსეთში;
ერეკლე კი გახდა ქართლ-კახეთის მეფედ, მაგრამ 1703 წ.
შაჰის ბრძანებით ქართლის მმართველად დაინიშნა გიორგის
ძმის წული ვახთანგი, ერეკლე ისევ კახეთის მეფედ დარჩა.

გიორგი XI შაჰ ჰუსეინმა დანიშნა სპასპეტად 20,000
სპარსელთ ჯარისა და ქართველთ მხედართა. გიორგიმ ეს ჯა-
რი წაიყვანა ავღანისტანში, რომლის ხანი მირვეისი წინა-
აღმდეგობას უწევდა შაჰს და ებრძოდა მას. გიორგიმ, როთმელ-
საც ეშველებოდა მისი ძმა ლევანი, რამდენიმეჯერ გაიმარჯვა
ავღანელებზე და დამარცხებული მირვეისი იძულებულ ჰყო გა-

მოცხადებოდა შაჰს და პატიება ეთხთოვნა. ამისთანა ღვაწლისა-

თვის გიორგის მოელოდა დიდი წყალობა შაჰისაგან. მაგრამ საქმე სხვა ნაირად დატრიალდა: მტრებმა შეასმინეს შაჰს, რომ გიორგის საქართველოს და სომხეთის განთავისუფლება და აღდგენა უნდაო. ეს იყო მიზეზი, რომ შაჰმა ერთ სტუმრობის დროს ყანდაჰარში გიორგი მირვეისს მოაკვლევინ (1709 წ.) და გააწყვეტინა ქართველთა ცხენოსანი ჯარი.

რადგან ვახთანგი ქრისტიანი იყო და მაჰმადიანობას უარ ჰყოფდა, ამიტომ შაჰმა ქართლის მეფედ დანიშნა სპარსეთში მყოფი, გამაჰმადიანებული ძმა ვახთანგისა ქაიხოსრო, რომელიც ამის შემდეგ დიდ-ხანს ქართველთა ჯარებით ებრძოდა სპარსეთის მტრებს შუა-გულ აზიაში.

ვახთანგი თავისუფლად დარჩა ქართლში და რადგან გარეშე მტრები არ აწუხებდნენ, ამიტომ დაიწყო ქალაქების, – სოფლების, ციხეების, ეკლესიების შენება. მოახდინა კრება სასულიერო პირთა, რომელთაც განიხილეს საეკლესიო წესები. განათლების გასავრცელებლად გახსნა სასწავლებელნი; 1709 წ. თბილისში გახსნა პირველი ტიპოგრაფია და აღბეჭდა თითქმის ყველა საეკლესიო და აგრეთვე მრავალი ძველი საერო წიგნები, სვათა შორის „ვეფხის ტყაოსნი.“ აგრეთვე შეაგროვა და შეადგინა კანონთ უწყებანი, სახელმძღვანელოდ ქართველთ მსაჯულებისა. ხარჯი გააწერა ხალხს, ყველას შეძლებისამებრ. დააწესა მუდმივი ჯარი საქართველოს დასაცველად. ქათოლიკოსების ევდემოსის და ტახტიდამ ჩამოგდებულის ნიკოლოზის შეუწყვეტელი ბაასი და ქიშპობა მოსპო თავის ძმის არქიეპისკოპოსის, დომენტის საქათოლიკოზო ტახტზე დასმით. მაგრამ უფრო დიდი ღვაწლი ვახთანგისა ქართველთათვის არის საქართველოს საისტორიო მასალების შე-

გროვება გიორგი ბრწყინვალიდამ მოკიდებული თავის დრომდის და მისი ძველი მატიანითურთ ქართლის ცხოვრება ცალკე წიგნად აღბეჭდა. *).

ქართლის საქმეებს ასრე სამაგალითოდ და ბედნიერად რომ განაგებდა ვახთანგი, იმავე დროს კახეთის მეფე ერეკლე სრულიად ყურს არ უგდებდა თავის სამეფოს. ამიტომ გამრავლდა აქ ყოველ გვარი ბოროტება: ტყვეთა გაყიდვა, ყაჩაღობა, ოქრო-ვერცხლზე იყიდებოდა ქრისტიანობა, ხალხში შემოდიოდა მაჰმადიანობა. ბოლოს გაწერილ იქმნა სპარსეთში და კახეთის მეფედ მის მაგიერ დაინიშნა (1706 წ.) ერეკლეს ძე დავითი ანუ იმამყულიხანი, რომელიც სპარსეთში დაბადებული იყო და იქვე მაჰმადიანობაში აღზრდილი.

იმამ-ყულლი-ხანს ცოლად ჰყვანდა დაღესტნის შამხალის ასლი. პირველად მეფე ზიზღით უყურებდა ქრისტიანობას, მაგრამ შემდეგში, ვახთანგის ზედ გავლენით, შეიყვარა ჩვენი

სჯული, სამღვდელოება და გახდა თავის ქვეუნის ნამდვილი პატრონი.

ლეკნი ისევ ძველებურად აწუხებდნენ კახეთს. ამიტომ იმამ-ყული-ხანმა შეაგროვა ჯარები, მოიშველა თუშნი, ფშავ-ხევსურნი და გამარჯვებით შევიდა სალეკოში და დაიმორჩილა იგინი. მხოლოდ დაბრუნებისას ლეკნი დაეცნენ მის მცირე ამალას, დაამარცხეს, დახოცეს, მეფე კი ძლივს გაიქცა ყარა-ღაჯში. ლეკთ კიდევ დაიპყრეს ელისენი (საინგილო) და გაა-ოხრეს მრავალი აშენებული ადგილები, მეფე ყარაღაჯიდამ თე-ლავში გადასახლდა. ზაფხულში იგი მაღაროში სცხოვრებდა,

---

*) ვახთანგმა „ქართლის ცხოვრება“ თავის დრომდინ მოიყვანა; მამის დაუსრულებელი საქმე განაგრძო მისმა შვილმა, განათლებულ-მა ვახუშტიმ, რომელმაც ჩვენი მატიანე 1779 წ. მოიყვანა.

ზამთარში კი ხან თელავში და ხან მანავში, საცა სასახლე აიშენა.

ბოლოს 1710 წ. როდესაც მამა მისი ერეკლე მოკვდა, იმამ-ყული-ხანმა სამეფო ჩააბარა თავის მცირე წლოვან ძმას თეი-მურაზს და მის დედას ანნას, თვითონ კი ისპაჰანში შემწეო-ბის სათხოვნელად წავიდა. წასვლისას ვახთანგმა მოიწვია იგი თბილისში, დიდი სტუმრობა გადუხადა და მის ძმაზე თეი-მურაზზე თავის ასულის თამარის გათხოვებით დაუნათესავდა. 1711 წ. იმამ-ყული-ხანი სპარსეთში ჩავიდა.

იმავე წელს ავღანთაგან მოკლულ იქმნა ქართლის მეფე ქაიხოსრო. ამიტომ ამავე წელს ვახთანგი გაიწერა შაჰმა სპარ-სეთში. წასვლის წინ ვახთანგმა ქართლი გადასცა თავის ძმას სიმონს.

შაჰმა გამაჰმადიანობა ვალად დასდო ვახთანგს, მაგრამ ამან უარ ჰყო და მით თვისი ქვეყანა უკიდურეს მდგომარეო-ბაში ჩააგდო.

ამ ნაირად ერთსა და იმავე დროს ორივე სამეფოების ტახტზე ისხდნენ მცირე წლოვანი მეფენი. ქართლის მეფე სიმონი ამასთანავე იყო მეტად ცბიერი და ხალხის მწვალე-ბელი კაცი. ამისგამო სამეფოები, მეტადრე კახეთი ლეკების საბუნაგო გახდა. იგინი დაუსჯელად არბევდნენ ხან ერთ მხა-რეს კახეთისას, ხან მეორეს. თვითონ კახეთის მოურავები და ერისთავები ჰშველოდნენ ლეკებს და მათ შემწეობით ჯავრს ჰყრილობდნენ. მაგ. ქიზიყის მოურავმა ლეკების შემწეობით აიკლო ელისენის მოურავის მერაბის მამულ-დედული. მერაბ-მაც შემდეგში ამ ნაირადვე გადაუხადა.

ამ მდგომარეობაში იყო ქართლ-კახეთი, როდესაც ვახ-თანგი სპარსეთში არ იღებდა მაჰმადიანობას და ამით გამხნე-

ვებული მისი ძმა იასე შაჰს დაჰპირდა, რომ დაატყვევებდა

ვახთანგის ცოლ-შვილს და 500 ქართლელ ოჯახს გადაასახლებდა სპარსეთში. შაჰმა სიხარულით გამოისტუმრა ალი-ყული-ხანი (იასე) და აგრეთვე იმამ-ყული-ხანი, რომელმაც შეირთო იასეს და ელენე.

იმამ-ყული-ხანი თელავში მოვიდა. ლეკთ განდევნა მიანდო ქიზიყის მოურავს ყიასის, რომელმაც მართლაც დაიმორჩილა ლეკნი და დაამშვიდა.

უზნეო იასე (ალი-ყული-ხანი) ჩამოვიდა ქართლში და ნებიერად, უდარდელად ცხოვრება დაიწყო. სამეფო განზე მიაგდო ლეკთა და სხვათა საწიწკნელად. შაჰს ვერც პირობა შეუსრულსა, რადგან ვახთანგის სახლობა რაჭაში გადავიდა და ის 500 ოჯახი ქართლელნი მთებში დაიმალნენ. ეს იყო მიზეზი, რომ გაჯავრებულმა შაჰა ქართლის ტახტზე გამოგზავნა (1716 წ.) გამაჰმადიანებული ძე ვახთანგისა ბაქარი. ვახთანგი კი გაგზავნა ხორასანის ომში.

ბაქარი შორს გამჭვრეტელი კაცი არ იყო. მან დევნა დაუწყო ზოგიერთ იასეს მომხრე თავადებს, ზოგი დახოცა. ხალხის მდგომარეობას სრულიად ყურს არ უგდებდა. ლეკნი უფრო გამხნევდნენ. კახეთი სრულიად დაასუსტეს და სასოწარკვეთილებაში ჩააგდეს. ამიტომ კასეთში გადასწყვიტეს, რომ ოღონდ კი ლეკნი დაეხსნენ კახეთს, ქართლის, ყაზახის, შირვნის და შამშადილის გზებს ვასწავლით მათაო. მართლაც კახელების შემწეობით ლეკთ მალე მშვენიერად შეისწავლეს ყოველი ბილიკი. ყაჩაღურად გაოხრეს მთელი ქართლ-კახეთი. მცხეთა, გორი და სხვა ადგილები მათგან მოსვენებაში არ იყვნენ. ამ ნაირად კასელებმა თუმცა სამსახური გაუწიეს და შორეული გზები ასწავლეს ლეკებს, მაგრამ თვითონ უფრო მეტად იცრცვნებოდნენ მათგან.

ამ მდგომარეობიდგან სამშობლოს სახსნელად ვახთანგი იძულებულ იქმნა გარეგნობით მაინც მიეღო მაჰმადიანობა. შაჰმა ვახთანგს VI დაუბრუნა ტახტი და 1719 წ. ქართლში გამოისტუმრა.

ვახთანგი სიხარულით მიიღო ქართველთა ხალხმა. პირველი საქმე მეფისა იყო დასჯა ქვეენის მოღალატეთა. ესენი იყვნენ: სომხეთის მელიქის ძე, ბაგრატ ციცი-შვილი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ჟამასპ ხერხეულიძე, პაპუნა რევაზიშვილი. ყველანი სიკვდილით დაისჯნენ. ქვეყნის ერთგულნი დაასაჩუქრა. თავის ძმებს სიმონს და ისევ გაქრისტიანებულ იასეს უბოძა სხვა-და-სხვა ადგილები. შინაურობაში რომ მშვიდობიანობა ჩამოაგდო, ახლა ლეკებთან საბრძოლველად დაემზადა.

ლეკებზე გალაშქრება. – მაჰმად-ყული-ხანი. – შაჰ თამაზი. – რუსები იპყრობენ კასპიის ზღვის ნაპირებს. – მაჰმად-ყული-ხანი იპყრობს ქართლს. – ვახთანგი რაჭაში მიდის, იქიდგან 1724 წ. გადასახლდება რუსეთში. – ვახთანგი იქვე გარდაიცვლება. – ოსმალნი იპყრობენ ქართლს. – ოსმალნი კახეთში. – ქართლის განყოფა. – ლიხს იქითი ქვეყნების უნუგეშო მდგომარეობა. – ნადირ-ყული-ხანი სპარსეთში. – სპარსთა და ოსმალთ ზავი. – კახეთში გამეფდება თეიმურაზი. – სეფი-ხანი. – თეიმურაზი სპარსეთში. – ერეკლეს სპარსეთში გაიწერენ. – თეიმურაზიც და ერეკლეც დაბრუნდებიან სამშობლოში. – ქსნის და არაგვის ერისთვების ბრძოლა. – ერეკლე დაამარცხებს ამილახორს. – ბაქარი ისევ რუსეთში დაბრუნდება. – ერეკლეს ერთგულობა შაჰისადმი. – ქართლის ტახტი მიცემა (1744 წ.) თეიმურაზ II და კახეთისა ერეკლე II-ს. – ამავე წელს მოისპობა ათაბეგთა ჩამომავლობა.

ვახთანგს ლეკებთან საბრძოლველად მიეშველა კახეთის მეფე იმამ-ყული-ხანი და შირვნის ბეგლარ-ბეგი. შეერთებული ჯარები რომ მივიდნენ მაღაროს, იმამ-ყული-ხანი მოკვდა და გალაშქრება დაიშალა. კახეთის ტახტზე ავიდა (1742 წ.) ძმა იმამ-ყული-ხანისა მაჰმად-ყული-ხანი (კოსტანტინე II)

ამის შემდეგ ვახთანგის ბედი უკუღმა დატრიალდა, ქართლიც უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. ამის მიზეზი იყო რუსეთის იმპერატორის პეტრე I-საგან დაპყრობა (1732 წ.) დერბენდისა. მეორე წელიწადს რუსის ღენერალმა მათუშკინმა რომ აიღო ბაქო, ასტრაბადი, მაზანდერანი და გილანი, თამაზი უარესად გაუწყრა ვახთანგ მეფეს. შაჰს ეგონა, რომ ვახთანგი ამხნევებს რუსებსაო და სპარსეთს უსევსო. თამაზმა

გადასწევიტა დაესაჯა ვახთანგი და გაეოხრებინა ქართლი. ამიტომ ვახთანგმა 4 ენკენისთვეს 1723 წელს რუსეთის იმპერატორს შემწეობა სთხოვა.

განძვინებულმა თამაზმა დიდ-ძალი ჯარები გამოუგზავნა მამად-ყული-ხანს და უბრძანა ვახთანგი ქართლის ტახტიდამ ჩამოეგდო და თვითოს გამეფებულიყო ქართლში. პირველად სეიდა-ბადის ბრძოლაში ვახთანგმა დაამარცხა მაჰმად-ყული-ხა-ხანი, მაგრამ მეორედ, როცა ჭარ-ბელაქნელები მოიშველა, აღაოხრა ქციის ნაპირები და წინ-წყარო პირქვე დასცა. ვახთანგის ძე ბაქარი შევიდა საგურამოში, კახეთში და ბევრი ადგილები გააფუჭა. ეს იყო მიზეზი, რომ მაჰმად-ყული-ხანმა მოინდომა ვახთანგთან შერიგება, მაგრამ საუბედუროდ შერიგება არ მოხდა, რადგან ციცი-შვილები და ერისთვები განუდგნენ ვახთანგს და მიემხრნენ კახეთის მეფეს. გამხნევებული მაჰმად-ყული-ხანი იერიშით მივიდა თბილისზე, აიღო ისა (1723 წ.), დაანგრია და გაცარცვა სიონის ტაძარი. *)

ვახთანგი გაიქცა რაჭაში და იქიდგან შემწეობა სთხოვა ახალ-ციხის ფაშას ისააკს. მაგრამ მეფის მოციქულად გაგ-

ზავნილმა ძმამ იასემ (გაქრისტიანებულმა) უღალატა ძმას და, რომ ქართლის ტახტი ხელთ ეგდო, ისევ გამაჰმადიანდა და ეხლა სახელად ეწოდა მუსტაფა-ფაშა.

ამასობაში ვახთანგმა შემწეობის მაგივრად რუსეთის იმპერატორის პეტრე დიდისაგან რუსეთში მიწვევ მიიღო, რისგამო მეფე 1724 წ. გადასახლდა რუსეთში დ თან წაიყვანა თავისი ჯალაბობა, ხუთი ეპისკოპოსი, 5 დეკანოზი, 6 ბერი, სხვა სამღვდელონი და 1400 კაცი ყოველი წოდებიდამ. პეტერ-

---

*) ამ დროს დაიკარგა მდიდარი სიონის ღვთის-მშობლის ხატი·

ბურღში მისვლამდის იმპერატორი პეტრე გარდაცვლილიყო და იმპერატრიცამ ეკატერინემ I ისინი დაასახლა რუსეთში და ყველას საზრდო დაუნიშნა. ამავე დედოფლის ბრძანებით ვახთანგი რუსეთის ელჩად სპარსეთში წავიდა და დაბრუნებისას გარდაიცვალა (1730 წ.) და დასაფლავებულ არს აშტარხანის ეკლესიაში.

იასემ ანუ მუსტაფა-ფაშამ მოინდომა ქართლში გამეფება. ოსმალნი მას დაეხმარნენ. სერასქარი რაჯაბ-ფაშა, სულთნის ბრძანებისამებრ, შემოვიდა ქართლში, გააოხრა მარტყოფი, ხალხი ზოგი დაატყვევა, ზოგი დახოცა, ხატები და ჯვრები დალეწა და მემრე მოადგა თბილისს. მაჰმად-ყული ხანმა ძრწოლით მოართვა მას ქალაქის ციხის გასაღებები. რაჯაბი შევიდა ქალაქში და იასე ქართლის მეფედ აღიარა, მაგრამ ქვეყნის მმართველად დასვა ახალ-ციხის ფაშა, რომლის ბრძანებით საყდრებიდამ ჩამოგდებულ იქმნენ ყველა ჯვრები. ყოველს კაცს დაედო თითო დრაჰკანი ხარჯი, თითო ცხვარზე ორი შაური, ძროხაზე აბაზი, ცხენზე და კამეჩზე ექვს-ექვსი შაური, ხილეულობაზე და ხორაგეულობაზე მეხუთედი ღირებული ფასისა. მაჰმად-ყული-ხანი გაიქცა თბილისიდამ და მიემხრო ლეკებს.

ლეკები ამ დროს ბატონობდნენ კახეთში. სოფლებში და ქალაქებში ჰკეტავდნენ ქრისტიანთ ტაძრებს და მეჩეთებს სდგმიდნენ. ღვდლების მაგიერ ამწესებდნენ მოლებს. კახეთიდგან ესენი შეესეოდნენ ხოლმე ქართლს და არბევდნენ ქვეყანას.

1728 წ. იასე რომ მოკვდა, აბეზარს მოსულ ქართლელებმა ოსმალთ წინააღმდეგ მოიწვიეს მაჰმად-ყული-ხანი, რომელიც ბეჯითად შეუდგა ოსმალთ წინააღმდეგ ბრძოლას. ფაშას საქმე რომ გაუჭირდა, მაჰმად-ყული-ხანს მისცა გახეთის

სამეფო და ამით დაამშვიდა. მემრე ოსმალთ და მაჰმად-ყული-სანმა გადასწყვიტეს ერთად შეებრძოლონ ლეკთ.

მაგრამ საქმე სხვა ნაირად დატრიალდა. უსუფ-ფაშა ძე ისააკ ფაშისა მოვიდა ყარაბაღში და მაჰმად-ყული-ხანი ჯარებით

დაიბარა ლეკებზე გასალაშქრებლად. ისიც ალავერდელის და თარხან-მოურავის რჩევით წავიდა ყარაღაჯში. აქ მოკლულ იქმნა მაჰმად-ყული-ხანიც, ნიკოლოზ ალავერდელიც, რევაზ არაგვის ერისთავიც. ამათი თავები გაგზავნეს სტამბოლში წინაშე სულთნისა.

ამ ნაირად ოსმალთ დაიპყრეს მთელი საქართველო. ქართლ-კახეთი და იმერეთი იყვნენ ახალ-ციხის ფაშის გავლენის ქვეშ. ამ დროს ყველაზე მშვიდობიანი და უშიშრად საცხოვრებელი ადგილი იყო ახალ-ციხის ქვეჟყნა. ეს იყო მიზეზი, რომ აქ მრავალი ქრისტიანი ხალხი თავ-შესაფარად გადმოსახლდა და სამუდამოდ დარჩა.

რადგას არავინ აღარ იყო სამეფო გვარიდამ, რომ მას დანდობოდნენ და ქართლის ტახტზე აღეყვანათ, ამიტომ ოსმალთ მთელი სამეფო მიწები ასრე გაჰყვეს: სომხითი და საბარათიანო მისცეს ერასტ ყაფლანიშვილს. (ორბელიანს), მცხეთიდგან გორამდის (მტკვრის მარჯვენა მხრით) ბაგრატ ციციშვილს, გორს იქით ლიხამდის გივი ამილახორს, მუხრანი, ქსნის და არაგვის ხეობანი დარჩათ წინანდელ მფლობელებს. ამ ნაირად რომ გაანაწილეს და მით სრულიად დაასუსტეს ქვეყანა, მემრე დაიწყეს თავად-აზნაურობის, სამღვდელოების და ხალხის დამცირება და აწიოკება. ყველას ართმევდნენ დიდს ხარჯს. უპატრონოდ და უმწეოდ დარჩომილი ხალხი გაიხიზნა ტყე-ღრეში და იქ დაიცვა თავის სარწმუნოება და სიცოცხლე.

ლიხს იქითი ხალხები უარეს მდგომარეობაში იყვნენ. იმათი მწვალებელი იყო ბეჟან დადიანი, რომელსაც ოსმალნი მხარს უმაგრებდნენ. რადგან იმერთა მეფე ალექსანდრე VI ჯერ მცირე წლოვანი იყო, ამიტომ ყველა საქმეებს განაგებდა ბეჟან დადიანი და არა ვის არ ემორჩილებოდა. პირველი მისი მოწინააღმდეგე იყო ძმა მისი ჭყონდიდელი და დედინაცვალი ალექსანდრესი თამარ, რომელთაც შეუორგულეს ბეჟანს თავადები და გავლენიანი კაცები. ეს კაცები გაგზავნეს არზრუმში რომ ოსმალეთის მთავრობას სთხოვონ გადააყენოს ისააკ ფაშა ახალ-ციხისა, რადგან იგი შემწეობას აძლევს დადიანსა. გადაყენების მაგიერ ოსმალთ დაატყვევეს მოციქულნი და მოართვეს დადიანს, რომელმაც თამარი დეხვარის ციხეში ჩასვა, თავის ძმას ჭყონდიდლობა ჩამოართო და ოსმალეთის მთავრობას ამ ნაირი ყურადღებისათვის დაუთმო შავი ზღვის ნაპირები რიონიდგან ილორამდის. ოსმალთ აქ ააშენეს შემდეგი ციხეები: ფოთი, ანაკლია და სხვ. ფოთის ფაშას მიეცა ეს ადგილები და ამას თვალ-ყური უნდა ეგდო აფხაზ-მეგრელთათვის. ეს მოხდა 1725 წ.

ამის შემდეგ ბეჟან დადიანი უფრო გაძლიერდა. ეცემოდა ურჩთ იმერთა ბატონებს, არბევდა მათ სახლ-კარს და ანგრევდა მათ ციხეებს.

ეს იყო მიზეზი, რომ იმერთა მეფემ ისააკ ფაშა დაი-

ყაბულა და მისი ძე უსუფ-ფაშა ჯარებით გამოაგზავნინა ბეჟანის გადასაყენებლად. უსუფმა გეგუთში მიიწვია მეფე ბეჟანთან შესარიგებლად. ორივენი გამოცხადდნენ. აქ ბეჟანი კარავში მოკლულ იქმნა. დადიანობა მიეცა ბეჟანის ძეს ოტიას (1726 წ.)

ოტია გადადიანდა თუ არა, მაშინვედაიწეო მეფის წინააღმდეგობა. მიიბირი რაჭის ერისთავი, ზურაბ აბაშიძე და ამათ შემწეობით უნდა გადაეყენებინა ალექსანდრე და გაემეფებინა მისი ძმა მამუკა. ეს თათბირი არ აღუსრულდა. მეფემ დაამარცხა მოწინააღმდეგენი, წაართვა დადიანს საჩინავო და მისცა ძმას მამუკას და მით შეურიგდა მას. ტყვე ქმნილი დადიანი კი გაანთავისუფლა.

ამ მდგომარეობა ში იყო საქართველო, რომ სპარსეთში 1733 წ. ნადირ-ყული-ხანმა ყაჯარმა ჩამოაგდო ტახტიდამ შაჰ-თამაზი. ამის მიზეზი იყო სპარსეთის დამამცირებელი ზავი ოსმალებთან. ნადირმა განაახლა ბრძოლა. სულთანმა მის წინააღმდეგ 80,000 კაცი აბდულლა-ქეფრილის წინამძღოლობით გამოგზავნა, 70,000 კაცით ნადირმა შეუტია (14 ივნისს 1735 წ.) მტერს და სრულიად დაამარცა (არფა-ჩაიზე); იმათი წინამძღოლი და უმეტესი ნაწილი ჯარისა დახოცილ იქმნენ. ამის შემდეგ ნადირმა დაიპყრო განჯა, თბილისი, ერევანი და არეზის მტკვართან შესართავის ახლო დაბანაკდა. აქ შეჰკრა ოსმალებთან ზავი, რომლის ძალით ოსმალეთს ამიერიდგან ხელი უნდა აეღო აღმოსავლეთ საქართველოზე. სხვა-დასხვა მიზეზებისა გამო რუსეთმაც დაუთმო ნადირს პეტრე დიდისაგან დაპყრობილი კასპიის ზღვის ახლო-მახლო მდებარე ადგილები.

განითქვა სახელი ნადირისა და იგი აღვიდა ტახტსა ზედა სპარსეთისასა. დიდებულთა და სპასალართა მიულოცეს მას გახელმწიფება. თეიმურაზი და ალექსანდრე VI მეფე იმერთა იყვნენ მიმლოცველთ შორის. ნადირმა კახეთში მეფედ დანიშნა თეიმურაზი, იმერეთში ისევ

ალექსანდრე დააბრუნა, ქართლის მმართველად დასვა სეფი-ხანი. ეს ყაზახ-ბორჩალო მიუმატა კახეთის სამეფოს, ქართლ-კახელებს ნება მისცა, რომ სჯულის გამო უცვლელად შესულიყვნენ შაჰის სამსახურში და მერე წავიდა სპარსეთში.

მაგრამ მალე დაირღვა ეს წეს-წყობილება. მიზეზად გახდა სეფი-ხანი, რომელმაც მოიგონა რაღაც მიზეზები, დაიჭირა თეიმურაზი, გივი ამილახორი, შანშე და ბარძიმ ერისთავნი, ლუარსაბ თარხნი-შვილი, გივი ჩოლაყა-შვილი, სახლთ-ხუცესი, ქაიხოსრო ქიზიყის მოურავი და სხვანი წარნინებულნი პირნი და გაგზავნა ყანდაარში შაჰის წინაშე. ამის შემდეგ თეიმურაზი დიდ-ხანს დარჩა სპარსეთში და ემსახურებოდა ნადირს.

ბოლოს როცა განითქვა სახელი მეფის ძის ერეკლესი, ნადირ-
მა გამოაწერინა იგი *) სპარსეთში და მამა კი დააბრუნა სამ-
შობლოში. ეს მოჰხდა 1737 წ. 300 თავად-აზნაურთა ყრმე-
ბით ერეკლე წავიდა სპარსეთში. მუდამ ერეკლე თავის მცირე ჯა-
რით იღებდა მონაწილეობას ნადირის ომებში შუა გულ აზი-
ის ხალხის წინააღმდეგ. სხვათა შორის ნადირმა წაიყვანა ერე-
კლე ინდოსტანში და აქ მეფის ძემ დაუმტკიცა ნადირს თავი-
სი ვაჟ-კაცობა, მკლავის სიმტკიცე და დიდი სამსახური გა-
უწია მას. ამ ნაირ სამსახურისათვის 13 ენკენისთვეს 1739 წ.
ნადირ-შაჰმა დიდი საჩუქრებით ერეკლე გამოისტუმრა საქარ-
თველოში, რომელიც დიდ სატანჯველში ჩაეგდოთ შაჰის წარ-
მომადგენელთ.

ქართლ-კახეთი უფრო დაეწიოკებინათ ლეკებს და არა-
გვის და ქსნის ერისთვების ურთი-ერთ შორის ბრძოლას.

---

*) ერეკლე დაიბადა 1714 წ. და 23 წლისა იყო, როდესაც
სპარსეთში წავიდა.

ქსნის ერისთავმა შანშემ მოიწვია ლეკნი, დაეცა არაგვის ერი-
სთვებს ანანურში და სრულიად გასწყვიტა. სპარსეთის წარ-
მომადგენელის ბრძანებით შანშესაც თვალები დასთხარეს და
სახლობით გაგზავნეს ხორასანში. არაგვის საერისთო მიეცა
კახეთის მეფეს თეიმურაზ II, ქსნის საერისთო კი მიეცა გივი
ამილახორს, რომელმაც ქართლიდამ განდე ვნა ლეკნი და ცო-
ტათი დაამშვიდა ეს ქვეყანა.

შემდეგ და შემდეგ ამილახორმა მოინდომა არაგვის სა-
ერისთოს შემოერთებაც. ერეკლე შემოერტყა მის მაგარს
ქსნის ციხეს. ამილახორმა კი სურამში 50, 000 ქართველი,
სპარსელი და ლეკი შეაგროვა და დაეცა ერეკლეს, მაგრამ გი-
ვი, საშინლად დამარცხებული, გაიქცა სურამში და ერეკლეს
წინააღმდეგ მოიწვია ახალ-ციხის უსუფ-ფაშა და დაღესტნის
ბელადი მალაჩი (ამასთან იმალებოდა სპარსეთის ტახტის მე-
მკვიდრე, უკანასკნელი წარმომადგენელი ნადირისაგან ტახტი-
დან ჩამოგდებული სეფის გვარისა). ოსმალნი გამაგრდენ თე-
დო-წმინდაში, მალაჩი კი 2,000 ლეკით არაგვის ნაპირზე და-
დგა. ერეკლემ გაიგო საქმის გარემოება, მცირეოდენი ჯარით
დაეცა ლეკებს, დაამარცხა იგინი, მოჰკლა დაღესტნის გმირი
მალაჩი და ლეკნი რუისისკენ გააქცია. აქ იდგა უსუფი და
ისიც იმავ ღამეს გაიქცა. ერეკლემ მრავალი მტერი დაატყვევა,
სსვათა-შორის სპარსეთის ტახტის მემკვიდრეც, რომელიც
თეიმურაზმა იმავ წამს ერეკლეს გააყოლა ნადირთან. ისრე ია-
მა ნადირს ერთგულება თეიმურაზისა, დამარცხება ოსმალთა და
ლეკთა, რომ მან მამას თეიმურაზს მისცა სამეფო ქართლისა და
მის შვილს ერეკლეს სამეფო კახეთისა. ეს მოხდა 1744 წელს.

ამავე წელს მოისპო ათაბეგთა ჩამომავლობა და ახალ-

ციხის ქვეყანაც დაემორჩილა ოსმალეთის სახელმწიფოს საზოგადო წეს-წყობილებას *).

IX

თეიმურაზ II და ერეკლე მეორე. – არეულობა სპარსეთში. – ერეკლე იმარჯვებს მტრებზე. – ერევნის და განჯის ხანების დამარცხება და მათგან ხარკის აღება. – ძლიერი გამარჯვება ერეკლესი. – იმერეთის საქმეები და გამეფება სოლომონ I-სა. – ერეკლე შემწეობას სთხოვს რუსეთის ხელმწიფეს. – ლეკნი ქართლ-კახეთში. – ჩონჩოლ-მუსა. – კოხტა ბელადი. – თეიმურაზი გადასახლდება რუსეთში. – ერეკლე, მეფე ქართლ-კახეთისა.

ყარსიდამ გამარჯვებული ნადირ-შაჰი რომ სპქრსეთში მიდიოდა, ერეკლე და თეიმურაზი მიეგებნენ მუღამში და წყალობის თვალით მიღებულ იქმნენ ხელმწიფისაგან, რომელმაც მეფეთა თხოვნით დანაშაულობა აპატია შანშეს ქსნის ერისთავს და ხორასნიდამ დააბრუნა სამშობლოში. მეფენი შეუდგნენ სამეფოს წყლულების განკურნებას, მაგრამ ზოგი ერთი გავლენიანი პირნი მათ ხელს უცარავდნენ და არ ემორჩილებოდნენ. სხვათა შორის გივი ამილახვარი (ამილოხორი), რომელიც თეიმურაზმა და ერეკლემ სურამის ციხეში დაატყვევეს და წარუდგინე ნადირს სპარსეთში.

ყვარყვარეს ჩამომავალნი ფაშანი იყვნენ:

*) საფარ-ფაშა 1624 – 1635 წ.
უსუფ-ფაშა I 1635 – 1647 წ.
როსტომ-ფაშ. 1647 – 1659 წ.
ასლან-ფაშა I 1659 – 1677 წ.
უსუფ-ფაშა II 1677 – 1690 წ.
სალიმ-ფაშა 1690 – 1701 წ.
ისააკ-ფაშა } 1701 – 1737 წ.
ასლან-ფაშ. }
უსუფ-ფაშა III 1737 – 1744 წ.
ხელ-ახლა ასლან-ფ. 1744 წ.

საუბედუროდ წყალობა შაჰისა მალე მოაკლდათ ჩვენ მეფეთა. შაჰს შინაური ყმანი აუჯანყდნენ და მათ დასამორჩილებლად მეფეთ მოსთხოვა ჯარი და დიდძალი ფული, რაიც ვერ შესძლეს. თეიმურაზი ჩაიკეტა ანანურის ციხეში და ხალხი კი გაიხიზნა მთებში. მაგრამ სპარსელები მაინც შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და სრულიად აღაოხრებდენ მას, თუ ხალხის დასახსნელად თეიმურაზი არ წასულიყო სპარსეთში. გზაზედ მიმავალმა გაიგო სიკვდილი ნადირისა, რომელიც მოეკლა მისვე ნათესავს ადილ-შაჰს და თვითონ გამეფებულიყო. ამან შეირთო ცოლად თეიმურაზის ასული, მაგრამ ახალი ხელმწიფე შემდეგ ამისა მალე თვალებ დათხრილ იქმნა მის ძმის იბრაჰიმისაგან.

სპარსეთის შინაურმა ამბოხებამ ცოტა ხან თავისუფლად ამოასუნთქვინა საქართველოს. მამის სპარსეთში მყოფობის დროს ორივე სამეფოებს მამაცურად ჰმართავდა ერეკლე.

ამ დროს განჯაში გამაგრდა ალი-ხანი და ერთი ვილღცა გამოაცხადა ძედ შაჰისა ჰუსეინისა და მემკვიდრედ სპარსეთის ტახტისა. იმას უნდოდა ერეკლეს მიმხრობაც, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან დამარცხებულ იქმნა. ერეკლემ აგრეთვე დაამარცხა იასეს ძე აბდულ ბეგი, რომელსაც უნდოდა დაპყრობა ქართლის ტახტისა. აბდულ-ბეგს მიემხრნენ და თბილისზე გამოილაშქრეს განჯის, ყარაბაღის, დაღესტნის, ახტის, შამშადილის და ყაზახ-ბორჩალოს ხანებმა, მაგრამ ერეკლემ ზოგი მათგანი გასწყვიტა მარტყოფის მინდვრებში, ზოგი კი დედოფლისწყაროსთან.

ამასობაში 1748 წ. თეიმურაზიც რომ დაბრუნდა სპარსეთიდამ, მტრებს უარესი დღე დაადგათ.

იმავე წელიწადს (1748 წ.) მოკლულ იქმნა იბრაჰიმ-შაჰი და

ავღანის ხანი მაჰმადი სპარსელთ სისხლს ანთხევდა, არბევდა და აოხრებდა ქვეყნებს. მის წინააღმდეგ ერევნის სახანოს მცხოვრებთ მიიწვიეს ქართლ-კახეთის მეფენი. ერეკლე 500 კაცით პირველი წავიდა მათ საშველად. მაჰმად-ხანი დახვდა ერეკლეს, მაგრამ ამისგან დამარცხებული უკუ-იქცა და ღვირობის ციხეში გამაგრდა. ერეკლეს ვერც ამ ციხემ გაუძლო: იგი აღებულ იქმნა და მთელი ხაზინა მაჰმადისა ერეკლეს დარჩა. თვით მაჰმად-ხანი ცოლ-შვილით დატყვევებულ იქმნა. შემდეგ მეფე გახეთისა იერიშით მივიდა ერევანზე, რომლის ხანიც გამოეგება ქართველ ჯარს, თავი დაუკრა ჩვენ მეფეებს და ყოველ-წლივ ხარკის მიცემა აღუთქვა.

მალე განჯის ხანიც ქართველების მოხარკედ გახდა. რადგან ყარაბაღის ხანი მოსვენებას არ აძლევდა განჯისას, ამიტომ ამ უკანასკნელმა მოიწვია საშველად ერეკლე, რომელმაც დაამარცხა, დაატყვევა ხანი და ორთავ სახანოებს (განჯისას და ყარაბაღისას) ხარკი დაადო. მაგრამ ამ სახანოების მორჩილება დიდ-ხანს არ გაგრძელდა. ნუხის ხანის აჯი-ჩალაბის რჩევით და დახმარებით ესენი განუდგნენ ერეკლეს (1752 წ.) და შეერთებული ძალით დაამარცხეს კვლავ უძლეველი მეფე ერეკლი, რომელმაც შემდეგ ჯავრი ამოიყარა შექის ხანზე, რომელიც დაღესტნის და შირვნის ჯარებით წამოვიდა თბილისზე და ამასთანავე ავარიის ხანიც მოიშველა. ერეკლემ ესენი სახელოვანად დაამარცა და წაართვა მათ: 12 ზარბაზანი, 200 თოფი, 100 აქლემი, 20,500 კარავი და მრავალი ტყვე.

ამერეთში ასრე წარმატებით რო მიდიოდა საქმეები, იმერეთში კი მეტად გაჯანჯლული და სამეფოს მდგომარეობა უნუგეშო; ამის მიზეზი იყო მრავალი შინაური მტერი მეფისა, სხვათა შორის მისი დედი-ნაცვალი თამარი, რომელიც ქუთა-

ისში ჩამოიყვანა, გაასამართლა და რომ სცნო მისი დანაშაულობა, მოჰკლა და მისი ქონება სამეფო ხაზინას შეს-

ძინა. ამის შემდეგ მაინც მშვიდობიანობა არ დამყარდა. და-
დიანი, რაჭის ერისთავი, აბაშიძენი სულ მუდამ მისი დაუძინე-
ბელი მტრები იყვნენ. მათ მოსაგერებლად ალექსანდრემ მოიწვია
ახალციხის ფაშის ჯარები, რომელნიც დადგნენ ბაღდადში და
ქუთაისში, საცა დიდი სობორო ბაგრატისა სათოფ-ხანედ
ჰქონდათ. თუ ეს ჯარებიც არა ჰყოფნიდა, მეფე გივი ამილა-
ხორის დახმარებით მოიწვევდა ხოლმე ლეკებს, რომელთაც იმ-
დენი სარგებელობა არ მოუტანეს მეფეს, რამდენიც აუოხრეს
და გასცარცვეს ქვეყანა. იმერეთი სრულიად გაღარიბდა და სამ-
წუხარო მდგომარეობაში ჩავარდა. ამისთანა ყოფა ხალხისა
ალექსანდრემ ვეღარ აიტანა, მწუხარებამ ბოლო მოუღო მას: იგი
ავად გახდა და 1752 წ. მოკვდა. მეფეს ჰყვანდა სამი ქალი და
ექვსი ვაჟი, რომელთაგან უფროსი სოლომონი იყო 17 წლისა.

იმავე წელს გამეფდა სოლომონ I, რომელმაც სამეფოს
დასამშვიდებლად და ურჩთა მებატონეთა დასამორჩილებლად
ოსმალნი კი არ მოიწვია, არამედ დაუმეგობრდა სამეფოს
მტრებს, მაგ. სამეგრელოს მთავარს, რომლის შემწეობით ს.
ცხრა-წყაროსთან დაამარცხა თავის მოწინააღმდეგეთ: რაჭის
ერისთვის როსტომის, ლევან აბაშიძის და გურიის მფლობე-
ლის მამიის ჯარები. მემრე დაუმეგობრდა ქართლ-კახეთის მე-
ფეებს, რომელთაც სწორედ ეხლა ეჭირებოდათ სოლომონის
მეგობრობა. სწორედ ამ დროს ერეკლეს ჯარები ნუსხის
ხანმა ყარაბაღის, განჯის და შუშის ხანების დახმარებით მო-
ტყუებით დაამარცხა და გარდა ამისა ამავე დროს შექის ხანი
დაღესტნის ჯარებით და შირვნის ჯარებით, ავარიის ხანი ლე-
კებით მოადგნენ საქართველოს ჩრდილოეთის და სამხრეთის

მხრებიდამ და აოხრება დაუწყეს. ერეკლემ მოიშველა სოლო-
მონი და ყველგან დაამარცხა მტრები, მაგრამ იგინი რადგან
მრავალნი იყვნენ და მაინც არ შორდებოდნენ ამ ქვეყანას,
ამიტომ ერეკლემ 1752 წ. რუსეთის იმპერატრიცას ელისაბედ
პეტრეს ასულს შემწეობა და მფარველობა მოსთხოვა. მაგრამ
შინაური საქმეების გამო რუსეთის დედოფალი ვერ მოე-
შველა, მხოლოდ მაჰმადიანთაგან შევიწროებულ ქრისტიან
ქართველებს რუსეთში გადასახლების ნება დართო.

რუსეთთან დაახლოვება და მფარველობა მისი საქართვე-
ლოზედ დიდათ ეწყინათ ოსმალთ თუ ყიზილბაშთ ძალა მო-
მეტებულად წაქეზდნენ და გამხნევდენ ქართველებთან სა-
ბრძთოლველად. ლეკნი თავის ქომაგობით ბევრს ჰშელო-
დნენ სპარსელენს. 1753 წ. ავარიის ხანმა გაოხრა კახე-
თი, გადავიდა არაგვზე, აიღო ციხე საკობიევო და თუმცა
ერეკლესაგან განდევნილ იქმნა, მაგრამ მეორე წელს ხელ-ახლა
ჭარ-ბელაქნელების, შექელების და შირვანელების დახმარებით
შემოვიდა კახეთში და 20,000 კაცით 28 დღეს არბია ყვარე-
ლის ახლო-მახლო მდებარე ადგილები; ამ დროს ერეკლე ებრ-
ძოდა თათრებს ერევნის ქვეყანაში. დაღისტნის წინამძღოლმა
ნონჩოლ-მუსამ 40,000 კაცით აღაოხრა (1755 წ.) კახეთი

და 1756 წ. ოკტომბრის თვეში ლეკთა კიდევ გააოხრეს ბევრი სოფლები და მოკლეს განთქმული თავის გაჟ-კაცობით კოსტანტინე მუხრან-ბატონი.

1759 წ. იმავე ჩონჩოლ-მუსამ და კოხტა ბელადმა (ეს ქართველი იო) შეაგროვეს დიდ-ძალი ჯარი (80,000-მდე), რომელიც ორად გაჰყვეს: ჩონჩოლი შემოვიდა დვალეთში, გადმოვიდა ლიახვზე, გაცარცვა სამაჩაბლოს ოსები და შეესია იმერეთს; კოხტა კი შემოერტყა ატოცის-ციხეს, მაგრამ უკუ-

ქცეულ იქმნა ერეკლე და თეიმურაზისაგან, რომელთ შემწეობა მისცა სოლომონ მეფემ, რომელმაც 1757 წ. სრულიად. დაამარცხა ოსმალეთის სერასქარი და რაჭის ერისთავი როსტომი. თვისი დამარცხება კოხტამ აცნობა ჩონჩოლს, რომელიც შიშისაგამო გავიდა იმერეთიდამ და გამაგრდა დვინის ციხეში, მაგრამ მეფენი გარს რომ შემოერტყნენ, ვეღარ შეებრძოლა მათ და გაიქცა.

ამასობაში სპარსეთის შინაური შფოთიც დაწყნარდა და ტახტზე ავიდა ქარიმ-ხანი, რომელიც მრავალი სამსახურისათვის მოწყალების თვალით უყურებდა ერეკლეს. სამეფოს დასამშვიდებლად შემწეობის სათხოვნელად თეიმურაზი გაემგზავრა რუსეთში და 1762 წ. 8 იანვარს გარდაიცვალა; ერეკლემ კი შეაერთა ქართლ-კახეთი და გახდა მეფედ ორთავ სამეფოეისა.

X

ერეკლე იმორჩილებს გარეშე მტრებს და აშენებს ქვეყანას. – ანტონ I . – გაიოზი, რექტორი თელავის სემინარიისა. – სულხან ორბელიანი. – სოლომონი ითხოვს მფარველობას. – ქარიმ-ხანი შეურიგდება ეშეკლეს, სულთანი კი უწყრება. – ომარ-ხანი ავარელი. – შერიგება სელთანთან. – გამეფდება ჯერ დავით II, მემრე სოლომონ II. – ერეკლე ითხოვს შემწეობას. – შვილებს უბოძებს სამფლობელოებს. – აღა-მამად-ხანი. – გაოხრება თბილისისა და საქართველოსი. – ფეტ-ალი-შაჰი. – ერეკლეს სიკვდილი. – გიორგი XIII. – იმპერატორების პავლე I და ალექსანდრე I მანიფესტები. – სიკვდილი გიორგი მე-XIII-სა. – ბაგრატიონების შთამომავლობის მეფობა დასრულდება.

ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლემ ორთავ სამეფოების შეერთებულის ძალით დაიმორჩილა გარეშე მტრები; ლეკნი, ქუ-

რთნი და სხვანი. რომ საიმედო და სამუდამო ყოფილიყო მათი დამორჩილება საჭირო იყო სამუდამო უჯრი სამზღვრების დასაცველად, ეს იყო მიზეზი, რომ ერეკლემ 12,000 კაცი მორიგე ჯარად განაწესა. მარტო ჯარები ვერას გაარიგებდნენ,

თუ არ ჰქონდათ მათ თავ-შესაფარებელი და საშიშრო დროს ფეხ-მოსაკიდებელი ადგილები – ციხეები. ამ მიზეზით ერეკლემ 60-მდე ციხე განაახლა და ააშენა. სხვათა შორის გორისა, სიღნაღისა, თელავისა, ბორჟომისა, პატარძეულისა, ნორიოსი და სხ. გორის ციხე ზარბაზნებით გაამაგრა. რადგან ჯარს ჭმევა და კვება უნდოდა და ცარიელი ხაზინით ვერც მათი შენახვა შეიძლებოდა და ვერც ქვეყნის შენება, ამიტო მან მცოდნე კაცებს მოაძებნინა მადნები, სხვათა შორის, სომხითში იპოვნეს ვერცხლის მადანი. ნავნები და დაზიანებული ქალაქი თბილისი გააშენა ლამაზი სახლებით, მასში დაარსა ტიპოგრაფია, ზარაფხანა და თოფხანა. შეუდგა ზარბაზნების ჩამოსხმას, ფულების ჭრას და წიგნების ბეჭდვას. განათლებული ქათოლიკოზის ანტონ I *) შემწეობით იგი სცდილობდა აღემაღლებინა დაცემული ზნეობა ხალხისა და ისევ ძველებურად გაეცოცხლებინა ამ ქვეყანაში სწავლა-განათლება.

*) მეფის ძე ანტონი (1720 წ. მეფე იასეს და მის მეუღლის ელენესაგან იშვა თეიმურაზი. 15 წ. იზრდებოდა გარესჯის მონასტერში. 1735 წ. ნადირმა წაართო მას ცოლი. 1740 წ. ბერად შესდგა და ეწოდა ანტონი). გაქათოლიკოზდა (1744 წ.) თუ არა, დაიწყო ლათინური ენის შესწავლა. ამიტომ იგი დაუმეგობრდა საქართველოში მყოფ ლათინების მღვდლებს, მაგრამ მალე მტრებმა დასწამეს მას მათი სჯულის მიღების სურვილი, და განდევნეს საქართველოდგან. ანტონი რუსეთში წავიდა და იქ გამწესებულ იქმნა ვლადიმირის ეპარქიის არხიეპისკოპოსად. 1763 წ. ერეკლემ იგი გამოიწერა საქართველოში და ისევ ქათოლიკოზობა უბოძა.

ამ ნაირის მოღვწეობით რომ გაძლიერდა ერეკლე, მაშინ იმერეთის მეფე სოლომონ, აბეზარს მოსული რაჭის ერისთავის წინააღმდეგობისაგან და შეიწროებული ოსმალთაგან, სთხოვს იმპერატრიცა ეკატერინას მფარველობას და შემწეობას წინააღმდგეგ თავის მტერთა; თვით რუსთ იმ დროს ჰქონდა ომი ოსმალეთთან. 1772 წ. ღენერალი ტოტლებენი 1,200 კაცით, 4 ზარბაზნით შემოვიდა იმერეთში და ქუთაისის ციხეს, რომელშიაც გამაგრებულ იყვნენ ოსმალნი,

საქართველოში დაბრუნდა თუ არა, ანტონი ბეჯითად შეუდგა ხალხის განათლებას. მან დააარსა მრავალი სკოლები მონასტრებში და ეკლესიებთან. რადგან სასწავლო წიგნები ძრიელ ცოტა იყო, ამიტომ შეადგინა კატეხიზმო, გრამატიკა, ფილოსოფია ბაუმეისტრისა გადმოაკეთა ქართულად; შეადგინა ვრცელი ღვთის მეტყველება. უბრძანა სამღვდელოებას ეკლესიებში ესწავლებინათ და აეხსნათ კატეხიზმო. აგრეთვე მან გადმოსთარგმნა მრავალი სხვა წიგნები, სხვათა შორის, კატეღორიანი არისტოტელისა (სომხურიდამ) და რიტორიკა მხიტარისა, ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა (ლათინურიდამ), ფიზიკა ვოლფისა; დასწერა „მზა-მეტყველება“, განმარტება 50 ფსალმუნისა და სხ. მისი ბრძანებით ყოველს მონასტერს ჰქონდა ბიბლიოთეკა.

ამავე დროს განითქვნენ თავის სწავლით: ტიმოთე, მთავარ-ეპისკოპოსი თბილისისა, რომელმაც დასწერა მოგზაურობა წმ. ადგილებში;

დეკანოზი ვესარიონ გაბაშვილი, რომლისაგან სხვათა შორის დარჩა „კატის ომი“, ათანასე მთავარ-ეპისკოპოსი, სასულიერო წიგნების მბეჭდავი მოსკოვში. ეპისკოპოსი გაიოზ, რექტორი თელავის სემინარიისა; ამისაგან შეეძინათ ქართველებს 14 სხვა და სხვა გვარი შესანიშნავი თხზულებანი და სხ. ყველა ამათ დიდ შემწეობას აძლევდა „ქართული ლექსიკონი“, რომელიც შეადგინა მეჩვიდმეტე საუკუნეში განათლებულმა სულხან-საბა ორბელიანმა. ანტონ I 1788 წ. გარდაიცვალა და მცხეთის ტახტი დაუტოვა საქართველოს უკანასკნელს ქათოლიკოზს ანტონი II, ერეკლე მეორეს ძეს.

ყუმბარები დაუშინა და აიღო. მათ შემწეობით სოლომონმა განდევნა ოსძალნი იმერეთიდგან, გურიიდგან და თავისი პირადი მტრებიც დაამარცხა.

ტოტლებენმა მოინდომა ოსმალებთან ბრძოლის გაგრძელება, რადგან ჯერ რუს-ოსმალოს ომი არ გათავებულიყო. ამიტომ მოიწვის ერეკლე, რომელსაც იმ დროს მეგობრული განწყობილება ჰქონდა სულთანთან და მასთან ერთად ახალ-ციხის მხარეს გადავიდა ოსმალების განსადევნელად. მაგრამ ერთმანერთში უკმაყოფილება მოუვიდათ და ამის გამო ტოტლებენმა უკან დაიხია და რუსეთში დაბრუნება დააპირა. სოლომონ მეფეც ავად მყოფობის გამო დაბრუნდა. დარჩა მარტო მეფე ერეკლე. გმირის ჩვეულება არ იყო უკან დახევა. მამაცურად შეებრძოლა 20 ჯერ მეტ მტერს და ასპინძასთან სამაგალითოდ გაიმარჯვა და შემუსრა მტერი. მას დარჩა დიდ-ძალი ალაფი, მრავალი ტყვე, რომლებიც თან წამოიყვანა და თბილისში ჩამოვიდა.

ეს დიდად შესანიშნავი გამარჯვება ძვირად დაუჯდა ერეკლეს, რადგან გადუმტერა სულთანი, რომელმაც წააქეზა ლეკები და მათთან ერთად თავის ჯარებს დააწყებინა რბევა ამ ქვეყნისა. სულთანის ქომაგობით მოსისხლე მტერად გაუხდა ერეკლეს ავარიის ომარხანი. მალე სპარსელნიც აფერხდნენ. ამისთანა მდგომარეობაში რომ იყო ერეკლე, მისმა მომხრემ, იმერეთის მეფე სოლომონმა წააგო ბრძოლა ოსმალებთან (შავი ზღვის პირას ჩაქვთან) და თითონაც 1782 წ. მოკვდა.

1782 წ. იმერეთში გამეფდა სოლომონის ბიძა-შვილი დავით II. ერეკლემ მოინდომა იმერეთთან დაახლოვებული კავშირი და გავლენა ჰქონოდა, ამიტომ იმდენი ეცადა, რომ 1788 წ. აღიყვანა იმერეთის ტახტზე თავის შვილის-

შვილი სოლომონ II (ეს იყო ძე ერეკლეს ასულისა და არჩილ მეფისა), დავითი კი თავის სიკვდილამდის (1799 წ.) სოლომონს ედავებოდა ტახტსა, მაგრამ ამაოდ.

ამასობაში მოკვდა ერეკლეს მეგობარი სპარსეთის ქერიმ-შაჰი. ახალმა შაჰმა ალი-მურადმა ერეკლეს მორჩილება მოსთხოვა; მაგრამ ამდენი შფოთისა და ღელვისაგამო აბეზარს მოსული და დაღალული ერეკლე თავად მუხრან-ბატონს და გარ-

სევან ჭავჭავაძეს ჰგზავნის 1784 წ. რუსეთში და ქვეშევრდომობას ითხოვს. იმპერატრიცამ ეკატერინემ მიიღო საქართველო თავის მფარველობაში.

მაგრამ ქვეშევრდომობის თხოვნამ დაღალული ერეკლე ვერ დაამშვიდა, არამედ სულთანი და შაჰი ერთი ორად აუღელვა და გადუმტერა.

ქარიმ შაჰის შემდეგ სპარსეთში გამძლავრდა ნადირისაგან საჭურის ქმნილი ყაჯარი აღა-მაჰმად-ხანი, რომელიც თავის ნათესავის ფეტ-ალი-ხანის შემწეობით აღვიდა სპარსეთის ტახტზე. *) შემდეგ აღა-მაჰმად ურჩის და წინააღმდეგის ერეკლეს დასასჯელად და საქართველოს გასაოხრებლად თვალუწვდენელ ჯარებით წამოვიდა.

მაჰმადის მოწინავე ჯარი, რომელიც ერევნის ასაღებად მოვიდა ფეტი-ალი-ხანის წინამძღოლობით, ერეკლემ დაამარცხა

*) ტახტის დასაპყრობად იგი 18 წელიწადს იბრძოდა. ბოლოს წადილი აღუსრულდა და გახდა მფლობელად ირანისტანისა. აღა-მაჰმადი იყო მოკლე და გამხდარი ტანისა, ერთის შეხედვით 14-15 წ. ყრმასა ჰგავდა. წვერ-ულვაში სრულიად არა ჰქონდა. შეჭმუხვნილი და მრისხანე მისი პირის სახე შესაზარი იჟო კაცისათვის და საგრძნობელი. ყმაწვილობაში ნადირისაგან საჭურის ქმნილი, დიდობი-

და განდევნა. ეს რომ გაიგო ყარაბაღისკენ მიმავალმა შაჰმა, აჩქარებით გამოემგზავრა ერეკლეზე, რომელმაც იგრძნო თავისი საშიშარი მდგომარეობა, გამობრუნდა უკან და წითელ-ხიდზე დადგა. იმერეთის მეფეს სთხოვა შემწეობა და შვილებს უბრძანა მოშველება. მაგრამ მხოლოდ სოლომონმა მოაწოდა მეფეს 5,000 კაცი, თორემ შვილები არსად იყვნენ, გარდა ვახთანგისა და შვილის-შვილის დავითისა (გიორგის ძის). ამასობაში აღა-მაჰმადიც მოახლოვდა. ერეკლე ვერ შეებრძოლა მტერს და სატახტო ქალაქის გასამაგრებლად და დასაცველად საჩქაროდ წამოვიდა თბილისში, რომელსაც 10 სეკტემბერს 1795 წ. მოადგა გაშმაგებული აღა.

ერეკლე მამაცურად დაუხვდა მტერს და პირველი ბრძოლა (ერევნის გზაზე) შესწყდა სპარსელების დამარცხებით. მეორე დღეს უფრო გაბოროტებით და მთელი ჯარით მაჰმადი დაეცა ქალაქს და აიღო ისა. ერეკლემ ძლივ-ძლივობით მოასწრო ავლაბრის ხიდიდამ გასვლა და ანანურისკენ გაქცევა. მას გაედევნა მეფის ძე დავითიც. დედოფალი დარია თავის შვი= ლებით და თბილისის მოქალაქენი წინათვე გასულიყვნენ ქალაქიდგან; ერეკლესთან წინააღმდეგ სპარსელთა იბრძოდნენ მხოლოდ 1,500 ერთგულნი ყმანი.

მეფე სოლომონიც თავის გაქცეულს ჯარს გაედევნა და გზა-გზა რბევა დაუწყო ქართლსა. მეფის ძენი მიიმალნენ და არც ერთმა, როგორც ვსთქვით, შემწეობა არ აღმოუჩინა თავის

სას მტრად გაუხდა მთელს კაცობრიობას, რომლის ერთ კუბოში მოქცევა და თავის ფერხთ ქვეშ თელვა ენატრებოდა; მოწყალებას, კაცთ-

მოყვარებას და სხვ. სათნოებასა ადგილი არა ჰქონდა მაჰმადის გულში, პირიქით მასში ბუდობდა სიმძულვარე, სიბოროტე და ყოველგვარი უღმერთო სასჯელი კაცთათვის.

– 227 –

მოხუცებულს და ჭაღარა მამას, *) გარდა ვახთანგისა, რომელიც სამასი არაგველით დუშეთიდამ ჩამოვიდა თბილისს. ამ დასტამ შეჰფიცა მეფეს და ერთიც აღარ გამოვიდა ცოცხალი ომიდამ: კრწანისის ბაღებთან დაიხოცნენ (ა. ვ. ორბელიანი.).

სპარსელნი შევიდნენ თბილისში. მიტროპოლიტი დოსითეოზი მთელი კრებულით ჩაიკეტა სიონის სობოროში. მაგრამ სპარსელთ გამოამტვრიეს კარები, შევიდნენ ტაძარში, დაჰსწვეს საკურთხეველი, სცემეს ღვდლებს და, თვით მოხუცებული მიტროპოლიტი სობოროს ბაღიდამ გადისროლეს მტკვარში. მთელი ქალაქი და მშვენიერი სასახლე როსტომისა გადასწვეს. არც სიყრმე, არც მოხუცებულობა ალმობიერებდნენ გაშმაგებულს მაჰმადს. ქრისტიანთ სისხლი რუებრ დიოდა თბილისის ქუნებზე. 11 ენკენისთვიდამ მოკიდებული 17-მდე გაგრძელდა აოხრება ქალაქისა და თითქმის არც ერთი შენობა არ დარჩა დაუზიანებელი. აბანოებიც კი, თავის ბანების შემდეგ, დააქცევინა. ავლაბარი და ავლაბრის ხიდი გადასწვა.

მცხეთაც გადასწვეს. ცეცხლის წაკიდება უნდოდათ მცხეთის სვეტი-ცხოველის ტაძრისათვის, მაგრამ ჯარის უფროსმა ნახიჩევნის ხანმა დაუშალათ. მხოლოდ ტაძარი სრულიად გა-

*) ჯერ წითელ-ხიდიდამ ერეკლემ რომ აჩქარებით მოშველება შეუთვალა გიორგის, ამან აინუწშიაც არ მიიღო მამის თხოვნა და სიღნაღში გამაგრდა. როცა თბილისის აღება გაიგო გიორგიმ, დააპირა გაქცევა, მაგრამ ხალხი შეიყარა და მაღლა ხმით უთხრა მას: „გასაქცევად არ გაგიშვებთო. ჩვენი ზაქებით, ცხვრებით იკვებებოდი, ახლა ჩვენთან ერთად თავი შეაკალ როცა ჩვენ თავებს დაგვჭრიან, დეე შენც მოგჭრან.“ მის კარებზე ყარაული დააყენეს, რომ არ გაქცეულიყო. მაგრამ მან მოისყიდა ყარაულები და ცალაპერანგა თელავში გაიქცა.

– 228 –

ცარცვეს. მიაგნეს ტაძრის სამალავის კარებსაც, რომელიც ბერებს სიჩქარისა და შიშისაგამო ღია დარჩომოდათ და წაიღეს ყოველივე, რაც შიგ იპოვეს.

ასრე ულმობელად და მხეცურად მოექცა შაჰი ერეკლეს, რომელიც ერთ დროს თამაზ-ყული-ხანის (ნადირის) სპასალარი იყო და აღა-მაჰმადი კი იმავე დროს ნადირისაგან საჭურის ქმნილი და მისი შინა ყმა. ბოლოს მაჰმადმა გული შეიჯერა და სპარსეთისკენ გაემგზავრა, მაგრამ გზაზედ მოკლულ იქმნა (თავისივე მონისაგან) და ტახტი დარჩა ფეტალი-შაჰს ანუ ფათალი-შაჰს.

ამ ნაირად რომ გაოხრდა საქართველო და დასუსტდა ერეკლე, მაშინ რუსეთიდამ ჯარებით გამოგზავნა (ეკატერი-

ნე II-მ) ვალერიანი ზუბოგი, რომელმაც 1796 წ. წაართვა სპარსელთ დერბენდი, შამახია, ხალიანი და განჯა. რასაკვირველია ერეკლეც მას ჰშველოდა და მხარს აძლევდა.

საუბედუროდ ამის შემდეგ დიდ-ხანს აღარ უცოცხლნია ამ შესანიშნავს გმირს ერეკლეს (სულთანი მას ლომად ჰხადიდა, ფრიდერიკ დიდს პრუსიისას მხნეობის და ვაჟკაცობის მაგალითად ჰყვანდა და თვით ქართველნი მას უდრიდნენ მთელს კახეთს და „პატარა კახს“ უწოდებდნენ *), რომელმაც თავის მკლავის ძლიერება აგრძნობინა ინდოსტანს, სპარსეთს. ოსმალეთს და ლეკეთს. მისგან ძრწოდნენ მძლავრნი მფლობელები და მისი

---

*) აჰა ივერის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარი კახი, მეფე ერეკლე!
წარბ-შეჭმუხვნილი, ხმალ-ხელ მოწვდენით,
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!

მეგობრობა იამებოდათ. სამი უკანასკნელი წელიწადი გაატარა გმირმა თელავში, თუმცა მაინც არ შეუწყვეტია ბრძოლა სპარსელებთან, ლეკებთან და ოსმალებთან. ბოლოს 11 იანვარს 1798 წელს თელავში აღესრულა მეფე ერეკლე II, 84 წ. მოხუცი.

მეფის ერეგლეს გვამი დიდის ამბით და დიდებით წაასვენეს და დაასაფლავეს მცხეთის ტაძარში.

ერეკლეს დარჩნენ ძენი: გიორგი (მეორე ცოლისაგან), იულონი, ალმასხანი (ვახთანგი), თეიმურაზი (ანტონი), მირიანი, ალექსანდრე და ლუარსაბი (ესენი მესამე ცოლის დარეჯანისაგან იყვნენ), ასულნი: მარიამი, თამარ, ელენე, ქეთევანი, ანასტასია და ხორეშანი; ვახთანგი (პირველი ცოლისაგან) გარდაეცვალა. *)

სიკვდილის წინად დარეჯანმა ერეკლეს მეფობის წესი შეაცვლევინა: ამიერიდგან „ანდერძისა ძალითა ნამდვილ-ხელმოწერილითა მეფისა ერეკლესაგან, ოთხის დღისა წინათ სიკვდილისა, თხოვისა მებრ დედოფლისა, ჯერ იყო რათა ემეფა პირველად პირმშოსა ძესა გიორგის, შემდეგ ძმასა მისსა იულონს, შემდეგ მირიანს, მერეთ ვახთანგს, ალექსანდრეს და ფარნაოზს. შემდგომად ფარნაოზისა მეფობითი უფლება გარდავიდოდა მეფის გიორგის შვილზედ დავითზედ, მერედ იოანეზედ, ბაგრატზედ და სხვ. შემდეგ ამათისა მოვიდოდა ჯე-

---

*) ერეგლეს ჰყვანდა კიდეგ ერთი ძე – ლევანი, მეფის ერთად ერთი იმედი. ერეკლემ ამას ჩააბარა დიდ-ვაჟკაცობისათვის თავის ბაი-
რაღი და ორი ათასი გამოჩენილი მხედარნი. ლევანის რჩევით ერეკლემ დაადგინა მორიგის ჯარი (ბუტკოვის წერილებიდამ), თქმულობა არის, რომ, ვითომც, ლევანი მოსწამლა მისმა მეუღლემ (ალ. ვ – ძე ორბელიანი.)

რი მეფობისა იულონის შვილზედ და შვილთა ზედა შემდგომ-
თა მისთა ძმათა და სხვ.“ (ცხოვრება მეფის გიორგი XII-სა).

ამ წესის ძალით დარეჯანს იმედი ჰქონდა, რომ მალე
გარდაიცვლებოდა დასნეულებული და მუდამ ავადმყოფი გი-
ორგი და მეფობა იულონს დარჩებოდა. მაგრამ წადილი არ
აღუხდა.

ერეკლესავე სიცოცხლეში ახალმა წესმა სამეფო გვარში
ჩამოაგდო ერთი ალიაქოთი და დავიდარაბა. ყველანი ერთმა-
ნეთზე უკმაყოფილოდ იყვნენ და ტახტისათვის ჩხუბობდნენ.
გიორგი XIII რომ გამეფდა, რუსების დახმარებით თავის შემდეგ
ტახტის მემკვიდრედ დანიშნა უფროსი შვილი თვისი დავით.
„მაგრამ თვესა მეოთხესა შემდგომად გამეფებისა (გიორგისა)
მოხდა ამბოხი ძმათაგან მეფისა გიორგისა მეორისა დედიდან.
იულონ, გამეფებული ქართლსა, აღიარებდა უფლებასა თვისა
მეფობისა ტახტისათვის, ანდერძის გამო მეფისა ერეკლესი;
ვახთანგი ანუ ალმასხან, არაგვისა გამგე, ჰგონებდა თავსა
თვისსა არა დამოკიდებულად მეფისაგან, ვითარცა ბატონი და
ერისთავი ძველთა წესთა არაგვსა; მირიან გაბატონდა მარტ-
ყოფსა და ფარნაოზი სურამსა. ალექსანდრე ივლტოდა სპარ-
სეთსა და შეევედრა ყეენსა, რეცა მტერი რუსეთისა (ცხოვ.
მეფის გიორგი XIII-სა).

გიორგიმ რომ იგრძნო საშიშარი მდგომარეობა თვისი
და თვის სამეფოსი, უმდაბლესად სთხოვა რუსეთის იმპერა-
ტორს პავლე I-ს, რომ საქართველო მიეღო თვის ქვეშევრდო-
მობაში და შეეკრა (1799 წ. 23 ნოემბერს) შემდეგის ტრაქ-
ტატით:

1. მისი დიდებულება იმპერატორი ყოვლისა რუსეთისა მი-
იღებს ტიტულს „მეფე საქართველოისა“ და შემდეგნი მისნი
მემკვიდრენი.

2. ძე მეფისა გიორგისა დავით ტიტულსა «განმგე საქარ-
თველოისა» და გარდავალს ესე შთამომავლობითა პირმშოდამ
პირმშომდის.

3. საქართველოისა ერი და მუნ მსახლობელნი 12 წლი-
სა განგრძოსა, არ გაიღებენ არა რა ხარჯსა, რათა დაეწყვნენ
თვისსა მდგომარეობასა შემდეგ ესოდენთა ბრძოლათა. განმგე
საქართველოისა მიიღებს რუსეთიდამ 12 წელსა მისთვის და
სამეფოსა სახლისა წესთათვის 20,000 თუმანს (200,000
მანეთს.)

4. მადანი ოქროისა და ვერცხლისა ახტალას და მისხანს
(მიშხანს), შევა რუსთა განგებაში და იმითი აივსება ზემო-
თქმული ჯამი ფულისა.

5. 6,000 რუსისა ქვევითა ჯარი სრულის კომპლეტი-
თა იდგება საქართველოში. ქართველნი გამოვლენ ცხენოსნად

ამა ქვეითისა ჯარისათვის.

6. ქართველნი მოაგროვებენ ჯარსა ესოდენსა, რაოდენიც საჭირო იქნების დასაცველად სამზღვრებისა.

7. რუსნი წარგზავნიან ინჟინერთა თვისთა აღსაშენებლად და განსაახლებლად ციხეთა მათ ადგილთა ზედა, სადაცა დაინახება საჭიროდ.

8. ფულსა მოჭრილსა თბილისში, ექმნება ერთსა მხარეს ღერბი რუსეთისა და მეორეს საქართველოისა.

9. საზრდო რუსეთისა ჯარისათვის მიიყიდება იმავე ფასითა, რომელიცა იქმნება დანიშნული ადგილობრივთა მცხოვრებთათვის.

10. როდესაც მოხდება აღწერა ხალხისა უნდა იქმნას კომლეულად და არა თვითო სულად. რუსეთისა მხრით როს-

ტოფჩინი ღრაფი. საქართველოისა მხრით ავალოვი, ფალავანდოვი (ცხოვ. მეფის გიორგი XIII-სა); ამ ნაირ ხელშეკრულობის შემდეგ გიორგიმ იცოცხლა კიდევ ერთი წელიწადი. მას გაუჩნდა წყალმანკი და ქრისტეშობისთვის 28 დღესა 11 საათზე დილით განუტევა სული თვისი. *)

შემდეგ ამისა 14 თებერვალს 1801 წელს მოვიდა რუსეთით რესკრიპტი იმპერატორისა პავლესი, მომართული ქართველთა ხალხისადმი, რომლითაც საქართველო აღიარა «შეერთებისა ზე სამეფოსა ქართლოსისა საუკუნოებითა დროთა, მპყრობელობასა ჩვენსა... ახალნი ყმანი ჩვენნი და შემდგომნი ძენი მათნი დაცულ იქნებიან შეურეველითა დარწმუნებითა ჩვენთა და მოსაყდრეთა ჩვენთაგან... გამოცხადდა სანკტპეტერბურღსა შინა წელსა 1801 იანვრის 18 დღესა. წელს მეფობისა ჩვენისა 5, დიდისა მაგისტრებისა ჩვენისა წელსა 3.»

ესე იმპერატორი პავლე ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა (11 მარტსა 1801 წელსა) და აღვიდა ტახტსა ზედა როსიისა ალექსანდრე I, რომელმაც ახალის თვისის მანიფესტით (მიცემულით საყდროსანსა ქ. მოსკოვს, სეკტენბრის 12 დღესა 1801 წელსა) აგრეთვე აღიარა საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობაში.

გიორგის დარჩნენ ძენი: დავითი, იოანე, ბაგრატი, თეიმურაზი, **) მიხეილი, ჯიბრაილი, ილია, ოქროპირი და ერე-

---

*) გიორგი XIII-ით 1800 წ. დასრულდა მეფობა ბაგრატიდებისა ანუ ბაგრატიონებისა. იმეფეს 586 წ. – 1800-მდე, ესე იგი 1,214 წ.

**) ამ განათლებულ მეფის ძისაგინ დაგვრჩა „ისტორია დაწყებიდგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა.“ შრომა შეადგენს მოზრდილ ტომს (298 გვ.)

კლე; ქალები: ბარბარე, სოფიო, ნინა, რიფსიმე, გაიანე, თამარი და ანნა. გვამი მეფისა დაასაფლავეს მცხეთის სობო-

როში.

XI.

ქართლ-კახეთის მმართველნი კნორინგი და კოვალენსკი. – ციციანოვი. – სამეფო ოჯახების რუსეთში გადასახლება. – განსჯის და სამუხის აღება. – იმერეთის, სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის რუსეთთან შეერთება. – რუსეთის ქვეშევრდომობაში შედის შურაგვლის სასულთნო, ყარაბაღის, შექის, შირვნის სახანოები. – ციციანოვის სიკვდილი. – 1829 წ. ზავი რუს-ოსმალთ შორის. – პასკევიჩი. – შამილი. – ვორონცოვი. – თ. ბარიათინსკი. – შამილი ტყვეობაში. – დაპყრობა ყუბანის ოლქისა. –1863 წ. საქართველოს სარდლად (ნამესტნიკად) ინიშნება მიხეილ ნიკოლოოზის ძე.

გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგი პირველი წლები საქართველოს ცხროვრებისა წარმოგვიდგენენ საშინელს არეულობას ანუ, ასრე ვსთქვათ, ანარხიას. ერეკლეს ძენი ჯერ ებრძვიან გიორგის ძეს დავითს და სცდილობენ, რომ მის მაგიერ გაამეფონ იულონი, მემრე რომ აღარც დავითს ტახტი, ერგო მოქმედებენ წინააღმდეგ ახალის მართებლობისა.. ხალხი ვერ ურიგდება და ვერ ეწყობა უფრო რუსის ახალ წესდებას და კანონებს; მეტადრე გაუჭირდა ხალხს მაშინ, როდესაც კნორინგის შემდეგ საქართველოს მმართველად დანიშნულ იქმნა კოვალენსკი, რომელიც ვერ დაიკვეხებდა თავის სიმართლით და უანგარობით. ჩვენ ხალხს უფრო ის აბრაზებდა და მოთმინებიდან გამოჰყავდა,

რომ მაშინდელი რუსები იქცეოდნენ წინააღმდეგ მკვიდრთა მოსახლეთა ზნე-ჩვეულებისა *). ამ ნაირ მოქმედებით ააღელვეს ხალხი, რომლის მოთავედ გახდნენ ამ დროს მეფის ძენი და სხვ. პირნი... 1802 წ. მთავარ – სარდლად დანიშნეს პავლე დიმიტრის-ძე ციცი შვილი (ციციანოვი), ჩამომავლობით ქართველი, მაგრამ აღზრდილი რუსეთში, მეტად მხნე და გამბედავი კაცი.

ჩამოვიდა თუ არა საქართველოში, მან ნება გამოსთხოვა იმპერატორს ალექსანდრე I-ს, რომ ყველა სამეფო გვარის წევრნი დაიჭიროს და რუსეთში გადაასახლოს. «უამისოდ რუსის მმართებლობა აქ ჯერეთ გაძნელდებაო» სწერდა იმპერატორს და «აქ მშვიდობიანობა არ დამყარდებაო.» შემდეგ ბეჯითად შეუდგა თავის განზრახვის სისრულეში მოყვანას.

პირველად მან ყურადღება მიაპყრო „ყველაზე უცბიერესს" ვახთანგ ერეკლეს ძეს, რომელიც ხელთ იგდო და ტახტის მემკვიდრესთან დავითთან ერთად გაისტუმრა რუსეთში. შემდეგ ციციშვილმა ღენერალს ლაზარევს უბრძანა დაეჭირა დედოფალი მარიამ (მეორე მეუღლე გიორგისა), ღენერალს ტუჩკოვს კი – მეფის ძე ბაგრატი. დედოფალი რუსის მმართვე-

ლობის ბრძანებით აქამდის სცხოვრებდა თბილისში და იქიდგან გასვლის ნება არა ჰქონდა. ეხლაც მან გამოაცხადა, რომ ცოცხალი არ განშორდება სამშობლოს. ბაგრატიც გავარდნილი იყო და ხალხს აღელვებდა. ტუჩკოვს ბაგრატი თვითონვე დანებდა.

19 აპრილს დილის 6-ს საათზე ლაზარევი შევიდა დედოფლის სასახლეში, და გამოუცხადა მიზეზი მასთან

*) იხ. მოგზაურობა ვლადიკინისა, გვ. 26.

მოსვლისა. დედოფალმა ცივად მიიღო იგი და წასვლაზე უარი განუცხადა. როცა კი ძალად წაყვანა მოინდომეს, მარიამმა სასიკვდილოდ დასჭრა ლაზარევი და წააქცია. მაშინვე დედოფალი და მისი ძე ჯიბრაილი, დაჭერილ იქმნენ და იმავე დღეს მცხეთაში წაყვანილ. აქ ღენერალი ტუჩკოვი ბაგრატით უცდიდა მათ. ტუჩკოვმა ყველანი წაასხა ვლადიკავკაზს, გზაზედ (დარიელის ყელში) თუმცა დედოფლის განსათავისუფლებლად 1,000 მ. მოსყიდულნი თაღაურელნი დაეცნენ, მაგრამ რუსებმა განფანტეს იგინი და ტუჩკოვმა ჩაიყვანა გლადიკავგაზს. *)

ამნაირად ნელა-ნელა ყველა სამეფო გვარის წევრნი გადასახლებულ იქმნენ რუსეთში. ზოგი ერთმა კი წინათვე მოასწრო და სპარსეთში გაიქცა, სხვათა შორის, ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები და სხვ.

როცა ციციანოვმა ყველა შინაური მოწინააღმდეგენი გაისტუმრა რუსეთში, ახლა შეუდგა ბრძოლას ლეკებთან და სხვა სახანოებთან, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნენ საქართველოს.

ჭარ-ბელაქნელებზე გაამხედრა ღენერალი გულიაკოვი, რომელმაც მალე დაიპრო ეს ქვეყანა, ხარჯი დაადო და რუსეთის ქვეშევრდომობაში შეიყვანა.

*) რუსეთში რომ მიიყვანეს ესენი, დედოფალი დაამწყვდიეს ვორონეჟის ბელგოროდის მონასტერში. თუმცა მრავალჯერ ამტკიცებდა დედოფალი მარიამ, რომ მას არ მოეკლა ლაზარევი, მაგრამ მაინც 7 წელიწადი მონასტერში განატარებინეს (მარიამი გარდაიცვალა მოსკოვში 1850 წ., დასაფლავებულია მცხეთის სობოროში).

თვითონ ციციანოვი კი მიადგა განჯის სახანოს, რომლის გამგებლად იმ დროს იყო ჯავათ-ხანი, სწორეთ ის, რომელიც აღა-მაჰმადთან ერთად აოხრებდა თბილისსა. ჯავათი გამაგრდა განჯაში, რომელიც შემდეგ მწარე ბრძოლისა აღებულ იქმნა. მრავალი ხალხი რუსებმა დახოცეს, ჯავათი მოკლულ, მისი ჯალაბობა დატყვევებულ იქმნენ. ციციანოვმა 900 მ. უბოძა ხანის ჯალაბობას, აგრეთვე 30 თაღარი (ერთი თაღარი 30 ჩანახია) ხორბალი, 20 თაღარი ბრინჯი და 20 თ. ფეტვი. შემდეგ იმპერატორმა ალექსანდრემ ციციანოვის

თხოვნით განჯას ელიზავეტოპოლი დაარქვა.

განჯის აღების შემდეგ ციციანოვმა ჯავათ-ხანის ხელ-ქვეით მყოფ სამუხის ხანს მისწერა ზარ დამცემი წერილი და უბრძანებდა ეხლავე გამომიცხადდი და დაგვმორჩილდი, თო-რემ „ვერც მიწაზე დამემალები, ვერც წყალშიო, ყველგან მე შენ გიპოვნიო.“ სამუხის ხანი შერიფ-ბეგი მაშინათვე გამოე-ცხადა და რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო.

მაშინ, როდესაც ციციანოვი ებრძოდა საქართველოს მტრებს, იმერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარი ებრძოდნენ ურთი-ერთს და აოხრებდნენ ქვეყნებს. ეს საუკუნოებით და-წყებული ბრძოლა ჯერაც არ დასრულებულიყო.

პირველად სამეგრელოს მთავარმა გრიგოლმა მიჰმართა ციციანოვს: „თუ რუსეთის ქვეშევრდომობაში არ მიმიღებთო, მაშინ ოსმალეთს მივმართავთო. მხოლოდ დადიანობა მუდამ ჩვენ გვარს უნდა დარჩესო». ციციანოვი დასთანხმდა ამ პირო-ბაზე და სამეგრელო აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობაში (2 დეკემბერს 1802 წ.)

ამის შემდეგ სოლომონ II მაინც ეხსნებოდა სამე-

გრელო.ს და არ ხრებდა ლენხუმს და ცხენის - წელის ხრე–მარეს,

რუსეთის იმპერატორმა მასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა „კოლლეჟსკი სოვეტნიკი“ სოკოლოვი, მაგრამ მეფემ მას გადაწყვეტილი სიტყვა არ მისცა და ისე გაისტუმრა.

ამის შემდეგ როცა გაუჭირდა მეფე სოლომონს, იძუ-ლებულ შეიქმნა მოეთხოვა იმპერატორის ქვეშევრდომობა 25 აპრილს 1804 წ. ფიცით აღიარა თვისი ქვეშევრდომობა 25 მაისს 1804 წ. ლიტვინოვი ჯარებით დადგა ქუთაისში. იმა-ვე წელს იმპერატორის ბრძანებით ყირიმით მოვიდა ბელევის პოლკი არტილერიით. ზოგი მათგან დადგა რედუთ-ქალეში აწ (ყულევი); ერთი ბატალიონი ოდიშში, ერთიც ხონში, მდ. ცხენის-წყალზე, იმერეთის მხარეს და ერთიც ლე-ჩხუმში.

სოლომონ II და გრიგოლ დადიანი 20 ივლისს 1805 წ. შერიგდნენ. მეფე სოლომონი კიდეც დაუნათესავდა გრიგოლს, შემდეგ დაიწყო შენება თავის ქვეყნისა. მიაქცია ყურად-ღება ხალხის ზნე-ჩვეულებას, ქუთაისში დააარსა: ტიპოგრაფია და იმაში აღბეჭდა სახარება, სამოციქულო, დავითნი და სხვ., დააარსა სკოლები. ამასთანავე მეფემ განიზრახა განეთა-ვისუფლებინა იმერეთის სამეფო. ამიტომ მიჰმართა სულთანს და შემწეობა სთხოვა, აგრეთვე გრიგოლ დადიანს მოსთხო-ვა ერთად ბრძოლა რუსების წინააღმდეგ, მაგრამ გრიგოლმა არ უღალატა იმპერატორს და ფიცი მტკიცედ შეინახა. შემდეგ ამისა უეცრად გრიგოლ მოკვდა. 10 წლის ლევანი (ძე გრიგოლ დადიანისა) მძევლად იყო აფხაზეთის მთა-ვართან ქელიშ-ბეგთან. ციციანოვის ბრძანებით ქელიშმა გაა-

ნათავისუფლა ლევანი, რომლის მცირე წლოვანობის გამო სა-
მეგრელოს მმართველად დაინიშნა დედა მისი.

შემდეგ ამისა ძლევა-მოსილის რუსის ჯარის შიშისაგამო
შურაგელის სასულთნო, ყარაბაღის, შექის, შირვნის სახა-
ნოები, აგრეთვე გურია სისხლის დაუღვრელად და თავის ნე-
ბით შევიდნენ რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაში.

ამასობაში ციციანოვმა განიზრახა ბაქოს დაპყრობაც.
1806 წ. ციციანოვი მცირე ჯარით მიადგა ბაქოსა; რომლის
ხანმა უსეინ-ყულიმ გამოუცხადა მას მორჩილება. 8 თებერვალს
1806 წ. ციციანოვი 200 კაცით მივიდა ბაქოს კარებთან.
ხანი ქალაქის კლიტეებით გამოეგება მას და კლიტეების მი-
წვდის დროს, მოჰკლა ციციანოვი.

შემდეგ ამისა ბატონიშვილის ალექსანდრეს დახმარებით
სპარსელთ დაუწყეს ბრძოლა რუსებს, მაგრამ ეს ბრძოლა გათავდა
რუსების სასარგებლოდ. 12 ოკტომბერს 1813 წ. სპარსელთ
შეჰკრეს რუსებთან ზავი, რომლის ძალითაც სამუდამოდ ხელი
აიღეს ყარაბაღის, განჯის, შექის, შირვნის, დერბენდის, ყუ-
ბის, ბაგოს და ტალიშინის სახანოებზე, აგრეთვე დაღისტან-
ზე, ქართლ-კახეთზე, იმერეთზე, სამეგრელოზე, და აფხა-
ზეთზე.

მარტო. ოსმალნი-ღა დარჩნენ რუსების შემცილებელნი.
მათ ეჭირათ მთელი საათაბეგო, აჭარა-ლაზისტანი და ფოთი.
და რადგანაც ომი ჰქონდათ რუსებთან, გადიბირეს სოლომონ
მეფე, რომელმაც საიდუმლოდ მათი მხარე დაიჭირა ეს შეუ-
ტყო რუსის მთავრობამ და სოლომონი დიდის პატივთ
ტფილისში მიიწვია; მაგრამ თბილისიდამ 1810 წ. გაიქცა
ოსმალეთში და იქვე 1815 წ. გარდაიცვალა. დასაფლავებულია
ტრაპიზონში.

ბრძოლა ოსმალებთან გათავდა 1829 წ. ამ დროს საქარ-
თველოს მთავარ-მართველად იყო ჭელდმარშალი ღენერალი
გრაფი პასკევიჩი. ამ წელს (1829) ადრიანოპოლში შეკრული
ტრაკტატით ოსმალთ დაუთმეს რუსებს: ახალ-ციხის და
ახალ-ქალაქის მხარეები (საათაბაგო) და აგრეთვე ფოთი, ამა-
სთანავე სამუდამოდ ხელი აიღეს საქართველოზე და იმერეთზე.

გრაფის პასკევიჩის შემდეგ (1831 წ. – 1844 წ.) სა-
ქართველოს და ამიერ კავკასიის მთავარ-მართებელად იყვნენ
ღენერლები: ბარონ როზენი, გოლოვინი და ნეიჰდჰარტი.

1844 წ. საქართველოს ნამესტნიკად დაინიშნა ბრწყინ-
ვალე თავადი ვორონცოვი.

ვორონცოვმა ლეკებთან ბრძოლას ჯერ-ჯერობით თავი
დაანება და დაიწყო ციხე-სიმაგრეების შენება იმ ადგილებში,
რომელნიც ეჭირათ რუსებსა, აგრეთვე გააკაფვინა დაღისტნის
ტყეები, რომლებშიაც იმალებოდნენ ლეკები და გაიყ-
ვანა გზები, რომ ჯარს შესძლებოდა სიარული იმის-

თანა მთიან და ოღრო-ჩოღრო ადგილებში, როგორიც არის დაღისტანი (მთიანი). აგრეთვე მთელ დაღისტნის მიჯნებზე დაასახლა რუსის ხალხი. ამ ნაირად ვორონცოვმა სრულიად დაამზადა დაპყრობა შამილის საიმამოსი.

ვორონცოვის შემდეგ კავკასიაში დაინიშნენ ნამესტნიკე-ბად ჯერეთ განთქმული ღენერალი მურავიოვი, რომელიც იყო ცოტა ხანს და მემრედ კნიაზი ბარიათინსკი, რომელიც თავის მოწინავის ვორონცოვის გზას დაადგა. ამანაც გადააჭრე-ვინა ტყეები და გააკეთებინა გზები. ბოლოს 1858 წ. ბა-რიათინსკი მზათ იყო ლეკებზე იერიშით მისასვლელად. შამილის და მთის სამეფოს უკანასკნელმა ჟამმა დაჰკრა. ყოველის მხრით ბარიათინსკი შემოერტყა დაღისტანსა და იერიშით მივიდა შა-

მილის უმთავრეს ცახე ვედენოსკენ. იმამი თავის ჯარებით გაცოფებული ვარდებოდა აქეთ-იქით და ებრძოდა რუსეთის ჯარს, მაგრამ ამაოდ: რუსებმა აიღეს ვედენო. შამილი კი 400 მიურიდით (მოწაფით) გაიქცა შუა დაღისტანში და გა-მაგრდა გუნიბში *). რესებმა დაიპყრეს მთელი დაღისტანი და მოადგნენ გუნიბსა. ბარიათინსკიმ სთხოვა უბრძოლველად დამორჩილება; შამილმა, როცა ნახა ვეღარას გაიტანდა, დამორ-ჩილდა სარდალსა 25 აგვისტოს 1859 წ. შამილი წაიყვანეს რუსეთში ქ. კალუგაში.

ამის შემდეგ დამორჩილდნენ რუსებს ყველა ხალხები კავკასიისა: ჩერქეზნი, ბჟედუხნი, ნატუხაველნი და სხ. ხოლო ოსნი, ყაბარდოელნი, სვანნი თვითონვე უბრძოლველად სა-ქართველოსთან ერთად ადრევე შეერთებულნი იყვნენ რუსეთთან.

ამას შემდგომად უკანასკნელი მთავარი აფხაზეთისა მი-ხეილი შარვაშიძე გარდასახლებულ იქმნა რუსეთში (ვორო-ნეჟში) და იქვე 1866 წ· გარდაიცვალა და აფხაზეთშიაც დაწე-სდა რუსეთის მართებლობა.

1863 წ. საქართველოს ნამესტნიკად დაინიშნა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომლის მმართველობის დროს 1865 მოისპო ბატონ-ყმობა საქართველოში, გაკეთდა რკინის გზა შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, დაარსდენ მრავალნი სასწავლებელნი, დაწესებულებანი და მისივე წინამძღოლობით რუსეთის ძლევა მოსილის ჯარი-საგან დაპყრობილ იქმნა საათაბაგოს ნაწილები, აჭარა, ლაზის-ტანის აქეთი მხარე ანუ ბათუმის და ყარსის ოლქები (1878 წ.).

---

*) გუნიბი ჰქვიან შაქრის თავის მზგავს მთას, რომლის გარეშე-მო 60 ვერსია. ამ მთის წვერზე შამილმა ააშენა ციხე და ზარბაზნებით გაამაგრა. გუნიბს ერთი ბილიკის მეტი გზა არსაიდამა ჰქონდა.

შინაარსი:

1, მიფიური ნაწილი . . . . 1 – 6
2, სამეფოს დაარსება . . . . 6 – 7
3, გეოგრაფიული აღწერა სქართველოისა . 8 – 12
4, საქართ. ფარნაოზის სიკვდ. შემდეგ
რომაელების შემოსევამდე . . . 12 – 15
5, რომაელების ომისანობის დრო საქარ-
თველოში . . . . . 15 – 19
6, ადერკის მეფობა . . . . 19 – 21
7, ორ-გამგეობა საქართველოში . . 21 – 23
8, 129 წ. – 265 წლამდე . . . 23 – 25
9, სასანიდების მეფობა საქართველოში . 29 – 38
10, მეფობა ვახთანგ გორგასლისა . . 38 – 46
11, 500 წ. 583 წლამდე . . . . 46 – 54
12, მეფობა გურამისა, სტეფანოზისი, არაბნი 54 – 76
13, გაძლიერება საქართველოსი: მეფობა
გიორგი I-სა, ბაგრატ მე IV-სა,
გიორგი II, დავით II, დიმიტრი I
და გიორგი III-სა . . . . 76 – 105
14, თამარ მეფე . . . . 105 – 125
15, ლაშა გიორგი IV და რუსუდანი . . 125 – 133
16, დავით ნარინი აა დავით სოსლანი . 133 – 136
17, დიმიტრი თავდადებული . . 136 – 140
18, სხვა და სხვა მეფენი . . . 140 – 145
19, გიორგი ბრწყინვალე . . . 145 – 148
20, სხვა და სხვა მეფენი . . . 149 – 153
21, საქართველოს განაწილება. I. . . 153 – 158
22, სხვა და სხვა მეფენი ქართლში, კა-
ხეთში და იმერეთში. II . . . 158 – 164

– II –

23, სიმონ I, დაუთ-ხანი, კოსტანტინე
მამის და ძმის მკვლელი და სხ. III . 164 – 172
24, ლუარსაბი II, თეიმურაზ I, გიორგი
სააკაძე, აბაზ I, ქეთევანი და სხ. IV . 173 – 178
25, გაგრძელება იმავე ისტორიისა, აბაზ II . 179 – 187
26, ვახთანგი V, არჩილი, ერეკლე I და
სხ. VI . . . . . 187 - 196
27, არჩილის სიკვდილი, ალექსანდრე IV
დახრჩობა, არეულობა იმერეთში, ვახ-
თანგ VI და სხ. VII . . . . 196 – 207
28, შაჰი თამაზი, რუსები იპყრობენ კას-
პიის ზღვის ნაპირებს, ვახთანგი VI
რუსეთში, სპარსთა და ოსმალთ ზავი,
ერეკლე II და თვიმურას II. VIII . . 208 – 216
29, არეულობა სპარსეთში, ერევნის, გან-
ჯის და სხ. ხანების დამორჩილება ერე-
კლესაგან, ერეკლე მეფე ქართლ-კახე-
თისა. IX . . . . . 216 – 221

30, ერეკლე აშენებს ქვეყანას, ანტონი I
და სხ., სოლომონი I ითხოვს მფარ-
ველობას, ლეკნი, სოლომონ II აღა
შაჰმად ხანი, აოხრება თბილისისა,
ერეკლეს სიკვდილი, გიორგი XIII, იმ-
პერატორების პავლე I და ალექსანდრე
I მანიფესტები. X . . . . 221 – 233
31, ამიერ და იმიერ კავკასიაში მკვიდრდე-
ბიან რუსები. XI . . . . 233 – 240

უმთავრესი ბეჭდვის შეცდომანი.

გვერდ.	სტრიქ.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს:
5		იაზონი	აზონი
17	8 ქვ.	საქართველოისა	საქართველო
45	15 ზევ.	შუა ბრძოლა დღემდის	შუა დღემდის ბრ-ძოლა
62	12 ზევ.	დუშეთი	თუშეთი
80	– –	გიორგი II	გიორგი I
81	6 –	ვასილ	ვასილს
85	12 –	თმოგვის ერის-თავები	ერისთავები თმო-გვისა
89	3 –	1086	1068
103	11 –	საქერთველოს	საქართველოს
104	14 ზევ.	დავითმა	გიორგიმ
141	10 ქვევ.	მიწამ	მინამ
149	10 –	თბილისში	თბილისსა
158	6 –	ჯიქებიან	ჯიქებთან
164	8 –	მეფეთ	მეფის
170	6 –	სიმონი	სიმონის
173	6 –	მამის	პაპის
188	2 ქვევ.	კმდეც	კიდეც
	1 ქვევ.	დატყვებულ	დატყვევებულ
204	2 ზევ.	ქართლის-ცხოვრე-ბა	„ქართლის-ცხოვ-რება“.
221	10 ქვევ.	ეშეკლეს	ერეკლეს
233	6 ქვევ.	ტახტი, ერგო	ერგო ტახტი
237	11 ზევ.	აწ (ყულევი)	(ყულევი)
238	3 ქვევ.	პატივთ	პატივით